


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

10 თებერვალი 2012 №3(159)



დემოკრატიის რაობა
გვანცა ჯობავას ლექსები
ინტერვიუ ნიკა თავაძესთან
ლალი ბრეგვაძის მოთხრობა
ლორდ ბაირონის „დონ ყუიანი“
ჭუპრიდან ამოფრენილი სილამაზე
წიგნი ლიტერატურის გურმანთათვის
ელგუჯა თავბერიძე აკაკი წერეთელზე
გურამ გოგიაშვილი მიხეილ შოლოხოვზე
გაზაფხული — ერთი მერცხლის ჭიკჭიკით
ეთერ თათარაიძის ჩეჩნურ-ინგუშური რვეულიდან

შინაარსი

ერი და გადისწერა	2	ზურაბ ხასაია დემოკრატიის სიცრუა
ჩვენი ყოფა, წუთისოფალი	6	თამარ ცინცაძე ღვთაებრივი საუფჯის ხელყოფა
მსარკეს-ინტერვიუ	8	ნიკა თავაძე „სჯობს აკეთო, ვიდრე ერთ ადგილზე იდგა“ (მომზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	9	ლალი ბრეგვაძე-კახიანი შაშვის ჭახჭახი
ლიტერატურული სმორება	23	თეკლე ჯანელიძე პეტრე ხვედელიძის გულსტკივილი (თავყრილობა საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში)
პოეზია	24	ეთერ თათარაიძე ჩინწურ-ინგუშური რვეულიდან
პირველი შთაბეჭდილება	26	საბა სულხანიშვილი თუშეთიდან დანახული კავკასია
პოეზია	27	გვანცა ჯობავა ბიმ, ღმერთი თუ შიგვინდობს!.. და სხვა ლექსები
უსმოთის სმორებიდან	29	გურამ გოგიაშვილი შოლოხოვი ჭაშნიკად ანუ წყნარი დონი მნარლის სიტყვამ მყოფოთვარე ცსმორების მდინარედ აქცია
ანეკდოტი	34	ელგუჯა თავბერიძე ჩყნგ-სა წაღსა (ციკლიდან „ესეები აკაკიზე“)
რეპორტაჟი	38	ეკა ბუჯიაშვილი ნიზნი ლიტერატურის გურმანთათვის (ნიკოლოზ ჩუბინიძის „უგემური საკითხავი“)
კრიტიკა	42	დალილა ბედიანიძე ბაზაფხული — ერთი მარცხლის ჭიკჭიკით (ფოლკლორულ-მიტოსური ნაკადი ვახტანგ ჯავახაძის პოეზიაში)
ლიტერატურული სმორება	45	თამარ ადამია „ჭუპრიდან“ ამოფრენილი სიღამაზე (კატო ჯავახიშვილის პოეტური კრებულის წარდგინება)
გამოხმაურება	46	მარინე ტურავა რეალობისგან ნახსხები (ზვიად კვარაცხელიას მოთხრობა „შეკვეთილი წირვა“)
ახალი თარგმანები	47	ლორდ ბაირონი ხომალდის დაღუპვა: ჰაიდი („დონ შუანის“ მეორე თავი)
ახალი წიგნები	61	ლია კუხიანიძე როცა ჩურჩულით აღარ ილაპარაკებან (გიზო თავაძის მოთხრობების კრებული „ლაპარაკი ჩურჩულით“)
მოზიკა	63	ასიოდე მატრის დაშორებით

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E_mail: info@mtserloba.ge



შეამუშავდა: სარაიშვილი „მეგა ტეგ“
სარაიშვილი, თბილისი, სარაიშვილის 17
თელფონი: 00 995 322 55 03 62

PRINTED BY "MEGA TEG" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAIISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 322 55 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯობაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: სვანური კომპები

ირაკლი შუბაშიკელის კომპიუტერული გრაფიკა

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 24 თებერვალს

ზურაბ ხასაია

დემოკრატიის სიცრუე

1. ორაალატიანი ჯოჯოხეთი

შემადრწუნებელ ამბავს გვიყვება ჰინდუსტანის დიდი ბნელმეტყველი ბჰაგვან რაჯნიში, მეტსახელად ოშო.

უამრავი მონაფე ჰყოლია მოლა ნასრედინს. ორ მათგანს ისე ჰყვარებია თავისი მოძღვარი, რომ მისი სიკვდილი ნამეტანი განუცდიათ და რამდენიმე დღეში თვითონაც დახოცილან. მოძღვარი ზედ სამოთხის კარიბჭესთან დახვედრია უსაყვარლეს შეგირდებს და გაბრწყინებული სახით გაძლოლია წინ: ხომ ხედავთ, ნამდვილმა რწმენამ სამოთხეში მოგიყვანათო.

ვარდის ღრუბლებში გაცურებულან. ანგელოზებსა და სამოთხის ჩიტებში გარეულან. ჰურიები ღვთაებრივ საზრდელითა და უმსუბუქეს წყლებით გამასპინძლებიათ.

მაგრამ აყვავებულ ლაჟვარდებში უზრუნველად ლივლივსაც, კაცმა რომ თქვას, თავისი დასასრული აქვს. სამოთხის ახალ მკვიდრებს ესტუმრა სტუმართაგან ყველაზე უამური — მოწყვნილობა. უკაცრავად პასუხია და იფეთქა გადამდებმა სნეულებამ — მთქნარებამ. გონებაში გამოიკვეთა შემადრწუნებელი კითხვა: „ასე როდემდე?“

შეგირდებმა, როგორც ყოველთვის, ახლაც მოძღვარს მიაპყრეს იმედის თვალი, ისევე თქვენ თუ გვიშველითო. ნაცადმა მოძღვარმა მართლაც იპოვა ბრძნული გამოსავალი. დაუძახა ჰურიას: ერთი, შენს გაზრდას, ის ფანჯარა გაგიღე, საიდანაც დედამინა ჩანსო. ჰურიამ ფანჯარა გააღო.

და იხილეს დავინყებული სურათი: ფეხშიშველა ბურლაკები ქარსა და წვიმაში, მუხლამდე ტალახში, ეზიდებოდნენ უმძიმეს ბადეს ვოლგაზე;

ინვა კუბოში ნათელი მოხუცი და წინამურთან ნასროლი ტყვიით გახვრეტილ შუბლზე მუხის ფოთოლი ეფინა;

ხოლო ჭუბურის უღელტეხილზე წყველა-კრულივით მოეღალაბებოდა აკვნებითა და კუბოებით დატვირთულ ადამიანთა უწყვეტი ნაკადი. ნაადრევი თოვლის ფიფქები და მოულოდნელად თავს დატეხილი უბედურება ერთმანეთში ირეოდა და შფოთიან სიზმარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცხადს.

სამივეს გაახსენდა დედამინა, რაიც ასე მალე დავინყებოდათ. გაახსენდათ და სული მოითქვეს, რაღაი იქაურობას თავი დააღწიეს. ისევ იგრძნეს სიმშვიდე და ზედნიერება.

მაგრამ ვაი, რომ ზემოხსენებულ სტუმარს გზა კარგად დაემახსოვრებინა. რამდენიმე დღეში ისევ მოუკაკუნა სამოთხის კარს. შეგირდებმა ისევ მოძღვარს სთხოვეს შეველა. მოძღვარიც ნაცად გზას დაადგა. ახლა ის ფანჯარა გაგიღეთო, სთხოვა ჰურიას, საიდანაც ჯოჯოხეთი ჩანსო. იფიქრა, დედამინა უკვე ვცადეთო. ახლა ჯოჯოხეთის ხილვა კიდევ უფრო შეგვაყვარებს ჩვენს სამოთხესო.

ჯოჯოხეთი გაჩვენოთ?! ახლა კი ველარ მოითმინა ჰურიამ და სიცილისგან ისე გადაფიჩინდა, რომ ჰაეროვანი ფერდები ეტკინა. თქვენ აბა სად გგონიათ თავიო.

ჯოჯოხეთი ხომ ჯოჯოხეთია? თურმე სამოთხეც ჯოჯოხეთი არ ყოფილა?! თურმე ის, რასაც ჩვენი განყალბებული წარმოსახვა სამოთხეს ეძახის, ისევ ჯოჯოხეთია. არსებობს არა ჯოჯოხეთი და სამოთხე, არამედ ჯოჯოხეთის ორი სახეობა.

ერთია ჩვენთვის კარგად ნაცნობი ჯოჯოხეთი. ის, კაცმა რომ თქვას, იგივეა, რაც ჩვენი ცხოვრება; ნუთისოფელი, ოლონდ ოდნავ გამუქებული. მისი მეუფე უქონლობა და გაჭირვებაა. ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა აქ ბინადრობს,

მეორე გახლავთ ჩვენი ველური ფანტაზიით დახატული ჯოჯოხეთი, რასაც სრულიად უპასუხისმგებლოდ და ზერეულედ სამოთხეს ვეძახით. აქ ყველა სურვილი მაშინვე სრულდება. ამიტომ მისი შეუზღუდველი მონარქი მოწყვნილობაა. ადამიანთა იშვიათ უმცირესობას აქ მოუკალათია.

ერთი სული მაქვს ვიკითხო: ნეტა რომელი ჯოჯოხეთი სჯობს, პირველი თუ მეორე? სხვა სიტყვებით: ჯოჯოხეთი სჯობს თუ სამოთხე?

ეს კითხვა არაპირდაპირ ბევრ ჭკუაკვიმატ კაცს მოსვლია თავში. მაგალითად, ჩარლ ჩაპლინი ხუმრობდა: პირადად მე ჯოჯოხეთი მირჩევნია, რადგან იქ უამრავ ნაცნობს გადავეყრებო. სამოთხეში კი მარტოობისგან სული გამძვრებო.

ქრისტეს ფეხის მჭამელი უინსტონ ჩერჩილი კი სხვა მიზეზს ასახელებდა: ჯოჯოხეთი მირჩევნია, რადგან ჭირი ისევ შეჩვეული სჯობსო.

არანაკლებ მარილიანია უბრალო ხალხის ხუმრობაც. თურმე ერთმა ჯველმა მეტისმეტად პატიოსნად იცხოვრა. ამიტომ შიმშილით მოკვდა და სამოთხეში მოხვდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მოეწყინა და ჯოჯოხეთში ისურვა გადაყვანა.

ანგელოზებს შეეცოდათ ეს ყოვლად უბედური კაცი და გზა ასწავლეს: პირდაპირ ეს შეუძლებელიაო. მაგრამ არსებობს შემოვლითი გზა. ხათრს გაგინევთ და უკანვე, ნუთისოფელში დაგაბრუნებთო. იქ სხვებივით შენც დააშავე და სიკვდილის მერე ჯოჯოხეთში მოხვდებიო.

შეთანხმდნენ. ჯველი გააცოცხლეს და ისევ ნუთისოფელში უკრეს თავი. ახლა კი სხვაგვარად დატრიალდა. პოლიტიკურ მოძრაობაში შევიდა, გრანტები აითვისა და სხვა ბატონებს დაემგვანა. ბოლოს ამ ბატონთაგან განსხვავებით, თავის მოკვლა გადაწყვიტა, რაკი ეს ქრისტიანისთვის რატომღაც მიუტევებელი ცოდვაა და ჯოჯოხეთის ყველაზე საიმედო საგზურია.

თვითმკვლელობის წინ, რაცხა ეშმაკად, გადაღრძობულ რუსის დედაბერს მოჰკრა თვალი და, სრული გარანტიისათვის, ენერგიულად გააუპატიურა. მერე თავი მოიკლა და უზრუნველად გაშალა ფრთები ჯოჯოხეთისკენ.



მაგრამ ჰოი, საკვირველებავ! კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. მრავალტანჯული სული შუაგულ სამოთხეში არ დასკუპდა? ეს რა მიქენითო, მივარდა ანგელოზებს, როგორ გადამაგდეთო! რა ვქნათო, ხელები გაასავსავეს გოგობმა. იმ დედაბერმა იმდენი გლოცათ, იმდენი გლოცათ, რომ მამაზეციერმა ყველაფერი მოგიტევათ და სამოთხეში გამოგანაწილათო.

როგორც ჩანს, ინფერნოსა და პარადიზოს, აგრეთვე პურგატორიოს საკითხში დიდი დანტე ალიგვიერი, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებდა. ბატონ რაჯინიშზე რომც არაფერი ვთქვათ, თვით ჩაპლინი და ჩერჩილიც კი, ვგონებ, უკეთ ერკვეოდნენ ამ ბუნდოვან საკითხში.

ლაიბნიცის თქმისა არ იყოს, ღმერთს არაფერი შეუძლია, როცა ადამიანებს მეფეთა მეფედ გაჭირვება დაუნესა. გაჭირვება საუკეთესო გასართობია ამ იალღიმიან წუთისოფელში. საქმე გამოუღვეველი გაქვს და მიზანიც თვალისმომჭრელად კაშკაშებს. მოწყენა ნამდვილად არ გეძუქრება. დიდი-დიდი, გული გაგისკდეს.

ამ მხრივ არც ქართველებს გვჭირს რამე სანუნუნო. საქმე თავზე საყრელად გვაქვს. ერთი არჩევნები დასრულდება, თუ დასრულდა, და მამინვე მეორე იწყება. თუ არადა ვადამდე არჩევნებს დაენიშნავთ. მახათის ისტორიისა არ იყოს, ათასი საშუალებაა მოწყენილობასთან საბრძოლველად.

2. დემოკრატიის სიცრუე

მრავალი სიტყვა უთრევიათ ჟურნალისტებსა და პოლიტოლოგებს. მაგრამ ყველაზე ნათრევი სიტყვა მაინც დემოკრატიაა. გონიერი უცხოპლანეტელი დედამიწაზე რომ ჩამოვიდეს და საქართველოში შემოეხეტოს, ამ სიტყვას თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს.

მაგალითად, ლაპარაკობენ დემოკრატიული გაკვეთილის, დემოკრატიული მღვდლის, დემოკრატიული ცოლქმრობის და სხვა უცნაური საგნების შესახებ. მე არ გამიკვირდება, თუ გურიასა და სამეგრელოში ახალშობილს სახელად დემოკრატს დაარქმევენ. ერთ ჩემს წალენჯიხელ ნაცნობს სახელად კომუნარი ჰქვია. არაფერი უჭირს, თუ მის ვაჟს დემოკრატი ერქმევა.

ეტყობა, დემოკრატია ნიშნავს რაღაც უპირობოდ კარგს. სხვა ყველაფერი მხოლოდ ნაწილობრივაა კარგი. მაგალითად, პატიოსნება ხან კარგია, ხან ცუდი. მშვიდობას ხანდახან ომი სჯობს. არც ჯანმრთელობა ვარგა, თუ ის გულგრილობით და თავკერძობით მოიპოვება.

მხოლოდ დემოკრატიაა ყოველთვის და უთუმცაოდ კარგი. ის საკრალური და ღვთაებრივია. ამიტომ მისი შინაარსი ნაწილობრივ გასაიდუმლოებულია და მასში ჩხრეკა აკრძალულია. მას ტაბუ ადევს.

ზოგ გულუბრყვილო აზრის თავისუფლად გამოთქმა დემოკრატია ჰგონია. არადა აზრის თავისუფლად გამოთქმა შეიძლება აიკრძალოს, თუ ის დემოკრატიას უქმნის საფრთხეს. მაგალითად, ჩემისთანა გულუბრყვილოებს ჰგონიათ, რომ ნატოში უნდა შევიდეთ მხოლოდ ერთი პირობით. — ეს ჩვენთვის უნდა იყოს სასარგებლო; ხოლო თუ სასარგებლო არაა და, პირიქით, საზიანოა, მაშინ არ უნდა შევიდეთ.

ამგვარი გულუბრყვილო აზრის თავისუფლად გამოთქმა ჩვენში ვილაც-ვილაცებმა აკრძალეს, რადგან ეს დემოკრატი-

ას უქმნის საფრთხეს. მაშასადამე, დემოკრატია აზრის თავისუფლად გამოთქმა არ ყოფილა. თურმე თავისუფალი აზრის დევნაც კარგია, თუ ეს დემოკრატიისთვის ხდება.

ზოგს ჰგონია, რომ დემოკრატია სხვის საქმეებში ჩაურევლობა და მასთან მშვიდობიანი ურთიერთობაა. მაგრამ სხვის საქმეებში ჩარევაც შეიძლება და ცხვირ-პირის დამტვრევაც, თუ ეს დემოკრატიისთვის ხდება. პენტაგონი სახელმწიფოებს ანადგურებს და სისხლში ახრჩობს მათში დემოკრატიის დასამკვიდრებლად.

მანამდე კი **კიტოვანმა** და **იოსელიანმა** თბილისი დაანგრიეს და სამეგრელო გადაწვეს; ხოლო ამას მიესალმა ქართველი ერის მოაზროვნე ნაწილი, რადგან ეს დემოკრატიისთვის მოხდა.

ასეა, დემოკრატიისთვის სულაც არაა უცხო არც განსხვავებული აზრის დევნა და არც უსასტიკესი სამხედრო ძალმომრეობა. ის, ვითარცა ღმერთი, სიკეთისა და ბოროტების მიღმაა.

შევეცადოთ მისი შინაარსის გარკვევას. დემოკრატია ბერძნებმა გამოიგონეს. მათ სხვებზე მეტად უყვარდათ თავისუფალი აზროვნება. ჰოდა როცა ათენში ცხოვრება ნამეტანი გაჭირდა, ამ ქალაქის მკვიდრნი გაჭირვების მიზეზებს ჩაუფიქრდნენ. ისინი ასე მსჯელობდნენ: ქვეყანას ან ერთი კაცი, ან მცირე ჯგუფი, ან ხალხი უნდა მართავდესო. ერთის ან მცირე ჯგუფის მმართველობამ გაათავებდა მმართველები. ამან კი ხალხი გაჭირვებაში ჩაჰყარაო.

ათენის პატივცემულმა მოქალაქეებმა აქედან დაასკვნეს: თუ ხალხი აიღებს მართვის სადავეებს, არც გათავებდებული მმართველები იქნება და არც გაჭირვებული ხალხი. ამიტომაც დაანესეს ხალხის მმართველობა ანუ დემოკრატია.

აქვე დავიმახსოვროთ: დემოკრატიას არ წარმოუშვია თავისუფალი აზროვნება, როგორც ჩვენს ალქიმიკოსებს წარმოუდგენიათ. პირიქით, ჯერ თავისუფლად იაზროვნეს ათენელებმა და მერე ისურვეს დემოკრატია. ამიტომ აზროვნების თავისუფლება „დემოკრატიული ფასეულობა“ კი არაა, არამედ საერთო ადამიანური სიკეთეა. ის მაღლა დგას როგორც დემოკრატიაზე, ისე სხვა ნებისმიერ კრატიაზე. ის ერთნაირად არსებობს ან არ არსებობს ნებისმიერი სახელმწიფოებრივი მმართველობის დროს.

დემოკრატიის მთავარ უპირატესობად ხალხის ნების გამოხატვა ითვლება. მაგრამ ძალის თავი სწორედ აქაა დამარხული და ჩვენც ამ ნერტილს ჩავუღრმავდეთ: რა არის ხალხი და მისი ნება?

დემოკრატიის დიდ მესიტყვეებს — დემოკრიტეს და ლოკს, რასელს და პოპერს — წარმოდგენაც კი არ აქვთ ხალხის შესახებ. ისინი ხალხს თითებით ითვლიან და კალკულატორზე აღრიცხავენ. ასეა, რადგან ხალხი ნაწილაკების გროვად მიაჩნიათ. ასე ექირობდნენ ათენელებიც, როცა დემოკრატია დაიწესეს.

ვგონებ, გასაგებია, თუ როგორ ესმის დემოკრატიას ხალხი. ეს არის ალიკოს, ვალიკოს, შალიკოს, პალიკოს და, თუ გნებავთ, თალიკოს გროვა. ასე ესმის დემოკრატიას ხალხი და თავისი მმართველობით თვითონაც ხელს უწყობს ხალხის გადაქცევას ასეთ გროვად.

ამით ლიზიანდება ჭკუადამჯდარი კაცი, ვთქვათ, **ჟენ იონესკო**, და თავის კომედიაში უარს ამბობს მოქმედი პი-

რების დასახელებაზე. კი არ ასახელებს, არამედ ნომრავს მათ: რობერტ პირველი, რობერტ მეორე, რობერტ მესამე და ასე შემდეგ. იგულისხმება: ისინი სრულიად ერთნაირნი არიან და არც იმსახურებენ სხვადასხვა სახელს.

ორიოდე წლის წინათ ერთ-ერთ რუსულ არხზე შევესწარი მიმზიდველ კამათს. ერთი პირქუში ახალი რუსი სახელებს უარყოფდა და თავის შვილებს ნომრებით ასახელებდა. მისთვის პასუხის გასაცემად მღვდელი ჰყავდათ მოყვანილი. მან იმ გადარეულს ბიბლია უხსენა, სადაც ადამიანის ერთერთ პირველ საქმედ სახელდება ნათქვამი. სახელი ლეთისგანააო, ის ადამიანის საიდუმლო მეობას გამოხატავსო.

ბიბლიის ცოდნა კარგია, მაგრამ ცხოვრებაც უნდა გესმოდეს. იმ მღვდელს ცხოვრებაც ბიბლიასავით რომ სცოდნოდა, მაშინ ახალი რუსის თავისებურ სიმართლესაც დაინახავდა — ადამიანებმა დაჰკარგეს კავშირი ღმერთთან. მას რომელ შინაგან საიდუმლოსა და მეობაზეა ლაპარაკი? მეობა მართლაც იმსახურებს სახელდებას. მაგრამ საკითხი ხომ იმას ეხება, რომ სწორედ ეს მეობაა დაკარგული? საკითხავი ესაა და არა ის, თუ რა წერია დაბადების მეორე გვერდზე.

რალაი დემოკრატებმა გაგვაგებინეს ხალხის რაობა, ახლა არც ხალხის ნების გაგება გაგვიჭირდეს ეგებ: ხალხი ნაწილაკების გროვაა. მაშასადამე, ხალხის ნებად არამცდარამც არ უნდა ჩაითვალოს ის, რაც ამ გროვის მცირე ნაწილს სურს. ხალხის ნებად, პირიქით, უნდა ჩაითვალოს ის, რასაც ამ გროვის უმეტესი ნაწილი ფიქრობს. უნდა გამოვკითხოთ ხალხი და დავადგინოთ, თუ რას ფიქრობს უმეტესობა. უმცირესობამ კეთილი ინებოს და დაიცადოს, ვიდრე მისი დრო მოვა; ანაც დაემგვანოს უმეტესობას.

ამის გამო კახელს უხუმრია ყველაზე კარგად.

მოგეხსენებათ, მარქსისტებიც დემოკრატები არიან. ამიტომ მეფის რუსეთში, ერთ-ერთ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ისინი უმრავლესობად და უმცირესობად ანუ ბოლშევიკებად და მენშევიკებად გაიყვნენ. ჰოდა კახეთში ბავშვი ეკითხება მამას, ბოლშევიკები და მენშევიკები რააო.

მე ერთი მეურმე კაცი ვარო, მიუგო მამამ, და ჩემებურად აგიხსნისო. ვთქვათ, უღელში შებმულმა კამეჩმა მოფუნა და ფუნას ურმის თვალმა ზედ გადაუარა, ოღონდ მთლად მუაგულში არაო. ფუნა უმეტეს და უმცირეს ნაწილებად გაიყოფაო. ფუნის უმეტესი ნაწილი ბოლშევიკები იქნება, შვილო, უმცირესი კი მენშევიკებო.

ამ გლახურ ხუმრობაში კარგად ჩანს, რომ უმრავლესობა ყოველთვის არ ნიშნავს უკეთესს. ზუსტად ისე, როგორც მეტი ფუნა არ სჯობს ნაკლებ ფუნას. უფრო მეცნიერულად რომ ვთქვათ, სიკეთე სტატისტიკური მეთოდებით არ შეიმეცნება.

მთავარი ის კი არაა, თუ რამდენი ლაპარაკობს. მთავარი ისაა, თუ ვინ ლაპარაკობს. დემოკრატია კი სწორედ ეს „ვინ“ ანუ პიროვნება არ აინტერესებს. მას აინტერესებს „რამდენი“ ანუ ჯგუფი. ის გეკითხება, თუ რომელი ჯგუფის წევრი ხარ. არასოდეს გეკითხავს, თუ ვინა ხარ. პიროვნება ნაწილაკი და არარაობაა.

დემოკრატია არ იცის კარგი და ცუდი, მართალი და მტყუანი. მან იცის მხოლოდ მეტი და ნაკლები. კარგი ისაა, რასაც უმეტესობა აღიარებს ასეთად. სიმართლესაც ისაა, რასაც უმეტესობა ემხრობა. პიროვნებასაც მხოლოდ იმიტომ სჯობს ჯგუფი, რომ რიცხობრივად აღემატება მას. პიროვნება ერთია, ჯგუფი კი — ერთზე მეტი.

რას წარმოადგენს ეს მისი აღმატებულება უმრავლესობა? ბერძენ ფილოსოფოს **ჰერაკლიტეს** ნამდვილად არ გადმოსდიოდა რძე და თაფლი პირიდან, მაგრამ განსაკუთრებით პირქუში კი უმრავლესობის მიმართ იყო. ის აქებდა ერთადერთ კაცს, ეფესოელ ბრძენს, ვინმე **ტევტამუსს**, რადგანაც მას უთქვამს, უმრავლესობა ნაგავიაო.

ვოლტერი გულისტკივილით შენიშნავდა, ადამიანთა უმეტესობა დალაპარაკების ღირსიც არააო.

ეს უნუგეუო ვითარება, მითის ენაზე რომ ვთქვათ, გამოწვეულია პირველ ადამიანთა ცოდვით. ადამმა და ევამ შესცოდეს, რის გამოც ნახდა მათი ბუნება — ადამიანი შეზღუდულია გონებრივად და ზნეობრივად. მეცნიერულად ეს იმით აიხსნება, რომ ბუნებისათვის მთავარია სიცოცხლის განახლება და გაფართოება. ხოლო ეს სულისკვეთება უაზრო და უზნეოა. ამიტომ ბუნების შვილებს არ უყვართ გონება და ზნეობა.

მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილი უჯანყდება ამ სულისკვეთებას და ცდილობს სრულყოფას თავისივე სიამოვნებისა და კეთილდღეობის ხარჯზე. ეს ბუნების წინააღმდეგ მოძრაობაა და ამიტომ უძნელესი საქმეა. უმრავლესობა კი მწერებივით განაგრძობს ცხოვრებასა და ბზუილს.

უმცირესობა შექმნილია, უმრავლესობა — მომხმარებელი. ყველაფერი, რითაც ადამიანთა მოდგმას თავი მოაქვს, უმცირესობის შექმნილია. თუ კაცობრიობის ისტორია რაიმეთი გამართლებულია, მხოლოდ და მხოლოდ უმცირესობის ნაღვანით. თუ კაცობრიობის შეწყნარება შეიძლება, მხოლოდ უმცირესობის ხათრით.

უმცირესობის ნიჭმა შექმნა ოდოია და ვეფხისტყაოსანი, თებეს ტრაგედიები და იოანეს აპოკალიფსი, რენესანსის მადლები და დიდი გოთური ტაძარი, ტიბეტური ბნელმეტყველება და წმინდა გონების კრიტიკა, მეცხრე სიმფონია და ბოლერო.

იმავე ნიჭის წყალობაა პური და ღვინო. ერთიც და მეორეც გენიალურმა უმცირესობამ შექმნა და მარადისობის ნისლში მიიმალა.

საბედნიეროდ, უმრავლესობას ერთგვარი ბუნებრივი კრძალვა მოსდგამს უმცირესობის მიმართ. მაგრამ ამ კრძალვას თან ახლავს ადამიანური სისუსტე — შური. პატივისცემა, სიყვარულისგან განსხვავებით, მუდამ შეიცავს ერთგვარ უსიამოვნებას, რაც სხვისი უპირატესობის ფანცდითაა გამოწვეული. ამიტომ პატივისცემის შიგნით ფარულად ფეთქავს შურისძიების გრძნობა. ის ელოდება ხელჩასაჭიდ ბერკეტს მოქმედებაზე გადასასვლელად.

აი ეს ბერკეტია დემოკრატია — **სერვანტესსა** და ვინმე გარემოვაჭრეს თითო ხმა აქვთ. ესე იგი, მათ აზრებს ერთი ფასი ადევს. მეტიც, სერვანტესი მართლაც ერთია, გარემოვაჭრენი კი თავზე საყრელადაა. ამიტომ მათი აზრი მეტი ღირს. ისინი გრძნობენ მათთვის ხელოვნურად მინიჭებულ ძალას და უპირატესობას, რის გამოც ბუნების მიერ მათში ჩადებული კრძალვა უმცირესობის მიმართ უკვალოდ ქრება.

უმცირესობის გონებრივი და ზნეობრივი უპირატესობა მათ უკვე ახირებულობად და უგერგილობად ეჩვენებათ. ამით უმრავლესობის უფერულეობა უხამსობად იქცევა. ულმობელია მათი შურისძიება; გულისამრევი — მათი გამარჯვების ყიჟინა.

დემოკრატული ფილოსოფია ცკვერს უკრავს ამ უხამსობას. ის რჩეულთა უპირატესობას ან ისტორიულ უსა-

მართლობად განმარტავს **მარქსივით**, ან რალაც ძირეული ჩავარდნის სამაგიეროდ — **ფროიდივით**. თურმე „რჩეულნი“ ავადმყოფები არიან. მათ გამორჩეულობაში თურმე გადახრაა მთავარი. ისტორიის ავანსცენაზე ამაყად გამოდის **შექსპირის** კალიბანი.

უმრავლესობის ამ გათავხედებას კიდევ უფრო აძლიერებს დემოკრატიული მმართველობისთვის დამახასიათებელი პირფერობა. ჩვენ ამას ჭარბად ვხედავთ ჩვენი პოლიტიკოსების საარჩევნო აურზაურში. ისინი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეჯიბრებიან ხალხის ქებაში.

ეს არაა ყბადაღებული „მოფერება“. ეს პირფერობაა. ეს არის ბრბოსადმი მლიქვნელობა, ყოველ ლიქნაზე უარესი. ეს ცეცხლთან თამაშია. ეს არის ხალხის ძალათი გადაქცევა ბრბოდ. ბრბოსათვის კი სრულიად მიუღებელი გახლავთ კანონი და სახელმწიფო. ის ან კალიგულას ცხენივით დაიჭიხინებს ხელისუფლების დარბაზებში, ანაც უსასტიკესი ტირანის უღელს გამოჭედავს თავისივე საცოდავი კისრისათვის.

დემოკრატიული კულტურა ვერ იტანს სიბრძნეს. მოხუცებულებას სიბრძნე მოაქვს, ხოლო თვით მოხუცი ბრძენსა ჰგავს. ამიტომ ამერიკამ უარყო მოხუცი და მარადიული ახალგაზრდობის თავყვანისცემა დანერგა. ახალგაზრდა უნდა იყო ან, სულ მცირე, ახალგაზრდად უნდა გამოიყურებოდეს. ბავშვის აღზრდაში მოხუცი ანუ სიბრძნე აღარ მონაწილეობს. თავშეკავების კულტურა წარსულს ჩაბარდა.

დემოკრატებმა არ იციან, რომ ბუნებამ აგზნებაც იცის და შეკავებაც. შეკავება ნევროზების და კომპლექსების წყაროდ გამოაცხადეს და უარყვეს. ამიტომ წარმოიშვა ახალი ნევროზი — **უტიფრობა**. ამას უკომპლექსობას, აგრეთვე ამბიციურობას ეძახიან და აქებენ. ქართული ჯგობარი ამ თვისებების აღზრდის, დანერგვის და ფართოდ გავრცელების მცდელობაა.

დემოკრატიის მამები სახრჩობელაზე ადიოდნენ აზრის გამოთქმის თავისუფლებისთვის. ცნობილია **ვოლტერის** ნაკვეთი: „მე არ ვეთანხმები თქვენს აზრს, მაგრამ თავს გავწირავ თქვენს მიერ მისი გამოთქმის უფლებისთვის!“

ეს ყოველად უკუღმართი გენიოსი მსოფლიოს უდიდეს მოაზროვნეთა აზრებს დასცინოდა. ნეტა რა თავს იკლავდა გარემოვარების მიერ თავისი უხიაგი აზრების გამოთქმისთვის? ასეთი უკუღმართი აზრებით ისეთი ქარბორბალა დაატრიალა, რომ ბოლოს მისი ძვლები მიწიდან ამოიღეს და ქარში გადაჰყარეს.

დემოკრატიის ამ მამებს ერთი რამ დაავინწყდათ: აზრის გამოთქმა არაა საჩქარო! ნაჩქარევი გამოთქმა არ აცლის აზრს აზრად ქცევას, ჩამოყალიბებას.

პლატონი განასხვავებდა „დოქსას“ და „ეპისტემეს“ ანუ შეხედულებას და ცოდნას. შეხედულება ყველას აქვს, ცოდნა — ცოტას. შეხედულებას უნდა ვაცალოთ თავის ჭურჭელში ყოფნა, თორემ დანამლავს გარემოს. მისი, ასე ვთქვათ, შინაპატიმრობა ხალხის კულტურის ნიშანია. თუ ის ცოდნად იქცა, თვითონვე იპოვის გზას.

აზრის გამოთქმას წინ უნდა უსწრებდეს მძიმე შრომა აზრის შექმნისთვის, მოპოვებისთვის. არისტოკრატიული კულტურა სწორედ ამას, **აზრის შექმნას** ესწრაფის. დემოკრატიული კულტურა **აზრის გამოთქმიდან** იწყებს, რადგან ის არ იცნობს აზრს; შეხედულება და ცოდნა ერთმანეთში ერევა.

3. ხალხის ხსენსათვის

მე ოდნავაც არ ვამცირებ ხალხის მნიშვნელობას. მისი ნების გამოხატვაც სახელმწიფოს უპირველეს მცნებად მიმაჩნია. უბრალოდ, ჩემთვის მიუღებელია დემოკრატიების ზერელე წარმოდგენა ხალხსა და მის ნებაზე.

ხალხს სწორედ დემოკრატიეი ამცირებენ, რადგან მას ნაწილაკთა გროვად განმარტავენ. ასევე ამცირებენ ხალხის ნებას, რაკი ის ნაწილაკების ნაწილაკურ სურვილთა არითმეტიკულ ჯამად მიაჩნიათ.

ამიტომ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: დემოკრატია ხალხის აბუჩად აგდებაა; ხოლო მის მიერ ხალხის წარამარა ხსენება — მხოლოდ პირფერობა და ცინიზმი. არსად ხალხი ისე შეძლებული და აბუჩად აგებული არ ყოფილა, როგორც დემოკრატიულ კულტურებში.

ამაში ჩქარა დარწმუნდნენ ბერძნები. თავისუფალმა აზროვნებამ საბერძნეთში დიდი კულტურა შექმნა. მაგრამ როცა მან დემოკრატიული მმართველობაც გამოიგონა, მაშინვე სამარე გაითხარა თავისთვის.

რომში დემოკრატიულმა მმართველობამ უსამართლობა გაამრავლა. ამიტომ იქ მხოლოდ სამართლის მეცნიერებამ იხარა. ზუსტად ისე, როგორც ავადმყოფობის გავრცელება უწყობს ხელს ექიმობის განვითარებას. თვითონ რომაელებმა კი სასწრაფოდ შეაფარეს თავი მონარქიას, ოღონდ „პრინციპატი“ შეცვალეს ეს მათთვის უსიამოვნო სიტყვა.

თომას **ჰობსის** თქმისა არ იყოს, არეულობას ანუ ყველას თვითნებობას ისევე ერთის თვითნებობა სჯობს. ჰობსზე ადრე ეს სპარსელ დარიოს ჰისტასპის ძეს უთქვამს, როგორც **ჰეროდოტე** მოგვითხრობს.

დემოკრატიის ხალხიც და მისი ნებაც ზერელედ ესმის-მეთქი. ხალხი არაა ნაწილაკების გროვა. ის განუკვეთელი ზოდია, ნაწილაკების ნისლში ღრმად დამარხული. ეს ენის შინაგანი გენიაა, რაც ფშვინავს ამ ნაწილაკების გროვაში და განასულიერებს მას.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ხალხი ქვეშეცნეულად ატარებს ჯანსაღ ნებას და არ კი იცნობს მას ნათლად. ესაა ის „სახალხო ნება“, რასაც უან-ჟაკ **რუსო** ეთავყვანებოდა და ვოლტერიანელთა წყრომას იმსახურებდა.

რუსო მართალი იყო. ამ „ნაწილაკებს“ ნათლად როდი ესმით თავისივე სურვილი. ამ სურვილს ნათელჰყოფს მხოლოდ ხალხის შვილთა მცირე ჯგუფი. ამიტომ ხალხის ნებას სწორედ ის გამოხატავს.

სავსებით უნდა დავეთანხმოთ ყიულ **მიშლეს**, ვინც ამბობს: „ერი, ამ სიტყვის ყველაზე ამაღლებული მნიშვნელობით, ძნელია იპოვნო თვით ხალხის წიაღში. საითაც უნდა გაიხედო, ერს ვერ მოჰკრავ თვალს. შეიძლება იხილო მხოლოდ მისი ფენა, ნაწილი, მარადმედინი და დღენაკლული. ერის დიადი სული, მთელი თავისი სიმძლავრით, მხოლოდ გენიოსის პიროვნებაში ფეთქავს.“

ზუსტად იმავეს გვეუბნება ილია **ჭავჭავაძე**: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწურთნელსა, თავის ღონეს და შესაძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს.“

როცა ხალხს საგანგებოდ არ განაწყობენ თავისივე უმცირესობის წინააღმდეგ, მანამდე ხალხი რჩება ამ უმცირესობის უსაზღვრო წიაღად, მის შინაგან ძალად. მაგრამ როცა ზერელე და გულგამოჭმული დემოკრატები ხალხს მისივე უმცირესობის წინააღმდეგ აამხედრებენ, მაშინ ხალხი რჩება გონებისგან

და ზნეობისგან გარეცხილ ნაწილაკების გროვად ანუ ბრბოდ.

აქედან იწყება ღირებულებათა სრული აღრევა. გონება და სინდისი ცხადდება კომპლექსად, რისგანაც თურმე ხანგრძლივი მკურნალობა თუ გვიხსნის. ზოგიერთები უფრო შორსაც მიდიან და ბიბლიას იმონებენ. **მოსემ** მონობისგან „დაკომპლექსებული“ ებრაელები ორმოცი წელი უდაბნოში ატარაო; იმედია დაიხოცებიან და აღთქმულ მინაზე მხოლოდ ახალი, უკომპლექსო ებრაელები შეაბიჯებენო.

იესო **ნაზარეველსაც** უთქვამს თურმე: ახალი ღვინო ძველ ტიკებში ვერ მოთავსდებაო. ახალი, დემოკრატიული ტიკებია საჭიროო, განმარტავენ ჩვენი რეფორმატორები.

ასე მოუწოდებენ გონებისა და სინდისის თავყვანისმცემელთა ჩარეცხვისკენ და, ფაქტობრივად, განადგურებისკენ. ვინ იცის, იქნებ მეთაურის განცხადება „საქართველო სიღარიბის გარეშე!“ სწორედ ამას ნიშნავდეს. თუ ღარიბი ხალხის ერთი ნაწილი უცხოეთში გადაიხვეწა, მეორე კი შიმშილისგან და უქიმობისგან დაიხოცა, საქართველო მართლა სიღარიბის გარეშე დარჩება. საქართველოში მხოლოდ მდიდრები დარჩებიან და ქუჯი თორიას ვირთხებივით ერთმანეთს შეჭამენ.

ხალხი არაა ბრბო. მაგრამ დემოკრატიის გულარძინი მესიტყვეები აქცევენ ხოლმე მას ასეთად. ისინი ანადგურებენ სახალხო ნებას და ტოვებენ ნაწილაკებს ანუ ნაგვის გროვას. შემდეგ კი ამ გროვისგან ცდილობენ ახალი, დემოკრატიული კულტურის შექმნას. დემოკრატიული კულტურა იქმნება მაშინ, როცა კვდება სახალხო ნება. ის ხალხის თავისუფლების იშვიათი კარიკატურაა.

ქართველ დემოკრატებს, უყვართ აზროვნების დროს თითების მოშველიება ანუ თითებით აზროვნება.

თუ ასეა და ღრმა საკითხები ხმათა უმრავლესობით წყდება, მაშინ კარგად დავითვალოთ. დემოკრატიის წინააღმდეგ ხმას აძლევს დიდ ფილოსოფოსთა უმრავლესობა: ჰერაკლიტე ეფესელი და პითაგორა სამოსელი, პლატონი და არისტოტელე, კანტი და ჰეგელი, შოპენჰაუერი და ნიცშე, კირკეგორ და ჰაიდელგერი.

დემოკრატიის სასარგებლოდ კი დიდ ფილოსოფოსთა შედარებით ნაკლები რაოდენობა აძლევს ხმას: დემოკრიტე აბდერელი და პროთაგორა აბდერელი, ლოკი, რასელი და პოპერი.

თუ ხმებს მეთიუსა და მათიას არ დავათვლევივით, დემოკრატია ჩაილურის წყალს დალევს.

თამარ ცინცაძე

ღვთაებრივი საუნჯის ხელყოფა

სამი ღვთაებრივი საუნჯიდან ერთ-ერთი რომ ენაა, არავის სჭირდება ამის შესხენება. არც იმისი, რომ ენას თვალისჩინივით უნდა მოუარო, გაუფრთხილდე, უპატრონო, განვითარებისა და არსებობის საუკეთესო პირობები შეუქმნა. ვინ? — რა თქმა უნდა, სახელმწიფომ, ერმა, ხალხმა, ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებმა. მრავალქართვილ და მრავალსაუკუნეგამოვილი ქართულ ენას დღეს თავისუფალ საქართველოში რა საფრთხე უნდა ემუქრებოდეს? — თავისუფალი ქართული სიტყვა, წნეხისა და ზემოქმედებისაგან თავისუფალი მწერლობა, ქართული მასმედია — გაზეთი, რადიო-ტელევიზია... ახლა ხომ „არც ენას გვგლეჯენ, არც თვალს გვიხვევენ და არც საკირეში გვაგდებენ“, მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ, არის ისეთი რამ, რაზეც თვალის დახუჭვა არ შეიძლება: ენისადმი გულგრილი, უპატივცემულო, მომხმარებლური დამოკიდებულება. ჩვენ თავს უფლებას ვერ მივცემთ და ვერც შევძლებთ, ქართული ენის დღევანდელი მდგომარეობის სრული სურათი დავხატოთ, პირიქით, შედარებით მცირეზე, დედაქალაქის მეტყველებაზე ე.წ. თბილისურ დიალექტზე შევიჩრდებით.

ჩვენ გვერდს ვუვლით მასმედიის — ელექტრონულისა თუ ბექდვიტის — სპორტული გაზეთების, საპნის ოპერების, რეკლამების ენასაც კი, და გასაანალიზებლად ვირჩევთ თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ ნიმუშს — ლაშა ბუღაძის ნაკლებგახმაურებულ პიესას „სულიერი არსებები, სულიერი პროცესები და უსულო საგნები“. რატომ დრამატურგია, რატომ პიესა? — ის ხომ თეატრში უნდა დაიდგას, სცენაზე ამეტყველდეს და ასე, ცოცხალი სიტყვის ძალით, მივიდეს მაყურებლამდე. თეატრის დანიშნულება ოდითგანვე ხომ ეს იყო და არის. თანაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესო: მოქმედება თბილისში ხდება, მოქმედი პირნი ჩვენი თანამედროვენი არიან. პიესაში სამი თაობა მეტყველებს, აქტიურად თბილისური საზოგადოების ბოლო ორი თაობა — მშობლები და შვილები. მშობლები, რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის დროს, სტუდენტები იყვნენ და მათი შვილები — ე.წ. ტინეიჯერები (დაახ. **ტინეიჯერები**) — ომში, უშუქობაში, სიცივესა და სიბნელეში გაზრდილი თაობა.

როგორც ცნობილია, საზოგადოების სხვადასხვა ფენას თავისი სპეციფიკური სამეტყველო ლექსიკა და ენობრივი ნორმა გააჩნია. ყურადსაღებია ისიც, რომ ენაში აისახება სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური გარემო და პირობები. ამას ემატება ჩვენს ყოფაში ესეოდენ მოჭარბებული გამაღიზიანებლები — ფრუსტრაციები — უსაზღვრო აგრესიის გამომწვევი უამრავი მიზეზი, რომლებიც სარკესავით აირეკლება ენაში, ანაგვიანებს, აზიანებს და, ფაქტობრივად, ანგრევს მას (შეიძლება ამიტომაცაა დღეს შოკისმომგვრელი თანამედროვე პოსტმოდერნისტული ქართული მწერლობის, კინოსა და თეატრის ენა).

„დალუპული“ თუ „გაჯავრებული“ თაობა მსოფლიო ლიტერატურის განვლილი ეტაპია. ამ ეთაობის ნათლიობას ვერ ვიკისრებ, მაგრამ უზნეობა, უხამსობა, უსიყვარულობა, გაუცხოება, სიძულვილი, მოჩვენებითი რწმენა დულს და გადმოდულს ამ პიესაში, განსაკუთრებით მშობლების თაობაში. შვილები ჯერ-ჯერობით ერთობიან, გულგრილობითა და უდარდლოობით მშობლებს ჯაბნიან, დასასრულ კი შემფოთებული მკითხველი გრძნობს, რომ მომავალში უზნეობასა და უხამსობას აღმატებით ხარისხში წარმოაჩენენ.

რომელ ფენას მიეკუთვნება მშობლების თაობა? — ალბათ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, გამოუყვეთელ საშუალო ფენას (თუ უფრო მეტის პრეტენზია არა აქვთ). ესენი არიან უნივერსიტეტდამთავრებული ადამიანები (მაშინ რომ ერთადერთი იყო და ახლა ორასზე მეტია) და მათი შვილებიც ასევე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად ემზადებიან. მშობლები და შვილები სავესებით ერთნაირი ლექსიკით მეტყველებენ — თბილისურად, თბილისური

დიალექტი. როცა შვილები შორს გაუტყვევენ, მშობლებს მაშინლა ახსენდებათ ზრდილობა, ხეირიანი ქართული და შვილებისვე ენით „წყრებიან“ — სხვანაირად უკვე აღარ იციან, არ უსწავლიათ, აღარ მოდგამთ.

პიესაში მხოლოდ ერთადერთი პერსონაჟი მეტყველებს სწორი, გამართული ქართულით — ბაბუა-პაპების თაობის წარმომადგენელი — ნიგინიერი, განათლებული, ნიჭიერი კაცი, პროფესორი, რომელიც შვილებისა და შვილიშვილების თაობის მიქვალა, დატყვევებულია და მის გასათავისუფლებლად სოლიდურ გამოსასყიდს ითხოვენ. რაგინდ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, გამართული ქართულით საუბარი, სალიტერატურო ნორმების დაცვა, ენის მიმართ მონინებული, არამომხმარებლური დამოკიდებულება, მისი მარადიულ ეროვნულ ფასეულობად აღიარება წინა თაობებისა და გასული საუკუნის პრეროგატივა-უფლება-უპირატესობა ყოფილა, ხოლო მარტივი წინადადების ენიდან განდევნა-გაქრობა, მიმლეობისა და მიმლეობიანი ფორმების მოშლა, ქართულ ზმნის უნიკალურ შესაძლებლობათა დაკნინება და ლამის მხოლოდ აღწერილობით ვნებითამდე დაყვანა, სხვა ენიდან შემოტანილი-გადმოღებული წარმოებით, კალკებითა და ფრაზეოლოგიზმებით დამტამპვა და სხვა უამრავი რამ, XXI საუკუნის ქართულის საკუთრება.

დღეს ქართული ენის ორი ბურჯი — ზმნა და მარტივი წინადადება უგულვებლყოფ-გარიყული. ქართული ზმნა ქართული ენის ხერხემალია. მრავალ უცხოელს (გარდა რუსისა), ქართული ზმნის შესაძლებლობებითა და მოქნილობით გაოცებულს, შეუსწავლია ჩვენი ენა. ქართული მრავალხმიანობის დარად, მრავალპირიანობა ქმნის ფორმათა სიუხვესა და ნაირგვარობას. ხანდახან თვითონაც გვიჭირს დაჯერება, თუ რა სიმდიდრის პატრონი ვართ: ორპირიანი ზმნა სუბიექტ-ობიექტური პირთა ცვლილებით მხოლობითა და მრავლობით რიცხვში, თერთმეტ მწკრივში უდლებისას, გვაძლევს ას ორმოცდაათ ფორმას, სამპირიანი — ხუთასს. მოდი და ნუ გოცდები: ქართულ ზმნას რაში სჭირდება ერთი მოქმედების აღსანიშნავად ლამის ხუთსიტყვიანი კონსტრუქცია?! როგორც ჩვენი დიდი პოეტი ამბობს: „არა, სხვისი მისაბაძი რა სჭირს, თვარა კი...“

მკითხველმა არ იფიქროს, რომ სათქმელს გადავუხვიეთ. რაზეც ვსაუბრობთ, ამის თქმის საშუალებას საანალიზო ობიექტი გვაძლევს. პიესაში, სანთლით რომ ეძებო, მშობლებისა და შვილების საუბარში ვერ იპოვით მარტივ წინადადებას. ყოველ მეორე-მესამე სიტყვასთან „რო“ (რომ) კავშირი და უაზრო, უადგილო დაქვემდებარება. ვისაც ძველ ქართულ მწერლობასა და წმიდა წერილში ჩაუხედავს, კარგად იცის, რა ფუნქცია აკისრია მარტივ წინადადებას. უაზრმაზარი დიდებული ნაშრომი მიუძღვნა ამ საკითხს ჩვენმა დიდმა მეცნიერმა არნოლდ ჩიქობავამ. საკვირველი და საკითხავია: ეს ხომ არ არის უბრალო (და არა მარტივი) რამ — უცხო სიტყვების სესხება თუ კალკის გადმოტანა. საქმე ქართული ენის ავტოზღვრებას, მის სინტაქსს ეხება და, სათავის გაბზარვას რაც მოჰყვება, ყველაზე კარგად ვიცით.

თბილისური დიალექტი არ არის უბრალოდ დიალექტი. მართალია, ყველა ერთად ქმნის უნისონს, „ერთი მათგანიც რომ განყდეს, მაშინვე უნდა შეველა“, მაგრამ დედაქალაქის ენა — ქართლური კილო — მაინც ლიბო და ბალავერი, ბურჯი და ლოდი თავკიდურია თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენისა. სამწუხაროდ, დღეს ასე მონყვეტილი თავის ძირსა და ფესვებს. ალბათ, დედაქალა-

ქის მეტყველება ასე დაშორებული არასოდეს ყოფილა სალიტერატურო ქართულს, როგორც დღეს. რა ჰქვია ამას? — კალკებით, სკაბრეზული ლექსიკით, ჟარგონებით, ბარბარიზმებით, ვულგარიზმებით, და ათასგვარი „იზმით“ შეზავებული ქუჩური მეტყველება. და მეტყველებენ ქუჩურად ოჯახები — ცოლი და ქმარი, დედა და მამა, გოგო და ბიჭი, შვილები... დაბალი ფენა, ფსკერი კი არა, საზოგადოებაში ასე თუ ისე ცნობილი ადამიანები — მოურიდებლად, ერთმანეთის თანდასწრებით ანთხევენ მძინვარე აგრესიას, ბოლმას და ამაში ხარჯავენ ღვთისგან ბოძებულ საუნჯეს. ასე ავი დედინაცვალიც კი არ მოექცევა თავისთვის საძულველ გერს.

კერძოზე ვისაუბრეთ და „საზოგადო ქირი“ კი გამოგვივიდა. დაბოლოს, ცოტათი გადავუხვივე სათქმელს და ერთ ზოგადქართულ სატიკვარს შევეხები: რამდენიმე წლის წინათ ცნობილმა ტელენამყვანმა ტელეეკრანიდან დაგვმოდღრა — ილიას, აკაკის, ვაჟასა და იაკობის ენას (უფრო სიღრმეში არ წასულა) ყავლი გაუვიდა, მაყურებლისთვის გაუგებარია და ჩვენ ხალხის ენით, მისთვის გასაგებად უნდა „ვიმაუნყებლოთო“ და „მაუნყებლოთ“ კიდეც.

მართალია, ხალხია ენის პატრონი და მისი კანონმდებელი, მაგრამ ყველას კარგად გვახსოვს, თავის დროზე ხალხური მეტყველებისა და დიალექტიზმებისათვის გზის გახსნამ, როგორ დაამძიმა, დააკნინა და დაამახინჯა სალიტერატურო ენა და ილიამ ბოლდში მოიხადა ერისა და „მამების“ წინაშე („ადრე თუ მალე, დღესა თუ ხვალე, რაც ენას ვსცოდეთ, ის გასწორდება“...). მამა — გრიგოლ ორბელიანი — არ ცხრებოდა და უეიფინებდა „შვილებს“: „ვერ ისწავლა მესხმა წერა, ვერა, ვერა“... ასე კბილებით იცავდნენ დაპყრობილი ქვეყნის „დიდი კაცები“ „სპარსულ შექაქანებაგამოვლილ“ და „ძაღლის ენად“ წოდებულ ქართულს. დღეს თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას ვეძებთ და ლამის ვოლაპიუკი — ხელოვნური ენა — შევქმნათ. ღმერთმა ენა და ანბანი გვიბოძა, „დედა ენას“ ძეგლი დავუდგით, რომლის მსგავსი მსოფლიომ არ იცის, შესაფერისად კი არც ერთს ვექცევით და არც მეორეს. „არ გვეკადრება, არ გვეკადრება!“

სათქმელს კი ქართველებზე შემომწერალი ნიკო მარის სიტყვებით დავასრულებ: „ქართული ენით ყველაფერი გადმოიცემა, რაც დედამინაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არცერთ ენაზე, რუსეთისა ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა საკვებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, განსაკუთრებით ცოცხალი ქართული, მაღალმხატვრულად გამოხატავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვენლად გადმოსცემს არა მარტო ზოგადი განყენებული ცნებებით. ისე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენა“.



ნიკა თავაძე

„სჯობს აკეთო, ვიდრე ერთ ადგილზე იდგე“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— უკურნებელი სენი, სულიერი ან ფიზიკური, რომლის განკურნების რეცეპტიც არ არსებობს.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ისეთ საქართველოში, სადაც სიბრძნე და ნიჭიერება იზეიმება.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— შენი ოცნების აღსრულება.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— რენდელი მაკმერფი კენ კიზის რომანიდან.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ქართველი მეფეები, აგრეთვე: გიორგი ჭყონდიდელი, გიორგი მაზნიაშვილი, სოლომონ ლეონიძე.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ლეონარდო და ვინჩი, ვან გოგი. ვან დეიკი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მოცარტი, მაღერი,

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ინტელექტი, კულტურა, იუმორი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— იმავეს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მთავარი?

— რომელიმეს ვერ გამოვარჩევ...

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მოგზაურობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— არ მდომებია

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— უსამართლობას ვერ ვეგუები.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ისეთები მიყვარს, როგორებიც არიან.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ბევრი მაქვს, არ ვიცი, რომელი გამოვყო...

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— როცა გიყვარს და უყვარხარ, როცა ადამიანები კარგად და ჯანმრთელად არიან.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ღმერთმა დაგვიფაროს...

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— უფრო უკეთესი, ვიდრე ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— თითქმის ყველა მომწონს, თავისებურად ყველა ლამაზია...

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბუ

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ვაჟა-ფშაველა, უილიამ შექსპირი, ფიოდორ დოსტოევსკი, მიხეილ ჯავახიშვილი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, ვაჟა, ბოდლერი, პუშკინი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ანტიგონე, გრუშე.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ყველა ის ადამიანი, ვინც ჩვენ ქვეყანას თავისი საქმით არგო.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— საყვარელი ქალები მყავს, შეიძლება გმირებიც არიან.

— საყვარელი სახელები?

— ნებისმიერ სახელს ადამიანი ქმნის.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ხმაურს, უნიჭობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?

— შიტლერი, სტალიანი და ცოცხლებშიც არიან...

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— ჩვენი წინაპრების გამარჯვებები უთანასწორო ბრძოლებში ნამდვილ ალტაცებას იმსახურებს, თუმცა დიდ ალექსანდრეს შედეგით ვერავინ გაუტოლდება.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— საბჭოთა კავშირის დაშლა.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მინდა რომელიმე ინსტრუმენტით აზრის გადმოცემა შემეძლოს.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ჯანმრთელი

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ნორმალური

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ვერ გეტყვით...

— თქვენი დევიზი?

— სჯობს აკეთო, ვიდრე ერთ ადგილზე იდგე.

— თუ კი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— თუ ღმერთს შევხვდი, თვითონ გადაწყვეტს, რას მეტყვის.



ლალი ბრეგვაძე-კახიანი — მწერალი, მთარგმნელი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად, სხვადასხვა გამომცემლობაში რედაქტორის თანამდებობაზე, სამხედრო ჟურნალ „მეომარში“ და საბავშვო ჟურნალში „მინდა ყველაფერი ვიცოდე“ — სტილისტად. გამოცემული აქვს მოთხრობათა კრებულები: „მერცხლები დაბრუნდნენ“, „ბიჭები“, „მინორული აკორდი“, „თეთრი ტრამალი“, „სართული, რომელიც არ არსებობს“ და სხვა. ესპანურიდან თარგმნა ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობები და მიგელ დელიბესის რომანი „ხუთი საათი მარიოსთან“. მწერლის მოთხრობების კრებული „მანეკენის ღიმილი“ ცალკე წიგნად გამოვიდა რუსულად. ცალკეული მოთხრობები კი თარგმნილია უკრაინულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, სლოვაკურ, ინგლისურ, ფინურ ენებზე. დააარსა და გამოსცემდა მთარგმნელობით გაზეთს „ირაო“. მისი მაღალმხატვრული, ღრმად ფსიქოლოგიური პროზის მთავარი მახასიათებელია ზოგადად ადამიანისადმი სიყვარული და გამირთა ბედისადმი თანადგომა.

ლალი ბრეგვაძე-კახიანი

შაშვის ჭახჭახი

სასახლე ისე აღემართათ მაღალ ფიორდზე, საითაც გაიხედავდი, ყოველი მხრიდან წყალი მოსდგომოდა. ლოლა ფანჯრიდან გასცქეროდა მწუხრის ჟამის ლიბროდებულ ზღვას. აშკარად გაფუჭებას აპირებდა ამინდი, გაავდრდებოდა უეჭველად. ნესტიანი ჰაერი მოიფრქვეოდა ღია სივრციდან, მსუბუქ ჭავლად ეფინებოდა სახეზე და უმძაფრებდა ახლახან მიღებულ შთაბეჭდილებებს, რისი დამსახურებაც იყო თუნდაც ის, რომ ტალღების ხმის მიმართაც მგრძნობიარობა მომატებოდა. განა უსმენდა, მთელი არსებით განიცდიდა, წყნარი შრიალი როგორ გადადიოდა ბრაზიან, მოძრავ დგაფუნში. თითქოს პირველად მოსწვდომოდა ეს ხმები, წყლის მაგიის მატარებელი, თითქოს პირველად ეზიარა სტიქიის სილაღე-სისასტიკეს.

სწრაფად, თითქმის პანიკურად უმუშავებდა გონება. აზრები ისეთი სისწრაფით ირეოდა და იხლართებოდა ერთმანეთში, ეგონა, ყოველი მათგანი მისგან დამოუკიდებლად ჩნდებოდა, მისი ნების გარეშე. ის კი უნდა გასდევნებოდა, უნდა მოესწრო მათი ბოლომდე ნაკითხვა. გამაბეზრებლად ეჩვენა დაუსრულებელი კითხვები, შინაგანი ხმა ერთნაირად მოკლედ რომ ამთავრებდა — რატომ? რატომ?.. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მიიღო ზომები, მოუხმო აუტოტრენინგს, ნაცად და საიმედო გამოსავალს, რათა მოემორებინა ჭარბი მუხტი, მდგრადობა აღედგინა და გათავისუფლებულიყო ზედმეტი ტვინის ჭყლეტისგან. ახლა ისიც ეყოფოდა, არასტანდარტულ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა, ასეთ გაიქცეოდა. სიუცხოეს ისეთი დიფუზური გავიხდა აღქმები, წარმოდგენა არ ჰქონდა, რას უმზადებდა უჩვეულო საღამო, ზღვისპირა ქალაქის სიმყუდროვეში ბუღბუღის სტვენასავით რომ იყო — სასიამოვნო, მაგრამ გაუგებარი, და რომელსაც ვერადა ვერ უთავსებდა წარსულს.

კაცია, რომელმაც აქ მოიპატიჟა, ამ გასაოგნებლად ფეშენებელურ სასახლეში, ბავშვობისდროინდელ მოგონებებში ერთ უსახურ ვინმედ ჩარჩენილიყო — მასზე რამდენიმე წლით უფროს ბიჭად, მძიმე-მძიმე სიარული რომ იცოდა, უდიერად ჩაცმულს, ფეხსაცმლის ქუსლები შიგნითა მხარეს ეღრმავებოდა. თვალებს ერთთავად დაბლა ხრიდა, ვერ გაიგებდი, სიმორცხვის გამო, თუ სულაც იმიტომ, არ ამოგეტყნო მისი ფიქრები. მაშინ ეს ლოლას სრულებით არ აინტერესებდა. მის დასთან — რუთისთან ამხანაგობდა, თანაკლასელები იყვნენ. ზოგჯერ ესტუმრებოდა ხოლმე მათ

სახლს ძველ უბანში, აკაციების ხეივნის უკან. ლითონის მოაჯირიან კიბეს აივლიდა, მორიდებით დააკაკუნებდა ჭუჭყისფერ კარზე, თან საგანგებოდ ასცქეროდა საშუალო სიმაღლის ადამიანის ხელის აწვდენაზე მარჯვენა ჩარჩოზე მიმაგრებულ პანია მეზუზას, მისთვის უცნაურ და გაუგებარ სინმინდეს, საგანგებოდ რომ გამოარჩევდა მსგავს სახლებს აბორიგენი მოსახლეობის საცხოვრებლებისგან.

ბევრი იფიქრა ლოლამ, ღირდა თუ არა წამოსვლა. მაგრამ მიპატიჟება განმეორებითი იყო და ამან თავისი როლი ითამაშა. პირველად სერიოზული მიზეზი ჰქონდა თავის შესაკავებლად, რადგან საავადმყოფოში მარიტასთვის უნდა მიეხედა, — სულელი გოგოსთვის, ემოციური აშლილობისას ორივე მაჯაზე ვენები რომ გადაიხსნა და ბლომად სისხლი დაკარგა. ლოლა დიეტოლოგად მსახურობდა მანანწალა ბავშვთა თავმჯდომარეში. ღვთის ანაბარა დარჩენილ „ბედურებს“ მფარველობდა, მათი ტკივილებით ცხოვრობდა.

ვიდრე მიიღო გადაწყვეტილება და აქეთ გამოსწია, საკუთარ თავთან ბრძოლა მოუხდა. აშკარად იგრძნო, აუხსნელი ძალა მართავდა — ჯიუტი და მაცდური, რომლისთვისაც წინააღმდეგობის განწევა ვეღარ მოეხერხებინა. ნეტა რისთვის იხმობდნენ ზღვისპირს აღმართულ მკვიდრი გალავნის კედლებშუა, იმ უცხო სამყაროში, საითკენაც, მიუხედავად მთელი ქალაქის ცხოველი ყურადღებისა, მას არასდროს მიუწევდა გული. ამდენი ფიქრი რად უნდა, — უთხრა მეუღლემ, — ადამიანი გეძახის, მამასადამე, საამისო მიზეზი აქვს.

პატარა მოვარაყებულები ბარათით ატყობინებდა ის კაცი, ვისი სახელიც, ბოლო ხანს, ყველას პირზე ეკერა, ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ მესტუმრები, მცირეოდენ დროს მაჩუქებო. ფამილარულ გამოთქმებს ერთობ აღმატებული სიტყვები ენაცვლებოდა — დიდი პატივი... დიდი პატივი... — ზუსტად ისე, როგორც იმ პირველ წერილში.

აქ ამ კაცს თითქმის ფანტომივით უცქერდნენ. გაცუებაშპარავით ამბობდნენ, მაინც დაბრუნდა, რადგან აქაურობას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მშობლიურობის სურნელი ასდისო. ყველას ახსოვდა ის დრო, როდესაც გაიხსნა რკინის ფარდა, ებრაელობამ ქვეყნიდან წასვლა დაიწყო, კვალში ჩაუდგა მთელი მსოფლიო-



დან დაძრულ თვისტომს ალექსანდრე მინაზე ერთად თავმო-საყრელად. ხალხს არაფერი გამოეპარება, იმთავითვე და-ირხა ხმა, ამათი ოჯახი წინაპართა სურვილისამებრ არ მოქცეულა, ამერიკას მიაშურა, საკუთარმა კეთილდღეო-ბისაკენ ლტოლვამ სძლიაო. მაშინ ამას აშკარა გაკილვით ამბობდნენ. მაგრამ გავიდა ხანი და ქვეყანაში ისეთმა სი-დუხჭირემ დაისადგურა, ისეთმა უპერსპექტივობამ, თითქ-მის აღარავის უკვირდა სამშობლოს დატოვება. საქმე იქამ-დე მივიდა, დედები უცხოეთში სიამოვნებით აშვილებდნენ ბავშვებს. ხალხმა დასავლეთისკენ მასობრივად დაიწყო ცქერა. იმან იკითხოს, ვისაც წასასვლელი არა აქვს, — გა-იგონებდი ყოველ ფეხის ნაბიჯზე, — მისთვის არაფერი იც-ვლება, რაღა ეს მოჩვენებითი დემოკრატია, რაღა საბჭოთა კავშირიო. ანუ, — გინდ მგელს შევეუჭამივარ, გინდ მგლის-ფერ ძაღლსო. ერთი სიტყვით, გულისხმობდნენ, ებრაე-ლებს გაუმართლდათ, დროზე გაასწრესო. გასაკვირი რა იყო, უფალმა თავის ერზე იზრუნა, როგორც შეჰპირდა. სამყაროში ყველა ხომ თავისი ბედის ბილიკით დადის.

ლოლას მასპინძელზე ახლა მხოლოდ კარგს ამბობდნენ. უზღვევი სიმდიდრის პატრონი გამხდარა, მსოფლიოს მრავ-ალ ქვეყანაში მისი სასახლეები გამორჩეულია, არასდროს არავინ იცის, როდის სად იმყოფებაო. საკუთარ შეუღლმფ-რენს ნებისმიერ დროს შეეძლო შიგ ეზოში მოწყობილ აეროდრომზე დაესვა იგი, ან პირდაპირ სასახლის ბრტყელ სახურავზე. მოკლედ, იმ ადამიანთა რიცხვში თვლიდნენ, ვისთვისაც დედამინაზე საზღვრები არ არსებობს. ლეგენ-დარულ სუპერმენად გამოეცხადებინათ. შალვას კი არა, შაკოს ეძახდნენ იმის ხაზგასასმელად, ჩვენებურიო, რაც გინდა იყოსო, და ამაში იგულისხმებოდა შეფარული სურ-ვილი მისი ალტრუისტობისა, მოწყურებულ იმედს რომ უჩენდა სილატაკის ზღვარზე მყოფი ქვეყნის პატარა, თო-ლიების ჭყვიტინით აკლებულ ქალაქს, რომლის გარკვეუ-ლი ნაწილის მიტაცებაც უკვე მოესწრო ზღვას და მიუხედა-ვად სანაპირო დამბების გასამაგრებელ სამუშაოთა უსუ-სური მცდელობებისა, კვლავ ახალ-ახალ მიწებს ემუქრე-ბოდა, და სადაც, გავრცელებული ხმების თანახმად, შაკო სიამოვნებით ატარებდა თავისი ძვირფასი და დეფიციტუ-რი დროის მცირე-მცირე ფრაგმენტებს. სიმდიდრე განსა-კუთრებულ იმიჯს უქმნის ადამიანს, აქცევს საყოველთა-ოდ პატივისცემს პერსონად. თუმც ახსოვდათ, გამთენიის-ხანს რომ გაილაღნენ, დაზაფრულელებით, მეზობლებსაც არ დამშვიდობებიათ. ბარგი წინასწარ გაგ ზავნეს, თავად კი უკაცრიელ რკინიგზის სადგურზე დაელოდნენ მატარე-ბელს. მაშინ ვილაცას მოესმინა, უმცროსი ბიჭი როგორ იმუქრებოდა, მაინც გამოეპარებით, უკან დავბრუნდე-ბიო. დედა ჩურჩულით ტუქსავდა თურმე, ხმა ჩაიწყვიტე, შაკო, შენ არაფერს გეკითხებიანო. ასე უჩუმრად დატოვეს საქართველო, რომელიც მაშინ თავად იყო მძევალი დიდი ნითელი იმპერიისა, და რომლის მინაზეც ებრაელობა მშვი-დი თანაცხოვრების ოცდაექვს საუკუნეს ითვლიდა.

ლოლას რამდენჯერ გახსენებია, ზამთრის თოვლიან დღეს რუთიმ წმიდათაწმიდა საიდუმლო რომ გაანდო: ჩვენ აქედან წასვლას ვაპირებთ. ყველა ებრაელმა იზრალში უნდა მოვიყაროთ თავი, რჯულში ასე გვინერია. მამა ჩემს ძმებს ამიტომაც ასწავლის ივრითოს, კაცებისთვის ეს აუცი-ლებელია. ოღონდ არავის უთხრა, არც შენიანებს, მარტო შენ იცოდეთო.

მერე და მერე ეგონა, მწარედ ინანა რუთიმ, ენა რომ ვერ დაიმაგრა. ოჯახი ამ ამბავს ვინ იცის, როგორ დაფარულად ინახავდა. რა დაავინყებს მის გაფითრებულ ტუჩებს, სპეცი-ფიკურ, რაღაც ცხიმის მსუყე, თითქმის გულისამრევ სუნს, რომლითაც გაჟღენთილიყო მათი სახლი. და კიდევ... საძი-ნებელში, მაგარ ტახტზე, აკურატულად დაკეცილი, ბავშვის ნაირ-ნაირი ტანსაცმელი, პერიოდულად, მოსკოვიდან რომ ჩამოჰქონდა რუთის დედას და, სპეკულანტურ ფასებში, ჩუ-მად ყიდდა, რადგან ამისთვის სასჯელი ემუქრებოდა. უფრო მოგვიანებით კი, მათ სახლთან გამვლელები ერთმანეთს რომ ეკითხებოდნენ, ამათი ხომ არაფერი გაგიგიათო.

მათ გარდა, ბევრი წავიდა მაშინ. მესაათეები, ქუდის მკერავები, დახლიდარები. ფართლელის მალაზიებში ხომ სულ ეგენი მუშაობდნენ. კარგი ტიპები იყვნენ. როგორი შე-ქება იცოდნენ ნანარმის! გინდოდა თუ არა, მაინც გაყიდი-ნებდნენ. გეტყოდნენ, დაგენაცვლე, ნახე რა სარჩული აქვს ამ პიჯაკს. საქონელი სარჩულით უნდა შეაფასო, გარედან რას უცქერი, შიგნით ჩახედეთო. რა დეფიციტური ნამალი გინდოდა, მათ არ ჰქონოდათ. გაუჩინარს გაგიჩენდნენ. გა-ჭირვების ტალკეცები იყვნენ..

ახლა ამ მდიდრულ სასახლეში, ლამის მიწურული ზაფხუ-ლის საღამოსპირზე, ლოლა წარსულს უნდა შეხვედროდა.

იდგა ღია ფანჯარასთან, გასცქეროდა ზღვას იმის მო-ლოდინში, რომ ზურგსუკან წუთი-წუთზე გახმინდებოდა ნაბიჯები. შემოვიდოდა ის უჩინმაჩინად ქცეული კაცი. არ იცოდა, როგორი იქნებოდა მათი შეხვედრა. ჯერ ისევ გასაი-დუმლოებულევით ეჩვენებოდა ყველაფერი. ეს განცდა არ ტოვებდა იქიდან მოყოლებული, ალყაფის კარსმომდგარმა, ხელი რომ ასწია ზარის დასარეკად, თან მალა-მალა ააცურა მზერა და იხილა მუქი ღრუბლის ფთილამი მგორავი სავსე მთვარე. იქაურობას მსუბუქი ჟრუანტელივით რომ დაუარა ზარის წკრიალმა, მაშინაც ზღვის სუნთქვაზე ჰქონ-და მიბმული გონება, ნაპირს დაფენილ ტალღათა მოქცევის რიგთა მონაცვლეობაზე. ზღვა მოგუდულად სუნთქავდა.

ეზოს მხრიდან ნაბიჯები მოიწვედა სულ ახლო და ახ-ლო. გაუსაძლის მოლოდინად გაიჭიმა წამები, უმცირესი დრო, ვიდრე პორტიე კარს გააღებდა. იგი ვეება ლიობში ჩადგა და ქალს მოეჩვენა, თითქოს ნეონის მკრთალი შუქით გადანათებული ინტერიერის სიღრმიდან მოცურდა მისი კეთილგანწყობილი ხმა:

— მობრძანდით, ქალბატონო ლოლა.

შეაკრთო თავისი სახელის გაგონებამ. ამას არც განც-ვიფრება ერქვა, არც სიამოვნება, ვერც სხვა რამ ზუსტ და-კონკრეტებას მიუსადაგებდი. ამიტომ ამორფულ განცდა-თა დასაწყისად მიიღო. რასაც ნამდვილად მიხვდა, იყო ის, რომ აქ სასურველ სტუმრად მიეჩნიათ. პორტიეს ინტერე-სით სავსე თვალებს სწრაფად მოაცილა მზერა. თავი დახა-რა და არქარებით შევიდა ეზოში.

პორტიემ სწრაფად ჩარაზა კარი, მერე ქედი წადრიკა და ნახევარი ნაბიჯით წინმსწრებად გაუძღვა სტუმარს. ზორბა კაცი იყო, თეთრ სამოსმორგებული განიერი მხრები ჰქონდა, გაპარსული კეფა ულაპლაპებდა. ისე ეჭირა თავი, იფიქრებდი, მთელი სიცოცხლე სტუმრის მიღება-გაცილე-ბას ემსახურებო. მიჰყვებოდნენ ლარივით სწორ ხეივანში გამავალ ფილაქანს, უხმოდ, უჩქამოდ, თითქოს აკრძალუ-ლი ზონა უნდა გაევილოთ. ეს მდუმარება ლოლას მრავლის-

მეტყველი ეჩვენებოდა. იგი თანდათან იმსჭვალებოდა საკუთარი ღირსებისა და თავდაჯერების უიშვიათესი გრძნობით. აი, მისი ღიალიმონისფერი, მკერდქვეშ მიჭატილი გრძელი კაბის ბოლო მსუბუქი შარიშურით იშლება ტალღებად. გვერდებზე დამაგრებული სარტყლის თასმები პატარა ბაფთათ აქვს უკან შეკრული. სამოსის შერჩეული მოდეული არამარტო ოდნავ ფუმფულა თეძოებს უმაღლავს, არამედ ხაზს უსვამს, რომ მიმზიდველობა მხოლოდ ახალგაზრდობის უპირატესობა როდია. თეთრი ლაქის რედიკული ორივე ხელით მზის წნულთან მიუკრავს. მსუბუქად მიაქვს სხეული. ხარბად ისუნთქავს ფილაქანს გადაევნებულ ახალნათიბი ბალახის სურნელს. ირგვლივ შექმნილი მიკროკლიმატი და სისუფთავე უზადო წესრიგისა და სიმშვიდის ყველა პირობას ქმნის.

მერე შენობის საპარადო შესასვლელი, სადაც თვალმცინარი შუახნის ქალი იცდიდა. პორტიე უკან გაბრუნდა, ქალი კი გეიშასავით მოიდრიკა თავაზიანობის ნიშნად. შეუძღვა ვეებერთელა ჰოლოში, საიდანაც მძიმედ შეალო წითელი მაკაგონის ინკრუსტირებული კარი და მობრძანდითო, მიიპატიჟა.

ლოლა აცვავებული კაქტუსების გრძელ დარბაზში აღმოჩნდა. საოცრება იყო, ლამის ყველა, თითქმის სამიათასზე მეტი ჯიშისათვის მოეყარათ თავი. მონუსხა ფერთა სიმრავლემ და უნიკალურმა ფორმებმა. ნაბიჯი ნაბიჯს წაანყო, აედევნა ორივე მხარეს საგანგებო ქანდარებზე ჩამოლაგებულ ქოთნებში დასახლებულ სილამაზეს. როცა ქალისკენ მოიხედა, ის უკვე გასულიყო დარბაზიდან. ლოლამ იმის დანახვალა მოასწრო, ინკრუსტირებული კარი ნელა რომ მოიხურა მის ზურგსუკან, და მიხვდა, მხოლოდ წინ უნდა ევლო, სადაც მრავალსახა მცენარით გადაეხსოთ თავრობები, დეკორატიული მაგიდები, ღია კარადები, მსხვილად ნაქსოვ მაკრამეში მჯდარი კალათები. რა სინარმტაცე სუფევდა! აქამდე, თურმე, წარმოდგენაც არ ჰქონია კაქტუსებზე. მაინცდამაინც არ იზიდავდა ეს ეკლიანი ყვავილი. რამდენჯერ უფიქრია, ჩემ გვერდით კაქტუსი ვერ ცოცხლობსო. ერთადერთხელ ასეირა შემოკბილული პრიალა ფოთლებიანი ეპიფილუმში, სხვაგვარად დეკემბერას რომ ეძახიან. ზამთრისპირს წვეროკინებზე წითელ მოგრძო კვირტებს გამოიბამდა, საიდანაც ზარებივით დაეკიდებოდა ცეცხლისფერი ორსართულიანი ყვავილები, ჩინურ ფარანს რომ მოგაგონებდა და კარგა ხანს სისხრულად ბრდღვიალებდა სახლში. აქ კი წამდვილი სასწაული ხდებოდა! გაოცდებოდი, რა ხელს ეხარებინა ამდენი, რა რუდუნება, რა სიყვარული ჩაექსოვა.

უზურგო სკამზე ჩამოჯდა, ალაგ-ალაგ საგანგებოდ რომ ჩაედგათ. გაიფიქრა, ნეტა „ბელურებიც“ უცქერდნენ ამ სილამაზის ზეიმს, მათთვის რა მაღლი იქნებოდაო. განსაკუთრებით თოთხმეტი წლის ობოლი გვანცა ჰყავდა მხედველობაში, აშკარად გამოხატული უცნაურობების გამო, დროდადრო სულით დაავადებულთა სარეაბილიტაციო ცენტრში რომ აგზავნიდნენ ხოლმე. არაფერს აშაებდა, აკვიატებული ჰქონდა, ზამბახები მელაპარაკებთან, რადგან ისინი ჩემთვის გაჩნდნენო. თავშესაფარში მოყვანამდე, დღეებს ქუჩა-ქუჩა წანწალ-მათხოვრობაში ატარებდა. ბუტიკების ხშირი სტუმარი, გამოჯეკილიყო წვრილმან ქურდობაში და უიღბლო ტრფობის სიმწარეც ადრიანად ეწვია. ახლა მთელი სერიოზულობით ამტკი-

ცებს, სადაც გინდა ვიყო, გარს ზამბახები მახვევია. ვსაუბრობთ ათას რამეზე, ხშირად მირზას დავცინით, რადგან ვერაფრით მოიფიქრა, შევეყვარებინე. ნეტა თვალები რისთვისა აქვს, თუ ვერ დამინახავსო. ლოლა დეიდა, სიმართლე მითხარით, შეიძლება ჩემნაირი გოგო ვერ დაინახო?

ერთხელ ბოლომდე გაუხსნა გული, რაიბულაზეც უამბო, სანაპიროს მანანწალაზე, თავშესაფრის გაგონებაც რომ არ სურს თურმე. ერთად ვათენებდით ღამეებს მენავეების დამბებთან მიტოვებულ ფიცრულში, სანამ ზღვა იმ სანაპიროს წაიღებდაო. მისი თქმით, რაიბულა მუდამ ოფლის სუნად ყარს, რასაც ზღვაც ვერ შველის. ასეა, ლოლა დეიდა, თანგამუდმებით ახველებსო.

იმ დღეს ბოლო მეჭეჭი მოუწვეს გვანცას. ცალი მხარი მეჭეჭებით ჰქონდა დაფარული. ხელი მტკივან ადგილზე ედო, თავი დაეხარა და ისე უამბობდა: ზოგჯერ აქ მაკითხავს, ეზოში დარაჯი არ უშვებს, უკანა მხრიდან, სამრეცხაოს კედელზე გადმოძვრება ხოლმე, შემოსკუპდება მზით გამათბობელ ბაკზე და მითვალთვალებს სასადილო კორპუსში მიმავალს. ილიმბა თავისთვის, აჩენს მეჩხერ კბილებს. მოკლედ, დამენახვება, მერე ხელს დამიქნევს და მიდის. არ მსურს მასთან ლაპარაკი, წინასწარ ვიცი, რასაც ფიქრობს. მეტყვის, რა ლამაზი ხარო. ცოლად შეგიერთავდი, მაგრამ ისევ ცალ-ცალი ფეხსაცმელი მაცვია, ვერ ველირსე ხეირიან ფეხსაცმელს, ასეთი კი რანაირად მოგეწონებო.

მართალს ამბობს, ის რა ჩემი შესაფერია, ამიტომაც ამოვიგდე გულიდან, აღარ მინდა მასთან შეხვედრა. თანაც ახლა ბოშა გოგოებს დაუმეგობრდა. ჩემ მაგივრად იმ შუშისმძივებიანთან სძინავს, რომელმაც არ იცის, რომ რაიბულა ერთხელ უკვე პინგვინი იყო, ოკეანეში ცურავდა. ზამთრებს ხმელეთზე გასულ პინგვინთა ჯოგში ატარებდა და ისყვარულის ცეკვაში იღებდა მონაწილეობას. იქ იხოვნა თავისი მენწყვილე და შვილიც გაუჩნდა, თუმც მერე ისევ დაკარგეს ერთმანეთი. ახლა რაიბულა ცალ-ცალი ფეხსაცმლის ამარა დარჩა და ოცნებობს, კვლავ როდის გადაიქცევა პინგვინად.

— აბა, ასეთს შეიძლება ცოლად გავყვე? მითხარით, ლოლა დეიდა, შეიძლება? მე ხომ სხვანაირი ვარ, თმაც განსაკუთრებული მაქვს, აბრეშუმით რბილი, აჰა, ნახეთ, თუ არა! მიიღეთ სახეზე, ნუ გერიდებათ, მიიღეთ და ინატრეთ, რაც გინდათ. ჩემს თმას სურვილების შესრულება შეუძლია. — გვანცამ მაშინ მხარზე ჩამოშლილი ჩალისფერი კულოლი ორი თითით აილო ფრთხილად, ისე შესთავაზა, ლოლამ უარი ვერ შეჰკადრა, მორჩილად მიუშვირა ლოყა.

კარგი იქნებოდა, ახლა გვანცასაც მასთან ერთად დაეთვალეირებინა კაქტუსთა დარბაზი. კითხვა დაეხადა, რატომ მაინცდამაინც ზამბახი აერჩია დარღვეულ ფსიქიკას? მაინცდამაინც ზამბახი... თითქოს ახლა პირველად შეიტყო ამის შესახებ.

აქვე სხვა კითხვაც გაჩნდა — ნუთუ კაქტუსების დასათვალეირებლად მოინვიეს? ეგზოტიკით ტკობა ვიზიტის მნიშვნელოვან ნაწილად ნუთუ გამოდგებოდა. როდის-ღაც ნაეკითხა, კაქტუსი უარყოფითი ენერჯისგან რომ ათავისუფლებს ადამიანს. აქაური წესის მიხედვით, იქნებ დარბაზის გავლა გარკვეულ მიზანს ემსახურება — თან შთაბეჭდილება, თან ენერგეტიკული ბალანსი, და რაც მთავარია, იცის, კაქტუსებსაც სიცოცხლის უნარი ემატებათ, რაც მეტჯერ შეხედავენ.

ფ ა ნ ტ ო მ ი ... — გაიფიქრა ლოლამ, — მან თავის სამყაროში შემომიტიყუა... — მობილური ტელეფონი ჯერ კიდევ ალაყაფის კარიბჭესთან გათიშა და ჩართვა აღარც უფიქრია. ამ დროს, ჩვეულებისამებრ, მორაკეკავდა რომელიმე "ბელურა" და თავის განწყობებზე გაუბამდა საუბარს. ახლა ყველაზე ნაკლებად ეს უნდოდა. მეუღლე კი, უკვე თადარიგში გასული მაღალჩინოსანი სამხედრო, უეჭველად ინგლისურის მეცადინეობაში იყო გართული. დღეს ინგლისურის არცოდნა სირცხვილიაო, ირწმუნებოდა.

— მშვიდად იყავი, თავად დაგირეკავ, — უთხრა მას ლოლამ სახლიდან გამოსვლისას.

„შემომიტიყუა ფანტომმა“, — გაიფიქრა ისევ. მოეჩვენა, ღამე რალაციის საზღაური იყო. არჩია, გულუბრყვილოდ მინდობოდა ბედს, მოვლენათა არაპროგნოზირებადი განვითარების მოლოდინს, რალაციით პირველი კოცნის თავბრუდამხვევ განცდას რომ ჰგავდა, ისეთს, როცა კარგად ვერ გაგიგია რა ხდება შენს თავს.

„ლოლა დეიდა, როგორ მინდა, ყველას ვუყვარდე.“

კაქტუსების სიმრავლე დამთრგუნველი აღმოჩნდა. აჩქარება ამჯობინა, არჩია, სწრაფად გაეგლო ყვავილოვანი დერეფანი, თორემ ყველას დათვალიერებას არ ეყოფოდა მისი დრო. ბოლოში გასულს კართან შემოგებულმა ქაბუკმა, რომელსაც ტანზე კოხტად ადგა მოლურჯო უნიფორმა, უსიტყვოდ უჩვენა პატარა ტრანსპარანტი, ერთადერთი სიტყვით: გილოცავთ! ვიდრე გაიაზრებდა, თუ რისი მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ეს ხმაურიანი სიტყვა, კარს მიღმა ისეთი დენდროპარკი შეეგება, რომლის ენითაღუნერელმა სილამაზემ ფანტომზე ფიქრიც გადააინყა. ათასგვარი დეკორატიული ჯუჯა ბუჩქი თუ ხე, ყვავილთა ისეთი იშვიათი ჯიშები, არასდროს რომ ეხილა და რომელთა მთავარ დანიშნულებად ადამიანის აღტაცება-გაოცება ჩაითვლებოდა. ყვავილთა ფერები რალაციას მნიშვნელოვანს ამცნობდნენ.

ფანჯარასთან მდგომი კიდევ ერთხელ იხსენებდა ნანახს და ტკბობას იხანგრძლივებდა. მაგრამ, ამასობაში, ერთბაშად აიჭრა ამინდი. აზვირთდა, აიყალყა ზღვა. ამას არჩევდა ჩამობნელებულ თვალსანიერზე ექოდქვეული ზვირთთა ხმებით, სადღაც დაბლა, უკვე ძლიერი მსხვერვის ზალკებით რომ ასკდებოდა კლდოვან კედელს. აშკარად მყარი ფუჭი შეერჩიათ სასახლისთვის, სადაც ლოლამ უძღურად იგრძნო თავი, სულელურ მდგომარეობაში, თითქმის იმ „ბელურებით“, აღმა-დაღმა რომ დაეხეტებიან გზა-კვალაბნეულნი. ინანა, რა ჯანდაბამ მომიყვანაო. უკვე უწყინარ თამაშსაც აღარ ჰგავდა ამდენხანს მასპინძლის გარეშე ყოფნა სტიქიის ნამდვილი შემოტევისას. ცამ ღამის ჩამოქცევა რომ დაიწყო და წვიმა უკვე სახეზე ასხამდა, ფანჯარა მიხურა. მერე შემობრუნდა და რადგან არ იცოდა რა გაეკეთებინა, მოპირდაპირე კედლისკენ გაემართა. დგამდა ნერვულ ნაბიჯებს. გამორთული ტელეფონი ამოიღო პორთფელიდან. არც იცოდა, დაერეკა თუ არა მეუღლისთვის. ან რა უნდა ეთქვა, გაუგებრობაში მოვყევით? ისიც აეფორიაქებინა? ეს რა გამოსავალი იქნებოდა. მაშინვე გადაიფიქრა, ისევ შეინახა ტელეფონი. ასე ნერვული ნაბიჯებით იარა ბოლომდე. კედელს რომ მიუახლოვდა, გაოცებისგან გაშემდა. არ დაუჯერა თვალს, რადგან იქიდან თავისი ბავშვობის ფოტო შემოჰდომოდა. წლების მიღმეტიდან გამოღწეული სიანცით ელამუნებოდა საგონე-

ბელში ჩავარდნილს. იმ საიდუმლოს განდობას ჰპირდებოდა, ლოლას არაფერში რომ არ ესაჭიროებოდა. ბავშვობის იგივე ღიმილი თავადაც ჰქონდა შენახული ძველ ალბომში. სურათი რუთისთან ერთად გადაიღო თავის დროზე. ეს კი, საგანგებოდ, ცალკე ამოებეჭდათ, გაედიდებინათ და შუა კედელზე დაეკიდათ.

ნამში მიხვდა თამაშის მთელ არსს, შაკოს რომ ჩაეფიქრებინა. გაეცინა. თან მოეჩვენა, სულგანაბულ სასახლეს ესმა ეს სიცილი. თავი აქეთ-იქით გააქნია, „ბელურებს“ საქციელს როცა უწუნებს ხოლმე, ისე. ნეტა ასეთ ამინდში როგორ არიანო. შაკოზე მეტად ისინი აინტერესებდა ახლა. აწრიალდა. მდიდრული ოთახის თვალიერება დაიწყო. მყისიერად გააცნობიერა, ირგვლივ ყველაფერი იასამნისფერი იყო. გაახსენდა, ერთხელ, რუთისთან ყვავილებზე საუბარი. მინდვრის გვირილა მიყვარსო, ამბობდა რუთი. ლოლას გულში გაუკვირდა, გვირილა რა საყვარელიაო, მაგრამ არ აწყენინა, ისლა თქვა, მე იასამანი მირჩვენია, იასამნის სურნელს ვერაფერს შევადარებო. შაკო იქვე იდგა, სანერ მაგიდასთან, გამოხუნებულ სასკოლო გლობუსს ჩაჰკირკიტებდა, თან ნელა ატრიალებდა ორი თითით. არ ჩარეულა მათ საუბარში, თითქოს არც არაფერი გაუგონია.

ოჰ, არა, მეტი ლოდინი სიგიჟეს ჰგავდა, მართლა ნამეტანი ეჩვენა. კარი მოსინჯა ლოლამ, შეეცადა გაელო, მაგრამ დაკეტილი აღმოჩნდა. ისევ ფანჯარას მიადგა იმის გასაგებად, იქნებ გადაეკარებინა წვიმას. ხელებით მოიჩრდილა მზერა და ისე გაიხედა... ამინდს სასიკეთო არაფერი ეტყობოდა. ხშირი წვიმა ნისლივით იდგა ბინდში. იმ თვეზივით იგრძნო თავი, აკვარიუმში რომ ჩაამწყვდიეს. მარწმუნებვით შეიგრძნო იდუმალეების სქელი გარსი და საშინლად მობეზრდა ყველაფერი. გალიზიანებულს სტუმრის ეტიკეტის დატრეკვაც აღარ ანალვლებდა, გადანწყვიტა, ბრახუნი აეტება კარზე. მაგრამ ადგილიდან დაძვრა ვერ მოასწრო, რომ კარი თავისით გაიღო და საშუალო სიმაღლის ქალარა კაცი შემოვიდა. ეს შაკო იყო. მისმა დანახვამ ლოლა ადგილს მიაჯაჭვა, თუმც არანაირი ემოცია არ დასტყობია სახეზე.

შაკო აჩქარებით მოემართებოდა მისკენ. თან შინაურულად ამბობდა:

— მგონი, საბოლოოდ გადაგენურა იმედი... მგონი... — სიარულის მანერა ძველებური შერჩენოდა, — შიგნით-შიგნით დგამდა ქუსლებს, ოღონდ ფეხსაცმელი აღარ ჰქონდა ჩაჩორთილი. — ძვირფასო, მაპატიე, რომ გალოდინე, მაპატიე, — მიმართა ახლობლურად, თითქოს ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, თითქოს არ არსებულებოდა წლები, რომლის მანძილზეც თვალი არ მოუკრავთ ერთმანეთისთვის, — დავიგვიანე, მაგრამ მქონდა მიზეზი. — მერე ისე მონატრებულებით ჩაიკრა გულში, ისეთი მგზნებარე და თბილი ნდომით, რომ მისი მკლავებიდან მალევე განთავისუფლებული ლოლა ბავშვივით დაიბნა. თავისი თეთრი ლაქის რედელი უფრო მაგრად მიიკრა მზის წნულთან და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

— თვალს არ ვუჯერებ, რომ გხედავ, — უთხრა შაკომ, — რამდენი დრო გავიდა... მთელი სიცოცხლე. შენ კი დიდად არ შეცვლილხარ.

— რას ამბობ... რას ამბობ... — კიდევ უფრო დაიბნა ლოლა.

— სრულ სიმართლეს, — შეეცადა, ხმადანევიტ, ზედმეტად ხმადანევიტ., ხაზგასმული ინტიმი შესძენოდა ნათქ-

ვამს. წარბები აზიდა, თითქოს საყვარელ ბავშვს ელაპარაკებოდა. — მოდი, დავსხდეთ, — ტყავის მომწვანო სამეულისკენ მიიწვია. დასხდნენ თუ არა, ოთახის კედელი უჩქამოდ გაიხსნა. ქათქათა პერანგიანმა თმაჩაბურდულმა ყმანვილმა კაცმა ნაირ-ნაირი ნამცხვრითა და ხილით გაძეკილი იასამნისფერ სუფრაგადაფარებული გორგოლაჭებზე შემდგარი მაგიდა მათკენ გამოაცურა.

„როგორც ზლაპარში,“ — გაიფიქრა ლოლამ. თავი დახარა, არ უნდოდა ეცქირა, როგორ ხორციელდებოდა გულისგამანვრილებელი, წინასწარ მომზადებული რაღაც შოუს მსგავსი ჩანაფიქრი. და რომლის დასასრული ჯერ არ იცოდა.

არასდროს სმენია, შაკოს სასახლეში წვეულებები იმართებოდა. არც ამ სუპერმენის მხრიდან ღარიბებისთვის მოწყალების კვირების შესახებ იყო რამ ცნობილი, წინ რომ ეჯდა ახლა და თავლებით მიაცილებდა ბატკანივით ჩახვეულთმიან ლამაზ მსახურს, რომლის მიახლოებისთანავე, ავტომატურად მომუშავე კედლის ფრაგმენტი მსუბუქად გაიხსნა და ისევე მსუბუქად დაიხურა მის ზურგს უკან.

წუთით ისეთი დუმილი ჩამოვარდა, თითქოს ორივე იმაზე ფიქრობდა, ნეტა რითი უნდა დანყებულებოდა მათი საუბარი. მერე შაკომ თავაზიანად თქვა:

— ნება მომეცი, მოგემსახურო. მიბრძანე, რას ინებებ.

როცა პასუხად მიიღო, მხოლოდ ერთი ნაჭერი ტორტიო, მზრუნველად შეუდგა საქმეს. სტუმარს აკურატულად გადაუღო შოკოლადის ყვავილით მორთული ნაჭერი.

„ლოლა დეიდა, ხომ ყველას აქვს ბედნიერების უფლება?“

— დრო თითქმის აღარ მაქვს, — თქვა ლოლამ, — მალე უნდა წავიდე.

შაკოს ოდნავი აღელვება დაეტყო. ქალს არ გაემტყუნებოდა, წასვლას თუ იჩქარებდა. კარგა ხანია დაღამდა, თანაც რეალური იყო წყალდიდობის საშიშროება. უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრა, სტუმარს ინტერესით ჩაჰკითხა: მოგეწონა ყვავილები? მერე საიდუმლოსავით გაუმხილა:

— იცი, მეც შენთან ერთად ვათვალისწინებდი ყველაფერს.

ქალმა, ნაცვლად იმისა, შთაბეჭდილებები გაეზიარებინა, ასეთი საოცარი არაფერი მინახავს, ასეთი ნატიფი სი-

ლამაზო და მსგავსი რამეები, სულ სხვა თქვა და საუბრის გზაც თავად აირჩია.

— ნუთუ ყველგან ვიდეთვალი დარაჯობს?!

პირდაპირ არ გაუცია პასუხი, მაგრამ სიმართლის დამალვაც საჭიროდ არ ჩათვალა.

— ჰო, იმდენი ხანი გავიდა ბავშვობის შემდეგ, ვიფიქრე, ამ შეხვედრისთვის მომზადება მჭირდებოდა.

ეს აშკარა ბოდიშს ჰგავდა. მოუნდა ეკითხა, მერედა, მოემზადეო? მაგრამ სიტყვებით თამაში მათ ასაკში ლამაზ ტონად არ მიიჩნია. გარდა ამისა, ფამილარობას არ აპირებდა. ერთადერთს ნანობდა, ნეტა ჩემი ფოტოსთვის არ შემეხვედაო. თვლიდა, ეს წამგებიან პოზიციაში აყენებდა. მაგრამ

მინც ეცდებოდა მოაჩვენოს, თითქოს არც უნახავს იგი. ამჯერად თავის მოსულელება ურჩევნია. ვერაფრით აეხსნა, შაკოს რა ჯანდაბამ მოაფიქრა ასეთი რამ, ყველაფერს წარმოიდგენდა, ამას კი არა.

თავს ძალა დაატანა, დამაჯერებლად თქვა:

— მართლაც გამოგნებელი კოლექცია შეგიგროვებია. გმადლობ, მშვენიერების სრულქმნილებას რომ მაზიარე. — ეცადა, როგორც კი შეეძლო, შინაურულად მოქცეულიყო. ტორტი დააგემოვნა. მერე გაელიმა, მიხვდა, დაბნეულობის შესანიღბად იქცეოდა, უხერხულობისგან თავდასალწევად. თქმით აღარაფერი უთქვამს.

შაკო სწორედ იმ უთქმელს გამოედევნა. იმ გაუმჟღავნებელმა აღძრა მისი ინტერესი. ამიტომ ჰკითხა

მორჩილად:

— გეხვეწები, მითხარი, რა გაიფიქრე, ოღონდ გულწრფელად, ნურაფერს დამიმალავ.

— ისეთი არაფერი, სათქმელადაც არ ღირს, — ცოტა ითვალთმაქცა ლოლამ.

მასპინძელი უკან არ იხვედა, უფრო დაჟინებით სცადა მიზნის მიღწევა, კვლავ სთხოვა, იქნებ გაგემხილა, თუ, რასაკვირველია... — დროულად იხმარა უსიტყვო პაუზა და ასე, ხაზგასმული გალანტურობით მიმართა ნახევარტორტებს.

— ისეთი არაფერია-მეთქი, — შეწუხდა ქალი, — მხოლოდ იმის აღნიშვნა მინდოდა, რომ სრულქმნილებაში ხინჯის ძებნა არაა რიგიანი საქციელი...

ინტერესი გაოცებამ შეუცვალა კაცს. ვერ მიუხვდა, როგორ გაეგო ეს მინიშნებით ნათქვამი. სახეზე იმედგაცრუება აღებეჭდა. მაგრამ ლოლას მისი წვალება არ ჰქონდა მიზნად. ამიტომ შეეცადა, ცოტა ეეშმაკა, ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე, თუნდაც ულოგიკო მანევრი ეხმარა.



მხატვარი ბერდია არაბული

— მოკლედ, მინდოდა მეთქვა, რომ ეგოიზმისგან ყვა-ვილებიც არ არიან დაზღვეულნი. რატომ, რატომ მიყურებ ასე, არაფერს ვაჭარბებ. ნარგიზებსა და შროშანებს ურთი-ერთთავესებლებად იცნობენ. ისინი ერთმანეთს კლავენ. ისევე, როგორც ვარდი ვერ უძლებს სხვა ყვავილთა გვერ-დით ყოფნას. ეს ბუნებაა და ამაში არაფერია და მინაშავე.

საით მიჰყავდა საუბარი, რა ქვეტექსტებს დებდა სიტყ-ვეებში, თავადაც არ იცოდა. ყოველგვარი წინასწარი გათვ-ლების გარეშე აწყობდა დიალოგს, ბუნებრივად, როგორც მევიოლინე თავის ზუსტ და კეთილხმოვან ინსტრუმენტს კონცერტის წინ. წმინდა პავლეს წერილი გაახსენდა, ებრაე-ლებისადმი მიწერილი: „ხმაშალა ილოცეთ, რომ გაიგო-ნოთ საკუთარი ხმა, რადგან რწმენა არის მოლოდინის გან-ხორციელება და უხილავში დაჯერება.“ ახლა საკუთარი ხმის მოსმენა სჭირდებოდა, საკუთარი რწმენის განმტკიცე-ბა, ფარივით რომ ააფარებდა ყოველწუთიერ მოლოდინს. წინათგრძნობა კარნახობდა, რაღაც გაუთვალისწინებელი უნდა მოესმინა კაცისგან, რომელიც თითქმის არაფრად უღირდა, მცირედი ადგილიც არ ეჭირა მის ცხოვრებაში.

არჩილზე ბრაზობდა, რად არ გაუწია წინააღმდეგობა, რად დათანხმდა წამოსვლაზე. თუმც იმასაც გრძობდა, იგი შორიდან ეხმარებოდა. მისი ერთგული ალტერ-ეგო დისტანციურად გრძობდა ყველაფერს. შინიდან გამოსვ-ლისას, კართან რომ მიაცილა, სასიამოვნო საღამო უსურვა და ისე შეხედა, შინაგანი სიმშვიდე უსურვა — ყოველგვარი სიტუაციისთვის მნიშვნელოვანი პირობა და წარმატების საფუძველი.

ახლა მის წინ ბავშვივით მორჩილი სუპერმენი ზის, ყვე-ლა მისი სურვილის შემსრულებელი. სიმშვიდისთვის აფირმაციებიც არ სჭირდება, თუ არ ჩავთვლით ერთა-დერთ გაფიქრებას — „როგორც წერო მამიყვანა, ისევე წე-რომ წამიყვანოს“. უყვარდა ეს ფრაზა, დროდადრო მოუხ-მობდა ხოლმე საიდუმლო თამაშისთვის.

ლოლამ ტორტის ლუკმა ჩაყლაპა და თავის მართლება-სავით თქვა:

— თუ სიმართლე გინდა, ყვავილებზე ასეთი საუბარიც ინტელექტუალურ ნაძირლობასა ჰგავს. ეს იგივეა, წყალი პირდაპირ გუბებთან დალიო. ცუდი განცდაა... ამიტომ აღარ ვაპირებ ვაგრძელებას... გულწრფელად გამოვიტყვები, შენმა ყვავილებმა მხოლოდ დადებითი ემოციები მაჩუქა.

— მეც, — თქვა შაკომ, — მათთან ერთად რომ გიცქერ-დი, უნებლიეთ ვფიქრობდი აკირა კუროსავას სიზმარზე, ვან გოგი რომ ნახა, ერთად სეირნობდნენ თურმე მხატვრის პეიზაჟებში.

ეს აღარც ხუმრობსო, გაიფიქრა ქალმა, უნდა მაგრძნო-ბინოს, მწყრალად როდია ინტელექტთან. ძალიან კარგი. ძალიან, ძალიან კარგი...

მერე შაკომ, ღიმილმორეულმა, დაინცო:

— რუთიზე არაფერს მეკითხები. დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ გაინტერესებს. — თითქოს ამით საგანგებოდ გაუსვა ხაზი მის დაბნეულობას, თან მიეშველა, შებოჭილო-ბისგან გაეთავისუფლებინა, მისთვის სითამამის მეტი პი-რობა შეექმნა.

— რასაკვირველია, მაინტერესებს. ხშირად ვფიქრობ მასზე, — მიუგო გულწრფელად, — როგორ ცხოვრობს, რას საქმიანობს?

— შევიცარიანა. ძველებურად, ოჯახს უვლის. დაზარ-და შვილები.

მიხვდა, მეტი არც არაფერი ჰქონდა საკითხავი. ოროსა-ნი რუთი შევიცარიანაში დაფუძნდა, ალბათ, საყოფაცხოვრე-ბო პრობლემების გარეშე. მისი მესაათე ქმარი ისევე ცალთ-ვალაკრული მუშაობს. ჟღალი თმა გათეთრებული ექნება. რუთიც უფრო გასუქდებოდა. თითქოს საკუთარი თვალით ხედავდა მის ამწუთიერ ყოფას. ფიზიკურად დამძიმებულ, ინერტულად მოძრავ ბავშვობის ამხანავს, თვალეში კვლა-ვინდებურად შიშიან სევდაჩამდგარს. ეს დამახასიათებელი თვალეში გენეტიკური კოდის შესაცნობი სარკვა, ლოლა ესოდენი სიმძაფრითა და უტყუარობით რომ ამოიცნობს, სადაც გინდა გადაეყაროს, და რისთვისაც პიროვნების სა-პასპორტო მონაცემები სრულიად არ სჭირდება. და, რაც მთავარია, იქნებ, სწორედ ეს ფარული, საუკუნოვანი სევდა გაუცნობიერებლად იზიდავდა მასთან საამხანაგოდ, რად-გან ლოლას მუდამ აინტერესებდა ბევრი რამ ისეთი, სხვე-ბისთვის ტაბუდებულიად რომ ითვლებოდა. ასე იყო მე-ნაგვე მინაგოს ქალიშვილის მაგალითზე. სხვა თანაკლა-სელთაგან ბევრმა ამ მეორედ ჩარჩენილი გოგოს სახელიც არ იცოდა წესიერად. ლოლა კი გაკვეთილების შემდეგ შინ მიჰყვებოდა, რადგან ხედავდა, სხვებისგან თითქმის მოკ-ვეთილს, რარიგ ახარებდა მისი სტუმრობა. მოთმინებით უცქერდა, როგორ აწესრიგებდა იგი პატარა, ნაქირავებ-ოთახს. მერე გარკვეული წესების გამოყენებით, როგორ გაავარვარებდა ხის ნახერხის ღუმელს, ღრმა ტაფაზე, კარ-ტოფილთან ერთად შებრანავდა საზამთროდ მომარაგე-ბულ ღორის ღორს, თიხის დერგიდან წითლად დამწნილე-ბულ კომბოსტოს ფოთლებს გულუხვად ამოალაგებდა, დასხდებოდნენ და შეექცეოდნენ გემრიელად. შემდეგაც ხშირად იხსენებდა ტკაცატკუცმოდებულ ნახერხის ღუ-მელთან გატარებულ საათებს. ვერც ახსნიდა, რად ეტანე-ბოდა არასტანდარტულ სიტუაციებს. ბუნება ჰქონდა ასე-თი, რის გამოც არასდროს უნანია. რუთისთან ამხანაგობა სხვათა თვალში სწორედაც ასეთი არასტანდარტული კა-ტეგორიის რიგში განიხილებოდა. ნეტა ახლა რას იტყოდ-ნენ, შევიცარიანაში უზრუნველად მცხოვრების შესახებ?

ლოლამ საგანგებო შეკითხვა დასვა:

— იცის, რა დღეში ჩავცვივდით? — თვალის თვალში გა-უყარა შაკოს.

კიო, დაუქნია თავი, ყველაფერი იცისო.

— შორიდან მაინც ძნელია ბოლომდე წარმოიდგინო...

— არ დაამთავრა აზრი, მაგრამ ასე ნათქვამს ჰქონდა დატ-ვირთვა, გაცილებით მეტი ძალა, ვიდრე ტრაგიზმით და-მუხტული წინადადებების სიმრავლეს. ბევრ ლაპარაკს არც აპირებდა. შაკოს გარეგნული თავაზიანობის მიუხედავად, ქალს მაინც მოეჩვენა, იგი შურისძიების გზას დასდგომო-და, ყოველ შემთხვევაში, რაღაც ამდაგვარი ანგარიშსწო-რების ჭია ჰქონდა შემჯდარი. ჩემს დათრგუნვას ცდილობ-სო, ფიქრობდა, თავისი უპირატესობით ჩემს დაკნინებასო. იგრძნო, სულში როგორ წამოეშალა დამცავი ენერჯის უხილავი საცეცები, როგორ შეიმართა საბრძოლველად. არ უნდა დაეთმო, თავი უნდა დაეცვა, მისხალით არ უნდა დაშ-ვებულიყო მოპოვებული სიმალლიდან. ამიტომაც სასწრა-ფოდ დაუმატა ნათქვამს, თუმც მე სიამოვნებით ვიზიარებ ჩემი სამშობლოს ბედს, უფლება არა მაქვს, თავს მასზე უკეთ ვგრძნობდეო.

შაკომ საპასუხოდ დუმილი არჩია, რადგან ეს თემა დაუსრულებელი მსჯელობის საფუძველს იძლეოდა და თავი აარიდა არა მხოლოდ თავისი გენეტიკური სიფრთხილის გამო, არამედ იმიტომ, რომ ინტერესმოკლებულად მიიჩნია. სამაგიეროდ, სხვა რამ იზიდავდა, თითქმის ატყვევებდა მის გონებასა და ფიქრს... გამარჯვება!.. გულისფიცარზე უხილავი, დიდი ასოებით ამოტვიფრული. აი, ეს მიაჩნდა გზად. აღმერთებდა ამ გზას, ანუ, ეგრეთ ნოდებულ, ჯოკერის ამოქმედების პრინციპს, რისი სათანადო გააზრებით, წმინდა პრაგმატიზმიდან გამომდინარე, მუდამ უცთომლად ირჩევდა, რა არშინით ეზომა ცხოვრება, ახლა აღწეზე რომ უჯდა და რომლის ვალიდანაც ვერასდროს ამოვიდოდა. კარგა ხანია ალლო აულო ამქვეყნიური კეთილდღეობის მრავალ საიდუმლოს, ამოიცნო არა მარტო ხილული, არამედ მოქმედი ნიშნები იმ უხილავი მადლისა, რისი წყალო-ბითაც მყარად იდგა ფეხზე.

ნეტა რანაირად ააწყობს ასეთ დახლართულ საუბარსო, გაიფიქრა ლოლამ. საბოლოოდ გადაწყვიტა მდუმარე პოზიციაში გადასვლა. ჩემთვის ასე უფრო მომგებიანი იქნებაო. მხოლოდ პასუხებით შემოიფარგლება. ზედმეტი ლაპარაკი არაა საჭირო. ბოლო-ბოლო ქალია, იცის, გენდერული განსხვავება არაა მხოლოდ კულტურული ხასიათის, არამედ გენეტიკურისაც, თითქმის ორმოცდაათი ორმოცდაათზე.

„ლოლა დეიდა, მე ღმერთისგან ველოდები დახმარებას.“

ეს იმ საცოდავი გოგოს სიტყვებია, სამუდამოდ რომ დაამახსოვრდა ლოლას.

შაკომ კი თქვა:

— რა დამავიწყებს შენი ალუბლის ბალს, დამიჯერე, აქამდე მესიზმრება. რამდენი საოცრება მინახავს მერე, მსგავსი კი არაფერი..

რას ამბობო, შეიცხადდასავით, ნუთუ მართლა გახსოვსო? ეგონა, მხოლოდ თავისი საკუთრება იყო ის ზღაპრული პლანტაცია, მხოლოდ მის ნეტარ მოგონებებში ჩარჩა პირველშემღვრული, მნიფობაში შესასვლელი კიმპლებით ჩამოხუნძლული ტოტები, ჩიტების ამაფორიაქებელი, მათი ფრთვიან-ჭყლოპინის გამომწვევი.

— და იმ შაშვის ჭახჭახი, გაუთავებელი, თითქოს გალიაში გყოლოდეთ ჩამწყვდეული და გათავისუფლებას მთხოვდა. ჩუმად მოვიპარებოდი ხოლმე თქვენს ხის მესერთან. ვიდექი სუნთქვაშეკრული, რომ არავის დავენახე. ვიჭყიტებოდი ფიცრებშუა ღრიჭოებში, ველოდი, როდის გამოჩნდებოდი. მინახიხარ, ახალდაყვავილებულზე, ჩამოცვენელ ფიორთა ზღვაში მოხეტიალე. ოხ, როგორ ტკბებოდი... მიარღვევდი სითეთრის ნაზ ხალიჩას. შენი ალუბლის ბალივით საყვარელი იყავი, ძალიან უხდებოდი ერთმანეთს.

უსმენდა ლოლა სუნთქვაშეკრული, შეშინებული. ნუთუ არ შეეძლო შაკოს, არაფერი ეთქვა ამის შესახებ, თავისთვის შეენახა მარადიულ საიდუმლოდ. მაგრამ ახლა ბევრის ნებას აძლევდა თავს. ეს ერთგვარი ამბოხი იყო. იგი შურს იძიებდა წარსულის მტანჯველ უსუსურობაზე, სიმშვენიერის განცდაც რომ ვერ შეელოდა. აი, თურმე რას გრძნობდა ის მუდო ბიჭი, მასზე რამდენიმე წლით უფროსი. ახლა კი... ნუთუ იყო გამართლებული ამის მოსმენა ამდენი წლის შემდეგ? თანაც კედელზე ეს სურათი რომ არ ილიმებოდა, კიდევ არაფერი. უხერხულობა იგრძნო. ეცადა, შეეცვალა,

სხვა ისტორიაზე გადაეტანა საუბრის თემა, საშველად რომ ეწვია. რამ გაახსენა, არავისთვის არასდროს რომ არ გაუმხელია, ისეთი რამ უამბო.

ათი წლისა მამამ პირველად წაიყვანა ბავშვთა სანატორიუმში. იქ ერთ ბიჭს შეუყვარდა გატაცებით. თურმე ყველამ იცოდა ამ სიყვარულის შესახებ, გარდა ლოლასი. ბიჭი, სურამის ბავშვთა სახლის აღსაზრდელი, დედით ობოლი, საოცარი წკრიალა ხმით დაეჯილდებებოდა ბუნებას. მთელი სანატორიუმი შეიკრიბებოდა ხოლმე საღამო ხანს, როცა ლონისძიებები მომთავრებული იყო. ისხდნენ გამლილ მოლზე, თხოვნა თხოვნას მოსდევდა — ახლა ეს სიმღერაო, ახლა ისო. დასასრული არ ჰქონდა. ხედებოდნენ, ყოველი მათგანი ლოლასთვის იღვრებოდა სუფთა წყაროსავით.

ეს არაფერიო, ამბობდა ლოლა, საინტერესო მერე მოხდა, უფრო გვიან, იმ ზაფხულს, როდესაც მეთერთმეტე კლასს ვამთავრებდი, სტუდენტობისთვის ვემზადებოდი. თქვენი ოჯახი უკვე წასული იყო აქედან.

ერთ მშვენიერ დღეს მეზობელმა საიდუმლოდ შემატყობინა, ქუჩის თავში ვიღაც უცნობი გკითხულობსო. წავიდი და ვნახე მზით გარუჯული ყმანვილი. თვალებით ვიცანი, შავი, ვარსკვლავებით ანთებული თვალებითო. აღწერა, როგორ მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს, რადგან არაფერი ჰქონდათ ერთმანეთისთვის სათქმელი. ბოლოს ყმანვილი სინანულით ალაპარაკდა, უფრო სწორად, საკუთარ თავს გაესაუბრა ხმამალა, წარმოუდგენელი ადამიანის ასე გამშვენიერებაო. მეტი არაფერი. მიბრუნდა და წავიდა. ის იყო და ის, ჩემი ასავალ-დასავალი სამუდამოდ დაივიწყაო.

შაკოს გაცვინა, თავი ნელა გააქნია.

— დარწმუნებული ხარ, დაავიწყდი? რომ აღარ გნახა, ეს არაფერს ნიშნავს. — ისე უცქერდა, ლოლამ სიტყვა ვერ დაძრა, თვალები დახარა და მიხვდა, ტყუილად გაიხსენა ეს ისტორია, ამით ვერაფერი შეცვალა. — ასეთ რამეებს არ ივინყებენ, — შაკოს ხმა კატეგორიული გახდა, — უფრო უარესი, ვერ ივინყებენ. ეს შეუძლებელია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგი მთელ მის ცხოვრებას კვალს დააჩენდა. ფიასკო ან წარმატების სტიმულად იქცევა, ან არასრულფასოვნების კომპლექსად. უკვალოდ არაფერი მიდის. ბავშვობაში მიღებული ტკივილი ადამიანის სულს მუდმივ დამლად აზის. ვიცით, რომ ჩარლზ დიკენსმა თავისი კარიერა ფეხსაცმლის საცხის ქილებზე ეტიკეტების დაწებებით დაიწყო. პირველი სიყვარულის ტრაგედია იმ აქცია უდიდეს მწერლად და კაცობრიობას აჩუქა „დევიდ კოპერფილდი“, უფრო მდიდარი გახდა ყველა, ვინც მისი წიგნები წაიკითხა.

— დიკენსი, შო, დიკენსი... — ჩაილაპარაკა ლოლამ.

— ასეა, თვალს ვერ დავხუჭავთ ამ კლასიკურ მაგალითზე, იმაზე, თუ რა შეუძლია სიყვარულს.

ყველაფერი კარიკატურულ სახეს იძენდა, უმნიფართა თამაშს ემსგავსებოდა, უპასუხისმგებლობის მოდრიფე ნინსწრაფვას, ამისთვის შეუმზადებელ ქალს შეუცნობელი შიშის ბარიერს რომ აღუმართავდა ქვეცნობიერის ნიაღში, ლიად აიძულებდა, ეზრუნა აზრთა იალქნების სწორ განლაგებაზე. თორემ რა გამოდიოდა, აქ ლოლა თითქოს სიყვარულზე სალაპარაკოდ მოსულიყო?! შაკო კი ძველი ანგარიშების გარჩევას ცდილობდა?! საშინლად, საშინლად მობეზრდა ეს საუბარი, წელის ნაყვას რომ მოჰვავდა, ან კიდევ რალაც მკრეხელურ ვნებას. საბოლოოდ დააპირა ეთქ-

ვა, გვეყოფა, დროა დავასრულოთ, უნდა წავიდეთ, და მაშინ ტელეფონის ზარმა გადანყვიტა ყველაფერი, ჯიუტად რომ აწკრიალდა კაცის აბრეშუმით პრიალა ნაბლისფერი პიჯაკის ჯიბეში. შაკომ მოიბოდიშა და მობილურის ზარს უპასუხა. უსმენდა მდუმარედ. ოდნავი გაოცება ეხატა სახეზე. წამიერად ისეთმა იდუმალმა ღიმილმა გადაურბინა, ადამიანი რალაც საგანგებოს რომ ჩაიფიქრებს და კმაყოფილი დარჩება საკუთარი გადაწყვეტილებით. ბოლოს მოჭრით თქვა:

— მოიპატიჟეთ ვერცხლისფერ დარბაზში. მოხარული ვიქნები.

მორჩა საუბარს, ტელეფონი ისევ ჩაიდო ჯიბეში, ქალს უცნაურად დააშტერდა, საიდუმლოდ გამხელასავით ამცნო, მეუღლემ მოგაკითხაო, თან წარბები მალა აზიდა, ერთდროულად გამოხატა მოულოდნელობის გაოცებაც, მასპინძლის პასუხისმგებლობაც და შემდგომი გაუგებრობისადმი მზადყოფნაც. ქალმა ამ ყესტში ამოიცნო იმ უსიტყვო კითხვების ვიზუალური ნიშან-სიმბოლოები, რომელთა პასუხებსაც, ეჭვი არ იყო, შაკო უკვე თავის სასარგებლოდ მიითვლიდა.

აფორიაქდა ლოლა. აწრიალდა, სასწრაფოდ ფეხზე წამოდგა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, თითქოს რალაცაში ედო ბრალი. საშინელი განცდა იყო, თავს მოხვეული, მაგრამ სინდისის შემძვრელი. მან აიძულა ქმარი, გადაედგა კაცური ღირსების წინაშე აუცილებლობით გაჩენილი ნაბიჯი, რაზეც წინასწარ არ უფიქრია. თითქოს ის არ კმაროდა, თავად რომ აღმოჩნდა კეთილი მოტივებით ლამაზად დაგებულ ხაფანგში... ახლა კიდევ არჩილი... ინანა, იასამნისფერ ოთახში შემოსვლამდე რომ არ დაურეკა, მაგვიანდება, ჯერ მასპინძელი არ ჩანსო.

— წყალდიდობა დაინყო, იმიტომაც შემფოთდა, — მშვიდად თქვა შაკომ, — ტორტის ჭამაც ვერ მოასწარი.

ლოლა მიხვდა, აქედან უთუოდ გავიდოდნენ.

სული კბილით ეჭირა, როდის დაინახავდა მეუღლეს. შეხვდებოდნენ ერთმანეთს და მაშინვე ერთ ბანაკში აღმოჩნდებოდნენ. თავის ალაგას დადგებოდა ყველაფერი, ბოლო მოეღებოდა ამ ნაძალადეგ პოზაში ყოფნას. არჩილი არ ნახავდა კედელზე დავანებულ მისი ბავშვობის ღიმილს. კიდევ კარგი!

როდესაც ვერცხლისფერ დარბაზში შევიდნენ, არჩილი ზურგით იდგა და მოჩუქურთმებულ კარადაში გამოფენილ ძველისძველ დამბაჩებს ათვალეირებდა. ფეხის ხმაზე შემობრუნდა, მათკენ გამოემართა.

კაცებმა ერთმანეთს ხელი გაუნოდეს და გაუღიმეს. ლოლა ოდნავ გვერდზე გადაგა, სუნთქვაშეკრული აკვირდებოდა მათ.

— არ მინდოდა თქვენი შეწუხება, — მოიბოდიშა არჩილი, — მაგრამ ამ მეორედ მოსვლაში გულგრილადაც ვერ დავრჩებოდი... ჯოჯოხეთი ტრიალებს გარეთ.

— სწორად მოიქცით, მეგობარო. თუმც ლოლას არაფერი ემოქრებოდა, მაინც კარგია, რომ მოხვედით. საშუალება მეძლევა, თავი მოვიწონო თქვენ წინაშე. — მის სიტყვებს ნაძალადევი ხუმრობის დალი აჩნდა. მარჯვენა ხელი მოატარა შაერში, ამაყად მიანიშნა თავის ავლადიდებაზე — კედლებზე, ვიტრინიან მაგიდებსა თუ კარადებში რომ ჰქონდა საგულდაგულოდ გამოფენილი. ეს იყო მდიდარი

კოლექცია ათასგვარი ცეცხლსასროლი თუ ცივი იარაღის. — სად აღარ ვაგროვე ესენი, თითქმის ყოველ კონტინენტზე.

— მთელი არსენალი გქონიათ, — არჩილი ნელა დატრიალდა, ოთხივე მხარეს მოატარა თვალი. გადაძვირდა კედელზე შეაჩერა მზერა, — არბალეტებიც კი, — სიამოვნებაგარეული გაოცება ერია ხმაში, — ნამდვილად იშვიათობაა! უნიკალური...

— დაათვალიერეთ. — შესთავაზა შაკომ.

არჩილმა თავის მოძრაობით ანიშნა ცოლს, მოდი, ყველაფერი ვნახოთო. ისიც გვერდით აედევნა. მასთან ერთად აცქერდებოდა სხვადასხვა ზომის ალუბარდებს, შუბებს, გრძელტარიან მახვილებს, დაშნებს, ხმლებს. თვითმტენი კარაბინიც არ აკლდა კოლექციას, თავისი ხიშტი. რისი მხილველნი აღარ გახდნენ, დიდი, მძიმე მოდულებიდან დაწყებული, თანამედროვე, თითქმის სპეცსამსახურებისთვის განკუთვნილი იარაღით დამთავრებული.

— აი, პარაბელუმიც, — აუხსნა ლოლას. — იცი იგი რისი სიმბოლოა? სივის პასენ, პარა ბელუმ. ჩვენს ენაზე ასეა: თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის.

შაკო მათ შორიახლო ტრიალებდა უხმოდ, რათა არ შეეშალა ხელი, თანაც მათ რეაქციებს აკვირდებოდა.

— იარაღი ძლიერების სიმბოლოა, — განაგრძობდა არჩილი, თითქოს მეუღლეს მილიტარისტულ გაკვეთილს უტარებდნენ. — ოღონდ იგი ღირსეულთა ხელში უნდა იყოს. აი, მაშინ ხდება მშვიდობის გარანტი. აქსიომაა, რომ ღირსებანაკლულებს შორის მშვიდობა არ იქნება, რადგან ღირსების ნაცვლად, მათ სულისკვეთებას სხვა ვნებები მართავენ. — ისეთი შთაგონებით უხსნიდა ყოველივეს, ისეთი გატაცებით, შაკომ თავი ვერ შეიკავა, მოუნდა, ტოლი არ დაედო მისთვის და სიტყვა ჩაუდგო:

— დანა ვაზნით, — მიუთითა პატარა მაგიდის ვიტრინაზე. ეს ნიმუში განსაკუთრებით მომწონს. — შუშის ხუფი ასწია, გამოიღო და დააცქერდა, თითქოს პირველად ხედავდა. — ტიპიური ინგლისური იარაღი გახლავთ. თითქოს უბრალო დანაა, ხიშტის მსგავსი, — იგი წვერით წინ დაიჭირა, ტარი მუშტში ისე ჩაბლუჯა, როგორც გადამწყვეტი შეტევისთვის მზადყოფნისას.. მერე უეცრად ამოაბრუნა, წვერი თავისკენ მოაქცია და მყისიერი ტკაცუნის პასუხად, არჩილის საყურადღებოდ თქვა:

— წარმოიდგინეთ, შიგნით ვაზნა რომ დებულებო, უკვე მკვდარი იქნებოდით. — გაიღიმა, ეს ვითომდა ხუმრობითო.

„სატანური ღიმილი აქვს“. ლოლას ჟრჟოლვასავით გაურბინა ფიქრმა. დაინახა, დანის ტარის ბოლოდან ლულის შავი ნახვრეტი ვერაგულად იმზირებოდა. ტანში გასცრა. იგრძნო, კაცებს იდუმალი ბრძოლა დაეწყოთ. განცდა მით უფრო მტკივნეული იყო, რომ იცოდა, თავად გამხდარიყო ქიშპის საგანი. დააპირა ეთხოვა მეუღლისთვის, იქნებ გვეკმარა, ნავსულიყავითო, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან შაკო იქვე, მეორე ნიმუშს დასწვდა.

— ეს უფრო სრულყოფილია, რუსული „სპეცნაზის“ იარაღი, — ექსპერტივით დამაჯერებლად წარმოთქვა, — ავლანეთიდან ჩამომიტანეს. მობრუნებაც კი არ სჭირდება. — დანის წვერი ისევ არჩილს მიუშვია. ლულა დანისპირის მიმართულებით, ორმხრივად გამოდიოდა ტარიდან. — გაცილებით სწრაფი მოქმედებისაა, თანაც ორვაზნიანი. —

ახლა ღიაფერის კარადისკენ გადაიტანა სტუმრების ყურადღება, მობრძანდითო, უთითებდა ერთ-ერთ პისტოლეტზე, სხვებთან ერთად რომ იდო, — ამას, რასაკვირველია, იცნობთ.

— „თთ“-ა, — თქვა არჩილმა.

— ნამდვილად. ძლიერი იარაღი, მაუზერის ვაზნაზე. შეიძლება ითქვას, მოდერნიზებული ბრაუნინგი. ეს კი, „მაკაროვი“.

— ჰო, 9 მმ-იანი. — დააზუსტა არჩილმა.

— აფსუს, რომ ლულა მოკლეა.

— სამაგიეროდ, რბილი ჩახმახი აქვს და დამიზნების კარგი საშუალება.

— გამოგიტყდებით, არ მიყვარს არმიის იარაღი, ირეგულარული მირჩევნია. — შაკოს გულწრფელობაში ეჭვს ვერ შეიტანდი.

ლოლა ქვეცნობიერმა შიშმა შეანუხა. მისი ტვინი, რომელიც წამში ისედაც ასი ათასზე მეტი რეაქციით იყო დატვირთული, გაძლიერებით მუშაობდა. მოეჩვენა, კოლექციის დათვლიერება იარაღის ბუნების გაცოცხლებას ემსახურებოდა და ამკარად საშიშ შინაარსს იძენდა. რა მოხდებოდა, ახლა მაინც დაესრულებინათ სტუმრობა და წასულიყვნენ... მაგრამ ვერას ეუბნებოდა არჩილს, რომელსაც არ გამორჩენია კედელზე, ჰორიზონტალურ, შემინულ ნიშაში მოთავსებული სნაიპერის ორი ბელგიური შაშხანა თავისი ოპტიკური სამიზნით. თუმც უსიტყვოდ ათვალეირა და მალე ჩაუარა, რადგან ქურდული მოქმედების ძალად მიაჩნდა იგი, მით უმეტეს, მაყუჩიანები.

გაახსენდა, საბრძოლო იარაღი პირველად ბავშვობაში იხილა ეროვნულ მუზეუმში. ერეკლეს ხმალმაც მაშინ მოახსენა მასზე დიდი შთაბეჭდილება, როცა მამამ, ვის ხელში მხოლოდ დირიჟორის ჯოხისა და ნოტების მეტი არა უნახავს, მტკიცედ უთხრა, ამ ხმლით ათასზე მეტი მტრის თავია წაგდებულიო. მამა მერეც ესაუბრებოდა ხოლმე მახვილის შესახებ. უხსნიდა, რომ მახვილის მსახური იყო რაინდი. მახვილს ერთ პირზე ეწერა დევიზი: შენზე ვარ დანდობილი, უფალო. მეორეზე — უმიზეზოდ ნუ ამომიღებ ქარქაშიდან, ღირსების გარეშე ნუ ჩამაგებ. ანდა: ერთ მხარეზე — „ხო, ხო“, მეორეზე — „არა, არა“.

მახვილის ღვთაებრიობა არბალეტმა დააყენა ეჭვქვეშ და განდევნა იგიო. მახვილზე ლოცულობდნენ, როგორც ღვთის ნების აღმსრულებელზეო. და რომ მახვილისა და არბალეტის თანაარსებობამ ჰარმონია დაარღვია. მახვილის სული ორად გაიყო, — ერთის მხრივ, მსუბუქ, ვირტუოზულ, ადამიანის ღირსების დამცველ დაშნად და მეორეს მხრივ — კანონის აღმსრულებელ, ჯალათის მახვილად. დევიზი — „ხო, ხო“ — დაშნას გადაეცა. „არა, არა“ — ჯალათის ხელს.

მოკლედ, ოქროს ჰარმონია სამუდამოდ დამსხვრეულია, ძალთა ბალანსი დარღვეულიო, თანაც მახვილთან ერთად, წმინდა რაინდთა მოდგმა განადგურდაო.

ვიდრე არჩილმა ფიქრი მოასწრო, შაკომ სეიფის კარი გახსნა. თქვა, ახლა ისეთს გიჩვენებთ, ჯერ არავის რომ არა აქვსო. სეიფიდან, როგორც უძვირფასესი სამკაული, აბრეშუმის ნაჭერში გახვეული რაღაც გამოიღო.

— ეს საიდუმლო იარაღია, მინიატურული ისრებით, ორი სხვადასხვა თხევადი გაზის შეერთებით იტყორცნება. ფრთხილად, სათუთად შემოხსნა ნაჭერი. — მართალი გითხ-

რათ, დიდ თანხად დამიჯდა. ჯერ იშვიათობაა, — უცქირა, უცქირა, ისევ ნაჭერში გაახვია და ისევ სეიფში ჩაკეტა.

ლოლას მოეჩვენა, კოლექციონერი საკუთარ თავს ცდიდა, უპირატესობას იჩემებდა, იმავდროულად, მისთვისთვე ამოუხსნელი შინაგანი არსის კვლევას შესდგომოდა, რაც დაუოკებელი პატივმოყვარეობის დაცხრომაში ეხმარებოდა ამ იდუმალ დუელში, საოცნებო ქალის მეუღლესთან რომ გაემართა. მისი შეკავებული ვნებები თანდათან საშიში ხდებოდა, ემსგავსებოდა მიძინებულ ვულკანს, ამოსაფრქვევად ემზადებოდა.

„დაშნაში ტრადიციების დარღვევას ვხედავთ, ჯალათის მახვილში კი მტკიცე კონსერვატიზმი ცხოვრობს“. — აცოცხლებდა მამის სიტყვებს შინაგანი ხმა.

შაკო კი უკვე სხვა იარაღს აწვდიდა არჩილს, თან ეკითხებოდა, როგორ მოგწონთ ეს პარაბელუმიო?

— არა, ეს პარაბელუმი არაა. ამ მოდელს სტანდარტი ჰქვია, — მშვიდად, დამაჯერებლად მიუგო არჩილმა, — აშშ რიუგერის ფირმისაა.

— ჰოო? — გაიკვირვა შაკომ. — რიუგერის სხვა მოდელებიცა მაქვს. ეს „ბლეკხაკია“. მაგრამ, გამორჩევით, აი, რა მომწონს. — ტიტას ფორმის მაგიდის უჯრა გამოაღო, იქიდან პატარა, თეთრტარიანი პისტოლეტი ამოიღო, ხელში შეათამაშა. — აბა, რას იტყვით, ეს ნამდვილი ბრაუნინგია.

— დიახ, ბრაუნინგი, ექვსი მთელი და ოცდათხუთმეტი მეასედი მილიმეტრი კალიბრის. — დააზუსტა არჩილმა.

— საერთოდ, ამერიკულ იარაღს ვანიჭებ უპირატესობას, დაწყებული სმიტ-ვესონიდან და კოლტიდან. ნაღდი იარაღია, არ გიღალატებს. იქ კი ჩემი საყვარელი „ივერ ჯონსონებიც“. შვიდი მოდელი მაქვს.

არჩილს გაეღიმა იმაზე, რომ ამ კაცს ძალზე ახარებდა იარაღის მფლობელი რომ იყო, ზეიმობდა, როგორც ბავშვი, სათამაშოების სიმრავლით თავბრუდახვეული. ცოტა არ იყოს, დაამძიმა შექმნილმა ატმოსფერომ. გემრიელ საჭმელს ბევრს რომ მიირთმევ და ლამის გაზიდებს, ისე დაემართა.

ყური მოსჭრა სიტყვებმა — არ გიღალატებსო. ნაღდი შემსრულებლის ნათქვამს ჰგავდა. იარაღის ხმარებით თავის მონონება ფუჭყვავილას ეკლუცობა როდია. ადვილად დასაშვებია, გამოჯეიკილი მსროლელიც იყოს. მერე რა! ვირტუოზულად სროლა არჩილისთვის კარგა ხანია, აღარ ითვლებოდა უპირატესობად. უკან დარჩა სამხედრო ცხოვრების წლები. ახლა სხვა ღირებულებებით საზრდოობს, სხვა არშინით ზომავს, სხვა ჭეშმარიტი გზების ძიებითაა შეპყრობილი. რამდენი ინვალა, რომ მთელი არსებით მიეღო „ამაოება ამაოთა“-ს ნამდვილი აზრი. თითქმის არაფერზე სწყდება გული, ლოლასაც ამასვე შთააგონებს, ადამიანი წვრილმან ცთუნებებს არ უნდა აჰყვესო, შენდობა, შენდობა უნდა ისწავლოს ყველამ და ყოველდღე თქვას — შემინყალე მე, ცოდვილი. შემინყალე... შემინყალე.

შაკომ მოიბოდიშა, ერთი ნუთითო, განაპირდა, მობილურზე რეკვა დაინყო.

ლოლამ დრო იხელთა, ქმარს უჩურჩულა, ყველგან ვიდუოთვალე აყენიაო.

არჩილს არ გაკვირვებია, უთხრა:

— მშვიდად იყავი, ჩვენ მას მშვიდობით უნდა ვძლიოთ. ქალი შეაკრთო ამ სიტყვებმა. როგორ უნდა გაეგო იგი, თუ არა გაუთვალისწინებლის მოლოდინის გაფრთხილე-

ბად. ლოლა ენდობოდა ქმრის ალლოს. ეჭვი არ იყო, მან უკვე იცოდა ის, რაზეც ქალს ჯერ წარმოდგენაც არ შეიძლებოდა ჰქონოდა. არჩილის მოულოდნელი მოსვლაც ფარული ძალის მოქმედებად ჩათვალა. თანაც ამდენი საბრძოლო იარაღის ხილვის შემდეგ, უფრო და უფრო რწმუნდებოდა, იასამნისფერ დარბაზში მიპატიჟება, შაკოს თავისი გეგმის კულმინაციად რომ ჩაეფიქრებინა, რამდენადმე უკავშირდებოდა ამოუცნობ რისკს. მთელი საღამო ხომ წინასწარ გათვლილ ავანტიურას ჰგავდა. მაღლიერი იყო მეუღლის, იასამნისფერი ზაფრისგან რომ იხსნა, საკუთარი ბავშვობის ლიმილისგან, ესოდენ უადგილოდ რომ შეჰყინოდა მდუმარე კედელს და თითქმის მანიაკური ახივების მსხვერპლად ქცეულიყო.

მიუხედავად გულახდილობის აქა-იქ გამორეული ორიოდ მომენტისა, ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტით რომ შეიძლებოდა ახსნილიყო, შაკო მთელი მისი სამყაროთი წამდაუნუნებულად აღმართავდა უხილავ ბარიერს, ლამის შიშის აღმძვრელს, დამორგუნავს. ყველაფერს უსიტყვო შურისგებად აღიქვამდა, სიყვარულის სახელით გაჩენილ ქიშპად, უთქმელად რომ იყვედრებოდა რალაცას. თუმცა იგი ბოლომდე ვერ გამჟღავნებულა, მაინც წვეთ-წვეთად ჟონავდა, ტკბილი შხამივით წამლავდა სივრცეს მათ შორის. აბა რა გეგონაო, ხომ არ ვყოფილვარ ადვილად ხელნამოსაკრავი, განა ჩემნაირი ბევრი შეგხვედრიაო?

ლოლას უჭირდა, უშფოთველად მიეღო რეალობა. უჭირდა, ერთმანეთთან შეეთავსებინა ადრინდელი თვალუბრაბრილი, უთქმელი ბიჭის სიმორცხვე მიწაზე მყარად მდგარ სუბერმენტან, ახლა მათ გაოცებას რომ ცდილობდა.

ტელეფონზე საუბარი რომ დაამთავრა, შაკო ისევ მათთან მივიდა. ნუთით მდუმარედ იდგა, თითქოს რალაცას იხსენებდო, მერე ენერგიულად დაიწყო:

— ყველაზე საინტერესო, რაც კოლექციაში მაქვს, აი, ეს კარადაა. მობრძანდით! — კედელთან მივიდა, გასაღები გადაატრიალა, ჩაშენებული ყრუ კარი გამოაღო. შიგა თაროებს მიაშვირა ხელი. — ესენი შექმნილია არა მხოლოდ კილერებისგან, არამედ არაკეთილსინდისიერი სამართალდამცავებისგანაც. იარაღი, ადამიანივით, საკუთარი ბედის მატარებელია, უფრო მეტიც, მას სულაც ისტორიის შეცვლა შეუძლია. ასეთი, რასაკვირველია, ყველაზე ძვირად ფასობს.

— მხედველობაში, ალბათ, ის რემინგტონის შაშხანა გაქვთ, რომლითაც ერთი გასროლით სიცოცხლეს გამოასალმეს მარტინ ლუთერ კინგი, ან ბრაუნინგის სისტემის პისტოლეთი, ავსტრია-უნგრეთის ერცჰერცოგის მკვლელობის გამო პირველი მსოფლიო ომი რომ მოიყოლია. და კიდევ რამდენი...

— დიახ, ასეა. ეგენი აქ არაა, მაგრამ ვერ ვიტყვი, ბევრად ნაკლებებთან გვექონდეს საქმი. იცით, ამათი ბიოგრაფიები მალეღვებს, თან, გამოგიტყდებით, მიზიდავს კიდევ. უსმინეთ, სუნთქავენ, ოხრავენ, ტირიან, ლაპარაკობენ, ათას რამეს გიამბობენ. ყოველი მათგანის ისტორია განსხვავებულია, მაგრამ ერთი რამ აქვთ საერთო — ყველანი განხორციელებული სიკვდილის სამსახურში დგანან. ეს თაროები კატეგორიებად იყოფა. ცალკე აწყვია ისინი, რომლით მოკვდინებისთვის მკვლელი დასჯილია. ხოლო ისინი, რომელთა პატრონები მართლმსაჯულებას ხელიდან დაუს-

ხლტენენ, აჩრდილებად ჩარჩნენ თავიანთ იარაღში. ახლოს მოდით! აგერაა მსახიობ ბუთის ბრაუნინგი, რომლითაც მან აბრაამ ლინკოლნი სასიკვდილოდ დაჭრა. — არ შეხებია იარაღს, მხოლოდ თითი მიაშვირა, — მან ამისთვის ელექტრულ სკამზე დასმა გაინაღდა. მართალს ვამბობ, უნდოდ ნუ მიცქერით, — სთხოვა არჩილს, — ტყუილი არ მჭირდება. რატომღაც მომინდა, ყველაფერი გაჩვენოთ, ვხედავ, იარაღში კარგად ერკვევით, თქვენი აქ ყოფნა დიდი პატივია ჩემთვის. ამ ნაჯახს ხედავთ? დასტური იმისა, რომ ფული ყველაფერს აკეთებს. ჩემნაირი კოლექციონერი გულუხვია. უნდა დაიჯეროთ, ამ უბრალო რუსული ნაჯახით სტუდენტმა რასკოლნიკოვმა ნამდვილად მოკლა მეცხაშე დედაბერი. გიკვირთ, ხომ? დოსტოვესკი... დიახ, დიდმა მწერალმა მთელი ისტორია იმდროინდელი პრესიდან ამოქაჩა. ცული კი, განაჩენის შემდეგ... ხაზს ვუსვამ, მას შემდეგ, რაც, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, მკვლელი ჩამოახრჩვეს, გაქრა. მოგვიანებით იგი აღმოჩნდა კრიმინალური მუზეუმის ერთ-ერთ სტენდზე — თავისი კოლიზით. მერე იქიდანაც გაქრა. ახლა, აი, აქ არის. — ხელი მოწინებით შეახო კარადას. ასეთებს ჭუჭყიან იარაღს ვეძახი, მაგრამ ამაში არის რალაც რომანტიკაც. ნახეთ ეს ესპანური ხანჯალი!...

მაგრამ არჩილმა აღარ აცალა და დაასწრო:

— ეგ, ალბათ, ისაა, რომლითაც რომეომ და ჯულიეტამ მოიკლეს თავი. ასეა? — გაიღიმა, საათს დახედა, — ძალიან გადაგაღლეთ, ჩვენი ნასვლის დროა.

მის ხმაში იმ კაცის დაჯერებულობა იგრძნობოდა, ვინც იცის, რას ამბობს, და ვისაც შეეძლო, საუბარი აქ არ დაესრულებინა, ეკითხა, ის „ბერეტაც“ ხომ არა გაქვთ, რომლითაც მოდელიორი ჯანი ვერსაჩე გამოასალმეს სიცოცხლესო? ის ცხრა მილიმეტრიანი კალიბრის პისტოლეთი? მაგრამ ამაში ვერავითარ აზრს ვეღარ ხედავდა.

მასპინძელსაც აღარ გაუგრძელებია. მდუმარედ გაეშურნენ კარისკენ. არჩილი ზღურბლთან შედგა, უკან მოიხედა, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ძლიერი შუქით გადაბზინებულ კედლებს, თითქოს ყველაფრის კარგად დამახსოვრება სცადა. მერე შაკოს მიაბჯინა მზერა, ხმადაბლა, სრულიად სერიოზულად ჰკითხა:

— გემინიათ სიკვდილის?

მანაც ბუნებრივად მიიღო სტუმრის შეკითხვა, ისე, თითქოს ელოდა კიდევ — ერთადერთს, სულისშემძვრელს, ზუსტს. თვალეები დახარა, სწორედ ისე, ბავშვობაში რომ სჩვეოდა. იფიქრებდი, ვერ გადაუწყვეტია, ეთქვა თუ არა. წამიერად ჩაბრუნდა საკუთარ წიაღში, საკუთარ გულისთქმას ჩაეკონა. მერე შესაშური გულწრფელობით, ისე, რომ უხერხულობაც არ უგრძნია, არჩილს თვალი თვალში გაუყარა, ნელა დაიქნია თავი, აღიარებასავით წარმოთქვა:

— ძალიან. ერთადერთი მაგის მეშინია.

კაცების ძუნღი დიალოგი ადგილზე გაქვავებულმა ლოლამ არ იცოდა, რა ელონა, რა გამოსავალი ენახა უცნაური სიტუაციიდან. მაგრამ არჩილმა კარის ლიობი გაიარა და უკვე მარმარილოს ტალანებიანი გასასვლელისკენ მიემართებოდა. ლოლა უკან აედევნა ქმარს, რომელიც შაკოს თითქმის ეჭურჩულებოდა რალაცას. არ მოუსმენია მისი სიტყვები: ადამიანი ღვთის ნაპერწკლის მატარებელია. ბუნებამ ყოველი ცოცხალი არსება აიძულა, მიწისკენ დაიხაროს სარჩოს მოსაპოვებლად. მხოლოდ გონიერი ადამიანი

ამაღლა და მისი მზერა ზეცისკენ მიმართა. მოკლედ, ღმერთის ხელში ვართო.

შაკო დაეთანხმა:

— მართალს ბრძანებთ. სწორედ ამის აღსანიშნავად მიწადა, თითო ჭიქით დავილოცოთ. გთხოვთ, გთხოვთ... ბევრ დროს არ წაგართმევთ. — ცოლ-ქმარს იქვე, ღია კარში ეპატიჟებოდა.

პატარა, მყუდრო ოთახში აღმოჩნდნენ. ერთი კედლის მთელ გაყოლებზე ლამაზი ბარი იყო. შუაში, მრგვალ მაგიდაზე, სამი პერსონისთვის გაემზადებინათ სუფრა. შამპანური და, საინტერესო ფორმის ბოთლებში, შავი ღვინო უხვად ჩაედგათ.

არჩილმა დაჯდომაზე უარი თქვა, არა, არა, ისედაც გაგვიგრძელდა სტუმრობა, მხოლოდ ერთი ჭიქა, მეტი საჭირო არააო, და შავი ღვინო ორ გაბერილ ბოკალში თავად ჩამოასხა. შაკოს ჰკითხა, იქნებ თქვენ შამპანური გირჩევნიათო?

— ამჯერად მეც ღვინოს დავლევ. — თქვა შაკომ. თან კედელთან მივიდა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო, მორაგო აბრეშუმის შპალერის წრიული ნაყმებით შენიღბულ საიდუმლო სამალავს, პანია კარი გადმოხსნა. როცა მათკენ გამოემართა, ხელში პრიალა შავი, კოხტა პისტოლეტი ეჭირა.

— როგორ მოგწონთ? — შეეკითხა არჩილს, მისკენ გაშვებულ ხელისგულზე დადებული იარაღი უჩვენა.

— შესანიშნავია. ნამდვილად შესანიშნავია. — გულწრფელად შეუქო.

„ისე იარაღი... აღარ თავდება ეს იარაღი...“ — შემფოთდა ლოლა. ის არ მონანილებოდა მამაკაცთა ქვეტექსტებით სავსე ურთიერთობაში. მხოლოდ აჩრდილივით იდგა მათ შორის, ხილული აჩრდილივით და არაფრის შეცვლა არ შეეძლო.

— ნამდვილად მოგწონთ? — მასპინძელს კვლავ ხელისგულზე ედო პრიალა პისტოლეტი.

კიო, თავი დაუქნია, ნამდვილად, ოღონდ ყოველგვარი ინტერესის გარეშე. ნასვლაზე ფიქრობდა ახლა.

შაკო კვლავ არ ცხრებოდა:

— მინდა გაჩუქოთ. ზუსტად ასეთი აღენ დელონს ვუ-სახსოვრე. ეს კი თქვენთვის მომირთმევია.

არჩილი შეწუხდა, უფრო იმის გამო, რომ მდიდარ კაცს გაცემის ბედნიერების შანსის გამოყენებას წაართმევდა. აზრად არ მოსვლია, დასწვდომოდა საჩუქარს. უნებლიეთ უკან წაგდა ნაბიჯი, თავი გააქნია უარის ნიშნად. ეს თავმდაბლობის კრძალვა კი არა, მისი მტკიცე პოზიცია იყო. ამიტომაც თქვა:

— უზომოდ მაღლობელი ვარ, მაგრამ ვერ მივიღებ ესოდენ ძვირფას შემოთავაზებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რახანია გამოვემშვიდობე იარაღს. იგი იყო უკვე ჩემს ცხოვრებაში.

შაკოს თითქოს ცივი წყალი გადაასხეს.

— მართლა ამბობთ? — შეკითხვით უხერხულობის შენიღბვა სცადა.

— მართლა. — პასუხს დამაჯერებლობა არ აკლდა.

უსიამოდ გააჟრჟოლა ლოლას. ცუდად ენიშნა ასე აწყობილი დიალოგი, ბოროტ თამაშს ამსგავსა. შიშნარევად გააყოლა თვალი, თუ შაკო როგორ წავიდა კედლისკენ და

პისტოლეტი თავის ადგილას დააბრუნა. მერე, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, დავილოცოთო, სთხოვა სტუმრებს. მათაც ამ დიდებული ჭერის სადღეგრძელო თქვეს და სტუმრობა დამთავრებულად გამოაცხადეს.

მანქანამდე მოზაიკით მოპირკეთებული ისეთი გასასვლელით მივიდნენ, წვიმის წვეთიც არ დასცემიათ. გარეთ კი კოკისპირულად უშენდა. შაკომ პირადი დაცვის თანხლება არ ისურვა, გადაწყვიტა, საჭესთანაც თავად დამჯდარიყო. ასეთმა სპონტანურობამ საგონებელში ჩააგდო მის სამსახურში მდგარი ზორბა კაცები, დაბნეულები რომ შეჰყურებდნენ ერთიმეორეს, ვერაფრით აეხსნათ ჩვეული რეჟიმიდან მისი ამოვარდნის მიზეზი. თვალები გადმოცვენაზე ჰქონდათ, როდესაც ბოსი სტუმრებთან ერთად უკვე ჯდებოდა იისფერი ტოიოტას მარკის ავტომანქანაში (რაც ნიშნავდა, რომ ყოველგვარ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა), რომელიც მისი სუპერთანამედროვე მდიდარი კოლეგებიდან მოძველებულადაც კი შეიძლებოდა ჩათვლილიყო, მაგრამ არჩევანი რატომღაც მასზე შეეჩერებინა.

ქუჩა ნიაღვრებს აევსო. რომ არა სადრენაჟო სისტემა, ქალაქი ნამდვილი წარღვრის ნინაშე იდგა. წელი სვლით გადაჭრეს მოედანი, მხოლოდ წითლის რეჟიმზე გაშვებულ შუქნიშანს გვერდი აუარეს და ძველი ბულვარისკენ გაფენილ კვარტლისპირს შეუყვინნენ, სადაც, გზადაგზა, წვიმის ბურუსით ამოვსებულ კუნაპეტ სივრცეში აღმართული კორპუსთა სიღრმეებიდან პატარა ჯგუფებად კისრისმტვრევით მორბენალ ადამიანებს ამოზიდავდა ხოლმე მანქანის ფარების ყვითლად მცოცავი შუქი, მოქნეული შოლტით გადაუფლიდა მათ სილუეტებს და, ხელმარჯვნივ და უკან ტოვებდა. ისინი ერთი მიმართულებით მიიჩქაროდნენ — ზღვისკენ აედოთ გეზი.

— რალაც ხდება!.. — თქვა არჩილმა. ეს უკვე გზადაგადაყრილი მესამე თუ მეოთხე ჯგუფი იყო. — იქნებ გაგვეგო, გვეკითხა რამე...

მორბენალებთან მიახლოებისას შაკომ მანქანა შეაჩერა. არჩილმა ფანჯრის მინა ჩამოსწია, ხმამაღლა გასძახა:

— რა ამბავია?! —

პასუხი არ მიუღია. მერე უფრო ხმამაღლა დაიყვირა:

— რა ამბავია! თქვეით!

მაშინ ვილაც ერთი შემობრუნდა, სირბილი არ შეუწყვეტია, ისე, და სასონარკვეთილი ხმით გაეხმინა:

— მეთევზეთა დასახლება ზღვას მიაქვს!..

არასასიამოვნო ცნობამ სამივენი გააოგნა. სალაპარაკო ისედაც ბევრი არაფერი ჰქონდათ, ახლა თითქოს დამუწვდნენ. ცოტა ხნის შემდეგ შაკომ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეტყობა, მართლა ცუდათაა საქმე. — საკუთარ ხმაში უკიდურესი განგაში იგრძნო, რის გადასაფარადაც სწრაფად დაძრა მანქანა. ლოლა გვერდზე გადაქანდა, არჩილის მკლავს მიეკრო და აღარც მოშორებია. სხვა შემხვედრებისთვის აღარაფერი უკითხავთ. უკვე იცოდნენ, სანაპიროს უბედურება სწვეოდა, იქნებ ისეთიც, წარმოდგენა რომ არ შეეძლოთ. მეთევზეთა დასახლება ხომ მუდმივი საფრთხის ქვეშ ცხოვრობდა. ამ ძველ უბანს სახელი შემორჩა ასეთი, თორემ, მეთევზეთა გარდა, დროთა განმავლობაში, კიდევ ბევრს დაედო ბინა კერძო, ერთმანეთზე მიჯრილ, თითქმის

ყავლგასულ სახლებში, რომელთა წინა რიგების აივნები ლამის წყალზე იყო გადაკიდული, რითაც ძლიერ ამაყოფინებენ.

მანქანის სალონში სამთა მდუმარება მეფობდა. ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც სიტყვებს შვების მოტანა არ შეეძლო. მანქანა ძაგძაგით მიარღვევდა სავალს, შიგ მჯდომნი, ჰაერის მაგიერ, თითქოს ტყვიასავით მძიმე დუმილს ისუნთქავდნენ.

ვიდრე გზა დასრულდებოდა, წვიმამ ოდნავ იკლო, თუმცე ქარი კვლავ გააგებით უბერავდა, ხმაურით უსხაპუნებდა ფანჯრებს იმის მომასწავებლად, რომ ერთხელეუ დაძრულ ზღვას ჯერ ვერაფერი შეაჩერებდა, ვიდრე ბოლომდე არ აჩვენებდა თავის განუზომელ, დაუმარცხებელ ძალას. თუმცე აქაურებისთვის უცხო როდი იყო ეს ძალა.

უცებ არჩილმა თქვა:

— ლოლას შინ დაეტოვებთ, მე ისევ უკან დავბრუნდები, მეთევზეთა დასახლებას შველა სჭირდება. — გადანყვეტილება მიღებული იყო, სხვა აზრისთვის ადგილი არ რჩებოდა.

ეს სწორედ რომ არჩილს ჰგავდა. თუმცე ლოლას არ სურდა, მეუღლე მარტო დაეტოვებინა შაკოს პირისპირ, მაგრამ ისიც იცოდა, ვერაფერს გაანყობდა.

იგი ჩამოსვეს სადარბაზოსთან, რომლის შესასვლელში მიმდგრებული ნათურის ათინათი ძლივს აღწევდა ცერად ჩამოდენილი წვიმის ბადეში. ჩქარი ნაბიჯით მიმავალი ქალი სადარბაზოსთან შედგა, მობრუნდა კიდევ მანქანის ფარების დამაბრმავებელი შუქისკენ, ხელისგულებით მოიჩრდილა სახე. შაკომ ჩააქრო ფარები, მაგრამ იმავე წუთში ისევ გატყორცნა კაშკაშა ჭავლი. ქალს ამ თამაშისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, მრუმი ლიობში შევიდა. შესცქეროდნენ იმ ლიობს, თითქოს თვალს ადევნებდნენ, ლოლა როგორ აივლიდა კიბეებს, როგორ გააღებდა ბინის კარს. იდგნენ იქამდე, ვიდრე მესამე სართულის ფანჯარაში შუქი ჩადგებოდა და არჩილი იტყოდა, წავიდეთო.

შაკო მანქანის დაძვრას არ ჩქარობდა. მიიხედა უკან, სადაც არჩილი იჯდა. სალონის სიბნელე შეათვალიერა. თითქოს სული ჩასდგომოდა სიბნელეს და შაკოს იგი მოკავშირედ გაეხადა.

„რალაცის თქმა სურს“. — გაიფიქრა არჩილმა. „შეურაცხყოფილი“. ასეთი კაცისთვის იოლი „გადასახარში“ როდი იყო უარი რომ აკადრა იარაღის ჩუქებაზე. ამ ამბავს კიდევ ექნებოდა გაგრძელება, თუ სერიოზული არა, რაიმე სახით მაინც. ამიტომ ეცადა, ფილოსოფიურად შეეხედა ყველაფრისთვის, ამაღლებულიყო იმწუთიერ ყოფაზე, რადგან ხვედრი ხვედრია, თუ ვერ შეცვლი, მასთან მშვიდობის დამყარებას მაინც უნდა ეცადო, აკონტროლო შესაძლებლობები, განგებამ შენში რომ ჩათესა, და არ დაივინყო, მიუხედავად საყოველთაო პროგრესისა, რომლის შვილებადაც სამართლიანად ვთვლით თავს, ბევრი მაინც არაფერი გვაქვს სატრახანო. ვინძლო, გვეწვევა ხოლმე ჟამი, დიდაც არ განვსხვავდებით იმ გულუბრყვილო ჰომონიდებისგან, ცხოვრების წესის გამო, ჩვენზე ახლოს რომ იდგნენ ბუნებასთან. ეს იყო მათი სასჯელიცა და საშველიც. სწორედ ამაში მდგომარეობდა მათი ძალა. ჰოდა, სტიქიასავით შეუვალი და მტკიცე ადამიანური გენი გვავალებს, არ დაგვკარგოთ სალად აზროვნების უნარი, რის გარეშეც მარცხები არ ავცდებთ. საერთოდ კი, ვინ იცის, რა ითვლება მარცხად, ან რას გვიმზადებს ბედი.

შაკო ზღვისკენ მიაგელვებს მანქანას, გააგებული მდე-ვარივით მიილტვის. მისნაირები წინ იმითომ ისწრაფვიან, რომ უკან გამარჯვებული დაბრუნდნენ. რომ გაიმარჯვო, ვილაც უთუოდ უნდა დამარცხდეს. ვის დაამარცხებს იგი, ამას ეს სიგიჟეშეპყრობილი, აზარტად ქცეული ღამე იტყვის, ღამე, ასერიგად რომ ნიბლავს უკვე არჩილს, კაცური ასპარეზის გამოწვევად ევლინება, რადგან საშუალებას აძლევს, მკაცრი გამოცდა მოუწყოს შინაგან წონასწორობაზე დანდობილ საკუთარ თავს, რომელშიც მართალი ადამიანი თავადვეა მსაჯულიცა და განსასჯელიც. ყველაფერი ერთიმეორეზეა გადაწულ-გადაჯაჭვული და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

შაკოს ჟინიანად იხმობს ზღვის დაუნდობელი სტიქიის ბოროტება, მთელი ძალით ეწევა ჯერაც შეუცნობი რეალობის სისასტიკე. ამაღამ ტოლს არ დაუდებს თანამგზავს, მასთან ერთად შეეხიდება ტრაგედიადამტყდარ დასახლებას, უკან არაფერზე დაიხვეს. მხოლოდ ამაზე უნდა იფიქროს, ამ ორ ადამიანს ესა აქვთ ახლა საერთო, რაშიც თანხმობას მიაღწევნენ. თორემ, თუ თავს არ მოიტყუებს, ახალგაცნობილი კაცი, ცოტა არ იყოს, აღიზიანებს ხაზგასმულ თვალმისაცემი თვითკმარობით. იმასაც კი ფიქრობს, არც მას ექნება გავლილი ია-ვარდით მოფენილი გზებით. მაგრამ ხედავს, აშკარად შეუთავსებლები არიან, მენტალობის ორ პოლუსზე მყოფნი, საიდანაც, უმეტესად, ჩვეულებრივი მტრობა იწყება. მათი ცხვრები ერთად ვერ მოძოვენ. ოლონდ არ სურს ამას ჩაულრმავდეს, არ სურს გაკვესოს ნაპერწკალი, ხანძრის დასანთებად საკმარისი რომ აღმოჩნდება. მით უმეტეს, გარემოება საუკეთესო საშუალებას იძლევა ვერაგი, გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის. საჩქარო არაფერია, ასეთი შანსი ყოველთვის იქნება, დრო თავად მოიტანს შედეგებს. საკმარისია თვალი უსწორო, და დრო იკისრებს შენს გასაკეთებელს.

ისინი არ ლაპარაკობენ. იქნებ თანამგზავს ვერ წარმოუდგენია, შაკოც ადამიანური რესურსის გასახარჯად რომ მიეშურება დასახლებისკენ, რადგან ეს მისი ქალაქია. უყვარს და ტკივა იგი. აქ სამუდამოდ ჩარჩა ბავშვობაში მოსმენილი შაშვის ცივი და მჭახე ხმა, შემდგომში მისი წარმატებების მამოძრავებელ ძალად რომ იქცა, მისი კაცური ღირსების ურყევ ლიბოდ. ამიტომაც მადლიერი იმ ჯიუტი, მოუღლეელი ფრინველის არცთუ საამო ხმებისა, რადგან მისითაა ის, რაც არის. დიდება!.. დიდება გამჩენს!..

გზად, სამკერვალო ფაბრიკის ყოფილი საერთო საცხოვრებლისთვის რომ უნდა ჩაეველოთ, შორიდანვე დაინახეს, ჩიხიდან შურდულივით ვილაც მოექანებოდა. შუა ქუჩაში დადგა მათ სავალზე, ხელები აღაპყრო და გაშმაგებით დაიწყო ყვირილი: გააჩერე! გააჩერე!

ვერ გააჩერეს რას იძახდა, მაგრამ მიხვდნენ, რალაც უჭირდა, მისი მცდელობა იმისკენ იყო მიმართული, რომ მანქანას სვლა შეეწყვიტა. ნელა მიუახლოვდნენ ღამეული მოჩვენებასავით გამოცხადებულს, ზედ ფეხებთან მიადგნენ. გოგო იყო, გალუმპული. ნახევრად შეშლილი სახე ძლივს მოუჩანდა ლოყებსა და ყელზე მიწეპილ სველ თმაში. გასაწერი ტანსაცმელი თხელ, ბავშვივით სუსტ ტანზე შემოგრეს-შემოკრობოდა. აწულ ორთავ ხელში თითო-თითო მოზრდილი რიყის ქვა მოემარჯვებინა. მანქანა დამუხრუჭდა თუ არა, წინა კარს მივარდა, მარჯვედ გახსნა და საჯ-

დომზე მოკალათდა. დამხვდურთ გამარჯვებული მზერა მოავლო, ქვები კალთაში ჩაიწყო, თმა ხელისგულებით ჩამოიწურა ყურებთან და ჩახლეჩილი ხმით თქვა:

— გაგიმართლდათ... რომ არ გაგჩერებინათ, ეს ქვები არ ავცდებოდათ. ნავიდეთ, რაღას უცდით, ცხრა ძმის ქუჩამდე გამოგყვებით, — მანქანა დაიძრა, მას კი არ შეუწყვეტია ლაპარაკი, — ორმა გაიარა, არ გამიჩერეს. ეს „ინომარკების“ პატრონები ასეთები არიან, ფეხზე ჰკიდიათ სხვები. ქვები ამიტომ მოვძებნე. აჰა, თქვენთან გაჭრა... თანაც იქ, სადაც მივდივარ, გამომადგება. ხალხი შეუბრალებელია. ჩემს წაყვანაზე თავი განა იმიტომ შეიკავეს, იგრძნეს, რა საქმეზეც მივდიოდი და მოერიდნენ, მკვლელობის თანამონაწილე არ გავხდეთო. არ ედარდები და მორჩა...

— რა მკვლელობის? — ისე იკითხა შაკომ, თითქოს სიცხიან ბავშვს უყვავებდეს.

— გილბერი უნდა მოვკლა. ამაღამ ჩემი წერა იქნება.

— გილბერი ვინაა? — შაკოს კვლავ არ შეუცვლია ხმის ტონი.

— ჩემი ქმარია. ჯვარი ჯერ არ დავვიწერია, მაგრამ უკვე ჩემი ქმარია. ახლახან შეგვისრულდა წლისთავი, რაც ერთად ვართ და წარმოიდგინეთ, უკვე მლაღატობს. თანაც არ გაინტერესებთ ვისთან? მანანალა ბოშასთან. ყველაფერი შევიტყვე. საცხოების უკანა ოთახში ჩუმ-ჩუმად ატარებენ ღამეებს.

— საცხოობი? რა საცხოობი?

— ჩიბურეკებს ვაცხოობთ და სანაპიროზე ვყიდით. ზუსტად ვიცი, ახლაც იქ არიან. ეს პირველად როდია... თქვენ ნურაფრის გეშინიათ, არაფერ შუაში იქნებით. მხოლოდ ადამიანურად დამეხმარეთ, როცა მანქანა გამიჩერეთ. მონაწილედ არ ჩაითვლებით. ჯერ ერთი, არ იცოდით ჩემი განზრახვის შესახებ, გარდა ამისა, შეგეძლოთ არც გაგჩერებინათ, როგორც ეს სხვებმა გააკეთეს.

— ჩვენ ქვების შეგვეშინდა, — გაიცინა შაკომ, — ისეთი იარაღი შეგიჩინეთ, რაღას გავანყობდით.

— თქვენ იხუმრეთ და ორივეს ამით დაუჩერებთ თავებს. — ეიფორია უფრო გაუძლიერდა, ლამის ისტერიკამდე. შურისძიების ჟინს ცეცხლს უნთებდა, რომ სულ სხვა კალაპოტისკენ გადაეყვანა და ამით გამართლება მოეძებნა სასტიკი გადანყვეტილებისთვის. — მოლაღატეს სიკვდილი ეკუთვნის. ვერ გაიგო ჩემი ფასი, იმიტომ, რომ ერთგულზე უწინამოდგენა არა აქვს. ჰოდა, რისი ღირსიცაა, იმას მიიღებს. ყოფას ვუტირებ, მერე იყიმაონ რამდენიც უნდათ. — მართლა ჰგავდა გამკეთებელს, თუ სიტყვებს ფუჭად ფლანგავდა, ვინ გაარკვევდა.

ცოტა ხნით იყუნა, მოითქვა სული, ჩაცხრა, თითქოს ოდნავი შვება ეწვია. ეგებ იმის გამო, რომ არ ტუქსავდნენ, თითოს არ უქნევდნენ, არ არიგებდნენ ჭკუას, უფრო მეტიც, გაცეცხვაც არ ემჩნეოდათ, ბოლომდე აძლევდნენ საშუალებას, მეტი და მეტი ეთქვა, დაეღერა ყველაფერი და განთავისუფლებულიყო მტანჯველი მძვინვარებისგან. ისიც არ ჩერდებოდა, კაცების დუმილი ეხმარებოდა, გაეგიჟებინა თავი, უფრო და უფრო დაექოქა ისედაც უკონტროლო ვნებები. ერთი გაელვება კი გაუელვა, ამ უცნობ ადამიანებს ხომ შეეძლოთ, როგორც ბოროტმოქმედი, სადაც საჭიროა, იქ ჩაეხარებინათ. რა იცის, ვინ არიან, იქნებ სულაც პოლიციელები? ამის გააზრებაზე შიში სულაც არ უგრძნია, მაგრამ მიხვდა, ნერვები დიდხანს ვერ გაუძლებდა და მხოლოდ

აქამდე ნათქვამით ვერ დაკმაყოფილებოდა. რაში ედარდებოდა, ვინც გინდა ყოფილიყვენ, რაც სჭირდა, ამაზე მეტი რაღა დაემართებოდა.

კვლავ დაიწყო, ოღონდ ჩახლეჩილ ხმას უკვე ისეთი ბზარი შეერია, ისეთი გულისაჩუყებასავით ცრემლნარევი ინტონაცია, კაცებს შეებრაღა სულელი, გზაბნეული ბავშვი. მეტადრე, როცა მან თქვა:

— მისი გულისთვის ყველაფერს ვაკეთებდი, აი, ტატუც დავინახე, — სველი ქვედაბოლო წამოინია და ბარძაყი გაიმიშვლა. თუმც ისინი ოდნავაც ვერ დააინტერესა საზარდულის სიმაღლიდან ლამის მუხლისთავამდე ამოტიფრული შავი ღრიანკალით, მაინც განაგრძო, — ახლა სილიკონის ჩასხმას ვაპირებდი მკერდში, ფულს ვაგროვებდი, ცოტალა მაკლდა. მინდოდა მოვწონებოდი, უჩემოდ სიცოცხლე არ შეძლებოდა. მან კი რა ქნა, გამყიდა!.. — შეწყვიტა ლაპარაკი, გული ამოუჯდა.

არჩილმა ხელი წინ გადაჰყო, თავზე გადაუსვა და დაუყვავა:

— ნუ ტირი. ყველაფერი კარგად იქნება. ბედნიერებისთვის უნდა იბრძოლო, ოღონდ ჭკვიანურად. არ გაბოროტდე, თორემ დამარცხდები.

მაგრამ გოგომ ბოლომდე გულამოსკვნით იზღუქუნა.

როცა მანქანის გაჩერება ითხოვა და გადავიდა, წვიმის საგრძნობლად ეკლო. ქარი ისევ ზუზუნებდა. უცქერდნენ, გოგოს თხელმა, საცოდავმა სილუეტმა აჩქარებით როგორ გადაუხვია პერპენდიკულარული ვიწრო ქუჩისკენ ისე, ერთხელაც არ მოუხედავს მათკენ. გზა განაგრძეს. შაკომ თქვა:

— ძალიან გაამწარა ვილაცამ. ვინ იცის, რას ჩაიდენს.

— ჰო, ეს თაობა სხვანაირია, უკომპლექსო, რადიკალური..

ასე ორიოდ ფრაზით დაკმაყოფილდნენ. მაშინვე დაივინყეს შემთხვევით გადაყრილი მგზავრი, ყოველ შემთხვევაში, აღარ უხსენებიათ.

მეთევზეთა დასახლებას რომ მიუახლოვდნენ და მანქანიდან გადავიდნენ, დამრეცი ქუჩის სიმაღლიდან დახედეს სანაპიროს. მიუხედავად სიბნელისა, ბევრ რამეს რომ ფარავდა, იქაურობა მაინც საშინელი სანახავი იყო. დასახლების პირველი რიგი ფაქტორად აღარ არსებობდა. გეგონებოდათ, შენობები ასანყოფი კუბიკებისგან ნაგები ბუტაფორიები ყოფილიყოს, ერთი მოსმით ჩაეფუშა ვილაცის ხელს. ახლა მომდევნო რიგებს ემუქრებოდა ტალღები. მათი სკდომის ზალპებში შერთული ადამიანთა სასონარკვეითი ხმები, სასწრაფო დახმარების სირენების კვილი თუ სანაძიროთა ბლუილი უბედურების ზარით მსჭვალავდა მსხვერპლმონყურებული ზღვის სიგაყით შეძრულ ღამეს.

აქედან ფეხით ჯობს შესვლაო, თქვა არჩილმა, აბა, ბედნიერადო. ჩამორთმევისას ზომავს მეტად მოუჭირა ხელი შაკოს ხელს, რითაც უნებლოდ, თანაც მტკიცეულად შეეხო მილიონერის უდრეკ პატივმოყვარეობას, მის იმპერიულ ყოვლისშემძლეობის უკიდევანობაში როგორღაც თავის უპირატესობას გაუსვა ხაზი, თითქოს აგრძნობინა, შენი მოქმედების ზონა დასრულდა, აქედან შავი სამუშაოა საკეთებელი, ჩემი ასპარეზი იწყებაო. სახალხო პრობლემები ბარიერს იქით მოაქცია, თითქოს აგრძნობინა, მას შენს ფუფუნებასთან საერთო არაფერი აქვსო. თან სიბნელეში ბუნ-

დოვნად გაარჩია შაკოს თვალები, შიგ შეურაცხყოფილის მალული ნაპერწკალი რომ უელავდა და მაინც ინარჩუნებდა იმ იერარქიული ამბიციის ყველაფერზე აღმატებულ სიმშვიდეს, ვერაგობამდე ძალზე მოკლე გზას რომ ჰგავდა.

„მგონი რალაცის თქმა სურს“. ამ საღამოს ეს უკვე მეორეჯერ გაიფიქრა არჩილმა. მაგრამ ის არაფერს ამბობდა. იდგა უსიტყვოდ და ისე უცქერდა, როგორც მიზანში ამოღებულ ნადირს. არჩილს ფიქრმა გაუელვა, მთელ ძალისხმევას ხარჯავს, იარაღს არ მიმართოსო. იცოდა, შაკოს უთუოდ უკან, ქამარში ექნებოდა იგი გაჩრილი და მის ხელს თავისკენ ექაჩებოდა მაცთუნებლად, თითქოს ანდამატი ყოფილიყო, ვერაგი ვნებით დამუხტული. მაგრამ ისიც იცოდა, ღამე, უზომო ტრაგიზმის შემცველი, გაჯერებული იდუმალი არამდგრადობითა და ბუნებრივი ქაოსით, ძალას უკარგავდა ყოველგვარ ადამიანურ ანგარიშსწორებას.

ისევ არჩილი ალაპარაკდა, სიტყვებს მოუხმო არაფრის-მაქნისი, ჭაობისებრი მდუმარების აღსაკვეთად.

— ნავედი, — თქვა მან, — იმედია, ზურგიდან არ მესვრით იმის გამო, თუ რამე განყენინეთ. — არ ენალვებოდა, გაფრთხილებად ჩაეთვლებოდა ეს, თუ უწყინარ ხუმრობად. მიბრუნდა, სირობითი გავარდა დასახლებისკენ. ვარბოდა მთელი ძალით, ზურგის ყოველი კუნთით შეიგრძნობდა გამოდევნებულ, წარმოსახვით ტყვიებს, რომლებიც შაკოს არ უსვრია, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მის ხელიდან უკვე მკვდრად ითვლებოდა. ეს ორივე იცოდა.

ერთხანს იდგა შაკო. გასცქეროდა სიბნელეს, სადაც არჩილი აღარ მოჩანდა, რაც აშკარად გვრიდა შვებას. იდგა გაურკვეველ, უცნაურ ნუთებში, საკუთარ თავთან ბრძოლის ალაგად რომ მოეგონა, არჩევანისთვის საბოლოო გადაწყვეტილების ბიძგის მიმცემად. მერე განუწული გოგოც გაახსენდა, შურისძიებისგან გონებაარეული, ერთდროულად შემზარავი და საცოდავიც. აღარ მიუხედავს მანქანისკენ, იმ ორსართულიანი ლუდის ბარის პირდაპირ რომ ეყენა, რომელიც სანაპიროზე ცნობილი ბუნგალოების მფლობელს ეკუთვნოდა. თითქოს დაივიწყა კიდეც აქვე, ორ ნაბიჯზე რომ ელოდა თავისი იისფერი „ტოიოტა“, რადგან ისეთმა გონებით აუხსნელმა ძალამ შეიპყრო, რისგან თავის დაღწევა, სხვა თუ არაფერი, აზრს მოკლებული ეჩვენა. იგი აიძულებდა, შეერთებოდა ტრაგედიის რეალური თანაზიარების განცდას, რაც მას ახლა ნაკლებად ეხებოდა, მაგრამ მაინც უჩენდა სურვილს, დაჰყოლოდა იდუმალის ძახილს, ეპიცენტრისკენ მხმობელს და აემუშავებინა პარადოქსის უცნაური ლოგიკა — სხვათა ვაგლახი ბედის რაც შეიძლება ახლოდან ხილვა-დაგემოვნებით, მეტად საიმედოდ დაშორებოდა ურჯუი ცხოვრების მღვრიე და მწკარტე ნაკადებს.

დაიძრა ნელა. მიჰყვა და მიჰყვა საკუთარ ნაბიჯებს პანიკამოცული ხალხის ფუთფუთით ავსებულ მეთევზეთა დასახლებაში ღრმად შესასვლელად, სადაც ადამიანების ევაკუაცია მიმდინარეობდა. გარბოდნენ ტალღებისგან გაჩენილ წყლის ტბორებში. ქაოსურად მოძრაობდნენ. ვინ საკაცეს ეზიდებოდა, ვინ გადასარჩენ მცირე-მცირე ტვირთს. მიაცილებდნენ ქალებსა და მოხუცებს, ისმოდა ბავშვთა ნიოკი. გნისასა და გოდებას აეკლო იქაურობა. გამწარებული გინება და ურვა იდგა. შაკომ დაინახა, ერთ-ერთი შენობის ფანჯრიდან ძლივსძლივობით გადმოჰყავდათ ვილაც. ერთ-

მა დაბლიდან მოხერხებულად დაახვედრა მხარი, მერე ზურგზე მოიკიდა და იქითკენ შეერთო ბინდს, საიდანაც სასწრაფო დახმარების სირენის წივილი მოდიოდა, როგორც სამშვიდობოს კოდირებული ხმა.

გაფაცვიცებით ადევნებდა თვალს, რაც იქ ხდებოდა. მალევე იაზრა, მოქმედება იყო საჭირო. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ კაფანდარა მამაკაცი დაეჯახა, კინალამ წააქცია. თვალი გააყოლა მას, ძლივს მიათრევდა ფეხებს. გულზე ჩვილი აეხუტებინა, რატომღაც ხმას რომ არ იღებდა, ან ეძინა, ან რალაც ცუდი სჭირდა.

შაკომ განაპირა მდგარი შენობისკენ გასწია, რომლის მეორე სართულზე შუქი მოჩანდა. სწორედ იმ შუქმა მიიზიდა. შიდა კიბით ზემოთ ავიდა იმ მიზნით, ეგებ ვინმე შველას საჭიროებსო. სახლი ირწეოდა, როგორც ძლიერი მინისძვრის დროს. მაინც მოიარა ოთახები, სათითაოდ ათვალიერა. რაკი დარწმუნდა, შინ არავინ დარჩენილიყო, გარდა პანია თეთრი კნუტისა, სამზარეულოს ფანჯრის რაფაზე რომ იჯდა, კუდი აებზიკა და გამწარებული კნაოდა. შეებრალა უპატრონოდ დარჩენილი ცხოველი. აიყვანა უმწეოდ და ციდა, მისმა ხელისგულმა რომ დაიტია. გასასვლელს დაუწყო ძებნა. დროზე უნდა გასულიყო აქედან. მიაგნო კიდეც შიდა ხის კიბე, საიდანაც ამოვიდა. იგი ახლა რწევისგან ჭრიჭინებდა. ის-ის იყო დაშვება დააპირა საფეხურებზე, რომ უცებ გაახსენდა, ოთახების დათვალიერებისას, რომელიღაცაში, კედელზე ძველი ბერდანკა ეკიდა. კედელი მექანიკურად დაიმახსოვრა თვალმა.

სასწრაფოდ გაბრუნდა უკან. ბიძგების გამო ჰამაკივით დარწმუნულ სახლში ის ოთახი მოძებნა. ავეჯის მიხედვით, მისაღები უნდა ყოფილიყო. იარაღი სწორედ რომ საპატიო ალაგას მოეთავსებინათ. მიუახლოვდა კედელს, ხელი გაიწვინა ბერდანკის ჩამოსახსნელად, ერთი სული ჰქონდა, ახლოს დაეთვალიერებინა. ჩამოხსნა და ცალი ხელით შეატრიალ-შემოატრიალა, რადგან მეორეში კნუტი ეჭირა. დააცქერდა ყურადღებით. ისეთი ძველისძველი ჩანდა, ფანგისგან შეჭმული, სული აღარ ედგა. უთუოდ ოჯახურ რელიკვიად ინახავდნენ. ახლობელივით გაუღიმა ყავლგასულს, თითქოს შეებრალა ეული და მოუვლელი. ამას თავისი ისტორია აქვსო, გაიფიქრა, თანაც, ვინ იცის, როგორი საინტერესო. სცადა, ისევ კედელზე მიეკიდა, მისთვის განკუთვნილ ლურსმანზე, მაგრამ ვერ მოახერხა. ბიძგი გამეორდა. ძლიერმა ტალღამ შენობას საბოლოოდ გამოაცალა საძირკველი. კედელმა თითქოს ფრთა გამოისხა და გაფრინდა. ირგვლივაც ყველაფერი დაიძრა, ერთიანი ზრიალით მოსწყდა ადგილს და დაშლილ-დანალიკებული გადაქანდა ზღვისკენ.

სადაც, წინისკენ, ჰაერში გახმიანებულმა კნუტის მწინვანა კნავილმა ამცნო შაკოს, რომ ველარაფერს გაანყობდა. ოჰ, როგორ ჰგავდა ყოველივე იმ სიზმრებს, რომელშიც შაკო დღემდე დაფრინავდა. ნებისმიერი საფრთხის გაჩენისას ახსენდებოდა, ფრენა შეუძლია, და მოჩა!.. იმდენად რეალური განცდა იყო, რომ გავლიძებულს ისღა აოცებდა, ცხადში რად ვერ ფლობდა ამ უნიკალურ ნიჭს. მაგრამ ეს არ იყო სიზმარი. ეს აღსასრული იყო. მცირედის გაფიქრებადა მოასწრო იმის შესახებ, ნუთუ ამას ერქვა სიკვდილი? მაშინ ის არც ისე ძნელი ყოფილაო.

საბედისწერო ღამე მწუხარებაში თენდებოდა, როცა არჩილმა შინამდე მიაღწია.

ცხრა ადამიანი იხსნა განსაცდელის-გან. გული წყდებოდა, რამდენს ვერ მი-ვუსწარიო. შაკოზე არაფერი იცოდა. რაც ერთმანეთს დასცილდნენ, შემდეგ აღარ უფიქრია მასზე.

დილით, როცა ლოლამ მაგიდაზე დი-დი ფინჯნით, ზედ მზესუმზირები რომ ეხატა, თავისი საყვარელი მწვანე ჩაი და-უდგა, ქალაქის რადიომ სამწუხარო ამ-ბავი აუნყა მსმენელს: შაკოს ცხედარი ღამის სტიქიის მხვერპლთა შორის აღმო-ეჩინათ ნანგრევებში. ამ ცნობამ ცოლ-ქმარი შეძრა. დაუჯერებლად ეჩვენათ, ვერაფრით წარმოიდგინეს, როგორ შეიძ-ლებოდა ეს მომხდარიყო.

კიდევ ბევრ უბედურებაზე იუნყებო-და რადიო, მათ შორის, ცხრა ძმის ქუჩა-ზე მომხდარ სასტიკ მკვლელობაზე. ვი-ლაცას ორი მძინარე ახალგაზრდისთვის ლოგინში დაუჩეჩქავს თავები. მკვლე-ლის ვინაობა ცნობილი არ არის, დამნა-შავე იძებნებაო.

არჩილს გააჟრჟოლა. ამას შაკოს ამ-ბავზე ნაკლებად არ დაუზაფრავს. მთლად გაქვავდა.

ცოტაოდენი ხნის შემდეგ სახეგა-ფითრებულმა ლოლამ დუმლიად ქცეულ ქმარს შაკოზე რომ ჰკითხა, მაინც რა და-ასკენი, რა კაცი იყო? არჩილი მწარედ ჩაფიქრდა. მციერ პაუზის შემდეგ კი, ხმადაბლა, თითქოს მხოლოდ საკუთარ თავს ესაუბრებო, თან ოდნავ შეფარუ-ლი კმაყოფილებითაც, რათა ლაპარაკის საშუალება მიეცა და დროებით მაინც მოახერხებდა საშინელი ინფორმაციის ელდისგან გარიდებას, ესაოდა წინასწარ გამზადებული პასუხით შეაგება:

— სტრადივარიუსი ფუტლარში, რო-მელზეც ვერ დაუკრავ, რაგინდ ვირტუო-ზიც იყო. ძვირადღირებული სტრადივა-რიუსი. მისი გასაღები არ არსებობს.

აბა, ვინ იტყოდა, ამას უკვე მიცვალე-ბულზე ლაპარაკობსო? მან უნადილოდ მოსვა გაცივებული ჩაი.

ყველაფერი სავე მთვარეზე ნანახ ღამის კოშმარულ სიზმარს ჰგავდა. რა-ტომლაც გაახსენდა, შაკოს კოლექციას მუშკეტი აკლდა და გაუკვირდა. სწორედ ის მუშკეტი, რომელმაც სახელგანთქმუ-ლი იაპონელი სამურაების მახვილის არ-სებობას წერტილი დაუსვა.

„ბოლოს, იქნებ, ის არ უნდა მეთქვა, ზურგიდან სროლის შესახებო“, — გაი-ფიქრა დანანებით. გულში კი მაინც სჯეროდა, სიტყვებმა თავისი საქმე გაა-კეთა.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ერთგულ მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს მე-20 ნომერში გამოქვეყნებული **ჯუმბერ ჯიშკარიანის** წერილი „**ოთხმოცდაცამეტი წელი საქართველოზე ფიქრით**“. წერილი გამოირჩეოდა დასმული საკითხის აქტუა-ლობითა და სიმძაფრით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დას-ტამბული, ბრწყინვალე ილუსტრაციებით დამზენებული წიგნი „მსოფლიოს ხალხები“. წიგნი ზოგი რამ საკამათოა, რაც გააპროტესტა ვაშინგტონში მცხოვრებმა უხუცესმა ემიგრანტმა **პეტრე ხვედელიძემ**. მისი სახელი ბევრი რამის მთქმელია საქართველოს-თვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გავეცანით პეტრე ხვედელიძის პირად მიმონე-რას **ლევან ზურაბიშვილთან**, რომელიც შეკრიბა და გამოსცა **ციცინო ჯერვალიძემ**.

ბატონ პეტრეს საგანგებოდ გამოუწერია წიგნი „მსოფლიოს ხალხები“ და, რო-გორც მოსალოდნელი იყო, ეძებდა ინფორმაციას საქართველოს შესახებ. ადვილი წარმოსადგენია ის აღშფოთება, რომელიც დაეუფლა მსოფლიო ემიგრანტს, როცა დარწმუნდა, რომ წიგნი მისი სამშობლოს შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. თითქოს საქართველო არც არსებულა! — ამბობს შორეულ ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი თანა-მემამულე. გეოგრაფიული საზოგადოებისთვის პროტესტის ნიშნად წიგნი უკან მი-უბრუნებია და რედაქტორთან შეხვედრაც მოუთხოვია, მაგრამ დამემალაო.

წიგნი ხალხები დაჯგუფებულია დიდი რეგიონების მიხედვით: აფრიკა, ახლო აღ-მოსავლეთი, ოკეანეთი, ევროპა, ჩრდილო ამერიკა, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა. კავკასიის რეგიონში შევიდნენ სომხები, აზერბაიჯანელები, ჩეჩნები და ინგუშები. რა პრინციპით, როგორ შეირჩა ეს სუბიექტები? ვინ და როგორ ჩაერია ამ შერჩევაში და რატომ დაიბეჭდა ამ წიგნი ეს „უხამსობა“, როგორც მას პეტრე ხვედელიძე უწოდებს, ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ შეიკრიბნენ 2011 წლის 16 დეკემბერს **ალექსანდ-რე ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში**.

საზოგადოების პრეზიდენტი **რევაზ გაჩეჩილაძე**: „მსოფლიოს ხალხები“ არის წიგნი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის კულტურის, ყოფის შესახებ. ჩვენდა სამწუხაროდ (და არა ვასაკვირად) კავკასიაში გამოტოვებულია ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ისტო-რიისა და დიდი კულტურის შემქმნელი ერი — ქართველები. კავკასიის მცხოვრები ეთნო-სი მეტად სუბიექტურად არის შერჩეული. გაუგებარია, რატომ, რა მიზეზით თუ მიზნით ვერ მოხვდნენ ასეთ სოლიდურ გამოცემაში ქართველები და საქართველო.

ჯუმბერ ჯიშკარიანმა ჯერ „ჩვენი მწერლობაში“ გამოქვეყნებული სტატია შეახ-სენა მსმენელს. შემდეგ კი: ამერიკაში არის საელჩო, საკონსულო, სათვისტომო, მაგ-რამ ამ ლაფსუსისთვის ყურადღება არავის მიუქცევია ბატონი პეტრეს გარდა. მან თავის მოვალეობად ჩათვალა, რომ ეს ინფორმაცია ჩვენამდე მოსულიყო, თორემ დღემდე არაფერი გვეცოდინებოდა ამის შესახებ.

დარბაზში შეკრებილი დაინტერესდნენ თუ რის ვაკეთებას აპირებს საქართვე-ლოს გეოგრაფიული საზოგადოება და შესაძლებელია თუ არა მომავალში მაინც მსგავსი შეცდომის თავიდან აცილება. აღმოჩნდა რომ დაგეგმილია წიგნის გამომცე-მელ „National Geographic“-ისთვის თხოვნით მიმართვა, რომ წიგნის ხელმოწერედ გამო-ცემის შემთხვევაში ხარვეზი აუცილებლად აღმოიფხვრას.

აკაკი ხიდაშელის თქმით, ეს შესწორება აუცილებლად უნდა მოხდეს იურიდიუ-ლად სწორად წარმართული პროცედურით. **გიორგი მელუამ** აღნიშნა, რომ არც ამ წიგნის და არც სხვა გამოცემებში ნებით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომებისა და უზუსტობების აღმოჩენა არ უნდა იყოს დამოკიდებული ცალკეულ პიროვნებებზე. ამ-ჟამად ვაგვიმართლა, რომ ამერიკის კულტურულ ცხოვრებას ჯერ კიდევ ფზიზლად ადევნებს თვალს პეტრე ხვედელიძე. მაგრამ საქართველოში უნდა არსებობდეს საგან-გებო სამსახური, რომელსაც არ უნდა გამოეპაროს არცერთი მსგავსი შემთხვევა.

თეიმურაზ ლლონტაძე, გვანჯი მანიაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი და **რევაზ შა-ლიბაშვილი** აღნიშნეს, რომ ზოგადად ქართულ კულტურას არ იცნობს მსოფლიო. ბატონმა გვანჯიმ გამოთქვა აზრი, რომ დაინეროს და რამდენიმე საერთაშორისო ენაზე ითარგმნოს კვალიფიციური წერილი საქართველოს შესახებ და გამოქვეყნდეს მსოფლიოს გავლენიან გამოცემებში. ბატონი რევაზმა კი შემოიტანა წინადადება, დაინეროს რამდენიმეგვერდიანი საინფორმაციო სტატია საქართველოს შესახებ, რომელსაც მივანოდებთ National Geographic-ს და სხვა გამომცემლობებს, რომ შემდეგ-ში მაინც აღარ მოუვიდეთ ასეთი შეცდომები.

დასასრულ ბატონი რევაზ გაჩეჩილაძე დაპირდა მსმენელს, რომ გარდა წერილისა და შეხმიანებისა, ის აგრეთვე შესთავაზებს მსოფლიო გეოგრაფიულ საზოგადოებას, რომ გამოგზავნონ საქართველოში თავიანთი ექსპედიცია, რომელსაც საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება უმასპინძლებს და ყოველმხრივ შეუწყობს ხელს, რათა სრულად გაეცნონ ჩვენს კულტურას, მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია მათთვის სა-ინტერესო საკითხების შესახებ და შესაფერისადაც ასახონ თავიანთ ჟურნალში.

თეიმურაზ ჯანელიძე



ეთერ თათარაიძე

ჩეჩნურ- ინგუშური რკეულიდან

რას ამბობ, ქალავ,
ვაჟკაცებ იყვნეს...
ანა

* * *

ძუბიბინა' ჯორით
ცხრაციხეთ ძირ სათიბეს
მოღვლიდ ნაცვეთ მარჯილით
მოლა მინდვრის ქათიბებს.
ყელაღერილ ჯეილებ,
ტალავარზე ყანიმებ,
პირმოთხუნულ, თმახეშემ,
ფეჭშიშველა' ყმანვილებ.
ზარებშებმულ ფურები-დ
ფერდზე ნარომ ქარ-წვიმებ,
ცაში სივილ სვავების
ცას მწვდარ ციხის არწივებ.
ლეგ-ლუგა' ქისტურა' ცხვრით
ბანნ ჩანეულნ, ქავნ-მძიმენ,
ცოცხებნარომ ეზონი-დ
ეზოს მბრუნავ თვალმთხილებ.
სამარეებ სიბუქა'ნ,
ირიბაა'დ გათხრილებ,
ვინრო ქისტურა' ქუდით
სტუმრის წინათ თავხრილებ,
სამტრო გამონრეტილი-დ
სამძოთ ამსულ ბარძიმებ.

* * *

თახტა-თახტად ჩადისავ
გზაივ ქისტეთისაკევ, — ოსე პაპამ იცოდის.
იქაურა' კაცურა' სიტყვების ამოთქმად-დ
წამლერება იცოდის.
იქაურ ნამობისად ძმისიც მჯობივ, —
იცოდის.
იქაურ თავხრილ ქალთზე წელებწენლნივ, —
იცოდის.
იქაურ მოხუცებზე თვალეზმთხილნივ, —
იცოდის.
ერთგულებას ერთგულნივ, თავმნაცვლელნივ, —
იცოდის.

ლხინში ციზდ ქუდებმწვედენნივ, განალაღნივ, —
იცოდის.
ორგულობის არმრჩენნივ, — კაცურ ფიცილ
იცოდის.
ჭირიზდ რკინისდრად მხვედრნივ, გუ'ტეხელნივ —
იცოდის...
კიდე კაი რო არ მე'სწვრვ მაგათ სისხლის
წვიმასა-დ
მტრიზგან გამეტებას.
ოსე პაპის სულ, ვიც-ვიც, თახტა-თახტად
ჩავიდოდ
საქვეყნო სამძიმრის თქმად
თვალცრემლიან ქისტეთ...

* * *

ეეე, რამდენა რამე იყვ ჩვენი-დ ქისტეთის შუა,
ოჯანშიაც ვიჩხუბებთ, მემრ ვლრიგდებთ, ვინდობთ,
გადავ-გადმოვდიოდენთ ერთმანეთში წინავედ
სიმთხილე კი გვინდოდ.
ერთმანეთს თვალთ ვშჭამდეთ,
ეჭვ თან გვდევდ, გულს გვიდნობდ.
თუკი მოგენდობოდა-დ თუკი დაგიერთგულებდ,
ძმის უმტკიცეს გიძმობდ.
თუ მტრად მოგეკიდებოდ, ცეცხლუქრობელ ისრითა-დ
შხამ-სამსალით გიმტრობდ.
თუ მოკეთედ, — ხო გითხარ, —
ბადაგზე უფრ გიტკმობდ...
მაგათზე ძვირ არ ითქმებ,
ჩვენ რჯულ აქვის ნალოცი-დ
კარს ჩვენ უფალ იწმობდ!

* * *

მთის წვერ გაჩინდებოდის
ჩალა ცხენის თამაშით
ლეგ-ლუგ ქისტურ ჩოჭიან.
თავა წელში გუ'დრეკელმ,
ლაშქაფიანმ თამაშით
ფერდ ჩამი'ლის ფოხვიან.

სოფლის პირ შედოდგოვდის,
ჩოჭის კალთა'ნ გი'სწორის,
მინა თხარის ფლოქვიანმ.
ისარსავით გადმე'შჭვის,
თვალისფერ ცისას ჯობდის,
წვრილ წელს ქამარ ტოტიან.

მზის სითბო გამინირის,
მოსულ მალევე წავიდის,
დამრჩის ლოდინ ცოფიან.
რჯულ ვერ გავტეხ, თვარამ...

* * *

კიდე რა' გითხრ ქისტებზე? —
ჰო, გაბურნ რო განყვიტეს,
სამსამნ ლალატ ბევრობით.

სამ ძმისა ერთია' ძე დარჩა-დ
ბაღის დედისძმებთ ქისტებს რო აჯობინეს
შორს გახედვა, მჭებრობით.

გაბურების ერთადერთ ძუძუს ანასხლეტარა'
ქისტეთ დედას გა'ყოლეს, — ეს ერთ გაბურ გადარშჩავე,
მომიკალთავ, — მხვეწრობით,

უხუცესნ ისხდეს ფეხონს
განაცვეთარ ამბების
გაწსენება — მგებრობით.

წევსურის ქალს შეხედეს
თვალეზ ნერილად მოჭუტულთ,
წელ-მწარ ნაყართ ცხედრობით.

სამ ქისტის დი'აც გაჩინდ,
წევსურ დედის დაგებულ ბიჭა' ნამი'ტაცესად
გადა'ფარეს მდედრობით.

ის ბიჭა' უკვე ჭაბუკ
შინ მი'ყვანესა-დ სოფელს
ჩა'ბარეს წმა შეწყობილთ.

ამას თმის ლოლ გაზძვრებავე,
ვინმე ბუზეს უ'ფრენსაო-დ
მოლაღატის მარჯვენა ჩვენ ციხეთად შეწმობილ...
ბევრილ ცხვა საარაკო ამბებს ჩადიოდეს...

* * *

ცხრა ქისტის ბიჭ დავითვალ...
ბაღებს პატარებ მყვანდეს
ინგუშეთით არხოტისკ მთებში ჩაკარგულეზ.

შემხვედრნ ვიყვენთ ერთკვადიზდ,
ორთავ თვალეზით ვჭამეთ
ეჭვებითად სიმთხილით მაინც დანამლულეზთ.

მივესალმენთა-დ ვუთხარ:
ჩემ ბერდედის ძმებ ხართავ...
ცხრათავ ქუდებ მი'ცქლითეს: „დაოვ“! —
ცხრათავ ამოთქვეს მუწლისკვრებზე დაცემულთ,
„დაოვ“! — დათაფლულეზთ.

ეე, რა ბედნიერ დღე იყვ,
სუ იმ ბიჭებზე ვფიქრობ,
არიანად კია?

* * *

ჩემ მამამ სიყვარულით,
გვერდზე თავგაბრუნებით
ქისტურ ქავ-ქავ იცოდის.

მოგვიდიოდიან სუ
პანკისითა ალვანში,
თუნდ რომც ითოს.

გულალალად სიცილით ი'მათთან
შელამებამდ წმადბაღ საობრებით
სულ-გულ იფონის.

თუჯის სანყლია' ჭურჭლიზდ
ქისტ ბერდედისძმათ წსოვნიზდ
თავხრა იცოდის.

ჩემ მამამ სიყვარულით,
გვერდზე თავგადაგებებით
ნიადად ქნა იცოდის...

* * *

გტკიოდათა-დ უჰ, რა მაგრ
ურჩენულად მტკიოდ,
ცეცხლს გიდეზდესთ, გენიას,
ცისპირშეძვრამდ ვკიოდ.

თვალს ცრემლში აბრუნებდეთ,
მდულარე ცრემლ მდიოდ,
ჩემ სისხლში შენარეველ
უჟამხანიეროდ მყოფ
უცვეთელად ყიოდ.

გეტკივებათ, მეტკივებ,
მოგირჩებათ — მომირჩებ...
ყორანთ გადა'ქვ წიოკ.

* * *

— ულალოა' ადგილი,
შრომა ულბად საღება',
ვერცა სასუქმ გა'მდიდრ.

— ეტყობის, მტრის ძვალ-მალიი
მაგ ყანის ძირ ნაგებარ,
მით მინას აქვ გაქირ.

— ადექი-დ ცხვაკ გა'ვლ ურნატ,
ეგ ყანა მომხვედურთ სულს დუ'თმ,
მტრის გულ მინას გა'კვირ.

— აგრ ვიზამ, აგრ, დედისძმავ,
ალალ იყოს, რა'ილ ვქნე,
არნადინს აქვ ნანირთ...

* * *

— ჰაბა, მიაბ, ჩემ ბებო,
ლეგა ქისტურ ჩოწისაჲ,
უდუმლად სოფელ მოსრულ
შენ თვალთვალად მყოფისაჲ.

ვერავის ვერ გაგებაჲ
უკვენ ჩოქვა-ჩოქვისაჲ,
ამინდის არ-დარევით
მუწლთ მინაშველ ჯოხისაჲ.

პოეზია

შენ გულ ბაგ-ბიგით მდგანდგარ,
თვალ განაყოლ შლოქვისაა...

— აუ, დაჩუმდ, მიყვარდა-დ
შემსმელ ვიყავ ცოფისაჲ,
რჯულ შევინახე-დ ი'ს დავსთმ,
დამეშინ ქნაჲ ცოდვისაჲ...

* * *
ჰო, ჩეჩნებზე გიაბობდ,
რა'გვერ თამაშობენ,
მწრებ ქორებულ წაღებულნ
მოდგმით ამაყობენ.

ერთკვადს ზედ არ ხედავენ
ერთურთს განაყოლენ,
ცას თავზე ჩამინგრევენ,
ჟრიატობენ ყორენ.

მწრებ ქორებულ განაშალნ,
ცით ჳმათ ანაყოლენ,
ქალიზდ მითომ არც რაივ
შორიახლოს მყოლენ.

წელში გადადრეცილებ
ნაოცნებარ მყოლენ,
ფეჭთ ცერებით ცეცხლმგზეებ
მოდგმით ამაყობენ.

* * *

ქისტ ჳელოსან აგებდავ
ლებაისკრის ციხესავ,
ქვის სულ-გულის მცნობარივ.

ანაჩქარალ საქმისა
ზედ არ გადამხედველივ,
გამოხედვით მგმობარივ.

ერთხენ ციხის შენებას
მიმწუხრის ხანზე იყოვ
კედელს მინაყრდნობალივ.

ოჰ, ძალიან დავშვერივ, —
ციხისკ მალვით გი'ხედავ
სისვ თვალებით მტკმობარით.

დღეს სამ ქვა დავამატევ,
ციხე სამ ქვით მეტ იქნავ,
ლარ-ლარს ანაწყობარივ.

კვერცხის გულით აგებდავ,
ბენვგანყვეტით, ლარ-ლარით,
ერთგულ საქმის მწმობარივ...

მაგარ ქისტ იყვ, მაგარ!..

პირველი შთაბეჭდილება

თუშეთიდან დანახული კავკასია

ეს ჩეჩურ-ინგუშური რკალი იმ ახალი ნაკადის გაგრძე-
ლებაა ეთერ თათარაიდის პოეზიაში, რომელიც ძალდაუტა-
ნებლად უნდა მოჰყოლოდა დაღესტნურ რეეულს და ახალ-
ახალ რკალებსაც უნდა ველოდეთ, რათა შეივსოს კავკასიუ-
რი ციკლი იმ შთამბეჭდაობითა და ექსპრესიით, რაც ნიშან-
დობლივია იმ მხატვრული სამყაროსათვის, ეთერ თათარაიძე
რომ ქმნის უკვე რამდენიმე ათეული წელია და ასერიგად
ალამაზებს ქართული მწერლობის მდინარეებს.

თუშური ყოფითი ენა, თავისი ტალანტის წყალობით, მან
აქცია ლიტერატურულ მოვლენად და წარმოაჩინა ამ დია-
ლექტის მომხიბვლელობა და სიღრმე. ამასთან, ყოფითი საგ-
ნები წარმოსახა და აამეტყველა იმ ორიგინალური კუთხით,
თავისთავად რომ მოხდა მათი განზოგადება და ამაღლება და
სულ სხვა რაკურსით ამიტომაც გადაიშალნენ ჩვენს წინაშე.

თითქოს მორის მეტერლინიკის „ლურჯი ფრინველის“
მხატვრულ გარემოში ვიმყოფებოდეთ, ჯადოქრის მიერ ბავშ-
ვებისათვის სულიერი თვალის ახელის შემდეგ ყოფითი საგ-
ნები ზღაპრული იერით რომ შემომოსნენ და პერსონაჟებადაც
მოგვევლინნენ.

ასეთ პერსონაჟებადაც გარდაიქმნება ხოლმე მისი ლირი-
კული გმირი, რამდენიმესახოვანი, მისი ყველა წახნაგი ერთ-
ნაირად რომ შეძრავს მკითხველის ფანტაზიას.

თუშეთიდან დანახული საქართველო ის სივრცე გახდა,
რომელიც აუცილებლად უნდა შევსებულიყო თუშეთიდან
დანახული კავკასიითაც... და აგერ ამის მოწმენი ვხდებით.

ეთერ თათარაიძე ამ მხრივ აგრძელებს იმ გზას, რომელიც
აღბეჭდილია ალექსანდრე ყაზბეგის (პროზაში) და ვაჟა-ფშა-
ველას, ანა კალანდაძისა და გაბრიელ ჯაბუშანურის (პოეზი-
აში) სახელებით და, მათებური რწმენით აღვსილს, ეიმედება
საქართველოს ძლიერი სახელმწიფო ძლიერ და მთლიან კავ-
კასიურ გარემოცვაში, ყველა კუთხე-კუნჭული თავთავის
ტრადიციულ ნიშნებს რომ შეინარჩუნებს, მაგრამ, ამასთან,
აღვსილი იქნება საერთო სულისკვეთებით — დამოუკიდებე-
ლი კავკასია შეუვალი ყოველგვარი ძალმომრეობისათვის.

ოცნება იმისაა, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა
აცხადდეს.

ეთერ თათარაიდის ოცნებათა ერთი რკალი, მძაფრი დრამა-
ტიზმით განმსჭვალული და მონადინე როგორც თანამედროვე,
ისე ისტორიული სურათების აღდგენა-შემონახვისა, აქაა თავ-
მოყრილი, კიდევ ერთხელ რომ გავგახედებს დიდი სივრცეები-
საკენ თუშური, ქართული, კავკასიური სამზერვიდან.

საბა სულხანიშვილი



არის ამ ახალგაზრდა შემოქმედში რაღაც ისეთი, რაც ნდობით განგანწყობს. სხვათა შორის, სანდოობასაც აქვს ხარისხი, სიმალლე, სიმტკიცე.

გვანცა ჯობავა საკმაოდ უშუალო და თავისუფალია საიმისოდ, რომ ბოლომდე ვენდოთ მის სიტყვას, ბგერას, პათოსს. ამას ხელს უწყობს გამოხატვის დიალოგური სტილი. შეიძლება ითქვას, რომ მისთვის დიალოგი არის სამყაროსთან ურთიერთობის მთავარი ფორმა, არსებობის შინაარსი, სიცოცხლის მოტივი. დიალოგი მსუბუქი იუმორისა და მკრთალი ირონიის თანხლებით. თუმცა ეს მაინც გარეგნული შთაბეჭდილებაა. შინაარსს რაც შეეხება, ეს არის გარეფორმის ბუნებრივი გაგრძელება, რომელშიც ყურადღებას იქცევს სოციალური და ეთიკური მოტივების მკაფიო რეპრეზენტაციები.

გარდა ამისა, მას შეუძლია ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი მხატვრულ ელემენტად აქციოს. კომპოზიციის გრძნობა აქვს გამახვილებული. აქვს ქმნადობის თავისებური უნარი, რომელიც აერთიანებს თემატურ სტრუქტურის აგების თეორიულ და პრაქტიკულ შესაძლებლობებს. მკაფიოდ ხედავს იდეასაც და იმ საგანსაც, რომელიც იდეის განსხეულებაში ესმარება. ამიტომაც მისი ლექსის აზრობრივი სტრუქტურა არის უბრალო, მსუბუქი, ექსტენსიური. ლირიული გმირის შინაგანი ხმა ისე წარმოშობს განწყობილებებს, როგორც წყალში ჩაგდებული ქვა კონცენტრიკულ წრეებს. გვანცა ჯობავა — საინტერესო შემოქმედი საიმედო პერსპექტივით.

გვანცა ჯობავა

ბიმ, ღმერთი თუ შეგპინდლოს!..

ბიმ, დღეს მარტო ვარ
და ორი ჭიქა მარტინი მაქვს დალეული.
გუშინაც მარტო ვიყავი,
იმის წინაც,
უფრო სწორად, აღარც კი მახსოვს,
როდის არ ვიყავი ასე უყველაფროდ.
ბიმ, დღეს მარტო ვარ
და საღამოს ცოტა ვიმღერე, ვიცეკვე კიდევც,
მგონი “ბითლზის” სიმღერა იყო.
იმ ხუთ წუთს ძალიან მოუხდა, მერე გავეჩრდი.
დიდხანს ვარჩევდი
გონებაში ვისთვის მინდოდა მიმენერა...
ვერ გავიხსენე.
ბიმ, მეგობრები ჩემს წერილებს აღარ პასუხობენ.
თუმცა შენ კი რაღას შემოგჩვილე,
თითქოს შენ იყო ხმის ამომღები.
მეგობრებმა თავის გზა იპოვეს,
მე კი ალბათ კიდევ დიდხანს ვიდგები
გზაჯვარედინზე იმის ფიქრში,
საით წავიდე.
ბიმ, შენ მაინც დამინდე,
მითხარი, რომ სხვა თუ არაფერი,
ის მაინც შემიძლია, რომ ვიყო წვიმა
და ეს ყველაფერია...
ეს ერთადერთია,
რაც ბავშვობიდან შემომრჩა,
დანარჩენი წლებანდელმა ხანძარმა
ბოლომდე გაანადგურა.
ბიმ, ჩემი შეყვარებულებიც აღარ არიან,
ისინი მე მივატოვე,
მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცოდი,
ხვალ მაინც თვითონ მიმატოვებდნენ.
ამიტომაც ხუთოსანი მოსწავლესავით ამოვიჩიქე,
რომ ყოველთვის პირველი ვიყო.
არადა, სიმართლე გითხრა, მენატრებიან

ჩემი შეყვარებულები,
მათ კი ალბათ აღარც ვახსოვარ.
ბიმ, ეს ცხოვრება ხომ უაზრობაა,
და როცა მარტო ხარ, ათასგზის უფრო...
მაგრამ რა ვუყოთ,
უნდა დავუთმოთ,
ცხოვრება ვარო და ჩვენზე მბრძანებლობს.
ზოგჯერ ვამბობ,
რომ არ მეშინია ცხოვრების და
რომ ცხოვრებას უნდა ეშინოდეს ჩემი.
ასე ვიტყუებ ხოლმე
ისედაც მრავალგზის მოტყუებულ თავს.
სასაცილოა, არა?
ვიცი, რომ შენც გეცინება, მეც...
მეცინება, იმიტომ, რომ მერე მივიღივარ სახლში
და ბალიშის ქვეშ დიდხანს ვქვითინებ,
და მარტო შენ ხედავ, როგორ მეშინია ცხოვრების.
ბიმ, მხოლოდ შენ იცი, რომ ბოლო ხანია
თითქმის აღარ მძინავს,
დედა კი ამბობს, რომ როცა მძინავს,
მაშინაც მძინარე განწირულ ტირილს ვინყებ,
ბოლო ხანია ბავშვობის შიშებიც ისევ შემომიჩნდნენ,
ისევ ვერ ვუძლებ უფრო სიბნელეს,
დედა კი ამბობს, რომ უკვე დიდი ვარ
და აღარ შეიძლება.
ბიმ, მე მტკივა, რომ მარტო ვარ,
რომ მეგობრები ჩემს წერილებს აღარ პასუხობენ,
რომ შეყვარებულებმაც მაშინვე მიმატოვეს,
როგორც კი მე გავქექცი.

ბიმ, შეუნდობს ღმერთი ცოდვილ ადამიანს,
რომელმაც იცის, რომ მისი ტკივილები არ არის
სხვებზე უარესი და მაინც ჯიუტად სტკივა?
ბიმ, შეუნდობს ღმერთი ცოდვილ ადამიანს,
რომელსაც უკრძალავს ტირილს “არაფერზე”
და ის მაინც ჯიუტად ტირის?
ბიმ, ალბათ ღმერთი თუ შეუნდობს
ცოდვილ ადამიანს,
მხოლოდ მან იცის,
როგორი უგუნურია იგი!..

კაბადოკია, იკლარას ხეობა

აქ, ათასობით კილომეტრის მოშორებით,
 აქ, სადაც დაიბადნენ წმინდა ნინო და წმინდა გიორგი,
 აქ, სადაც აღარავინ ანთებს სანთელს ბიზანტიურ
 ფრესკებთან,
 აქ, სადაც მოლას ნამაზი მალევიძებს ყოველ დილით
 და დღეში რამდენჯერმე თავს მახსენებს,
 აქ, მინაზე, რომელსაც მსოფლიოს მერვე საოცრებას
 ეძახიან,
 აქ, სადაც მუსლიმანები მეარშიყებიან მე, ქრისტიანს,
 აქ, სადაც ერთი უბრალო ტურისტი ვარ უცხო მინაზე,
 აქ, სადაც ვრწმუნდები, რომ სადაც არ უნდა ნახვიდე,
 ყველგან ერთი ზეცა გხვდება.
 აქ, სადაც ადამიანები გამოქვაბულებში იკეთებენ ბუდეს,
 და მე ეს მომწონს,
 აქ, ჩადრიანი ქალების გარემოცვაში,
 რომლებიც მდინარის პირას ღიად კოცნიან მამაკაცებს,
 ვზივარ იმავე მდინარესთან ვინმე ტურისტი მოკლე
 შორტებში,
 წყალში ფეხებს ვატყაპუნებ და ვფიქრობ შენზე, რომელსაც
 ისიც კი არ გიფიქრია, გეთქვა ჩემთვის სიტყვა “მიყვარხარ”,
 და მე კი მეშინია იმის, რომ ალბათ ვაშავებ შენს წინაშე,
 რადგან ჩემი სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში
 ცხოვრობს ტურისტი, რომელიც ჩუმიად მითვალთვალებს,
 თითქოს და “შემთხვევით” გამეცნო და მას შემდეგ
 “შემთხვევით” გადავეყრებით ხოლმე ერთმანეთს,
 “შემთხვევით” ვსაუბრობთ “შემთხვევით” თემებზე,
 და შემდეგ “შემთხვევით” ვშორდებით.
 აქ, ათასობით კილომეტრის მოშორებით, სადაც
 ძალიან მინდა

გლალატობდე და ვერაფრით გლალატობ,
 აქ, სადაც თავშიშველი ქალი უკვე “გარყვნილია”,
 უცნაურად მიყურებენ ჩადრიანი ქალები.

მე და ჩემი მეზობელი

რაც შენ ნახვედი,
 სრულიად მარტო ვარ.
 სულაც არ შემრცხვება,
 თუკი დღეს ამას გაიგებ.
 ზოგჯერ თუ ვწერ
 და ზოგჯერ თუ ვცოცხლობ,
 და ახლა უფრო ხშირად ვფიქრობ
 ჩემს მეზობელზე მეზობელ სახლში,
 რადგან
 მინაზე ჰაერი უფრო ცოტაა, ვიდრე გვჭირდება,
 არ გვყოფნის მე და ჩემს მეზობელს
 და ვტაცებთ ერთმანეთს ნაპოვნი ძვალვით,
 ამიტომ არ გვიყვარს ერთმანეთი.
 სითბო მინაზე უფრო ცოტაა,
 ვიდრე გვჭირდება,
 არ გვყოფნის მე და ჩემს მეზობელს
 და ამას ერთმანეთს ვაბრალებთ,
 ამიტომ არ გვიყვარს ერთმანეთი.

ფული მინაზე ცოტა კი არა,
 თითქოს საერთოდ არცაა,
 ვქექავთ ერთმანეთის ჯიბეებს
 მე და ჩემი მეზობელი, მაგრამ ამაოდ,
 ამიტომ არ გვიყვარს ერთმანეთი.
 მეგობარი მინაზე ჩამოტარებითაა,
 და ვეჯიბრებით ერთმანეთს
 მე და ჩემი მეზობელი,
 ვინ უფრო დიდხანს შეინარჩუნებს,
 და ვინ უფრო მეტს, ვეჯიბრებით და
 ამიტომ არ გვიყვარს ერთმანეთი.
 დიდების ტახტრევანს ამაოდ მივათრევთ
 მწვერვალისკენ მე და ჩემი მეზობელი,
 გვავინყდება, რომ დიდებას თავად
 აჰყავს ადამიანი ხელში ატატებული
 და არა პირიქით,
 ჩვენ კი ერთმანეთის ტახტრევანებს
 მივჩერებივართ და სულ უფრო მეტად
 არ გვიყვარს ერთმანეთი.
 სისხამ დილით საკუთარი ხელით
 ვანყობთ ლამაზ თაიგულებს
 საკუთარ კართან მე და ჩემი მეზობელი,
 და ერთმანეთს ვაჯერებთ,
 როგორ ვუყვარვართ ჩვენს შეყვარებულებს,
 ყოველ საღამოს კი ამაოდ დავყურებთ
 ჩამქრალ ტელეფონებს, რომლებიც
 არასდროს რეკავენ, და არ გვიყვარს
 ერთმანეთი,
 რადგან ორივემ ვიცით, როგორ ვატყუებთ
 საკუთარ თავებს და ერთმანეთს კი — ვერა.
 ყოველ საღამოს ვანთებთ სანთელს
 მე და ჩემი მეზობელი, ვდგებით ხატებთან და
 ლოცვას ვკითხულობთ, მაგრამ უფალმა იცის,
 როგორ არ გვიყვარს ერთმანეთი
 და არ სჯერა ჩვენი ლოცვის.
 მაგრამ მაინც ბოლომდე გვისმენს
 და მაინც ბოლომდე ვუყვარვართ,
 რადგან იცის, ეს რომ არა,
 დავდგებით მე და ჩემი მეზობელი,
 ეს ორი უგუნური არსება, ხიდის მოაჯირთან,
 ერთმანეთის ჯიბრით გადავხტებით
 და ბოლო უგუნურ სიტყვასაც დავტოვებთ:
 ღმერთო, რისთვის?!
 რაც შენ ნახვედი, სრულიად მარტო ვარ
 და ღმერთმა კი იცის,
 მას შემდეგ როგორ ვცდილობ, არ გავიხედო
 ჩემი მეზობლისკენ,
 რომ არ მოუნდეს მაჩვენოს,
 როგორი ხალხმრავალია მისი სახლი.
 და როცა უბრალოდ ვაქრობ სინათლეს,
 და ვწვები,
 მჯერა, რომ ისიც აქრობს სინათლეს
 და წვება,
 და მაშინ ორივე ვხვდებით, რომ
 როდესაც ერთმანეთი ასე არ გვიყვარს,
 არავინაა ჩვენზე უბედური დედამინაზე...

გამომცემლობა „ინტელექტმა“ კიდევ ერთი ნობელის პრემიის ლაურეატი გამოსცა (საგამომცემლო პროექტის ავტორია კახ-მეგ კუდავა). ამჯერად ქართველმა მკითხველმა მიიღო დიდი რუსი მეოცე საუკუნელების მიხეილ შოლოხოვის თავისებური რჩეული, რომელშიც შესულია „წყნარი დონის“ (თინათინ ჯავახიშვილის თარგმანი) — ცხოვრების ამ „დიდი მდინარის“ მხოლოდ ერთი მთავარი ტოტი — აქსინიასა და გრიგორის სიყვარულის ამბავი და „ბედი კაცისა“ (რევაზ ინანიშვილის თარგმანი). წიგნი გამოცემულია გურამ გოგიაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

გურამ გოგიაშვილი

შოლოხოვი ჭაშნიკად

ანუ
წყნარი დონი მწერლის სიტყვაში
მეფოთვარე ცხოვრების
მდინარედ აქცია

ამთავითვე ვიტყვი, რომ „ინტელექტმა“ სრულად გაამართლა თავისი სახელწოდება. ბევრ, ძალიან ბევრ „გონებასამხედველებელ“ საქმეს დაადგა თავი, რომელთა შორის უწინარესად მაინც „განობელიანებულ“ მსოფლიო მწერალთა უმთავრესი თხზულებების გამოცემა უნდა დავასახელოთ. ეს უმთავრესად ერთგვარ ჭაშნიკად შერჩეული ნიგნებია, თანაც ბოლო ას ათი წლის მთელ სიგრძეზე რაც კი ამ ყოვლის უფრო სახელიანი მსოფლიო პრემიით აღნიშნულა შედეგთა აკადემიის მიერ. თვითონ ლაურეატთა „რჩეულების“ გარდა, ამჟამად ხელთა გვაქვს (უკვე თითქმის მთლიანად) ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მიღებისას ლაურეატ მწერალთა მიერ წაკითხული ლექციები, რაც, ჩემი აზრით, უაღრესად მრავლისაღმტკმელი მოვლენაა ჩვენს ამჟამინდელ კარგა გვარისად შეფერთხილ საზაროვნო სინამდვილეში (ამ მხრივ, ალბათ, სულზე მოგვივსნრებს და დიდად წაგვადგება, თუ „ინტელექტი“ მეცნიერთა სანობელო ლექციებსაც გაგვიქართულებს).

სწორედ ამ სერიით, ნობელის პრემიის ლაურეატთა სერიით, გამოვიდა ამჯერად მიხეილ შოლოხოვის ეს თავისებური „რჩეულიც“...

1901 წელს დაარსებული „ნობელი“ „წყნარი დონის“ ავტორს 1965 წელს მიენიჭა. ისე მოხდა, რომ მე უშუალოდ შევესწარი იმ წინა დროს, როცა „წყნარი დონის“ ავტორის „განობელიანება“ უკვე „სახელმწიფოებრივ დონეზე იყო გადაწყვეტილი“ და მხოლოდ „ზოგი რამ ზუსტდებოდა“. ეს „ზოგი რამ“ კი ისევ და ისევ შოლოხოვის ავტორობის საკითხი იყო, ძველისძველი და უკვე ყავლგასული, მაგრამ მავანთათვის, როგორც იტყვიან, მოსვენების დამკარგველი და თანაც ერთგვარი იარაღი, რომ შედეგთა აკადემია დაეჭვებინათ მიხეილ შოლოხოვის ავტორობის უტყუარობაში.

ერთ-ერთი რუსეთიდან გადახვეწილი ვინმე ისრაელელი ავტორის ფანტაზია იქამდეც კი მივიდა, რომ მიხეილ შოლოხოვის ყველა თხზულება („წყნარი დონიც“, „გატეხილი ყამირიც“, „ბედი კაცისაც“ და „ისინი სამშობლოსთვის იბრძოდნენ“, რომელიც უკვე მეორე მსოფლიო ომის მერეა შექმნილი) მეორე დიდი რუსი მწერლის ანდრეი პლატონოვის ნაღვანად გამოაცხადა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეთვალყურეობით წერდაო. ეს ავი ლეგენდა დიდ-

ხანს სდევდა „წყნარი დონის“ ავტორს, მაგრამ როგორც ყველა ტყუილი, ეს ლეგენდაც მოკლედფეხება გამოდგა...

ბარემ აქვე გავიხსენებ ერთ უცნობ ამბავსაც. საქართველოში მიხეილ შოლოხოვის სტუმრობის შემდეგ (1961 წ.) ისე მოხდა, რომ მწერლის უფროსი ქალიშვილის სვეტლანას მეუღლე, სამხედრო პირი (მგონი, ადმირლობა აქ მიიღო) თბილისში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში აღმოჩნდა. თვითონ სვეტლანამ ჟურნალ „ომიეპოტიუპნთჰ ბპუზმჰ“-ში დაიწყო მუშაობა. როგორც ძველი ნაცნობები, ხშირად ვხვდებოდით. ჩვენი საუბრის თემა, რასაკვირველია, უმეტესად მიხეილ შოლოხოვი იყო.

ჩემი მაშინდელი ჩანაწერების მიხედვით, როგორც თვითონ მწერლის ქალიშვილი მიაბობდა, შოლოხოვი გვარად თითქოს სულაც შოლოხოვი არ იყო (1913 წლამდე ის დედის გვარზე, კუზნეცოვად იწერებოდა, რადგან იგი ქორწინების გარეშე ეყოლა უკრაინელ კაზაკ ქალს მდიდარი ვაჭრის შვილისგან და მხოლოდ რვა წლისა იმვილა ის შემქმნელმა მამამ — ალექსანდრე შოლოხოვმა), რაც შეეხება ნაწარმოებებს, იმჟამინდელი ჭორის თანახმად, თითქოს თვითონ მიხეილ შოლოხოვი კი არ წერდა, არამედ სრულიად სხვა, ერთგვარად შეშლილი მწერალი, რომელიც შოლოხოვს ვითომ თავისი სახლის სარდაფში ჰყავდა დამწყვეული და ყველაფერს იმას აწერინებდა.

ამას ჩემი შურიანი თანამოკალმენი იგონებენო, მეტყოდა ხოლმე მამაჩემი, ამბობდა სვეტლანა. პირველი კომისია, რომელმაც „წყნარი დონის“ ავტორის ნამდვილობა დაადასტურა, ჯერ კიდევ 1929 წელს თვითონ სტალინის წინადადებით შეიქმნა და ლენინის და მარიამ ულიანოვა ჩაუყენა სათავეშიო. სტალინის რატომღაც მოსწონდა, რომ მამაჩემი ალაღად და გულღიად აკრიტიკებდა ხოლმეო. ერთხელ პირდაპირ უკითხავს: ნუთუ არ მოგბეზრდა, რომ ყველა კედელზე შენი სახელი წერია, ჰაერშიც შენი სახელი გაისმის და ჟურნალ-გაზეთებს ხომ ნუ იტყვიო. სტალინს ამის პასუხად უთქვამს: ადამიანს, და მეტადრე რუს ადამიანს, კერპი სჭირდებაო, რომელსაც ენდობა და რომელსაც სალოცავად გაიხდისო. რას ვიზამთ, ამ შემთხვევაში ასეთი კერპი სტალინიო. თავის მართალ აზრს მამაჩემს ვერაფერ შეაცვლევინებდაო, განაგრძობდა სვეტლანა. ერთხელ სტალინსა და გორკის ერთად შეხვედრია შოლოხოვი. სიტყვა კორნილოვზე ჩამოვარდნილა, სტალინს საყვედური უთქვამს: „რა ამბავია, რა გმირად გამოგყავთ კორნილოვი?“ კი არ გამომყავს, ნამდვილად გმირი იყოო, მიუგია შოლოხოვს, პატიოსანი, მამაცი და ნიჭიერი მხედართმთავარი იყოო. ერთხელ, 1938 წელს, მწერალი თავის დაპატიმრებულ დონელ კაზაკებს გამოსარჩლებია, თავს მოვიჭრი, ეგენი თუ ალაღმართლები არ იყვნენო, უთქვამს სტალინისთვის. „თქვენს თავს ძალიან იაფად ხომ არ აფასებთო?“ ხელი მხარზე დაუკრავს სტალინს. საერთოდ, ზოგიერთების აზრით, სტალინს შოლოხოვი ღირსეულ მწერლად

მიანდა და კეთილი თვალთ უცქეროდაო, ხოლო მეორენი ფიქრობდნენ, რომ შოლოხოვი სტალინის თავისებური აგენტი იყო მწერალთა წრეშიო, მეუბნებოდა „წყნარი დონის“ ავტორის ქალიშვილი.

მერეც, როცა შოლოხოვისთვის ნობელის პრემიის მინიჭების საკითხი დადგა, ანტიშოლოხოველები ერთხელ კიდევ აფუთფუთდნენ, რომელთა შორის, სამწუხაროდ, იყო **ალექსანდრე სოლჟენიცინიც**. მწერლის სახელის გასატეხ ნერილებს ნერილებზე სწერდნენ შვედეთის აკადემიას, რომელმაც მაშინ საგანგებო კომისია შექმნა საკითხის საბოლოო შესწავლისა და ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

* * *

ორი ქართველი ჟურნალისტი პირველად რომ ჩავედით სტანცა ვეშენსკაიაში (1958 წლის ივნისში), ჯერ კიდევ მაშინ დაგვხვდნენ იქ შვედეთის აკადემიის წარმომადგენლები, შოლოხოვის შვედურ, ნორვეგიულ, დანიურ ენებზე მთარგმნელები, ლიტერატურათმცოდნეები, ასევე იყო 1961 წელსაც მაშინ უკვე როგორც მოპატიუენი ისე ვენციეთ მწერალს და, წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, აკი ჩამოვიყვანეთ კიდევ საქართველოში. ეს დაუვინყარი სტუმრობა მთელი ერთი კვირა გაგრძელდა. ჩვენც თითქმის ერთი კვირა ვიყავით ვეშენსკაიაში. როსტოვიდან ერთად გავფრინდით. სანამ მე გავხდებოდე თქვენი სტუმარი, ჯერ თქვენ მესტუმრეთო.

უფრო მზრუნველი მასპინძელი არც მანამ შემხვედრია და არც იმის მერე. ხუტორის სასტუმროში არ გავგაჩერა, დონის პირას თავის დიდ თეთრ სახლში დაგვიდო ბინა. სადილად და ვახშმად ჩვენთვის ფრანგული ღვინოები გამოჰქონდა, თვითონ ჩვენს ჩატანულ წინანდალს შეექცეოდა. მე თავადი ჩოლოყაშვილი ვარო, შოლოხოვი კი არა, ჩოლოყაშვილიო, და უკვე შეღვინიანებული ბარათაშვილს გაიხსენებდა: „**ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს და არა ამ ქვეყნიერს, საიყრმიდან ვეტრფოდი. და ახლა, როს სისხლი მაქვს გაციებული. ვფიცავ მე, არ ვეტრფოი აროდეს ფერსა სხვას**“.

ერთხელაც ორნაირი სასმისები გამოიტანა. დიდები და პატარები. რომლებით ვსვათო. პატარებითო, ჩვენ ვუთხარით. ეს ქართველები რა ხართო... და ერთი ძველი ამბავი მოაყოლა. ოცდაცხრამეტი სტალინი და მე ერთად აგვიჩიეს აკადემიაშიო. იმხანად მოსკოვში ვიყავი, მეტროპოლში გავჩერდიო. დამირეკეს და სტალინს შემაერთესო. სტალინიმა თავისთან აგარაკზე მიმიწვია, მანქანა მოგაკითხავსო. უკვე აკადემიკოსი კი ვიყავი, მაგრამ, ალბათ, დავიბენი, ბავშვივით ვკითხე, იქნებ მანქანის ნომერი მითხრათ-მეთქი. მაგას ნუ დარდობთ, თვითონ მოგნახავენო, მგონი, ჩაცივებულმა მითხრა ყურმილში, და ტელეფონი გაითიშა. უკვე აგარაკზე, როგორც ახლა მე, იმანაც დიდი და პატარა სასმისები დააწყო მაგიდაზე (ყველაფერი წინასწარ იყო შემოტანილი და თვითონ ტრიალებდა) და მკითხა, დიდებითა ვსვათ თუ პატარებითო, ჩემდა უნებურად, დიდებით აჯობებს-მეთქი, ვუპასუხე. არაო, პატარებით ვსვათ და უფრო დიდხანს ვისხდეთო. აი, ხომ ხედავთ, მე შემეშალა აკადემიკოს კაცს და თქვენ კი არაო... სწორედ იმ საღამოს თვითონაც მიჩრია და მეც პირობა მივეცი, რომ საქართველოში აუცილებლად ჩამოვიდოდიო...

მერე უკვე ვეშენსკაიადან როსტოვში რომ გადმოფრინდით, საქართველოსკენ მომავალნი, როსტოვის საოლქო კო-

მიტეტიდან საგანგებოდ გამოგზავნილი მავანი მალაჩინოსანი მოვიდა და სთხოვა შოლოხოვს, **ხრუშჩოვს** დეპეშა გაუგზავნეთ, მესამე გმირობა მიულოცეთო. ცოტა შექეფიანებულმა შოლოხოვმა არც აცხელა და არც აცივა და კაზაკურად მიახალა, სამგზის ბრიყვი გამიგონია, მაგრამ სამგზის ნიკიტას გმირობა არა მსმენიაო (ამ დროს ცნობილ მოქანდაკეს **ნეიზვესტნის** უკვე მოხსენიებული ჰყავდა ხრუშჩოვი როგორც დემონური უკულტურობის ნიმუში)... და ფერიფურდაკარგული მალაჩინოსანი თითქოს მინამ ჩაყლაპა.

საქართველოში მეორედ ჩამოსვლისას შოლოხოვმა არც ბრუქნევი დაინდო, უკვე ნობელის პრემიის ლაურეატმა სასტიკი დეპეშა გაუგზავნა თბილისიდან ქვეყნის მეთაურს და ჩეხოსლოვაკიაში ჯარის შეყვანა ძალიან არ მოუნონა. მსოფლიოს თვალში თავი მოვიჭერთო. მახსოვს, ამ თავის მოჭრასთან დაკავშირებით, მერე იხუმრა კიდევ, თავის მოჭრა მხოლოდ იმით შეუძლიათ, ვისაც თავი აბიაო... ისიც მახსოვს, როგორ შეუტია ჩვენს რუს მეორე მდივანს, რომელმაც რუსთავის ნახვა შესთავაზა, ნამდვილი ინტერნაციონალური ქალაქიაო. მე აქ ინტერნაციონალიზმის სახანჯავად კი არა, კახეთისა და ვარძიის დასათვალისებლად ვარ ჩამოსულიო, მათრახივით გადაუჭრა სიტყვა, როგორც თვითონვე უწოდა, რუს მეფის ნაცვალს.

* * *

ამ ზოგიერთ ერთგვარად მწვავე დეტალს იმიტომ ვიხსენებ, რომ ქართველ მკითხველს, ამ შემთხვევაში ქართულად გადმოცემული შოლოხოვის მკითხველს, სწორი შთაბეჭდილება შეექმნას მწერლის პიროვნებაზე, რომლისთვისაც ყოველგვარი სიმართლის თქმა, ჩანს, თანდაყოლილი თვისება იყო და, ვფიქრობ, უწინარესად დიახაც ამ მუდმივმა სიმართლის თქმამ გაამარჯვებინა როგორც მწერალს.

ანდა განა ცოტას ნიშნავს მწერლის ის ადამიანური გამბედაობა, რაც მან ქართველთა მოძულე ხრუშჩოვის მხრიდან ეგრეთ წოდებული პიროვნების კულტის მძვინვარე კრიტიკის ხანაში გამოიჩინა. ჯერ იყო და ერთ-ერთ დიდ თავყრილობაზე, რომელსაც თვითონ ხრუშჩოვიც ესწრებოდა, ხმამალა განაცხადა, დიახ კულტი იყო, მაგრამ, ზოგიერთისგან განსხვავებით, პიროვნებაც იყოო. მერე ახლა თურმე ოფიციალურად უშლიდნენ საქართველოში სტუმრობას, თუმცა არ დაიშალა და მაინც ჩამოვიდა. თანაც საგანგებოდ ეწვია გორს და იქ ასევე საგანგებო რამ ჩანანერი დატოვა, როგორც თვითონ ამბობდა, ერთ-ერთი „ყველაზე უფრო დიდი მეოცნესაუკუნელის პატარა მამაპაპურ ქოხში“. ასევე საგანგებო სტრიქონები დატოვა წინანდალშიც, რომელსაც „რუს-ქართველთა დამოყვრების წმინდა ადგილად“ მოიხსენიებდა.

დღესაც თვალწინ მიდგას კახეთში, მდინარე ინზობის პირას, გაშლილი სუფრა, სადაც მან ბევრს იქ მყოფს „დააღებინა პირი“ საქართველოს წარსულისა და ქართული კულტურის ღრმა ცოდნით... აქ განსაკუთრებით უნდა ითქვას **ვაჟა-ფშაველას** მიმართ შოლოხოვის დამოკიდებულებაზე. საცა სამართალია, ამ ბუმბერაზ ქართველს ინგლისელ **კიპლინგთან** და ინდოელ **თაგორთან** ერთად უნდა მიეღო ნობელიო. მართალია, კანონი არ ითვალისწინებს გარდაცვლილთათვის ამ პრემიის მინიჭებას, მაგრამ მე მაინც შევეცდები, რომ შვედეთის აკადემია ამ საკითხზე დავაფიქროო. ვაჟა-ფშაველა უბრალოდ ქართული სინამდვილის უცოდნელობის გამო

„გამორჩეული ნობელიანტი“. 1962 წელს ვაჟას ასი წლის- თავის აღსანიშნავ საღამოს „წყნარი დონის“ ავტორი ვემენ- სკაიადან შეეხმიანა და ერთხელ კიდევ გამოხატა თავისი გულწრფელი აღფრთოვანება „ქართველი ჰომეროსის მსოფ- ლიო მნიშვნელობის შემოქმედებით“.

ეს ყველაფერი კი უფრო იმიტომ გავიხსენე, რომ ქართ- ველი მკითხველისთვის მეგრძნობინებინა ის სიყვარულია- ნი პატივისცემა, რასაც ეს დონელი კაზაკი, ეს დიდი რუსი კაცი მარტო საქართველოში ყოფნისას მასპინძელთა გუ- ლის მოსაგებად კი არა, ყველგან და ყოველთვის ყველას გასაგო- ნად აღიარებდა.

დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შეამჩნევს, რომ თვითონ „წყნარ დონშიც“ არაერთი ქარ- თული დეტალია (ხან ქართულ სიმღერაზეა ლაპარაკი, ხანაც ესა თუ ის ქართული გვარი გაი- ელვებს). როცა კი მამაც ადამია- ნებზე ლაპარაკობდა, ვისაც კი ამქვეყნად სამართლიანობის- თვის უბრძოლია, შოლოხოვი მუ- დამ გამოყოფდა **ვასილ კიკვი- ძეს**, რომელიც დონელ კაზაკთ ძმად ჰყავდათ შეფიცული.

* * *

ნობელის პრემია მიხეილ შო- ლოხოვმა, რასაკვირველია, უნი- ნარესად „წყნარი დონისთვის“ მიიღო და ნობელის კომიტეტმა აგრე განსაზღვრა მწერლისთვის პრემიის მინიჭების არსი: რუსე- თისთვის გარდატეხის ხანაში დონელ კაზაკთა ცხოვრების ამ- სახველი რომანის მხატვრული ძალისა და ეპიკური სიფართო- ვისათვის.

თუკი შეიძლება რომ ბუნება- ში წყალდიდობის მსგავსად ნიჭ- დიდობაც არსებობდეს, სწორე- დაც ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე მიხეილ შოლოხოვის შემთხვევაში. ჩემი თვალთახედვით მსოფლიოში მწერლობა არ იცნობს მეორე ისეთ მწერალს, პროზაიკოსს ვგულისხ- მობ, რომელსაც თავისი ყოვლისმომცველი უზარმაზარი ეპოპეის ოთხი წიგნიდან პირველი ორი წიგნი 22 წლისას შე- ექმნას, ორივე ერთად თითქმის ორმოცდაათი თაბახი, და წიგნიც არის წიგნიც. „წყნარ დონს“ უკვე 1930 წელსვე წითე- ლი „ილიადა“ უწოდეს საფრანგეთში. ამ დონელი ახალგაზრ- და მწერლის სახელი უმალ მთელმა მსოფლიომ გაიცნო... და ის ბოროტი ჭორიც მაშინ იშვა, აგრე ყმანვილკაცი ამხელა ლიტერატურულ სიდიდეს ვერ შექმნიდაო, უთუოდ სხვისას მიაგნო სადმე და მიითვისაო... მეორე წიგნს არცთუ მალე მე- სამე და მეოთხე მოჰყვა და მთლიანად „წყნარი დონი“, ანუ ოთხივე წიგნი, ერთად უკვე 1939 წელს გამოიცა.

ზოგიერთის აზრით, ამ უზარმაზარ ეპოპეას, უაღრესად პოეტურს, ერთგვარ საფუძვლად სრულიად ჭაბუკი მწერ-



გურამ გოგიაშვილი სტუმრად მიხეილ შოლოხოვთან სტანიცა ვემენსკაია. 1961 წლის ივნისი. ოთარ არბოელიძის ფოტო.

ლის „დონური მოთხრობები“ უდევს, თუმცა თვითონ შო- ლოხოვი წერდა, რომ „დონური მოთხრობების“ წარმოდგე- ნა „წყნარი დონის“ წინარე ისტორიად მხოლოდ იმას შეუძ- ლია, ვისაც დღე და ღამე ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიაო, რაც სრული სიმართლეა. არადა უკვე „დონურ მოთხრო- ბებში“ დაჩნდა მთელი სიმწვავით ერთ-ერთი ეპიკური თე- მა, ჯერ კიდევ კლასიკური მწერლობის მიერ წამოჭრილი, ანუ ადამიანის დამოკიდებულება საკუთრების მიმართ, და მწერლის თვალს მერე უკვე აღარ გამოჰპარვია, თუ რა გავ- ლენას ახდენს ეს დამოკიდებუ- ლება ადამიანის ხასიათსა და ფსიქოლოგიაზე...

„წყნარ დონს“ მიხეილ შოლო- ხოვი თხუთმეტ წელიწადს წერ- და. 1914-1921 წლების ორ ომსა და რევოლუციას, ანუ მეოცე სა- უკუნის ამ უაღრესად მშფოთვა- რე დროს აღვიქვამთ ადამიანთა ხასიათების ნიაღ.

ამ შემთხვევაში, ალბათ, აჯო- ბებს თავად მწერალს მოვუსმი- ნოთ. ის ჯერ კიდევ ოცდაათი წლისაც არ იყო, როცა 1934 წელს „წყნარი დონის“ პირველი წიგნე- ბის ინგლისურ გამოცემას მან ფართო მკითხველისთვის ნაკლე- ბად ცნობილი წინასიტყვაობა დაურთო, სადაც მთელი გულახ- დილობით წერდა:

„ინგლისელ მკითხველებს. მიხარია, ჩემი რომანი „წყნა- რი დონი“ ინგლისელმა მკითხ- ველმა და პრესამ გულთბილად რომ მიიღო, განსაკუთრებით იმიტომ მიხარია, რომ ინგლისი უდიდესი მწერლების სამშობ- ლოა, იმათი სამშობლო, ვინც მსოფლიო კულტურის საგან- ძურში მრავალი განძი შეიტანა და უკვდავი შემოქმედებით ხელი შეუწყო ინგლისელი მკითხველის

გემოვნების დახვეწას.

მე როგორღაც მაკრთობს ის გარემოება, რომ ინგლისში ჩემი რომანი „ეგზოტიკურ ნაწარმოებად“ მიიჩნიეს. ბედნი- ერი ვიქნებოდი, ევროპელთათვის უცხო დონელ კაზაკთა ცხოვრების აღწერის მიღმა ინგლისელი მკითხველი სხვა რამესაც თუ გაარჩევდა: იმ კოლოსალურ გარდაქმნებს ადამიანის ფსიქოლოგიაში, ყოფა-ცხოვრებასა და სიცოცხ- ლეში, რაც ომისა და რევოლუციის შედეგად მოხდა.

ჩემი ამოცანაა არა მარტო ვაჩვენო დონელი მოსახლე- ობის სხვადასხვა სოციალური ფენა ორი ომისა და რევო- ლუციის მანძილზე, არა მარტო ავსახო 1914-1921 წლებში მომხდარი ქარიშხლიანი მოვლენების მორევში ჩათრეულ ცალკეულ ადამიანთა ბედი, არამედ ის ხალხიც ვაჩვენო, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი მშენებ- ლობის ფერხულში ჩაება. სწორედ ამ ამოცანას ეძღვნება ჩემი უკანასკნელი წიგნიც „გატეხილი ყამირი“.

დასასრულ, მინდა შემდეგი ვითხრათ: ინგლისური პრესის გამომხატურებაში ხშირად წამიკითხავს საყვედური სინამდვილის „მკაცრი“ ჩვენების გამო. ზოგიერთი კრიტიკოსი კი საერთოდ „რუსულ ზნე-ჩვეულებათა სისასტიკეს“ ახსენებდა.

რაც შეეხება პირველ მოსაზრებას, ვფიქრობ, საერთოდ ვერ ივარგებდა ის მწერალი, რომელიც ალამაზებს სინამდვილეს უშუალოდ სიმართლის საზიანოდ და ინდობს მკითხველის მგრძობელობას მასთან შეგუების ყალბი სურვილით. ჩემი წიგნი არ ეკუთვნის იმ წიგნებს, მკითხველი ნასადილევს რომ წაიკითხავს და რომელთა ერთადერთი ამოცანაა — ხელი შეუწყონ საჭმლის მშვიდობიან მოწოდებას.

რუსების ზნე-ჩვეულებათა სისასტიკე კი, ვგონებ, არ უნდა აჭარბებდეს ნებისმიერი სხვა ერისას... და იქნებ უფრო სასტიკნი და არაადამიანურები იყვნენ ის კულტურული ერები, 1918-1920 წლებში თავიანთ ჯარებს რომ გზავნიდნენ ჩემი ტანჯული სამშობლოს წინააღმდეგ და იბრალთ ცდილობდნენ, რომ თავს მოეხვიათ რუსი ხალხისთვის თავიანთი ნებასურვილი!

მ. შოლოხოვი

სტანცია ვეშენსკაია, 1934 წლის 10 ივნისი“.

„წყნარი დონის“ ამ ერთ-ერთი პირველი უცხოური გამოცემიდან ოცდათერთმეტი წლის შემდეგ, 1965 წლის 10 დეკემბერს მიხეილ შოლოხოვი უკვე სტოკჰოლმშია და შვედეთის მეფე გუსტავ VI ადოლფი ნობელის პრემიის ლაურეატის დიპლომსა და ოქროს მედალს გადასცემს.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, შოლოხოვისთვის ნობელის მინიჭების თაობაზე მოძრაობა ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაიწყო თვითონ დასავლეთის მწერლებმა, რასაც არც სსრ კავშირის ხელმძღვანელობა არ ეწინააღმდეგებოდა (შოლოხოვი მაინცდამაინც არ სწყალობდა ბრეჟნევის, რომელიც ყველანაირად ცდილობდა „წყნარი დონის“ ავტორის გულის მოგებას). ამ მოძრაობას თავკაცობდა ცნობილი ინგლისელი მწერალი ლორდი სნოუ, რომელიც ვეშენსკაიაში ჩვენი ყოფნის დროსაც იქ დაგვხვდა (ორივეჯერ) და რომელსაც მიაჩნდა, რომ „შოლოხოვი დიდი მწერალია, და ის არაჩვეულებრივად ამდიდრებს ჩვენს ცხოვრებას...“ ხოლო ფრანგმა **ჟან-პოლ სარტრმა** 1964 წელს უარი განაცხადა ნობელის მიღებაზე იმ საბაბით, რომ სანამ ამ პრემიის ლაურეატი არ გახდებოდა მიხეილ შოლოხოვი, ის ნობელის პრემიას არ მიიღებდა (სარტრმა ეს სიტყვები, სხვათა შორის, 1969 წელს თბილისში სტუმრობისასაც თქვა ჩვენთან საუბარში). ისე გამოვიდა, რომ შვედეთის აკადემიამ, ყველაფერთან ერთად, სარტრის ეს მოთხოვნაც გაითვალისწინა.

სტოკჰოლმში ათასი რამ ჭორი და მართალი დაიწერა იმ დღეებში. ერთ-ერთმა შევდმა ჟურნალისტმა ისიც კი დაწერა, ეს ვეშენსკაიელი კაზაკი მდაბლად თავის დაკვრით არ მიემშვიდობა შვედეთის მეფესო, თვითონ შოლოხოვს კი ამის გამო უთქვამს, ამაყი და მამაცი დონელი კაზაკები ხალხის წინაშე კი ბატონო, მაგრამ არცროდის ქედს არ იბრინდნენ თითო რუს ხელმწიფეთა წინაშეო.

ვერ ვიტყვი, რამდენად სწორი დაწერა შევდმა ჟურნალისტმა, და მართლა შოლოხოვს ეკუთვნის თუ არა ზემომოყვანილი ფრაზა, მაგრამ „წყნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირის“ ავტორის ხასიათში მჩქეფარე იუმორთან ერთად გარკვეულწილად ირონიაც რომ იმალებოდა, ამის არაერთი შემთხვევის მოწმე თავად გახლავართ როგორც ვეშენსკაიაში მდინარე ხოპიორზე თევზაობისას, ისე საქართველოში მოგზაურობი-

სას. მაგრამ ეს ოხუნჯობის მომიჯნავე ირონია არცროდის ცინიზმში არ გადადიოდა. ხუმრობის დროს ის საოცრად ჰგავდა თავისავე პაპა შჩუკარს „გატეხილი ყამირიდან“.

სანობელო ლექციებში თუ ლაურეატ მწერალთა უმრავლესობა უმეტესად მაღალფარდოვნად ფილოსოფოსობს, კაზაკმა შოლოხოვმა მარტივად და გასაგებად, მიუკიბ-მოუკიბავად თქვა თავისი სათქმელი:

„რომანი, ასე ვთქვათ, ყველაზე უფრო მეტად განგვანყობს საიმისოდ, რომ შევიმეცნოთ გარემომცველი უზარმაზარი სინამდვილე და არა იმას ვცდილობდეთ, წარმოვიდგინოთ ჩვენი პანია „მე“ სამყაროს ცენტრად. ეს ჟანრი თავისი არსით ყველაზე უფრო ფართო ასპარეზია რეალისტი მხატვრისთვის. ხელოვნებაში გაჩნდა ბევრი ახალი მიმდინარეობა, რეალიზმის უარყოფელი იმის მომიჯნავეებით, რომ მან თითქოს უკვე გააკეთა თავისი საქმე. არ შევუშინდები ბრალდებას კონსერვატივში და ვაცხადებ, რომ სანინალმდეგო შეხედულების მომხრე ვარ, რეალისტური ხელოვნების თავდაჯერებული მომხრე.

ახლა ბევრი ლაპარაკია ეგრეთ წოდებული ლიტერატურული ავანგარდის შესახებ. ასეთ ავანგარდად მიიჩნევა უაღრესად მოდური ცდები ფორმის სფეროში. ჩემი აზრით, ნამდვილი ავანგარდისტები ის მხატვრები არიან, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში გამოხატავენ ჩვენი საუკუნის ცხოვრების თვისებათა განმსაზღვრელ ახალ შინაარსს. რეალიზმი საერთოდ და რეალისტური რომანიც ემყარება წარსულის დიდოსტატათა სამხატვრო გამოცდილებას, რომელიც განვითარდა და შეიძინა არსებითად ახალი, უაღრესად თანადროული ნიშან-თვისებები.

მე იმ რეალიზმზე ვლაპარაკობ, რომელიც თავის თავში შეიცავს ცხოვრების განახლებას ადამიანის საკეთილდღეოდ... ცხადია, იმ რეალიზმზე ვსაუბრობ, რომელსაც ჩვენ სოციალისტურს ვუნოდებთ, რომლის თავისებურება ის არის, რომ იგი გამოხატავს მსოფლმხედველობას, რომლისთვისაც მიუღებელია სინამდვილისადმი ჭვრეტითი დამოკიდებულება, მისგან გაქცევა. ეს მსოფლმხედველობა მოგვინოდებს ვიბრძოლოთ კაცობრიობის პროგრესისთვის, რაც მილიონობით ადამიანს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ მიაღწიოს სანუკვარ მიზანს...

კაცობრიობა არ არის დანაწევრებული ცალკეულ პიროვნებათა, ინდივიდუუმთა ჯგუფებად, რომელთა ყოველი წევრი თითქოსდა უწონადობის მდგომარეობაში მოძრაობს კოსმონავტების მსგავსად. ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე, ვემორჩილებით დედამიწის კანონებს, ვიზიარებთ დედამიწის ჭირ-ვარამს და ვფიქრობთ უკეთეს მომავალზე“.

დაბოლოს, დასძინა, მწერლის ამოცანა ის არის, მკითხველს პატიოსნად ესაუბროსო, ხალხს სიმართლე უთხრას, ხან მკაცრი, მაგრამ გამამხნეველებელი სიმართლეო; ადამიანის გულში განამტკიცოს მომავლის რწმენაო, რწმენა თავისი ძალის მიმართ, რომელი ძალის მეშვეობითაც შეუძლია ამ თავისი მომავლის შექმნაო... და მხატვრადაც მხოლოდ ის უნდა იწოდებოდეს, ვინც მხატვრული სიტყვის გულს ადამიანის სულში მშვენიერების სიყვარულის დასანერგავად და კაცობრიობის საკეთილდღეოდ იყენებსო...

სწორედ ამ „მარტივი ფილოსოფიის“ ქარგაზეა აგებული შოლოხოვის სუყოველი ნაწარმოები.

მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონი“ სულაც მარტო

მდინარის სახელწოდება არ არის. ეს თვითონ მდინარესავით მარად მდინი ცხოვრებაა... ეს ის მდინარე ცხოვრებაა, რომლის პირასაც დადიოდნენ, დადიან და მუდამ ივლიან სევდიანი ადამიანები ფიქრთ გასართველად, სადაც ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა... რასაკვირველია, უბრალოდ დამთხვევის ამბავია, მაგრამ პირადად ჩემზე ყოველთვის უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა ამ მწერლურად ბუმბერაზი, მაგრამ ადამიანურად ჩია, ტანმორჩილი კაზაკის სიარული. ის თითქოს წყალში, მდინარეში მოტოპავდა შენს შესახვედრად, წყალი თითქოს მკერდამდე სწვდებოდა და ასე მოარღვევდა მდინარეს, რომელსაც დონი ერქვა, თანაც წყნარი, მაგრამ სინამდვილეში ეს თვითონ მშფოთვარე ცხოვრება იყო...

„წყნარი დონის“ ექვსასი პერსონაჟიდან უმრავლესობა თითქოსდა ადიდებულ მდინარედ ქცეული მშფოთვარე ცხოვრების ტალღებში იღუპება, იღუპება შორეული, მაგრამ ბევრად უკეთესი ანდა, როგორც იტყვიან ხოლმე, ნათელი მომავლისთვის, რომელიც არა და არ ჩანს, მსხვერპლად კი უამრავი ადამიანი შეიწირა.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეპოპეურ შინაარსს „წყნარ დონში“ სულაც არ დაუჩრდილავს, არ გამოუდევნია რომანული, პირადული ხაზი. და, ალბათ, მწერალთაგან არცთუ ბევრის კალამს შესძლება შოლოხოვისეული ძალით უბრალო ადამიანის ბუნების მთელი სირთულის ჩვენება. ნამდვილად არცვის სიყვარულს არა ჰგავს გრიგორისა და აქსინიას სიყვარული, არც ნატალიას ერთგულება, არც დარიას თავაშვებულობა, არცვის არა ჰგვანან არც პანტელეი პროკოფიჩი და არც ილინიჩნა (პანტელეი — როგორც მამა — იქნებ თვითონ შოლოხოვს უფრო გავს, როგორც ოთარაანთ ქვრივის თვითონ ილიას!)...

„წყნარი დონის“ სიდიადე ისიც არის, რომ ამ წიგნს ყველა თავისებურად კითხულობს.

კი, მწერლის მუზა რევოლუციიაა, კი ის არცროდის არ ყოფილა კომუნისტური იდეის წინააღმდეგი, მაგრამ მუდამ ეწინააღმდეგებოდა უსამართლობას და ძალადობას, ვისი მხრიდანაც არ უნდა ყოფილიყო ეს უსამართლობა და ძალადობა, მართალია, მწერალი ბევრი აკრიტიკეს, რომ გრიგორი მელეხოვი ბოლოს და ბოლოს მაინც არ „წითლდება“, მაგრამ ახალგაზრდა ავტორმა ნამდვილად „რკინის ქალამნები“ ჩაიცვა და გორკის წყალობით შეხვდა სტალინს, რომლის ჩაურევლადაც თითქმის ბენჯეზე ეკიდა არა მარტო რომანის, არამედ თვითონ მწერლის ბედიც (1938 წელს შოლოხოვს ანონიმური წერილი მიუღია იმ პიროვნებისგან, ვისაც დავალებული ჰქონია მწერლის მოკვლა. თუ გინდა ცოცხალი გადარჩე, სასწრაფოდ დატოვე სტანიცაო). ასეთი იყო დროის კონტექსტი. იმ საბაბით, რომ მანამდე არნახული ცხოვრება შენდებოდა, მხოლოდ ერთი სიმართლე, უქონელთა სიმართლე ცდილობდა გაბატონებას, მაგრამ როგორც ყველა დროში, მაშინაც სხვათა არაერთი სიმართლე არსებობდა, და ამ სიმართლეთა გაუთავებელი ჭიდილი აბობოქრებდა ცხოვრებას.

შოლოხოვის ერთ-ერთი მთავარი ესთეტიკური პრინციპი უკიდურესი ისტორიული ნიშანდობლიობაა. შოლოხოვის ყველა ქმნილებაში, მეტადრე „წყნარ დონში“, ერთმანეთშია გადაჯაჭვული ადამიანი, საზოგადოება და ბუნება. ინტიმურ

რი და სოციალური ქმნიან უაღრესად რთულ ერთიანობას...

ხან მიფიქრია, იქნებ ჩვენი ვაჟა-ფშაველა უწინარესად იმიტომ უყვარდა „წყნარი დონის“ ავტორს, რაკი თვითონაც პოეტური პროზის დიდოსტატი იყო-მეთქი, რაც სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული („შეზინდებისას ჯახანით დაიკვნესა დონზე ყინულმა“, „შემოდგომა ჩამოცვივებული ფოთლების შრიალით ფეხს კალთებზე ადგამდა ზაფხულს“, „როგორი სპილენძივით მძიმე, დარდიანი კვილით უწინკნის ადამიანს გულს ტყვეობაში მყოფი ფრინველი“, „ნარინჯისფერი დაისი ფეხმოტეხილი ფრინველივით ფრთხილებდა“...)

მეოცე საუკუნეში, ჩემი აზრით, ორი გამორჩეულად მარადიული მოთხრობა დაიწერა — ჰემინგუეის „ბერიკაცი და ზღვა“ და შოლოხოვის „ბედი კაცისა“. „წყნარი დონის“ ავტორს საოცრად არ უყვარდა მწერლობასა და მწერლებზე ლაპარაკი, მაგრამ, როგორც თევზაობის ტრფიალმა, ხეპიორზე თევზაობისას რამდენჯერმე ახსენა ჰემინგუეის თევზაობაში ხელმოცარული ბერიკაცი. ხოლო თვითონ ჰემინგუეის ეკუთვნის სიტყვები: „მე ძალიან მომწონს რუსული მწერლობა. თანამედროვე მწერალთაგან მომწონს შოლოხოვი“.

თავში ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ უდავოდ კარგ ეროვნულ საქმეს აკეთებს გამომცემლობა „ინტელექტი“ (საგამომცემლო პროექტის ავტორი კახმე კუდავა) ნობელიანტთა შეძლებისდაგვარად გამოცემით. ამ შეძლებისდაგვარადში კი უწინარესად ნობელიანტთა ჭაშნიკად შერჩეულ ნაწარმოებებს ვგულისხმობ. ამ პრინციპით შევადგინეთ მიხეილ შოლოხოვის ეს თავისებური „რჩეულიც“. უზარმაზარი „წყნარი დონიდან“ (თითქმის 100 თავახი) გრიგორისა და აქსინიას ტრაგიკული სიყვარულის ამბავს გავადევნეთ თვალი. ხოლო „ბედი კაცისა“ მთლიანად შევიტანეთ. კრებულის გარეთ დარჩა მწერლის ჭაბუკობისდროინდელი „დონური მოთხრობებიც“, „გატეხილი ყამირიც“ და ბოლო დაუმთავრებელი რომანიც — „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“.

„წყნარი დონი“ ქართულად 1955-1959 წლებში გამოვიდა. მთარგმნელი **თინათინ ჯავახიშვილი** დიდხანს ცხოვრობდა დონზე, ასე რომ, კარგად იცნობდა იქაურ ცხოვრებას, კაზაკურ რუსულ მეტყველებას, ქართულიც ჩინებულად იცოდა და, ვფიქრობ, თარგმანიც თავისი დროისთვის გვარიანი გამოვიდა. თანაც პირველი წიგნის რედაქტორი იყო ქართულ ენას „გიჟურად გამიჯნურებული“ **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**, ხოლო დანარჩენ სამ წიგნს ცხოვრებულმა **როდიონ ქორქიამ** ურედაქტორა. „ბედი კაცისას“ ქართული სიტყვის ჭეშმარიტად დიდოსტატის **რევაზ ინანიშვილის** გამორჩეული კალმის მაღლი სცხია...

და, დასასრულ, განსხვავებით ძველი ბერძენი ჰერაკლიტე ეფესელისგან, რომლის აზრითაც, შეუძლებელია ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა, შოლოხოვის „წყნარ დონთან“ დაკავშირებით სხვანაირად დგას ეს საკითხი. ამ უსაზღვროდ მაღალმხატვრულ, მარად მდინ „დონში“ კარგი წიგნის ფასის მცოდნე მკითხველს იმდენჯერ შეუძლია „შესვლა“, რამდენჯერაც „ყოველგვარ ნაპირებს გადასუ-

ელგუჯა თავბერიძე

ჩყნ-სა წელსა

□

ციკლიდან „ახალი პერიოდი“

ლოტოს თამაში იმერეთში ჩყნ წლიდან გახშირდა — წერს აკაკი. ჩყნ 1853 წელია, როცა დაიწყო რუს-თათარ-თა მორიგი შერკინება. მამაკაცები ომში წავიდნენ. შინ დარჩენილი ქალები ლოტოს თამაშით იქცევდნენ თავს.

ამ ამბებამდე ერთი საუკუნის წინათ ქუთაისსა და მის ციხეებში თურქები იდგნენ, მაგრამ ომის სიახლოვე ახლა უფრო იგრძნობოდა. ქალაქში ყოველდღე ახალ-ახალი ჯარი შემოდოდა, გადიოდა, ხვდებოდნენ, აცილებდნენ...

სწავლა შეწყდა, ვისაც შეეძლო, სოფლებში გახიზნა ცოლ-შვილი. ფრონტისპირა ქუთაისში დარჩენილი ქალები თავგადაკლული თამაშობდნენ ლოტოს.

ნიკო ნიკოლაძისგან მამამისზე მოთხრობილი ამბავი კინოკადრს ჰგავს: ყირიმის ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში, გაზაფხულზე, კვირა დღეს, იაკობს, ნიკოს მამას, მთავარანგელოზის ეკლესიის დეკანოზ იესე გიორგაძისთვის, ნათესავთა და მოსამსახურეთა თანდასწრებით, დაჩოქილს გადაუხდევინებია პარაკლისი. ცრემლიანი თვალებით გადაუკოცნია ყველა, მხარზე თოფი გადაუკიდია, შემსტარა ცხენზე და ჭიან-ჭიანით გაუჩინარებულა ქუჩის მოსახვევში.

კინოკადრია, აბა, რა!

ამ დროს ნიკო ჰა და ჰა, ათი წლისა თუ იქნებოდა, როცა წერდა, ოთხმოცდაათი გაესრულებინა, მაგრამ სსოვნაში სახიერად ჩარჩენოდა ქუჩის მოსახვევში ცხენის ჭიან-ჭიანით მამის გაუჩინარება.

ასწლოვანი დეკანოზი, — წერს ნიკო. არადა, იმ დროს იესე გიორგაძე სამოცდაათი წლისა იქნებოდა. თვითონ რვა ათეულს გადაცილებულს საუკუნის ტოლად დახსომებოდა დეკანოზი. ორიოდღე სიტყვა იესე გიორგაძეზეც ვთქვათ: 1783 წელს დაბადებულმა, სასულიერო განათლება ჯრუჭის მონასტერში მიიღო. ერთხანს, 1807-1811 წწ, კვახჭირის ეკლესიაში მსახურობდა. ნახევარი საუკუნე მთავარანგელოზის ეკლესიაში გაატარა. დეკანოზად 1824 წელს აკურთხეს. 1861 წლის 27 ივნისს გარდაიცვალა.

ოთხმოცი წლისაც არ გამხდარა, უფრო სწორად, როცა ნიკო ამ მოგონებას წერდა, ექვსი წლით უფროსი იყო იმასთან შედარებით, რაც იესეს ამქვეყნად მოეთია.

მაღალი, გამხდარი, ერთობ მიღებული კაცი ყოფილა იესე, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალები და ძალიან გრძელი წვერი ჰქონია, ანუ ყველაფერი ის, რაც ხანს მოუმატებდა — სამოცდაათისა ასად მოეჩვენებოდა კაცს.

ნიკო ნიკოლაძე იესეს წირვა-ლოცვით ყოფილა მონუსხული: ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ისეთი მშვენიერებით, მონივნებით, სარწმუნოებრივი ერთგულებით

მწირველიო. ძველებური ქართული წირვა-ლოცვის კილო და ჩვეულებანი მარტო იესეს და მისივე კბილა მიტროპოლიტ დავითს შემოუნახავთო.

ჰოდა, ასეთ მწირველს ყირიმის ომის დროს დიაკვნები გაექცნენ. ნიკო არ გვეუბნება, სად გაექცნენ. სავარაუდოა, ომში არ გაქუსლავდნენ. ალბათ ისინიც ახლომახლო სოფლებში გაიხიზნნენ. მთავარანგელოზის ეკლესიაში იესე გიორგაძე მარტო წირავდა — დიაკვანიც, მღვდელიც, სანთლების გამყიდველიც თვითონ იყო. სხვანი ქალაქს ტოვებდნენ, გარბოდნენ, ის იდგა და წირავდა, წირავდა ძველებური ქართული კილოთი.

იესეს მთავარანგელოზის ეკლესიასთან ქვიტიკრის ორი სახლი ჰქონდა. ორივე მისი ხარჯითა და ორივე საეკლესიო მიწაზე აგებული. ორივე ძმისწულეს, მღვდლებს, ვასილ და ბესარიონ გიორგაძეებს უანდერძა. თან დაუწესა: მათ და მემკვიდრეთა მათთა ყოველწლიურად ათი მანეთი ეძლიათ მთავარანგელოზის სობოროსათვის, რამეთუ სახლები, მიტროპოლიტ დავითის ნებართვით, საეკლესიო მიწაზე იყო აშენებული. ორ ძმისწულს ორი სახლი, საფიქრალია, ერთს ერთი, მეორეს მეორე უანდერძა ან შეიძლება ერთის ნახევარი ვასილს, მეორე ნახევარი ბესარიონს და მეორე სახლის პირველი ნახევარი ისევე ვასილს და მომდევნო ანუ იგივე მეორე ნახევარი კვლავ ბესარიონს დაუტოვა. ძველ დროში ასეც ყოფდნენ. მიზეზი ის იყო, რომ ერთი სახლი მეორეს სჯობდა და მჯობნის დამნარჩუნებელი მოგებული რჩებოდა, ნაკლებკარგისა (ნაჩუქარი ყველა კარგია) — ნაგებული. ამიტომ კარგსა და მოკარგოს თანაბრად ინაწილებდნენ.

იესემ როგორ გაუყო-გაუნაწილა ორი სახლი ორ მღვდელსა და ორ ძმისწვილს, არ ვიცით, ორივეს ორივეს ვუტოვებო, — წერია ანდერძში. მათვე უბარებდა: ქვიტიკრში ლაღაძეებისაგან შექმნილი მამული ივანე, დავით, ბასილა და გიორგი ლაღაძეთა შვილებს მივეცი და არ ჩამოართვათო. აბულაძისაგან შექმნილ მიწებს ბიძაშვილ მშვენიერასა (მივიწყებული მშვენიერი სახელია) და მის შვილ სოლომონს უანდერძებდა. ეტყობა, ამის მეორეც კაიხელა ადგილ-მამული რჩებოდა გადაუნაწილებელი: ქვიტიკრში, კვახჭირში, ჩიტავასული, სარბევი და ნოყო ადგილები ორივე ძმისწვილმა გაიყავითო, როგორ, რანაირად უნდა გაენაწილებინათ, ანდერძში არაფერია ნათქვამი. მერე უფრო აზუსტებდა: ტყემლიანსა და გიორგი აბულაძისეულ ოთხ-ოთხ ქცევა მიწას, ნისქვილის მახლობლად, ბესარიონს უტოვებდა, ლაღაძისეულ ადგილს, სადაც ვასილი სახლობდა, ვასილს აკუთვნებდა.

ძმისწვილებმა ერთი სახლის შემოსავალი, ათი წლის მანძილზე, ჩემს სულს მოახმარეთ სანირავის გაცემითა და გლახაკთა დახმარებითო.

ყოველწლიურად ეპისკოპოსმა ჩემს აგებულ მთავარანგელოზის ეკლესიაში ჩემსავე ამორჩეულ ალაგას დამმარხოსო.

მისი ამქვეყნად არყოფნის მერე მემკვიდრეებს გელათის, მონამეთას, ჯრუჭის მონასტრებისათვის ოც-ოცი, მღვიმევის, ჭელიშისა და კაცხის მონასტრებისათვის ათ-ათი, ხოლო ვანის ეკლესიისათვის ხუთი მანეთი უნდა შეეწირათ. ასევე გერმანე, იოვანე, სამეგრელოსა და გურიის ეპისკოპოსთათვის თხუთმეტი-თხუთმეტი მანეთი უნდა

მიერთმით, თუ ვინმეს იესეს ვალი აღმოაჩნდებოდა, სარგებელზე უარი უნდა ეთქვათ.

ანდერძი, იესეს თხოვნით, მღვდელ იოსებ აბრამოვს დაუწერია: მაანდერძებელი სრულ ჭკუაზე იყო, მეხსიერება არ ლალატობდაო, ანდერძს ამონებდნენ ნადვორნი სოვეტნიკი ექვთიმე წერეთელი და ტიტულიარნი სოვეტნიკი გიორგი იოსელიანი.

ერთი წლის მერე, 1862 წლის ივნისში, სასამართლომაც დაამტკიცა, რომ ვასილ და ბესარიონ გიორგაძეთათვის ანდერძის ბოძების დროს იესე სრულ ჭკუაზე იყო და თვითონ მოაწერა ხელი.

ძმისშვილები ბევრს ეცადნენ, ჯერ სასამართლოს დაამტკიცებინეს, მერე მონებებით გაამყარეს ანდერძი, მაგრამ საბოლოოდ მთავარანგელოზის ეკლესიასთან მდებარე იესეს ქვიტკირის ორი სახლი ეკლესიას დარჩა.

ეს ამბები შორს წაგვიყვანს.

უქმროდ დარჩენილი ქალები საღამოდან გათენებამდე თამაშობდნენ ლოტოს, ექიმპებოდნენ, ეჯობებოდნენ ერთმანეთს, ზოგს ფეხს უქებდნენ, ზოგს წყევლიდნენ, თვალებს უბრმავედნენ, სულ იმათი ნაფისი მზერა-შემოხედვის ბრალი ეგონათ წაგება.

თამაშით დაიღლებოდნენ, დაიქანცებოდნენ, გასავათდებოდნენ, დაათენდებოდათ თავზე და ერთი იტყოდა:

— არ ავდგეთ?!

— რაღა დროს ადგომაა, შე ქალო, ცისკარზე წავიდეთ, დეკანოზ გიორგაძეს ლოცვის გულმოდგინება ვაჩვენოთ.

მიდიოდნენ, მაგრამ იქაც ლოტო ელანდებოდათ, — ამბობს აკაკი:

„ეკლესიაში რომ შევიდოდნენ და გაიგონებდნენ — კირილესონ... წარმოიდგენდნენ, ვითომ ლოტოს ციფრებს ამბობენო, ესიამოვნებოდათ და შეელაპარაკებოდნენ ერთი მეორეს: „ქა, ბევრი წავაგე! ბევრი წავაგე! ღმერთო, შენზეა ჩვენი იმედი“.

ქვეყანა იქცეოდა, ხალხი ქალაქიდან გარბოდა, ქალები ღმერთს ლოტოში გამარჯვებას შესთხოვდნენ.

რუსთაგან სევასტოპოლის დათმობამაც ვერ მოაშლევინათ ლოტოს თამაში — გვეუბნება აკაკი. თამაშის დროს ვილაც მოხუცი შესულა, ეს რა მომხდარა, ღმერთო დაგვიფარე, ეს რა მომხდარა, ღმერთო გვიშველე, თათრებს სევასტოპოლი აულიათო. ქალებს ერთი აღმაცერად გაუხედავთ და, ვითომ არაფერიც არ მომხდარიყოს, გაუგრძელებით თამაში.

იქნებ სულაც არ იცოდნენ სევასტოპოლი, მითუმეტეს, მისი სამხედრო დანიშნულება არ გაეგებოდათ. ნიკო ნი-

კოლაძის მოთხოვნილ ამბავს ნაღდად უნდა შეეშფოთებინა აზარტში შესული ქალები, მაგრამ...

ქუთაისში ჩამოიტანეს წაკვეთილი თავი ხასან-ბეგ თავდგირიძისა, დაჰქონდათ ქუჩა-ქუჩა და ყველას აჩვენებდნენ. ქალები ლოტოს თამაშს თავს არ ანებებდნენ, გარეთ არ გადიოდნენ, მზერასაც არ აპარებდნენ ქუჩისკენ, ისე ჩაგულისყურებოდნენ ლოტოს, სულაც არ აინტერესებდათ მოჭრილი თავი თავდგირიძისა. მამაკაცები გაფითრებულ თავს იმოდენა მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ თბილისში წაიღეს, იქაურთათვისაც რომ ენახებინათ.

არც ქუთაისში, არც თბილისში მიუტანიათ ქალებს გულთან ეს ამბავი. მათთვის სადარდო და სავალალო ლოტო იყო. ლოტოში მოგება ერჩივნათ ომში გამარჯვებას — იმასთან რა ხელი გვაქვს, ესაა ჩვენი საქმე და, ღმერთო, ამაში გაგვამარჯვებინეო.

თითქოს სხვა ყოველივე მოგვარებულიყო. პიროვნულ — საქვეყნო წუხილი წყალს წაეღო, ლოტო დარჩენილიყო, ლოტო, ლოტო და ლოტო.

ოთხმოცდაათი თუ ვინმეს ამოუვიდოდა, ატყდებოდა ქალებში ჯერ კისკისი, მერე პუტუნ-პუტუნის.

აკაკი: „რადგან ლოტოში 90 უკანასკნელი ციფრია, სათვალავითაც უმეტესი და ჩვენს ქუთაისში ყველა კეთილშობილზე სტეფანე ქორქაშვილი არის ხნიერი, ამისათვის მას უნოდეს ეს სახელი, რომლის ყმანვილი მეუღლე ამ თამაშობაში ესწრება და მის გასაჯავრებლად მოიგონეს“.

ამოუვიდოდა ვინმეს 90 და ოთხმოცდაათს კი არ იტყოდა, სტეფანეო, თვალდახუჭული ჩაილაპარაკებდა, სტეფანეს ყმანვილი ცოლი ანა თავიდან არ იმჩნევდა, ვითომ სულაც ვერ გაეგო, სად სტეფანე და სად ოთხმოცდაათიო, ერთი იტყოდა, მეორე, მესამე და ანაც აფეთქდებოდა, მიაყრიდა ლოტოს რიცხვებს და გაიქცეოდა. მერე სტეფანეს თქმაზე გულიანად ხარხარებდნენ, თან აქეთ-იქით იხედებოდნენ, ანა ხომ არ მობრუნებულაო.

ვინ იყო და მანაც რამდენი წლისა უნდა ყოფილიყო ეს სტეფანე ქორქაშვილი? 1847 წელს ქუთაისის საკრებულოს დეპუტატთა კომისიამ სტეფანე ქორქაშვილი და მისი ოჯახი თავადაზნაურებში ჩარიცხა. მაშინ მაიორი იყო ოსიპის (ალბათ, ქართულად იოსების) შვილი სტეფანე. როგორც ჩანს, გვარიანი სამხედრო დამსახურება ჰქონდა, ალბათ რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომებშიც მონაწილეობდა. სხვანაირად ამოდენა ჩინს ვერ გააჩალიჩებდა. ამ ომების მონაწილე კაცი ასაკითაც კაი ხნის უნდა ყოფილიყო.



მხატვარი კარლო ფაჩულია

მოკლედ, სტეფანეს, იგივე ოთხმოცდაათის, დაბადება-გარდაცვალების წლები არ ვიცით, აკაკის თუ დავუჯერებთ, დაახლოებით 1770 წელს უნდა დაბადებულიყო.

ადრე ქორქაშვილები წყალტუბოში სახლობდნენ. 80-იან წლებში ქუთაისშიც ბლომად ჩანან. იმ დროს, უფრო სწორად, 1861 წელს, როცა აკაკიმ თავად იმერელის ფსევდონიმით „ლოტოთი ლოთობა ქუთაისში“ „ცისკარში“ გამოაქვეყნა, ეს ერთი, ანუ სტეფანესა და ანას ოჯახი უნდა ყოფილიყო ქუთაისში დაფუძნებული.

ქუთაისში ცხოვრობდნენ, ანა ლოტოს მოაშვიკეთა მარაქაში გარეულიყო, ოთხმოცდაათი წლის ან ამ ასაკს მიტანებული ან სულაც გადაცილებული სტეფანე რას აკეთებდა, არ ვიცით.

სტეფანეს დამტკიცებული აზნაურობა იქცა საფუძვლად მისი ძმისშვილის იულონ იოსების ძე ქორქაშვილისათვის, ისიც გააზნაურდა.

აზნაურ სტეფანე ქორქაშვილის მეუღლე, ლოტოს მოყვარული ანა, რა გვარის ქალი ბრძანდებოდა, უცნობია. სამაგიეროდ, აკაკისაგან ვიცით, რომ იმ მანდილოსანთა შორის, რომელნიც ღმერთზე არანაკლებ ლოტოს ეთაყვანებოდნენ, ანაც ერია.

მეც დავესწარი ლოტოს თამაშსო, — გვეუბნება. დასწრებით ხშირად უნდა დასწრებოდა, სხვანაირად ქუთაისელი ქალების ლოტოთი გატაცებას ასე დეტალურად ვერ აღწერდა.

იმ ლოტოობისას ქარიან-წვიმიანი დღე ყოფილა. ზეციდან კოკისპირულად წამოსულ ნიაღვარს მდინარესავით აშხეფებდა თურმე, მაგრამ ქალები არ შემკრთაღან, ცუდი ტაროსი აინუნშიც არ ჩაუგდიათ, დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას შეკრებილან, დაუნყიათ თამაში და ერთ ნომერზე ოთხს მოუგია. ამტყდარა ცილობა და ჩხუბი.

მე მოვიგე, — უთქვამს პირველს, შენ კი არა, მეო, — დაუყინია მეორეს. მესამეს, პირველი-ორი იქით მოუწოჩებია და სათავისოდ მიუჩნევია მოგებული. მეოთხე აყაყანებულა: არა გრცხვენიათ, ჩემს მოგებულზე რომ ჩხუბობთო. პირველ ვილაცას უთქვამს: პურკა ვუყოთა, მეორე ვილაცას უკითხავს — პოვერკა რა არისო. ხელდახელ გაუწევიათ, თმებით დაუთრევიათ ერთმანეთი. აკაკის შემინებია, ამათი ჩხუბისა და აყალ-მაყალის მოწმედ არავინ დამასახელოსო, და სასწრაფოდ დაუტოვებია იქაურობა. გზაში სამმანეთიანი დაუკარგავს. ან დაუკარგავს, ან — არა. იქნებ ამით ამბის გამძაფრება სურდა; ისე გაოცებული და შეშინებული წამოვედი, ფულიც დაკარგეო, თუმცა ის რატომ არ უნდა ვირწმუნოთ, რომ დაკარგა.

ადრე დღესა და ადგილს დათქვამდნენ, მელოტოებს მიიპატიყებდნენ, მერე ყოველდღე ლოტობდნენ ლოტოთი. არც დღის, არც ადგილის არჩევა ჭირდებოდათ, მიპატიყებაზეც აღარ ნუხდებოდნენ. შებინდებოდა, ინყებდნენ, ირიჟრაჟებდა, იძლეობდნენ.

ერთი მელოტოეთაგანი თავის რიცხვებსაც ხედავდა, სხვისასაც. მანდ გყავს ქა, დაგიდგეს თვალი, — ეუბნებოდა დაბნეულს. ის კიდევ: თვალიც დაგიდგეს და ყურიცაო, — პასუხობდა.

მეორე ქუთაისელ მელოტოეს, თამაში ისე არ გასრულდებოდა, ქალადი რომ არ გამოეცვალა.

მესამე, ვილაც ს., ლოტოს უსტაბაში იყო.

მეოთხე—მეხუთე — ხაზინადარნი.

ვილაც ორსახელიანი ქალბატონი, ნათლობისა ვ. რომ ერქვა, ლოტოს წინამძღომელი ყოფილა.

კიდევ ვილაც ორნი ნაკლებად ეტანებოდნენ ლოტოს, ერთმა ორი წლის წინათ წყლის სახელი არ იცოდა რუსულად, ახლა ლერმონტოვის თხზულებებს რუსულად გაიგებოთო, გვეუბნება აკაკი.

ახალგაზრდა ყმანვილს გააბრიყვებდნენ. თამაშში ჩაითრევდნენ. ამ ბიჭს რა ხელები ჰქონია, მისი ყურება სჯობს ლოტოს თამაშსო, — იტყოდა ერთი. ყმანვილი გახალისდებოდა, ხელებს თავზე შემოიდებდა, მელოტოენი რიცხვებს უყურებდნენ. ყმანვილი აგებდა, ისინი იგებდნენ, ლალობდნენ, ახალგაზრდა ვერაფერს ხდებოდა.

რამდენიმე გაუთხოვარი ქალი, ორ აბაზს რომ მოიგებდნენ, ამით რაღაცას ვიყიდითო, გაიფიქრებდნენ, მაგრამ მერე ისევ ის აზრი გაუჯდებოდათ გონებაში, რომ მეორე დღესაც ეთამაშათ ლოტო, მოგებულისთვის მოგებული დაემატებინათ, ნააგებდნენ, დანალვლიანდებოდნენ.

აკაკის ამ წერილის იმდროინდელ მკითხველთათვის ლოტოს მოაშვიკე ქალბატონები, წინამძღომელი თუ უსტაბაში, ხაზინადარნი თუ გაუთხოვარნი, ვ. თუ ს. ცნობილი იქნებოდა, ზოგი თავის თავს ამოიცნობდა, ზოგი თანამელოტოეს, ზოგი ვის და ზოგიც ვის.

ლოტოში მოგებული ლალობდა, ნაგებული ისეთი სახით ბრუნდებოდა შინ, იფიქრებდი: „უსათუოდ ამ ქალს შვილი უნდა მოკვდომოდესო“.

ლოტოს თამაშიდან მომავალი ქალები აღდგომის ცისკრიდან დაბრუნებულებს ჰგავდნენ. ხელში ფარნები ეჭირათ და მათი სინათლე „გაზოვოე ასვეშენის“ მოგაგონებდა. თითო ლოტოს მოყვარულ ქალს ზამთარში ოთხი-ხუთი ფანარი და ამდენივე „პოლსაპოშკი“ არ ჰყოფნიდათ: „ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი გუბერნატორი ივანოვი — წერს აკაკი, — ისეთნაირად დააგებინა ქვები, რომ პოლსაპოშკებზე კალოშები თითქმის აღარ არის საჭირო. წარსულ წელიწადებში ისეთი ქუჩები იყო, ბევრჯერ პოლსაპოშკები ლაფში რჩებოდათ“.

ესეც ირონია. იმდროინდელი და მერმინდელი ქუთაისის ქუჩების მოუნესრიგებლობაზე აკაკისაც ხშირად დაუწერია, სხვებსაც, მაგრამ განათებულ და ქვებით მოკირწყლულ ქუჩებში ბატებივით დამწკრივებულ მოლოტოეთა გუნდი ასე უნდა წარმოჩენილიყო.

დიდი მარხვის პირველი კვირიაკე ჭირივით ეზარებოდათ, ერთი სული ჰქონდათ, როდის ჩამოდგებოდა თეოდორას შაბათი, ძველებური ჟინითა და თავდავინყებით რომ ელოტოვათ.

არც ღამის დამოკლება ეხატებოდათ გულზე, — ღამე დაგვემორდა, დღე შემოგვეახლაო, — ამბობდნენ, გრძელ ღამეში უფრო გრძელი იყო თამაში, მოკლეში — მოკლე, განთიადს ეკრძალებოდნენ, მთელი ღამის ლოტოთი ნალოთებნი, მოგებულნი ხმაურით, ნაგებულები ფეხმორიდებით ბრუნდებოდნენ სახლებში.

დაბოლოს, აკაკი ქართველი ქალის ნიჭიერებაზეც ამახვილებდა ყურადღებას, მათ მონდომებასა და გულისხმიერებასაც არ ივინყებდა, მაგრამ ლოტოს თამაშს ეშმაკის ჩაგონებით ჩაუბუდებია მათ გულეშშიო, რის გამოც აკლდებიან ისინი წირვასა და ლოცვას, შვილებს ვეღარ

ზრდიან, წიგნებს აღარ კითხულობენ, უფრო მეტიც, „ცისკარსაც“ იმიტომ არ იწერენ, ლოტოთი ერთობიანო.

აკაკის „ლოტოთი ლოტობა ქუთაისში“ ერთგვარი პასუხი გახლდათ 1859 წლის სექტემბრის „ცისკარში“ ქუთაისის მეჭორეს ფსევდონიმით დაბეჭდილ ნიკო ნიკოლაძის წერილზე „ხაბარდა და ლოტო“, სადაც განიერ, რგოლებიან კაბებზე (ხაბარდა) უფრო იყო ლაპარაკი, ვიდრე ლოტოზე.

ნამძინარევა დილით ბულვარში გავიარე, ორი ქალი მოდიოდა, მთელი ბულვარი ეკავათ, ვილაც კავალერიც მოჰყვებოდათ და გზა რომ არ დაეუთმე, დამეფახაო, — წერდა ნიკო ნიკოლაძე.

მოდების კანონმდებელი პარიზია, მაგრამ იგი იქ ხშირად იცვლება, ახალ-ახალი ჩნდება, ჩვენში შემოვა და ძნელად გადავარდება. ქუთაისში ყველა მოდის სამოსს იცვამენ. იმიტომ ხაბარდასაც ასე უცებ ვერ შევლევიანო, — ჩიოდა. თან იმ ზარალზე მიუთითებდა, რასაც ხაბარდიანი კაბებით გატაცება იწვევდა. ჯერ ხაბარდა, — მავთულეებიანი რგოლები, — ღირს ფული, მერე მასზე ჩასაცმელი კაბა განიერი უნდა იყოს, და კიდევ; ეს რგოლები თუ პრივი დელიროვანის ფაბრიკაში არაა დამზადებული, გამძლე და ხარისხიანი რომ იყოს, მალე ტყდება და კაბაში რქებით გამოშვერილი მავთულებით ხომ არ ივლიან, ხაბარდა უნდა შეცვალონ, შეცვლას ფული უნდა. ზარალს რომ თავი დავანებოთ, ქუთაისში ვინრო და პატარა სახლებია. ერთი ხაბარდიანი ქალი თუ შეხაბარდა, ბუზი თუ შეჰყვება შიგ, თორემ ადამისშვილი სად შემოეტყვაო. იმიტომ სახლი უნდა გავაფართოვოთ, მანამდე კი ხაბარდით გამდიდრებულმა ვაჭრებმა მალაზიები გააერთიანეთ, თორემ ხომ ხედავთ, რა რიგი დგას, ერთი შეგორდება, ათი იცდის, — ურჩევდა სახლისა და მალაზიათა პატრონებს.

მოკლედ, ლოტოზეც ამბობდა. მართალია, იმოდენა ზარალს არ გვაყენებს, მაგრამ თვალებს ვენებს, წერვებს უზიანებს ჩვენს ქალბატონებსო.

ქალები ლოტოს, კაცები პრეფერანსს თამაშობდნენ თავგადადებულნი. ხაბარდასა და ლოტოს რომ მოიშლიდნენ, ხატის წინ ხის სიმსხო სანთელს დავანთებდით, — ამბობდა სურვილი ნიკო ნიკოლაძე.

აკაკი საყვედურობდა: სანთელი შენი სულისთვის შეწირე და ხაბარდასა და ლოტოზე ღმერთს ნუ შეაწუხებო.

ნიკო ნიკოლაძის წერილის ავტორი ქალებს ვილაც ბ. ჰგონებიათ და გალახვით დამუქრებიან. ბ. თურმე მთვარიან ღამით ბულვარში მარტო გავლას ვეღარ ბედავდა. აკაკი არ აბეჯითებდა, ბ. თუ სხვა ვინმე იყო ავტორი (ექვვარეშეა, ეცოდინებოდა, ნიკო ნიკოლაძე რომ იყო), მაგრამ ვინცაა, ფრთხილად დაუნერიაო.

ნიკო ნიკოლაძე ფაქტობრივად იმეორებდა მანამდე ისევ „ცისკარში“ დაბეჭდილი მოლაყბის „ხაბარდას“ პათოსს, სადაც პარიზის პალეოროიალი (პარიზის გული), რიშელიესაგან ამენებული სასახლე ვეებერთელა ქარვასლებით, დაქენებით, ტრაქტირებით, თბილისის თამამშვევის ქარვასლას იყო შედარებული.

მასშტაბი განსხვავებულია, ხასიათი ერთნაირი, იქაც ყველაფრის შოვნა შეიძლება, აქაც, იქაც შეგიძლიათ, უკანასკნელი მოდის კაბა ჩაიცვათ, ასეთივე მოსასხამი წამოიხსათ, აქაც, ოღონდ იქ — მოდიდან გამოსული, აქ კიდევ მოდაშიაო, — წერდა მოლაყბე.

იქაც, აქაც ქისას უცარიელებდნენ, ჯიბეს აჭრიდნენ, გროშს არ უტოვებდნენ სახვალიოდ.

თამამშვევის ქარვასლას სადღესასწაულო დღეებში უფრო ეტანებოდნენ თურმე ქალები, ეტლი ეტლს მისდევდა, ნარნარი და კეკლუცი არსება უფრო მონარნარესა და მოკეკლუცოს.

ვაჭრის ჯიბე ივსებოდა, თავადისა და მოქალაქისა თავისი გამოხრულს ემსგავსებოდა.

ბევრი წამხედურობით ყიდულობდა ახალ სამოსს, შინ დუჟინობით ეწყობდა ჩაუცმელი კაბები, მაგრამ ისინი მოდიდანაა გამოსული, — ეუბნებოდნენ ქმრებს და ახლის შექმნას სთხოვდნენ. იმათაც რა უნდა ექნათ? საიდან უნდა ემოვნათ ამოდენა ფული?! დგებოდნენ სამსახურში, ღებულობდნენ ქრთამებს ანდა ჯანდაყურეს მიდიოდნენ ოქროს ზოდების საშოვნელად.

პოია სომხის ცოლს აცვია და მე რად არ უნდა მეცვასო, — ებუზღუნებოდნენ ქმრებს, საღმრთო კავშირით შეუღლებულებს. იმას არ ფიქრობდნენ, რომ ადამიანი სამოსით კი არა, ღირსებით ფასდება, მილდისა კარაპეტას ქალს რაც გინდა ჩააცვი, მაინც კარაპეტას ქალი იქნებაო, — ხშირ-ხშირად უმეორებდა „ცისკრის“ მკითხველებს თავის აზრს მოლაყბე.

კეთილშობილი ქართველი ქალები სომხების წამხედურობით იცვამდნენ, მდაბალი წოდებისანი — კეთილშობილებს ბაძავდნენ და ა.შ.

ვილაც ლაზარეს მოგროვებული ათასი თუმანი ცოლისთვის მიუბარებია: იმას კიდევ — ჩემ ქმარს ჯერ არ ჭირდებაო, და ამ ფულით ანტიკი მორა შეუქმნია. ლაზარეს ტივები უყვია, მყიდველები შინ მიუყვანია ფულის მისაცემად, მაგრამ ცოლისაგან ფულის დახარჯვის ამბავი რომ გაუგია, მიუბამს ანტიკი მორას მყიდველი ბოძზე და ცემით ამოუხდია სული. მოლაყბე ხაბარდაზეც ამბობს ორიოდ სიტყვას: იმოდენაა ეს ოხერი კაბა, ათი კაცის ადგილი ეჭირვებაო, ერთ მოზრდილ დარბაზში ოთხი ხაბარდიანი ქალი თუ დაეტყვაო.

მოლაყბეს აზრით, ხაბარდა ქმრებისათვის ქისის დაცარიელების გარდა, უბედურების მომტანიც ყოფილა თვის ქალებისათვის. პეტერბურგში ვილაც ხაბარდიანი ბანოვანი სანთელს შეხებია, თვითონაც და მიმშველებელნიც დამწვარან.

მოლაყბე ლოტოზე არაფერს ამბობს, მარტო ხაბარდით გატაცებას უწუნებს ქალებს და სთხოვს, ძველ ქართველ ქალთა ზნეობით იცხოვრონ.

ქალების ხაბარდითა და ლოტოთი გატაცებაზე თხრობა ამით არ გათავებულა. ჯერ ზ. ერისთავმა უპასუხა აკაკის და მარტო ქალებისა კი არა, ქუთაისის შეურაცხყოფადაც მიიჩნია მისი წერილი.

თუ ვაჟკაცი ხარ, თანაც მართალი, ფსევდონიმით რად დაბეჭდე წერილი. ვილაც ბ-ს რომ აბრალებ ავტორობას და მის ბუჩქებში მიმალვას დასცინი, შენ თვითონ რად მიიმალე?! ვერ ყოფილხარ კარგი მხედარიო. იქნებ იფიქრე, ქალები არ გიპასუხებდნენ, კაცები რად გამოგვრიცხე, რად არ იგუმანე, ვილაც გამოჩნდებოდა და ქალების შეურაცხყოფას არ გაპატიებდაო.

ტყუი, ოთხ-ოთხი ფარანი საიდან ექნება თითოეულ ქალს, მთელი ქუთაისი რომ დაიარო, ოცს ვერ შეკრებო.

ქადილსაც უწუნებდა:

მე და ბ-ს ასი ქალიც რომ შემოგვეხვიოს, ერთს ისეთს დავჩნავლებთ, ყორნებივით დავფანტავთო — წერდა აკაკი. ზ. ერისთავი პასუხობდა:

სად მიუღია განათლება თავად იმერელს? ოკეანის გაღმა თუ სად? რომ ასეთ სიტყვებს უშვებს პირიდან ქალებზეო.

ზ. ერისთავის პასუხი მოუზომავია, ისე, როგორც აკაკის წერილში იგრძნობა ახალგაზრდული მაქსიმალიზმი.

მომდევნო წლებშიც ბევრს წერდნენ ლოტოზე:

ლოტოს გამო მოქალაქესა და კეთილშობილის ცოლს ისე უჩხუბიათ, ისეთი უშვერი სიტყვებით მიუმართავთ ერთმანეთისათვის, რომ მეორეს პირველისთვის სასამართლოში უჩივლია, ამას კიდევ აპელაცია მიუგებებია.

ერთხელ ნაცვამი კაბის ჩაცმას აღარ კადრულობდნენ, აქაოდა, ილღიაში გამოიფლიანდაო — ატანდნენ კარდაკარ მოსიარულე ვაჭრებს, რომ შვიდ თუმნინი სამოსი ხუთ მანეთად მაინც გაეყიდათ, ალებულს ლოტოში აგებდნენ. იკვრებოდა ჯადოსნური წრე, ფული კაბის ან ლოტოს ტოლფარდი ხდებოდა, უფრო სწორად, ან ერთში, ან მეორეში ნიავდებოდა.

როტინიანცი წერდა: ძლიერ ვავად ვიყავი, ჩემს გამოჯანმრთელებას საშველი არ ადგებოდა და დედაჩემს ვთხოვე:

— დედი, ღმერთს რაიმეს ალთქმა დაუდე, იქნებ გამოვკეთდე.

— კი, შვილო, ოღონდ რაიმე გეშველოს და ღმერთს აღვუთქვამ, ერთი წელი ყოველ ორშაბათს ვიმარხულებ.

— არა, დედი, ღმერთი მაგას არ შეისმენს.

— მაშინ, შვილო, ერთი წლის მანძილზე ორშაბათსაც და შაბათსაც ვიმარხულებ.

— არა, დედიჯან, გამიგონია, როცა ისეთ რაიმეს აიკრძალავ, რაც ყველაზე მეტად გიყვარს, ღმერთი მაშინ შეისმენს.

— მასეთი რაა, შვილო?!

— რაა და, ლოტო, ვიცი ძალიან, ძალიან რომ გიყვარს, მაგრამ...

— ოღონდ გეშველებოდეს და ვფიცავ, ერთი წელი ლოტოს არ გავეკარები.

ქალს მართლაც შეუსრულებია ალთქმული, შვილიც გამოკეთებულა, მაგრამ საცაა ერთი წელი მიიღევა და რაღა მეშველებაო, — წუხდა იგივე როტინიანცი.

ამბავი მოგონილია თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რაოდენ ყურადღებას აქცევდნენ ქალების ამ თამაშით გატაცებას.

მერეც ბევრი დაუნერიათ ლოტოზე.

წერდნენ, ლოტოს მოაშიკე ქალებს აძაგებდნენ. ისინი უფრო მეტი მონდომებით თამაშობდნენ.

ლოტოთი გატაცება ლოტოთი ლოტობას დაემგვანაო— გვეუბნებოდა აკაკი და ახალგაზრდული დაუნდობლობით ამხელდა მელოტოეებს.

ამ წერილის გამოქვეყნების დროს ოცი წლისა გახლდათ. იცოდა, რაზეც წერდა, დეტალურად შეესწავლა თამაშის ავან-ჩავანი და ამის მერე ხდიდა ნათელს მისით გატაცების უაზრობას.

მართალი იყო, თუმცა ოდნავ გადამეტებულად წარმოსახავდა ამბავს.

ისე, მაინც, რას გადაკიდებოდა ლოტოს მოეშო ქალებს, განა თვითონ ნაკლები აზარტით თამაშობდა ბანქოს?!

ეკა ბუჯიაშვილი

ნიგნი ლიტერატურის ბურმანთათვის

(ნიკოლოზ ჩუბინიძის
„უბამური საკითხავი“)

თავის დროზე გიორგი შატბერაშვილს უთქვამს თამაზ ბიბილურისთვის: — ისეთი ადამიანები, წერა რომ არ იცინა და მაინც წერენ, ბევრი ვიცი, მაგრამ წერა იცოდეს და არ წერდეს, მარტო შენ ხარო.

გიორგი შატბერაშვილიც და თამაზ ბიბილურიც **როსტომ ჩხეიძე** ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიხსენა, ნიკოლოზ ჩუბინიძის ნიგნის — „უბამური საკითხავი“ — განხილვაზე, გაიხსენა იმიტომ, რომ:

— ისინი შესანიშნავი მწერლები იყვნენ და მხოლოდ არეული კრიტიკიუმების, ჩვენი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ყოფის მოუწესრიგებლობის ბრალია, რომ სათანადოდ არ არის დაფასებული ბევრი რამ, მათ შორის ეს ორი ადამიანიც. თამაზ ბიბილურის შემოსვლა ლიტერატურაში თავისებური იყო — მისი პირველი მოთხრობები რომ დაიბეჭდა, მერე კარგა ხანს აღარაფერი გამოუქვეყნებია. 40 წელს რომ გადააბიჯა, ზედიზედ გამოჩნდა მისი თხზულებები და ერთბაშად მოიპოვა სახელი. კლასიკური ნიმუში ასეთი შემოსვლისა ლიტერატურაში არის მიხეილ ჯავახიშვილი. ამგვარი რამ იშვიათია და მას თავისი მიზეზები აქვს — საზოგადოებრივი, ლიტერატურული, ფსიქოლოგიური... და, აი, ნიკოლოზ ჩუბინიძეც სწორედ ასე უცნაურად შემოვიდა ქართულ მწერლობაში, ლამის ოცი წელიწადი გავიდა მას მერე, რაც აღმანახ „ლიახვი“ პირველი მოთხრობები დაბეჭდა და შემდეგ აღარ გამოუქვეყნებია, მთლიანად სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენაზე იყო გადართული. თავისთავად კარგ საქმეს აკეთებდა, მაგრამ ყველას, ვინც ვიცნობდით მის უნარს წერისა, გვენანებოდა კაცი, რომელსაც შეეძლო წერა და არ წერდა.

რამდენიმე წლის წინათ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ნიკოლოზ ჩუბინიძის ესეი, ლიტერატურული პორტრეტი „განრისხებული ოთარ ჩხეიძე“, სრულიად ობიექტურად ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში რომ მგონია ამ ჟანრისა. კიდევ მოჰყვა ნინო ჩხიკვიშვილის და თამაზ ნატროშვილის გამოსმაურებანი, პირდაპირ რომ მოსთხოვეს მოთხრობების დაწერა, და კიდევ: ზედიზედ დაიბეჭდა ჟურნალის ფურცლებზე ნიკოლოზ ჩუბინიძის თხზულებანი. საბოლოოდ კი კარგია, რომ ამ ყველაფერმა ერთ ნიგნად მოიყარა თავი.

კრებული ორიგინალური აგებულებისა — მოთხრობების გარდა აერთიანებს ერთ ესეის (ოთარ ჩხეიძის შესახებ) და რამდენიმე ლიტერატურულ წერილს, მათ შორის ნინო ჩხიკვიშვილის, თამაზ ნატროშვილისა და ნინო მაზმიშვილის გამოსმაურებებსაც — და ხელშესახებად არის გამოხატული ტრაგიზმი ჩვენი ყოფისა. ნიკოლოზ ჩუბინიძეს ძალიან კარგად ეხერხება სტილური თამაშიცა და ძიებანიც

და ამითაც — ფორმითაც — არის ეს წიგნი არაორდინარული. ავტორი ერთ პატარა მოთხრობაში ცდილობს რამდენიმე ჟანრი გამოიყენოს და ჰარმონიულადაც ახერხებს ამას.

ამ ყველაფრის გამო ეს წიგნი ძალიან კარგი მასალაა სალიტერატურო კრიტიკისათვის და შესაბამისადაც უნდა შეფასდეს.

* * *

ეს არის მარტოობა სამყაროში, სადაც ისიც კი არ იცოდა ზუსტად, სხვები მარტო არიან თუ არა და გგონია, რომ მხოლოდ შენ ხარ ასე, — იტყვის ცოტა მოგვიანებით **ინგა მილორავა**, საინტერესო და ექსპრესიული მოხსენებით რომ მიმოიხილავს ნიკოლოზ ჩუბინიძის თხზულებებს, ცალკეულ პერსონაჟთა ხასიათებსაც ჩაულრმავდება და საინტერესო ალუზიებითაც წარმოსახავს მათ ფსიქოლოგიურ პორტრეტებს, ხელშესახებად გამოკვეთილს წიგნში, ოღონდ ეს მერე, მანამდე კი ასე დაიწყებს საუბარს.

— ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ლიტერატურულმა ტექსტმა დატოვოს გარკვეული ემოცია და უკვალოდ არ დაიკარგოს, არ გაიფანტოს სივრცეში. შეიძლება თხზულება ვირტუალური ტექნიკით იყოს დაწერილი, მაგრამ არაფერზე გაფიქრებდეს და ჩვენთვის ნაცნობი სივრციდან მარადიულ ფასეულობებზე არ გავყავდეთ. ამ თვალსაზრისით ეს წიგნი ბუნებრივად აღძრავს ფიქრს ჩვენს არსებობაზე, სამყაროს რაობაზე და, რაც მთავარია, იმაზე, როგორი იყო, არის და იქნება ეს ყველაფერი. მწერალი მხოლოდ ანმყოზე კი არა, დროთა კავშირზე გვესაუბრება, რომელიც რაღაც მომენტში დაირღვა და ის ახლა ამის მიზეზებს ეძებს.

ქალბატონი ინგას თქმით, ჩვენ მივეჩვიეთ ირონიული ნაკადის შემოსვლას მწერლობაში, და რაკი საერთოდ სერიოზულად ვუყურებთ ხოლმე ცხოვრებას, ირონია, მისი აზრით, ამ მიდგომისაგან გათავისუფლების საშუალებაა იქცა. თუმცა ნიკოლოზ ჩუბინიძე არცერთ მომენტში არ სცდება ზღვარს, რომლის მიღმაც ირონია ცინიზმში გადადის, არადა ამის საფრთხე ყოველთვის არის ასეთ თხზულებებში.

ავტორი კი გვეუბნება იმასაც, რომ არაფერშია დარწმუნებული, არ არის მორალისტი, დიდაქტიკოსი, საერთოდაც, არაფერს გვასწავლის, უბრალოდ გვიზიარებს იმას, რასაც ხედავს და ამით თითქოს თანავტორობასაც სთავაზობს მკითხველს.

— როცა ვკითხულობდი, მქონდა კიდევ განცდა იმპრესიონისტული ნაკადისა და ესეც ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის, რადგან თანამედროვე მწერლობას — ბევრნაირი თავისუფლების მიუხედავად — გაუჩნდა ჩიჩინისა და მორალის კითხვის სურვილი. შედეგი კი ის არის, რომ ანტიმორალისტურ იდეებს ქადაგებენ.



ნიკოლოზ ჩუბინიძე

მომხსენებელმა ისაუბრა მწერლის სტილზეც და აღნიშნა, რომ ის ძალიან თავისუფალია, თითქოს თავისი გმირების მუსიკას გადმოგვცემს — როგორცაა პერსონაჟი, ასეთი ხდება თხრობა, აქცენტები... თითქოს ავტორი კი არ ცვლის პერსონაჟებს, ისინი ცვლიან მას და შესაბამისად იცვლება გამოსატვის მელოდიაც.

დღეს, როცა თანამედროვე ლიტერატურის თეორეტიკოსები გვეუბნებიან, რომ მწერალი აღარ არსებობს და დარჩა ტექსტი, ასეთი კავშირის დანახვა — დანახვა იმისა, რომ მწერალი კი არ მოკვდა, პირიქით, თავის გმირებში გაცოცხლდა; კი არ გაქრა, თვითონ გათავისუფლდა საკუთარი მესგან და მთლიანად საკუთარ პერსონაჟებზე აენყო — ძალიან მნიშვნელოვანია. „უგემური საკითხავი“ სამყაროს აირეკლავს და ამ ანარეკლში გადასვლას სთავაზობს მკითხველს. ეს არ არის ფოტოგრაფიული სიზუსტის ანარეკლი, პერცეფციას, გამოტარებული მხატვრულად ძალიან დახვეწილი რაკურსების მქონე მწერლის სამყაროში. მას აქვს საინტერესო ხედვა, რომლითაც ნებისმიერ მოვლენას — თუნდაც ამაზრზენს — მხატვრულობას ანიჭებს და მშვენიერების კატეგორიაში გადააწყავს.

— ეს არის ღრმა, საინტერესო, შინაგანად მღელვარე, დაძაბული, ნერვულ ზღვრამდე მისული ხედვა, რომელიც ძალიან მძაფრია, თითქოს ერთი და იგივე ნოტი მეორდება მუდმივად, ან გაბმულად გაისმის საყვირის ხმა და ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ ოთხივე მოთხრობაში გაისმის განგამის ზარი — შიშისმომგვრელი. და ამ საყრდენებმოშლილ სამყაროში, რომელსაც ერთი საკარალური ცე-

ნტრი კი არ აქვს — რომლის ირგვლივაც ადამიანები გაერთიანდებიან — არამედ რამდენიმე და, შესაბამისად, სამყაროც დაშლილა. ასეთ სივრცეში მწერალი თითქოს ეძებს იმ ერთ ცენტრს და პოულობს კიდევ, ოღონდ ძალიან ტრაგიკულს — ოთხივე მოთხრობაში ბოლოს მაინც სიკვდილამდე მივდივართ, როგორც ერთადერთ ფასეულობამდე.

ქალბატონმა ინგამ საგანგებოდ აღნიშნა ნიკოლოზ ჩუბინიძის წერილებიც, რომლებშიც გამოჩნდა ავტორის დახვეწილი ანალიტიკური აზროვნება და იგი, როგორც ლიტერატურათმცოდნე, ძალიან საინტერესოდ წარმოჩნდა. საუბრის დასასრულს კი დასძინა: ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ ვკითხულობთ ხოლმე დაწყობილ, დავარცხნილ, გალამაზებულ ტექსტებს, რომლებშიც არის ამბები, მაგრამ არ იგრძნობა ადამიანად ყოფნის სიმძიმის განცდა, რისთვისაც უნდა არსებობდეს მწერლობა. ნიკოლოზ ჩუბინიძის ამ წიგნში კი ეს ყველაფერი უხვადაა. მეტიც — არა მხოლოდ წიგნია, ადამიანიცაა, რომელიც მოვიდა მკითხველთან და ბევრ ჩვენგანის ახლობელი გახდა.

— როცა ვახტანგ ჯავახიძე გეტყვის: — მზად ხარ დიდი ნაწარმოები შექმნაო, ვალდებულიც ხარ რომანი დაწერო, რადგან ბატონ ვახტანგს ასეთი რამ არ ეშლება და არც შეიძლება ეშლებოდეს, — თქვა შეკრებაზე როსტომ ჩხეიძემ.

ბატონმა ვახტანგმა კი რომანის დასაწერად ნიკოლოზ ჩუბინიძე შეაგულიანა, შეაგულიანა ამ წიგნის სტრუქტურადან და შინაგანი აგებულებიდან გამომდინარე, რადგან ინვესტს განცდას, რომ მისი დამწერი რომანისტიც არის.

შეგულიანებამდე კი „უგემურ საკითხავზე“ ასე ისაუბრა:

— როცა ამ მოთხრობას კითხულობ, ფიქრობ, რომ მათ ავტორს არაერთი ნაწარმოები აქვს დაწერილი, ძალიან მრავალფეროვანი თხრობის ხერხები აქვს გამოყენებული და წიგნში მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი. მთავარი ნიშანი, ყველაზე მეტად რომ მომეწონა კრებულში, არის ის, რომ ეს თხზულებები შედგება ფრაგმენტებისაგან, რომლებიც ერთმანეთს დროითაც უკავშირდებიან, გარემოთიც... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მწერალმა დაწერა დიდი ნაწარმოები, შემდეგ იქიდან მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი გამოაქვეყნა და მკითხველს დაუტოვა საფიქრალი — შეაერთოს ისინი და მოძებნოს კავშირი მათ შორის. ასე სთავაზობს ავტორი მკითხველის თანამონაწილეობას. ეს ხერხი მწერლობაში ახალი არ არის, მაგრამ ამ მოთხრობებში დიდი დოზითაა.

თუ ამბავი არ მოგწონთ, სათაურის შერჩევასი მაინც დამეხმარეთო, — თვითონ ამბობს მწერალი ერთ-ერთ მოთხრობის ფინალში და ამითაც ამჟღავნებს სურვილს მკითხველთან თანაზიარობისა. ავტორი ოთხივე შემთხვევაში წარმატებულად ახერხებს „ხმლის პირველ მოქნევას“. ამ სათაურებს მძაფრი ირონია გასდევს, რაც არც ტექსტს აკლია.

დიდი ინტერესით წავიკითხე წერილებიც, რომლებშიც ავტორი ასევე წარმატებულად იყენებს თავის ლიტერატურულ ხერხს. მე მგონია, რომ ამ წიგნის ავტორმა ასეთივე ხერხით უფრო დიდი ნაწარმოები უნდა დაწეროს. ვფიქრობ, ის პროზისთვის შესანიშნავ საკაშია და ძალიან ორიგინალურ თხზულებასაც შექმნის.

სალომე კაპანაძის აზრით კი ეროვნული კულტურის ისეთი სეგმენტები, როგორცაა მწერლობა და მხატვრობა, საქართველოში განსაკუთრებული სრულფასოვნებით ვითარდება.

— რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც არაერთ ქვეყანას დაამშვენებდა ქართველ მწერალთა შემოქმედებითი პოტენციალი. რა თქმა უნდა, არც მოხალისეები აკლია ჩვენს სამწერლობო სივრცეს, მაგრამ როგორც კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა, მოხალისეებს ომი არასოდეს მოუვიათ. ნიკოლოზ ჩუბინიძის სახით კი მოხალისესთან საქმე ნამდვილად არა გვაქვს. ჩვენს წინაშეა მწერალი, რომელსაც ჰყავს კმაყოფილი, მადლიერი მკითხველი, რა ჟანრშიც უნდა საუბრობდეს მასთან — მხატვრული პროზის, ესეისა თუ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილის. მისი სათქმელი ყოველთვის ისეა შეკრული, რომ პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი „გაფანტულობა“, ტექსტის სიმძიმე კომფორტულობას არ უკარგავს მკითხველს და მისი ემოცია მყისიერად დადებითია. ნიკოლოზ ჩუბინიძემ კარგად იცის, რა სჭირდება მკითხველს, რას ელოდება მისგან. ეს განწყობა და პასუხისმგებლობა ახლავს მის წიგნს. ერთგან მწერალი აღნიშნავს: „ეს წერილებიც ჩვენი დროის სიმძაფრეა, ტკივილიც ადამ-ევეურია და მწერლობაც სწორედ მათი მოდემისთვის თავგანწირვაა — ამისთვისაა — ამის მიგნება“.

მინდა განსაკუთრებულად შევჩერდე ნიკოლოზ ჩუბინიძის ერთ ესეზე „განრისხებული ოთარ ჩხეიძე“. დამეთანხმებით, რომ მწერლობა იდეოლოგიური დანამატი არ არის. ის უაღრესად სერიოზული ძალაა ერის ცნობიერებისათვის, მისი ეროვნული სიმყარისათვის. ამ თვალსაზრისით შეუფასებელია ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებები, რათა მომავალმა თაობამ სწორი ორიენტირები დაისახოს, გააცნობიეროს, თუ ვისგან უნდა აიღოს მაგალითი. ნიკოლოზ ჩუბინიძის ესეი ოთარ ჩხეიძეზე ამ მნიშვნელობით არის დაწერილი. მისი შემოქმედებითი და პიროვნული ფენომენის განსაკუთრებულობა იმით გამოხატა, რომ წიგნში ესეი დიდებულ მარტოობაში წარმოგვიდგინა. თითქოს იმ მწარე მოგონების საპასუხოდ, ოთარ ჩხეიძის მოშურნეთა „ფუთფუთმა“ და „გადალაპარაკებამ“ რომ დაუტოვა. იგი აღიარებს საზოგადოებაში არსებულ სამწუხარო რეალობას, რომ „ჩვენში არამარტო უკეთილშობილესი ადამიანები არ უყვართ, არ უყვართ ნამდვილი მწერლობა და ნამდვილი ლიტერატურული აზროვნება“. ნიკოლოზ ჩუბინიძის ეს შესანიშნავი ესეი კარგი შენაძენია ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფოსათვის, მისი მკითხველებისათვის, როგორც კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ოთარ ჩხეიძის სახით ქართულ მწერლობას ჰყავს „ფანტასტიკური ენობრივი აზროვნების შემოქმედი“, ფენომენი, რომლის ფასეულობის დადგენა მომავლის საქმეა და რაც მთავარია — ეს ის შემთხვევაა, როცა მწერალი და პიროვნება ერთმანეთს. მინდა დავეთანხმო თამაზ ნატროშვილს, არ შეიძლება ნიკოლოზ ჩუბინიძე არ წერდეს. არ შეიძლება მან განბილებული დატოვოს თავისი მკითხველი, რომელმაც უკვე შეაფასა მისი შესაძლებლობანი.

80-იან წლებს გაიხსენებს **ნინო ჩხიკვიშვილი**, იმ ხანას, მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის სპეციალობის სტუდენტებს ოთარ ჩხეიძე სპეცკურსს რომ უკითხავდა. მათ შორის ყველაზე გამოჩენილი სტუდენტი კი ნიკოლოზ ჩუბინიძე იყო, ამიტომაც იბეჭდებოდა ასე ხშირად „ლიახვის“ ფურცლებზე და ახლა, წლების შემდეგ რომ იგონებს იმ მოთხრობებს, ფიქრობს:

— ისინი, როგორც ყმანვილი კაცის დაწერილი, მაინც-დამაინც დიდ შეღავათს არ მოითხოვს, რადგან ავტორს მაშინ ჰქონდა სათქმელი, კომპოზიციის გრძობა, თხრობის ორიგინალური მანერა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფლობდა ენას.

წლების შემდეგ კი ქალბატონი ნინო მიხეილ ჯავახიშვილის ამ სიტყვებსაც გაიხსენებს:

„ვამ, ჩვენი ბრალი, რამეთუ ჩვენთვის ზეცაშიც აღარ არის ალაგი და ამ ქვეყნიდანაც გაგვდევნეს“.

გაიხსენებს იმიტომ, რომ ასე ფიქრობს:

„შემოქმედთ სულ სხვა რამ აწუხებთ.

აწუხებთ ის ტკივილი, რაც ეპოქიდან ეპოქაში გადმოეცემა ნამდვილ მწერალს და ცდილობენ, პასუხი გასცენ იმ პასუხგაუცემელ კითხვებს, რომელთაც მემკვიდრეობით იღებენ.

„უგემური საკითხავი“, ვფიქრობ, რალაცით ამ განწყობას ეხმიანება და ჩვენს ეპოქას, დღევანდელობას ასახავს“.

ტექსტის მხატვრული სინამდვილე, აი, სად უნდა ვეძებოთ — ნინო ჩხიკვიშვილის აზრით — და სად უნდა აღმოვაჩინოთ მწერალი.

— ამ მხრივ ნიკოლოზ ჩუბინიძის მწერლურ მანერასა და ექსპერიმენტებს (ჟანრთა ეკლექტიკურობას ვგულისხ-

მოზ) მისი თაობის ვერცერთი ქართველი მწერლის მხატვრულ ტექსტში ვერ ნახავთ. ამ თვალსაზრისით ის მართლაც ორიგინალურია.

მართალია, ჩემეული პარალელები ძალზე თამამია, ასოციაციაც გაბედულია და მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ ჩუბინიძის შემთხვევაში მასშტაბია მცირე, არ მეშინია ასეთი სითამამისა, რადგან ამის თქმის უფლებას მაძლევს ეს ახალი კრებული, რომელიც მხატვრული გაფორმებითაც (მხატვარი გეგა პაქსაშვილი) ორიგინალური და გამორჩეულია.

ნიგნი რომ მარტო შინაარსი არ არის და გამოცემის კულტურაცაა, ამაზე ყურადღებას მარინე ტურავა გაამახვილებს და საგანგებოდ აღნიშნავს „პოსტმოდერნისტულ ანალოგებს“ — სათაურით, გასტრონომიული წარწერით ყდაზე — „ერთი ნუთითაც არ დავივინყოთ, რომ ხორცის ფასი სუპერმარკეტებში კატასტროფული სისწრაფით იზრდება“ — სანაგვეზე მოსროლილი ჯოისით, ოლონდ მანამდე, იმ დავის გასაბათილებლად — არსებობს თუ არა ლიტერატურული პროცესი — „ჩვენი მწერლობის“ ბოლო ნომერში დაბეჭდილ თხზულებას გაისხენებს: ზურაბ ლავრელაშვილის რომანს „განკვართული“, ზვიად კვარაცხელიას მოთხრობას „შეკვეთილი ნირვა“ და ეკატერინე ტოგონიძის „მზეთუნახავს“, ქართულ კრიტიკასთან გამოსაქომაგებლად კი ნიმუშად მოიყვანს ასევე ბოლოდროინდელ პუბლიკაციას — ირმა რატიანის წერილს, რომელშიც ქართული მწერლობა გაანალიზებულია XX საუკუნის 40-60-იანი წლებიდან დღემდე. მისი თქმით, ეს არის იმდენად ღრმა რეფლექსია და ანალიზი, რომ ნებისმიერი უცხოელი კრიტიკოსი მოაწერდა ხელს.

ქალბატონი მარინე სწორედ ამ პროცესების ლოგიკურ განმეორებად მიიჩნევს ნიკოლოზ ჩუბინიძის ახალ კრებულს, და განსაკუთრებულად გამოარჩევს წერილებს:

— ნებისმიერი კრიტიკოსი ფიქრობს იმაზე, რამდენად ღირებულია, რამდენად სწორია შეაფასო და საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოსახო ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოები, მაგრამ როდესაც მწერალი თვითონ მიმართავს ასეთ ინტერპრეტაციას, თითქოს ეს გამშვიდებს. ამ წერილებშიც შეინიშნება თავისებური მხატვრული სტილი, ძალიან საინტერესო რომ მგონია.

ნიკოლოზ ჩუბინიძის მოთხრობებმა კი კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ქართული პოსტმოდერნიზმი — მიუხედავად იმისა, რომ ევროპულისაგან წარმოიშვა — მაინც თვითმყოფად მოვლენა და მას აქვს ეროვნული მწერლობისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

აქ არაერთხელ აღინიშნა, რომ ნიჭი ტვირთიცაა და პასუხისმგებლობაც. მინდა ნიკოლოზ ჩუბინიძეს ვუსურვოთ, ბევრი წეროს, რათა არ მოგვაკლდეს ისეთი თხზულებების კითხვაც და მათზე წერაც.

ეს ყველაფერი, ზაურ გერგედავს აზრით, დღეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან თანამედროვე ლიტერატურული ნაკადის ნიაღვარში ძნელია გაარჩიო, ვინ არის ნამდვილი მწერალი, ჭეშმარიტად ღვთივ მომადლებული ნიჭით.

— მე თუ მეკითხავთ, ეს პოეტური ესეიზმია, კინემატოგრაფიული თვალთ... სტრიქონებს შორის კიდევ უფრო მეტია დამარხული, ვიდრე ტექსტი იტევს.

გასაკვირი კი არც ამამია რამე, რადგან...

შემოქმედთ სულ სხვა რამ ანუხებთ.

ანუხებთ ის ტკივილი, ეპოქიდან ეპოქაში რომ გადმოეცემა ნამდვილ მწერალს.

ამიტომაცაა სხვაგვარი მათი სათქმელი. გამოხატვის ფორმაც. ...და თვალცი.

* * *

ნიწო ვახანიაშვილის კი ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული პირველივე პუბლიკაციებით ცხადი გახდა, რომ ნიკოლოზ ჩუბინიძე მწერალია — თავისი სათქმელით, გამოხატვის თავისებური ფორმით, საკუთარი სტილით, ხელწერით. ამ ნიგნი თავმოყრილმა რამდენიმე მოთხრობამ კი ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო განუმტკიცა, ამიტომაც იყო, შეკრებაზე თითოეულ მოთხრობას საგანგებოდ რომ ჩაულრმავდა — თითოეულის სათქმელსაც, გამოხატვის ფორმასაც, სტილსაც და ხელწერასაც, აი, ზოგიერთი შთაბეჭდილებაც:

თემა მოთხრობებისა ჩვენი თანამედროვეობაა, ჩვენი ყოფა. ამავე დროს ეს ნაწარმოებები, ცხადია, აირეკლავს ზოგადდამიანურ სატიკივარსაც.

ზუსტი, თავის ადგილას გამოყენებული ირონია, რომელიც ნიკოლოზ ჩუბინიძის სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, სასიამოვნოს და საინტერესოს ხდის მის თუნდაც უგემურ საკითხავებს. ნაწარმოებები ყურადღებას იქცევს ფორმითაც — ჩართული ნოველები მოთხრობის სიუჟეტთან არის დაკავშირებული (თავდაპირველად მკითხველს ასე შეიძლება სულაც არ მოეჩვენოს). საბოლოოდ ყველა პატარა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შენაკადი მთლიანდება, კომპოზიცია შეიკვრება, მოთხრობა მთავრდება, თხრობით აღძრული განცდა კი დიდხანს რჩება.

სიკვილი-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემა გარეგნულად ლამაზი ფორმით, სახალისოდაა მოწოდებული. ირონია აქ თვითმიზანი კი არ არის, არამედ სათქმელის გამოხატვის საშუალებაა. ამქვეყნიურ ამაოებაში ჩართულს ხომ თითქმის სრულიად არ გვახსოვს იქითა ნაპირი, სამუდამო ცხოვრება. ადამიანის არსის, რაობის, ამქვეყნიური დანიშნულების შესახებ ფიქრისთვისაც არც დრო გვაქვს და არც სურვილი.

პერსონაჟთა და ზოგჯერ ავტორის მეტყველებაც გაჯერებულია ჟარგონით, ე.წ. სლენგით. ამ მხატვრულმა ხერხმა თითქმის წალეკა თანამედროვე მწერლობა. ნიკოლოზ ჩუბინიძის ნაწარმოებებში ყურს არ ჭრის თვით უცნაურ სიტყვებზეც კი. ერთი სიტყვით, ფორმა და შინაარსი ერთმანეთს განაპირობებს, ერთი მთლიანობა და ნაძალადევი და თავსმობვეული არაფერია.

...ის ერთადერთი ესეი, რომელიც ამ ნიგნი დაბეჭდილი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, დაამშვენებდა მსოფლიოს საუკეთესო ესეების ნებისმიერ კრებულს, რომელიც კი შეიძლება გამოიცეს.

რა გითხრათ, გულწრფელად მეხარება ნიკოლოზ ჩუბინიძისა, რომელსაც აქვს რამდენიმე ნიგნი, უწვრილესი ასოებით რომ აწერია:

„ნიკას. ოთარ ჩხეიძე“. მეტი არაფერია.

— უგემური საკითხავი კი, ნებთ თუ უნებლიეთ, ტრაგიზმსაც ამოიყოლებს, ილიასეული ქრესტომათიული სინტაგმის — „წყევლაკრულივანი საკითხავის“ ტრაგიზმს. მაგრამ ტრაგიკული ინტონაციის მიუხედავად, უაღრესად „გემრიელი საკითხავია“, რადგან აქ ყველაფერი დახვეწილია — ენაც, სტილიც, სიუჟეტიც, ხასიათიც... — ასე ფიქრობს **ნანა კუცია** და ამ ყველაფერს ოთარ ჩხეიძის მას-

ტერკლასის გავლენითაც ხსნის. აკი ნიჭიერ შეგირდს კიდევ დაუმახსოვრებია მასწავლებლის შეგონება: „პროზა ხასიათია, ხასიათი გმირისა უნდა გამოიკვეთოს“.

ქალბატონი ნანას თქმით, კიდევ კვეთს დახვეწილი ოსტატობით ნიკოლოზ ჩუბინიძე ქართველთა კოლუმბიურ ხასიათს, „ვეროპისკენ სწრაფვასა და „მაშასადამე ქართველობას“ და არაერთ ალუზიასაც ინვესტს ეს ხასიათები — ჰომეროსის ქრესტომათიული გმირიც მოგვაგონდება, მოლი ბლუმიც, გატანჯული ირლანდიის მარადიული სიცოცხლისუნარიანობის სიმბოლოდ ჯოისისაგანვე შერაცხული, ლია სტურუას მკვეთრი განაცხადიც: რომ პოეტი, ლაჟვარდის მკვიდრი, ვერ იქნება უბრალოდ „დიაცი — ქსლისა მბეჭველი“: „მე პენელოპედ ვერ ვივარგებ, ძაფის დამრთველად“.

ურთულეს ასოციაციურ ჯაჭვს კრავენ ნიკოლოზ ჩუბინიძის მოთხრობათა პერსონაჟები, თავსაფრიანი დედაკაცის უნო ელდასაც დაიმარხავენ და „პასუხის პასუხის“ ტრაგიკულ სარკაზმსაც...

ამიტომ:

— ნიგნი ლიტერატურის გურმანთათვისაა, ამდენად, უმადურობა და საცოდაობაა მისი დანაკუნება, დოსტოევსკის დავესესებებით — „ანატომირება“. აქ ყოველი ფრაზა, ხასიათი, ნიშანსა — ორიგინალური თუ ალუზიური — თვითკმარია და გემოვნებიან მკითხველს ერთდროულად ამოგზაურებს კლასიკური თუ მსოფლიო ლიტერატურის უნაპირო სივრცეებში.

იქნებ ამიტომაც **რუსუდან ბერიძე** ასეთ რამესაც იტყვის:

— ამ ნიგნის კითხვისას ძალიან ღრმა კავშირი გავავლე კავკასთან და მგონია, რომ მისმა ავტორმა ძალიან დააგვიანა. მეც, როგორც ბატონმა როსტომმა ბრძანა, მოველი, რომ იგი უფრო დიდ ნაწარმოებებსაც დანერს.

თვითონ ნიკოლოზ ჩუბინიძემ კი:

— ნერა ჩემთვის იოლი პროცესი არ არის, ამიტომ მინდა მადლობა გადავუხადო ყველა აქ გამომსვლელს იმისთვის, რომ ჩემი ტექსტები წაიკითხეს და თავიანთი საგულისხმო მოსაზრებანი გამიზიარეს.

რალაცნაირად მოხდა ისე, რომ ამ ნიგნის განხილვა სწორედ ოთარ ჩხეიძის გარდაცვალების დღეს იმართება. მთელი ცხოვრების მანძილზე იგი გარკვეულ გავლენას ახდენდა ჩემზე. ეს ძალიან იშვიათია — მხოლოდ თითო-ორი-ღა გეგულება ისეთი ადამიანი, გაჭირვებისა თუ სიხარულის ყამს რომ იხსენებ. მათ არსებობაც და ეს უჩვეულო გავლენაც — საუკეთესო კუთხით — ძალიან მნიშვნელოვანი მგონია. ზუსტად არც კი ვიცი, რა ჰქვია ამას, იქნებ იდეალურს მიღწეული ადამიანური ურთიერთობანი. პიროვნება ოთარ ჩხეიძისა მის შემოქმედებაში აისახა, მისმა დამოკიდებულებამ სამყაროსთან კი შექმნა ამ მწერლის მხატვრული ფენომენი, რაც ცალკე საუბრის თემაა.

რაც შეეხება წერას... ეს ისეთი პროცესია, ვილაცისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვილაცისთვის კი — ძალზე უმნიშვნელო, მე უბრალოდ გარკვეულ ეტაპზე ჩემს თავს უფლება მივეცი, საკუთარი პოზიცია გამომეხატა.

ეს არის და ეს.

ამდენი დიტირამბი, ცოტა არ იყოს, მეუხერხულეობა, მაგრამ ძალიან საინტერესო და საგულისხმოა ის, რომ ასე ყურადღებით და გულისყურით გიფიქრიათ ჩემს სათქმელზე. კითხვა არანაკლებ რთული პროცესია, ვიდრე წერა.

ამიტომ ამ ფიქრისა და გულისხმიერებისთვისაც მადლიერი ვარ თქვენით.

დალილა ბედიანიძე

გაზაფხული — ერთი მერცხლის ჭიკჭიკით

□

ფოლკლორულ-მითოსური ნაკადი ვახტანგ ჯავახიშვილის პოეზიაში

ვახტანგ ჯავახიძე ჩვენი მკითხველის უსაყვარლესი პოეტი. მას არაერთხელ გაუოცებია და მოუხიბლავს პოეზიის მოყვარულები თავისი ლამაზი ლექსებით. ამ ლექსებში შეინიშნება ეროვნული მუხტიც, ინტელექტუალურობაც, სიახლის ძიებებიც. მისი პოეზია საინტერესოა არა მხოლოდ ვერსიფიკაციული, არამედ — აზროვნების თვალსაზრისითაც და არაერთი მასაზრდოებელი წყარო აქვს, რომელთა შორისაც გამოირჩევა ფოლკლორულ-მითოსური ნაკადი.

მითოსის გამოყენებისას ვახტანგ ჯავახიძე მიმართავს უპირველესად ანტიკურ მითოსს და მითოსურ პერსონაჟებს. უსათაურო ლექსში „ცეცხლი დაუნთეს უცნობ ჯარისკაცს“. უცნობი ჯარისკაცის საფლავზე დანთებული ცეცხლი იმ ღვთაებრივ ცეცხლად არის გააზრებული, რომელიც პრომეთემ მოსტაცა ღმერთებს. ყურადღებას იქცევს გმირის სახის მითოსური სიღრმე და სილამაზე:

**ენატრებოდა ზეცა მოკვდავსაც —
მზისა და მთვარის ოქრო და ვერცხლი
და ღმერთებს მხოლოდ მისთვის მოსტაცა,
რომ ამ საფლავზე დაენთო ცეცხლი.**

ასევე — უსათაურო ლექსში „ივლისში და აგვისტოში მე არ მიყვარს თბილისი“ მოხსენიებულია ბერძნული მითოსის პერსონაჟი კიკლოპი (ციკლოპი), რომელიც შედარებულია ზაფხულობით დაცარიელებულ სახლთან:

**იჩქარიან, ან მიდიან, ან წასვლაზე ფიქრობენ
და სახლები ღამლამობით ჰგვანან
ზღაპრულ ციკლოპებს.**

თუ გავიხსენებთ ჰომეროსის „ოდისეას“ მე-9 თავს, სადაც მოთხრობილია, როგორ დააბრმავა კიკლოპი პოლიფემესი ოდისეესმა და ასევე თუ გავიხსენებთ ალექსანდრიული პერიოდის ძველი ბერძენი პოეტის თეოკრიტოსის XI იდილიას „კიკლოპი“, სადაც აღწერილია ულამაზეს ნიმფა გალატეაზე შეყვარებული მახინჯი კიკლოპის ვნებანი, სურათი სრული ხდება და შედარებაც ზუსტია. ამ პატარა ლექსში მითოსური მოტივები რეალობასთან არის

შერწყმული და პოეტის სათქმელი ღრმა ქვეტექსტით არის დატვირთული.

უსათაურო ლექსში „მიდის, ისე ნელა მიდის“ ნახსენებია ბერძნული მითოსის პერსონაჟი ქალღმერთი არტემიდე და იქვე მისი მითოსური წარმომავლობაც არის აღნიშნული:

**მიდის, ისე ნელა მიდის,
გეგონება არ მიდის,
მიდის, ასწრებს ყველა მითის
არმიას და არმადას.
შემორჩება არტემიდის
და სიმშვიდე დავითის —
ასე დგას და ასე მიდის,
ასე მიდის და მიდის.**

ბერძნული მითოსის პერსონაჟი სიზიფოსია ნახსენები უსათაურო ლექსში „მუდამ თავი მოჰქონდა და“. მისი სახე ტრადიციის მიხედვით არის გააზრებული — იგი ამაოების სიმბოლოა, მის შრომას არ აქვს დასასრული და როგორც ვახტანგ ჯავახიძე ამბობს, „კიდევ ბევრჯერ შეუდგება თავის აღმართს სიზიფე“.

ათონი — ბერძენთა უძველესი ქალაქი და სატირები — დიონისეს ამალის წევრები გვხვდება უსათაურო ლექსში „გაზაფხული მობრძანდა“:

**შენ ხარ ჩემი ათონი!
მეც დამიდგა ამინდი,
მე ვერ შევურიგდები
სატირებს და სატანებს.**

სატირები აქ პოეტს სატანებთან შეუდარებია, რაც ამ სახის ახლებური გააზრებაა. ბერძნული ტრადიციის მიხედვით, სატირი ნიშნავს მხოლოდ მემთვრალე და ხუმარა ადამიანს, ვახტანგ ჯავახიძეს კი ახლებურად გააზრებია ეს მითოსური სახე და თავისი ლექსისთვისაც მითოსური ელფერი მიუნიჭებია.

ომის ბერძნული ღმერთი არესი თავისი ტრადიციული სახით გვხვდება სხვა ლექსში:

**ცისფერი ცრემლი დაიკარგა უანკარესი,
დაეძებს ყველა, ქარი ჩადგა, დაცხრა არესი...**

ეს ცისფერი ცრემლის ძიება მარადიული მშვიდობის ძიებას უნდა ნიშნავდეს, ყველა ომის დამთავრებას უნდა ნიშნავდეს და დამცხრალმა არესმა სიმშვიდე უნდა დააცალოს ხალხს, ერთმანეთთან შეარიგოს მტერი და მოყვარე, საყოველთაო ჰარმონია დაამყაროს — ასეთია ამ ლექსის დედააზრი.

ერთობ ორიგინალურად და თავისებურად გვიხატავს ვახტანგ ჯავახიძე სამართლიანობის ქალღმერთის — თე-

მიდას მითოსურ სახეს. თემიდა ხელოვნებაში გამოისახებოდა თვალეზახვეულ ქალად, რომელსაც ხელში სასწორი და სიუხვის რქა ეჭირა. პოეტის უსათაურო ლექსში „ამაყად იჯდა ტყემალზე“ თემიდა დახატულია იმგვარ მსაჯულად, რომელსაც არაფერი გაეგება სიმართლისა, ქართული ხატოვანი თქმით, „ტყემალზე ზის“ და თანაც მოკვდავია. თემიდას სახის ამგვარი გააზრება სრულიად მოულოდნელი სიახლეა:

**ამაყად იჯდა ტყემალზე
და გაჰყურებდა ტერასებს...
სხვადასხვა დამნაშავეთა
ცოდვებს წყევლიდა...
საფლავეში ისე ჩავიდა,
არ ჩამოსულა ტყემლიდან.**

არ არის გამორიცხული, რომ აქ თემიდაში ვინმე კონკრეტული პიროვნება იგულისხმებოდეს.

ქართული მითოსური პერსონაჟი ჭინკა ლექსთან ჰყავს შედარებული ლექსში „სახლს აშენებს პოეტი“ — ლექსის ჭინკა ორიგინალური გააზრებაა ამ მხატვრული სახისა და უდავოდ სიახლეა.

ერთობ საინტერესო სურათს ქმნის ვახტანგ ჯავახიძე ქართული ხალხური ზღაპრების მოტივების გამოყენებით. უსათაურო ლექსში „კარზე მომადგა ათასი რატომ“ ადამიანთა მტერი დევი, რომელიც მრავალთავიანია ქართულ ხალხურ ზღაპრებში და მოჭრილ თავს ისევ იბამს, ამგვარად არის დახატული:

**მაგრამ ზღაპრული დევის თავივით
ორი ცოცხლდება ერთის მაგიერ —**

ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ პოეტს დევის სახემტრის სახე ხალხური ტრადიციის მიხედვით გაუაზრებია.

ქართული ხალხური ზღაპრებისეული უმცროსი ძმის მოტივი აქვს გამოყენებული პოეტს უსათაურო ლექსში „ზოგი მღერის“:

**და ზღაპარში, როცა ძმების შესანდობარს შესვამენ,
ოქროს ტახტზე დაბრძანდება ილბიანი მესამე.**

უფროსი ძმები ზღაპრებში თავიანთი მუხანათური ბუნების გამო, ლალატის გამო მუდამ ილუპებიან და მათგან განწირული უმცროსი, მესამე ძმა კი იმარჯვებს, გამეფდება. ეს მოტივი ვახტანგ ჯავახიძეს ხალხური ტრადიციის მიხედვით გადაუმუშავებია.

ქართული ხალხური ზღაპრებიდან აქვს პოეტს ნასესხები სტრიქონი: „ნახვალ — ინანებ, არ ნახვალ — ინანებ“ (ვარიანტებში „აილებ — ინანებ, არ აილებ — ინანებ“). ეს სტრიქონები წარწერილია გზაჯვარედინზე მდებარე



ლოდზე, ზღაპრის გმირი წაიკითხავს და წავა, სინანულს არ შეუშინდება. სწორედ ზღაპრის გმირად ჰყავს მოაზრებული პოეტს ამ ლექსის ლირიკული გმირი:

**წავალ, გულის გული მირჩევს,
ყოყმანს თავი მივანებო:
თუ არ წახვალ, ინანებ და, —
წახვალ, მაინც ინანებო.**

ზღაპრის პერსონაჟი — უჩინმაჩინი ჰყავს ნახსენები თავისი ტრადიციული მნიშვნელობით ვ. ჯავახაძეს ერთ უსათაურო ლექსში:

**ახლა ბევრმა გამოიღო თავი,
ახლა ბევრი კიცხავს უჩინმაჩინს,
ახლა ბევრი გახდა გამბედავი...
მე კი ვფიქრობ: — სად იყავით მაშინ?**

ყველაზე საინტერესო სურათს გვაძლევს მის პოეზიაში ქართული ხალხური ანდაზების და ხატოვანი თქმების გამოყენება. ერთგან გამოცანაც კი აქვს გამოყენებული:

**სტვენს გაზაფხულის შიკრიკი
და ღვივის, როგორც კრამიტი,
გარეთ ატლასი,
შიგნით კი — 999.**

დააკვირდით, რა ორიგინალურად აუთვისებია პოეტს გამოცანა „გარეთ ატლასი — შიგნით ათასი“.

ქართული ანდაზა „ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო“ გვხვდება ლექსში „და მოკვდა კაცი“: „ისევე ჩხრიალებს, ისევე ჩხრიალებს ზოგის ბამბა და ზოგის კაკალი“ — და სწორედ ეს კლავს ადამიანს — ირგვლივ გამეფებული უსამართლობა. ამ ლექსში ქართულ ანდაზას პუბლიცისტური ჟღერადობა ეძლევა და მისი გამოყენებით პოეტი იხდის თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას, „გარემოების საყვირად“ გვევლინება.

„ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსო“ — ეს ანდაზა შემოკლებული სახით გადმოუცია პოეტს:

**ქალაქში არ ჩანს ქოხი და ხატა,
არც ხარი არსად აბია ხართან...**

აქ ანდაზას ახალი სიცოცხლე აქვს მიცემული და მიგვანიშნებს, რომ ლექსის ლირიკულ გმირს მისაბაძი არავინ ჰყავს თავის მწარე თანამედროვეობაში.

ანდაზა — „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო“ გვხვდება უსათაურო ლექსში „ღღე გათენდა უცნაური“ (ამავე ლექსში მინიშნებაც გვხვდება ათასერთი ღამის ზღაპრებზე):

**რვა მთას იქით გავაცილე
ღამე ათასმეორე,
ათასერთი საფიქრალი
დამრჩა, როგორც სასჯელი,
მერვე საოცრებას ჰგავდა
აზრი ნებისმიერი,
ერთადერთხელ გავზომე და
ასთერთმეტჯერ გავჭერი.**

როგორც ვხედავთ, აქ ანდაზა ზღაპრის მოტივებთან არის შერწყმული და ორიგინალურად ასახავს აზროვნების პროცესს, ფიქრის პროცესს, შემოქმედებით პროცესს.

მითოსური ბუნვის ხიდი, ხატოვანი გამოთქმა „ბენვზე ჰკიდა“ და ანდაზა „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუნყვეტიაო“ გვხვდება ვახტანგ ჯავახაძის უსათაურო ლექსში „დიახ, რისკი უყვარდათ“. ამ კონტექსტში ანდაზას ახალი სიცოცხლე აქვს მიცემული და გადამუშავებული სახით გვევლინება: „და მგლის შიშით ნახირი ჯერ არ გაუნყვეტიათ“.

და მაინც, ყველაზე საინტერესო ფოლკლორულ-მითოსური მასალის გამოყენების თვალსაზრისით, პოეტის ლექსებს შორის არის უსათაურო ლექსი „ყველაფერი შეიცვალა“. მასში პოპულარული ხალხური მოტივები გვხვდება და იმდენად ნაცნობია ეს მოტივები, რომ ლექსი მოგვყავს უკომენტაროდ:

**ყველაფერი შეიცვალა
შენ ხარ ჩემი ბატონი,
კოკამ წყალი მოიტანა,
ძაღლმა იცნო პატრონი.
თევზი ზღვაში შეაფარეს,
დაინმინდა მორევი,
ორი კურდღლის მადევიარმა
დაიჭირა ორივე.
ცოტა წყალმა ჩაიარა,
არ ლოცულობს მენავე,
ვარდებს კრეფენ უეკლოდ და
ცეცხლს თივაში მალავენ.
თივამ ნიშა ხარი მოკლა,
ძაღლი მოკვდა კოჭლობით,
მწვადიც დაწვეს და შამფურიც,
აღულუნდა კოჭობი.
მჯობნის მჯობი დაილია,
დაიქანცა არწივი,
როგორც ჰქუხდა, ისე წვიმდა,
მთა მთას შეხვდა კაცივით.
წვიმამ ასი სალამურის
ტევრი ააწიკნიკა,
გაზაფხული მოიყვანა
ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა.**

ვახტანგ ჯავახაძეს არც ქართული ხალხური სიმღერები დაუტოვებია უყურადღებოდ. თავის ლექსებში ის ახსენებს „ვარალეს“ და „ვარადას“, ასევე მიმართავს ქართულ ხალხურ პოეზიასაც ლექსის ფინალში „მოდი ბებრეების უცნაური ფოტო გაჩვენო“:

**წუთისოფელი რა არი? — აგორებული ქვა არი,
როდესაც დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი.**

როგორც ვხედავთ, ეს ხალხური ლექსი ნასესხობას წარმოადგენს, მაგრამ იგი მოქცეულია ახალ კონტექსტში — გარდაცვლილი გენიოსების მოსაგონებლად ნათქვამ სტრიქონებს მოსდევს და შეგვახსენებს, რომ ყველა მოკვდავი ვართ, წუთისოფლის შვილები ვართ და სიკვდილის შვილები

თამარ ადამია

„ჭუპრიდან“ ამოფრენილი სილაგაზი

პოეზიის საღამოა მშვიდი, — ყველასათვის საყვარელ პოეტურ სტრიქონში, ჩემდა უნებურად, სიტყვა გაზაფხულს პოეზია ჩაენაცვლა და ეს ფრაზა ამედევნა. ამ ფიქრით „მაგთიკლებისკენ“ მივდიოდი, სადაც **კატო ჯავახიშვილის** ლექსების კრებული პრეზენტაცია უნდა გამართულიყო. „ჭუპრი“ — ასეთი დასახელების წიგნი დღემდე მკითხველს, რალა თქმა უნდა, არ შეხვედრია. 19 დეკემბერს, ნიკოლოზობა დღეს, გამოჩნდა ლექსების კრებული სწორედ ასეთი სახელწოდებით. მისი წარდგინება საინტერესოდ ჩაეფიქრებინათ. დარბაზში რალაც საზეიმო მოლოდინით დამუხტულიყო ყველა და სიხარულით ეგებებოდა სიახლეს.

წამყვანმა, **ლევან სუხიაშვილმა**, საზოგადოება სცენასთან მიიწვია და ყურადღება ითხოვა. პირველ რიგში, მან მაღლობა გადაუხადა **კატო ჯავახიშვილს** — „ჭუპრის“ ავტორს — ლამაზი და საინტერესო სალამოსთვის. ითქვა, რომ წიგნი დასტამბულია გამომცემლობა „საუნჯის“ მიერ, ხოლო რედაქტორი ყველასათვის კარგად ნაცნობი პოეტი **ლია სტურუაა**, რომელიც სცენაზე მიიწვიეს.

ქალბატონი ლიას თქმით, ქართველებს ხშირად სჩვევიათ პოეტების შედარება უცხოელ კოლეგებთან. შემდეგ მან ისაუბრა კატო ჯავახიშვილის ვერლიბრულ ლექსებზე, რომლებიც მისთვის აღმოჩენა იყო და ამიტომ წინასიტყვაობაც დაწერა, რაც, როგორც წესი, მას არ ახასიათებს. კარგი და ნიჭიერი ყველაფერი უნდა არსებობდეს, ძველად გაკიცხული ვერლიბრიც კი. პოეზია კულინარია არ არის, რომ რეცეპტით წერო. ძნელია საქართველოში შენი სახე დაიმკვიდრო და შენი ხედვით დაანახო ხალხს სამყარო. კატო ჯავახიშვილი ახერხებს ამ ყველაფერს — ყველასაგან გამორჩეულ სამყაროს ქმნის პოეტური სიტყვით. ლექსის წერა ხელობის ცოდნის გარეშე წამდვილად შეუძლებელია, მაგრამ, როდესაც კითხულობ, ხელობის კვალი არ უნდა იგრძნობოდეს. უნდა მიჰყვე დინებას და, თუ დინებამ ავიყოლია და წაგლეკა, სწორედ ესაა პოეზია. თუ არადა, ხელთ გვაქვს „გაკეთებული“ ლექსი, რომელიც ჟამთა სვლას ვერ გაუძლებს. ბოლოს ლია სტურუამ ახალგაზრდა პოეტს კვლავ მიულოცა ღირსშესასწინშავი მოვლენა და მომავალშიც წარმატება უსურვა.



კატო ჯავახიშვილი

წამყვანმა „ჭუპრის“ შეფუთვასა და სახელწოდებაზე გაამახვილა ყურადღება. წიგნი მართლაც ჭუპრით ჩამალულიყო პატარა ტომსიკაში, თითქოს იქიდან ლამაზ პეკულად ქცეული უნდა ამოფრენილიყო. ითქვა, რომ ეს წიგნი თავისი გამორჩეული სახელწოდებითა და დიზაინით, ადამიანს რომც არ აინტერესებდეს, მაინც წააკითხებს თავს. კრებული რომ ძალზე მიმზიდველია, ეს ავტორთან ერთად მხატვარ **ზაალ სულაკაურის** ოსტატობისა და ყდის დიზაინერ **ნიკა ხვედელიძის** დამსახურება გახლავთ.

მწერალმა **გივი ალხაიშვილმა**, რომელმაც საახალწლო ნობათივით შეფუთულ „ჭუპრზე“ ისაუბრა და მასში შესულ სიბილურ ლექსებზე გაამახვილა ყურადღება, იქვე აღნიშნა, რომ ავტორი წიგნიდან წიგნამდე ვითარდება. ნათქვამია, რომ პოეზია არ ვითარდება, ვითარდება ტექნიკაო. სწორედ ამ განვითარებას წლიდან წლამდე ვადევნებთ თვალს კატო ჯავახიშვილის პოეზიაში. პოეტი არის ნებაყოფლობითი თვითშეწირვის სუბიექტი იმიტომ, რომ არ არის ანგარებისა და სარფის მშოვნელი პოეზიით... გარდა ამისა, ერთ-ერთი, რასაც შეუძლია ადამიანური ეგზისტენციის შენახვა და გადარჩენა, პოეზიაა. მარკესმა ნობელის პრემიის მიღების დროს თქვა, ეგზისტენციის გადამრჩენი და უანგარო შემნახველი არის პოეზიაო.

მწერალმა **ბესო ხვედელიძემ** ნიკოლოზობა და წიგნის დღესასწაული მიულოცა საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი გამოკვეთილი ახალგაზრდა პოეტი კატო ჯავახიშვილი, რომელიც დიდი ნაბიჯებით მიიწვეს წინ და ყოველი მისი წიგნი არის დასტური იმისა, თუ რამხელა ნახტომი გააკეთა ადამიანმა თავისი კარიერის დასაწყისშივე. ეს არ არის სადღეგრძელოდ სათქმელი ლექსები. მათ მეტი სიღრმისეული დაკვირვება და ფიქრი სჭირდება.

წამყვანმა ახლა მწერალი **მიხოს მოსულიშვილი** მიიწვია სიტყვის სათქმელად, რომელიც კატო ჯავახიშვილის პირველი წიგნის რედაქტორი გახლდათ და პოეტის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯების თანამონაწილე.

პოეტმა **ბათუ დანელიამ** ახალი წიგნიდან წაიკითხა ლექსი „წერილი“. მან რითმაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ თავისთავადი პოეტის ხელწერა ეტყობა კატო ჯავახიშვილის ლექსებს.

„ჭუპრის“ მხატვრული გაფორმების ავტორმა **ზაალ სულაკაურმა** კი გვიამბო, თუ რა ჩქარ ტემპში გამზადდა ლექსების კრებულის დიზაინი.

პოეტმა **მარიამ ნიკლაურმა** მიულოცა კატოს წიგნის დაბადება და მომავალში კიდევ უფრო დიდი წარმატება უწინასწარმეტყველა.

სიტყვით გამოვიდა ასევე პოეტი **ზაურ გერგედავა**, რომელმაც კატო ჯავახიშვილს გენიალური პოეტი უწოდა და საზოგადოებასაც მოუწოდა, ეს სიტყვა ხშირად გაემეო-

რებიან პოეტის მისამართით და არ მიემართა უცხო ენებიდან შემოღებული ბარბარიზმისთვის, ისეთისთვის, როგორიცაა მაგალითად, „სელებრიტი“.

შემდეგ თეატრალიზებული წარმოდგენა გაიმართა. სალამოს ასეთ გაგრძელებას არავინ ელოდა. სცენაზე პერკუსიონისტი ირაკლი ქოიავა, მევიოლინე კესო ბურჭულაძე, მსახიობი ბაკურ გოგიტიშვილი და თვითონ კატო ჯავახიშვილი იდგნენ. ფონად ეკრანზე ვიდეოკადრები ცვლიდა ერთმანეთს, თუ როგორ იბადებოდა რაღაც უშმო მატლისგან პეპელა. ვესწრებოდი დაბადებას სილამაზისას. ჰანგების აულერებასთან ერთად კატომ თავისი ლექსების კითხვა დაიწყო, ხოლო ჩვენ თვალწინ მსახიობი ბაკურ გოგიტიშვილი განასახიერებდა დაბადებას ჭუპრიდან პეპლი-

სას, რომელიც ერვეოდა სიცოცხლეს და ლაღდებოდა. ასევე წიგნი „ჭუპრიდან“ იწყო ამოფრენა სილამაზემ, სილამაზემ პოეზიისამ, რომელსაც თვითონ ავტორი გვიკითხავდა.

ამგვარი კომპოზიცია უფრო აახლოვებდა მაყურებელსა და სცენაზე მყოფთ ერთმანეთთან, უჩვეულო მოვლენის თანამონაწილესა და თანამოზიარეს ხდიდა. იმ პეპლის მსგავსად აქაც იბადებოდა რაღაც შესანიშნავი და მომხიბლავი. ეს წარმოდგენა იმდენად საინტერესო იყო, რომ მაყურებელი დაეტყვევებინა, თითქოს სხვა სამყაროში გადასახლებულიყო და პოეტის ხმა ამ ახალი სამყაროსკენ მიმავალ გზას გვიჩვენებდა. მშვენიერი წარმოდგენის შემდეგ კატო ჯავახიშვილი გამოვიდა სიტყვით. მან დიდი მადლობა გადაუხადა საზოგადოებას იქ ყოფნისა და მხარდაჭერისთვის.

მარინე ტურავა

რეალობისგან
ნასესხები

ეს რა გამიკეთა ტატინამ, გათხოვდო, წერდა პუშკინი მეგობარს ნანარმოებზე მუშაობისას, პინოქიო არ ემორჩილებოდა ავტორს, კარლო კოლოდი უპატარავებდა ცხვირს, ცხვირი კი იზრდებოდა. ლიტერატურაში, ხელოვნებაში ზოგადად, ბევრი ასეთი ისტორია არსებობს, ისტორიები, როდესაც ავტორი იძულებულია დაემორჩილოს მხატვრულ კანონზომიერებას და პერსონაჟი ზოგჯერ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდაც ამოქმედოს. ზვიად კვარაცხელიას მოთხრობა „შეკვეთილი წირვა“ ბევრი რამით არის საინტერესო, მაგრამ ავტორის მოულოდნელი გამოჩენა ტექსტში და მისი რემარკა მართლაც ყურადსაღებია. თორნაკე არ ემორჩილება მწერალს, რეალობად აღიქვამს სიზმარს და მხოლოდ მასზე ფიქრობს. „სიზმარია, ბოლოს და ბოლოს, ათასი რამე მოგელანდება ძილში, რაღა ეს დაიჯერე?!“ — ედავება მწერალი პერსონაჟს. თითქოს თავის მართლებაც უხდება — „რეალობისაგან ვისესხე ფერები, სახეები, რათა დამაჯერებელი ყოფილიყო“. ავტორი ამ მოთხრობაში ჩვენი უახლოესი წარსულის ყველაზე მტკივნეულ მონაკვეთს აცოცხლებს, სამოქალაქო ომში ქართველების სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაზე გვიყვება, რითაც აგრძელებს თავის ცნობილ ციკლს.

ტრაგიკულია ორი ახალგაზრდის დაღუპვა ამ ყოვლად უაზრო ომში, კიდევ უფრო ტრაგიკულია, რომ ისინი ძმები აღმოჩნდებიან, რომლებიც არ იცნობდნენ ერთმანეთს. საკმაოდ ძველი, ტრივიალური თემაა, მარადიული სატკივარი. ბევრი მწერლის განჩხრეკის საგანი გამხდარა, მით უფრო ძნელია მასთან მიახლება, ახლებურად დანახვა. (პროსპერ მერიმეს რომანი „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა“ XVI საუკუნეში ჰუგენოტებსა და კათოლიკეებს შორის სარწმუნოებრივი ომების ეპოქაზე მოგვითხრობს. ბართლომეს ღამეს ძმები ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდებიან და ბერნარი ყორჟის მკვლელი ხდება). „შეკვეთილი წირვაში“ ტრაგიზმით არის აღწერილი მშობლების შეხვედრა, სიყვარულის ამბავი, თითქოს ეს ბიჭები მათ ცოდვებს ემსხვერპლნენ. ძალიან ძნელია, იწინასწარმეტყველო, როგორ გააგრძელებენ და გაუძლებენ ისინი ცხოვრებას. ავტორი საოცარ ოსტატობას და

ზომიერებს იჩენს თითოეული პერსონაჟის, პასაჟის, დეტალის ხატვისას.

ბაო-ბაზინა რეალობისაგან ნასესხებ ფერებში ყველაზე დაუჯერებელი და არარეალური პერსონაჟია, უფლის ანგელოზსა ჰგავს თავისი ფიქრებითა და როლით. „ჩვენთან ორი გზაა, მხოლოდ ორი გზა: ერთი ყანისკენ მიდის. მეორე ტაძრისკენ. მე თუ მკითხავ, ორივე მოსაწყენია, მაგრამ პაპაჩემი ამბობს, ამით გვიდგია სულიო და ყოველდღე ამ გზას ვადგავართ. მე სადილი მიმაქვს შუადღეზე და სანთლებს ვეზიდები.“

ეს გზები, ალბათ, მარიამისა (ტაძარი) და მართას (ყანა) სახარებისეულ გზებს უნდა მიანიშნებდეს. „მართა, მართა, ბევრ რამეზე ზრუნავ და შფოთავ; მაგრამ საჭიროა მხოლოდ ერთი რამ. მარიამმა კი უკეთესი წილი ირჩია, რომელიც არ წაერთმევა მას“ (ლუკა 10, 41-42).

მოთხრობას „შეკვეთილი წირვა“ ჰქვია, მკითხველსაც იმედი აქვს, რომ ცოცხლად დარჩენილები ტაძრის გზას არ დაივიწყებენ და „ახალ მართად“ არ იქცევიან („მარიამისა და მართას, როგორც საკრალურისა და სეკულარურის, დაპირისპირება ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია თანამედროვეობისა... დღეს მართა იმის ნაცვლად, რომ დარჩეს საკრალური წიაღში და ემსახუროს მას“, გადაყოლილია ამაო ფუსფუსს — პაატა ჩხეიძე). თუ ყველაფერი კანონზომიერი და ნიშანდობლივია, რაც ამქვეყნად ხდება, იქნებ ამ ბიჭების სიკვდილიც ის განსაცდელია, რომელიც მათ მშობლებს მარადიულ საფიქრალში, უფლის წიაღში დააბრუნებს. ამიტომაც ცვლის, ალბათ, შურისძიების მოტივს, მკვლელის დედასთან მისვლისა და მოყმის დედასავით („ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“) სამძიმრის თქმის სურვილი. ამაზე მოთხრობის ფინალი და თორნაკეს ბოლო სიტყვებიც მეტყველებს.

მოდერნიზმმა უამრავი მხატვრული კანონზომიერების უტყრება მოახდინა, თუ საუკუნეთა მანძილზე ითვლებოდა, რომ ენა ინსტრუმენტია პოეტის ხელში, XX საუკუნემ გამოაცხადა, რომ „ენა კი არ არის პოეტის იარაღი, პირიქით, პოეტი არის ენის იარაღი“ (იოსიფ ბროდსკი). მხატვრული კანონზომიერებიდან გამომდინარე, ზვიად კვარაცხელია პერსონაჟის სამართავად მოთხრობაშიც კი შემოიჭრა, მაგრამ ენა მის ხელში ნამდვილად მძლავრი და ყოვლისშემძლე იარაღია, რომელსაც იგი ოსტატურად იყენებს. სწორედ ამის გამო მის ტექსტებში ვერ შეხვედებით ყალბ სიტყვას, ფრაზას, დეტალს. ამგვარი მოთხრობაა „შეკვეთილი წირვა“, რომელიც ამავდროულად მწერლის ახალ, აქამდე უცნობ მხარეებსაც წარმოაჩენს. ზვიად კვარაცხელია იმედის მომცემი ახალგაზრდა მწერალი აღარ არის, მან იმედები უკვე გაამართლა, იგი მზარდი და საინტერესო მწერალია.

წიგნი „შეკვეთილი წირვა“

ლორდ ბაირონი

სომალდის დაღუპვა: ჰაიდე

□

„ღონ ჟუანის“ მეორე თავი

შენ, ვინც ერების გენიალურ ახალგაზრდობას ასწავლი, ჰოლანდიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა თუ ესპანეთისა, გვედრებით განკეპლეთ როგორც კი დაიმსახურებენ, ტკივილს არა უშავს, ზნეობა გაუმაგრდებათ: საუკეთესო დედაცა და განათლებაც ჟუანს არაფერში გამოადგა, და რაღაც ახირებული შემთხვევის გამო დაჰკარგა ბუნებრივი უმანკობა.

საჯარო სკოლაში რომ მიებარებინათ, მესამე კლასში ან თუნდ მეოთხეში, ყოველდღიური დავალებანი ხუშტურებს დაუცხრობდა, ბოლოსდაბოლოს, ჩრდილოეთში მაინც რომ აღეზარდათ, ეს ესპანეთი თითქოს გამოწკლისივით არის, მაგრამ სწორედ გამონაკლისები გამოიჩინენ ხოლმე თავს... თექვსმეტი წლის ბიჭმა ცოლ-ქმარი გაჰყარა და, ცხადია, საგონებელში ჩააგდო თავისი აღმზრდელები.

ვერ ვიტყვი, რომ ეს ამბავი მეც საგონებელში მაგდებდეს, თუ ყველაფერს გავიზარებთ:

პირველი — დედამისია, მათემატიკოსი, ერთი... თუმცა არ გვინდა, მისი აღმზრდელი და დიდი ვირი;

მეორე — ლამაზი ქალი (უიმისოდ ანკი რა გამოვიდოდა); მოხუცი ქმარი, ახალგაზრდა ცოლს დიდად რომ აღარ აწუხებდა...

დრო და შემთხვევა.

ასეა, ასე... დედამინა ტრიალებს ღერძის გარშემო, და აღამიანები მივეყვებით, ზოგი თავში აღმოვჩნდებით და ზოგიც კუდს მოვებლაუჭებით, ვცხოვრობთ და ვკვებით, გვიყვარს და გადასახადებსაც ვიხდით, და როგორც ქარი დაგვიბერავს, ისე მივცურავთ; მეფე გვიბრძანებს, ექიმი ცახცახს შეგვყრის, მღვდელი დაგვმოდვრავს და ასე ქრება ჩვენი სიცოცხლე, სული გვიდგას, გვიყვარს, ვსვამთ, სიამაყე და დიდების შინი ავგაბობოქრებს. ვიბრძვით, ვერთგულებთ და მერე — მტვერი... ალბათ სახელიც.

აკი მოგახსენეთ, ჟუანი კადისს რომ გაგზავნეს...

მშვენიერი ქალაქია, კარგად მახსოვს...

იქ არის კოლონიური ვაჭრობის ხალხმრავალი ბაზარი (ანდა იყო, ვიდრე პერუ ამბობდებოდა), და ისეთი კოხტა გოგოებია, მინდოდა მეთქვა, მშვენიერი ქალბატონები, ისე დაგოგმანებენ, გულ-მუცელი ამოგიტრიალდება; ვერ აგინერთ, თუმცა კი გამაოგნა, მოწონებით არ მომწონებია...

მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავს: არაბულ ცხენსა ჰგავს, ზვიად ხარირემს, ბარბარიულ მერანს, ჟირაფს, ქურციკს, არა — არცერთი არ გამოდგება;

მერეა და მათი სამოსი! მათი მოსასხამი და ქვედატანი — ეჰ!

ასეთ რამეებს რომ გავყვით, ძალზე მალე შემოგველევა ლექსი — მერე მათი ფეხები და კოჭები, — ოჰ, მაღლობა ღმერთს, მეტაფორა არ მომეძევა (და ჩემო პირქუშო მუ-

ზავ — მოდი დავმშვიდდეთ — კეთილგონიერო მუზავ — დაე იყოს ნება შენი) — ცნობისწადილით აღძრული ხელით წუთიერად გადაგებული საბურველი, და გაფართოებული თვალი, ფერს რომ დაგაკარგვინებს, და მგზნებარე გული: ყველაფერი სიყვარულის საუფლოა, და თუ დაგივიწყო, დაე დამტოვონ ძალებმა — და ლოცვებში ჩავეფლო — მაგრამ არსად ყოფილა სამოსი, საიდანაც თვალნი ისეთ ისრებს ისროდნენ, როგორც ვენეციური ფაზიოლიდან.¹

მაგრამ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ:

ღონა ინეზმა თავისი ვაჟი კადისს გაგზავნა, რათა იქ გემზე ასულიყო; მისი იქ დარჩენა არ განეზრახა, მაგრამ რატომ? — გაურკვევლობაში ვტოვებთ მკითხველს — რათა მოგზაურობას შესდგომოდა ყმანვილი კაცი, ესპანური გემი ნოეს კიდობნად უნდა ქცეულიყო — და ამქვეყნიური ცოდვებისაგან მოეცილებინა და იმედის მომტანი მტრედით გაეშვა.

ღონ ჟუანმა მსახურს უბრძანა: ნივთები საჭიროებისდა მიხედვით ჩაალაგეო, მერე მოისმინა ლექცია და მიიღო ფული: იმ ოთხი გაზაფხულისათვის, მოგზაურობაში რომ უნდა გაეტარებინა; და თუმცა ინეზი დარდობდა (ყველანაირ განშორებას თავისი ეკლები აქვს), იგი იმედოვნებდა გამოსწორებას და ალბათ სწამდა; ბარათიც მისცა დედამ — კეთილი რჩევებისა (ჟუანს არ წაუკითხავს), და ორი-სამი წერილიც კრედიტებისათვის. იმავდროულად, დროის გასაყვანად, მამაცმა ინეზმა საკვირაო სკოლა დააარსა ცელქი ბავშვებისათვის, რომელთაც (მანანალებივით) ჭინკობიანას თუ ბრიყობიანას თამაში ურჩევნიათ; სამი წლის ბავშვებს ასწავლიდნენ, ახირებულებს ნკეპლავდნენ და კუთხეში აყენებდნენ: ჟუანის აღზრდაში მიღწეულმა დიდმა წარმატებამ შეაგულიანა ახალი თაობა აღსაზრდელად.

ჟუანი ავიდა გემზე და ხომალდიც გაუდგა გზას, ზურგის ქარი ქროდა და მიცურავდნენ: ზღვის ეშმაკი ბრუნავს იმ ყურეში, ხშირად გადამიკვეთავს ის ადგილი და კარგად ვიცი; გემბანზე მდგომს სახეში ასხურებს სხეფებს და მის გამძლეობას სცდის: ისიც იდგა და უძლებდა, უძლებდა, პირველად და უკანასკნელად ემშვიდობებოდა ესპანეთს.

ვერაფერს ვიტყვი, სევდიანი სანახავია თუ როგორ ქრება მშობლიური ნაპირი მღელვარე წყალს იქით; ერთიანად მოგშლის, მითუმეტეს, რომ ახალი ცხოვრებისაკენ მიდიხარ: მახსოვს, ბრიტანეთის ნაპირები თეთრია, თითქმის ყველა სხვა ქვეყნისა კი — ლურჯი, შევეყურებთ მას, გვიუცხოვდება სიმორის გამო და გადავივართ სანყალოსნო არსებობაში.²

ასე იდგა ჟუანი მწუხარედ გემბანზე: ქარი უსტვენდა, თოკები იჭიმებოდა, მეზღვაურები იგინებოდნენ, გემი ჭრიალებდა, ქალაქი კი ლაქად გადაიქცა, რასაც ლაღად და

მსწრაფლ შორდებოდნენ. ზღვის სენისაგან მოსარჩენად საუკეთესო ნამალი ბიფშტექსია: გასინჯეთ, სერ, ნუ გელიმებათ, გარწმუნებთ, რომ ასეა, როგორც მე დავრწმუნდი, თქვენც ასევე აღარ გაგიჩნდებათ ეჭვი.

ღონ შუანი იდგა და იყურებოდა გემბანიდან, შესცქეროდა მშობლიურ ესპანეთს, თანდათან რომ შორდებოდა: პირველი განშორება ძნელად შესათვისებელი გაკვეთილია, ერებიც კი გრძნობენ ამას, ომში რომ მიდიან; რალაც გამოუთქმელი დარდაა, რალაც თავზარი, გულს რომ შეუქანებს კაცს, თუნდაც ყველაზე უსიამოვნო ხალხსა და ადგილებს ტოვებდე, მაინც უკან იხედები, მაგრამ შუანი ბევრ რამეს ტოვებდა — დედას, სატროფოს, თუმცა არა ცოლს, ასე რომ, ბევრი მიზეზი ჰქონდა სადარდებლად, ვიდრე სხვა მრავალს, უფრო წინ წასულს ცხოვრებაში; და თუმცა დროდადრო ოხვრა უნდა აღმოგვხდეს განშორებისას, თუნდაც განხეთქილებას დავემორებინეთ, უსათუოდ ვტირით მათ გამო, ვინც გულით გვიყვარს...

უფრო დიდი დარდი ცრემლებს გაგვიშრობს.

ღონ შუანიც ტიროდა, როგორც მოთქვამდნენ ტყვეებრაელნი, მდინარეთა ზედა ბაბილონისა და იგონებდნენ სიონს: მეც ვიტყვებდი... მაგრამ ჩემი მუზა მტირალა არ არის, და არც თავი უნდა მოიკლა ასერიგად მსუბუქი დარდის გამო; ყმანვილკაცებმა უნდა იმოგზაურონ, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ თავი შეიქციონ; და მომდევნო მოგზაურობისას, როცა მსახურები ეტლის ბოლოს დამაგრებას დაუნყებენ ახალ ჩემოდნებს, რომელთაც ალბათ, ჩემი ახალი სიმღერა შექმნის.³

შუანი ტიროდა და ბევრს ოხრავდა და ფიქრობდა, როცა მისი მლაშე ცრემლები ცვიოდა მლაშე ზღვაში, „ტკბილი ტკბილეთან“ (ისე მინდა რომ ციტატი მოვიხმო; უნდა მაპატიოთ ეს ჩანართი... ეს იყო მაშინ, ოდეს დანიის დედოფალმა ყვავილები მიიტანა ოფელიას საფლავზე); და ტირილისას შუანი ფიქრობდა თავის იმჟამინდელ ყოფაზე, და გულმოდგინედ გადაწყვიტა გარდაქმნილიყო.

„მშვიდობით, ჩემო ესპანეთო! დიდი ხნით გემშვიდობები!“ მოთქვამდა იგი, „ალბათ ვედარასოდეს გნახავ, მოვკვდები ისე, მრავალი განდევნილი გული როგორც მომკვდარა, იმის წყურვილით, რომ კვლავ ეხილა შენი ნაპირები: მშვიდობით, გვადალკვივირის წყლებო! მშვიდობით, დედაჩემო! და რაკი ყველაფერი დასრულდა, მშვიდობით, უძვირფასესო ჯულია — (აქ კვლავ ამოიღო მისი ბარათი და გადაიკითხა). და, ეჰ! რომ შემეძლოს დავიწყება, ვფიცავ... მაგრამ ეს შეუძლებელია და არ იქნება... უმალ ეს ლურჯი ოკეანე ცას შეერთვის, უმალ მინა ზღვად გადაიქცევა, ვიდრე შენი სახე დამავიწყდებოდეს, ჩემო მშვენიერო! და შენს გარდა სხვა რამეზე ვიფიქრო; სწეულ გონებას წამალს ვერ მოუძებნის ექიმი (აქ გემი დაირწა და მას ზღვის სენმა დარია ხელი). „უმალ ზეცა ეამბორება მინას (აქ უარესად შეიქნა), ოჰ, ჯულია! ამაზე მეტი სხვა რა ჭირილა შემეყრება (ღვთის გულისათვის ერთი ჭიქა ლიქიორი დამალევივით; პედრო, ბატისტა, დამეხმარეთ, დაბლა ჩამიყვანეთ). ჯულია, ჩემო სიყვარულო! (ჩქარა, პედრო, შე არამზადავ)... ოჰ, ჯულია! (ეს დანყველილი ვარცლი ისე ირყევა)... საყვარელო ჯულია, კვლავ გვედრები, ყური დამიგდე!“ (აქ ლებინებამ ხმა ჩაუნყვიტა).

გრძნობდა გამოთოშავ სიმძიმეს გულისა, ან კუჭისა უფრო, რაც, ეჰ! საუკეთესო აფთიაქარის ხელოვნებასაც კი არ

ემორჩილება, და ახლავს საყვარულის დაკარგვას, მეგობართა ლალატს, ან სიკვდილს ჩვენი საყვარელი ადამიანებისა, როცა ჩვენი ერთი ნაწილი კვდება მათთან ერთად და იმედიც ქრება: უეჭველია, იგი გაცილებით უფრო პათეტიკური იქნებოდა, მაგრამ ზღვა მძლავრად ურევდა გულს.

სიყვარული ახირებული ძალაა: მსმენია, ციებ-ცხელება დაუმარცხებია თავისი სიმზურვალითო, მაგრამ თავსატეხი გასჩენია ხველითა და გაციებით, და ყელის ტკივილიც ძნელი განსაკურნებელია; ყველა კეთილშობილურ სწეულეზასთან თამამია, მაგრამ მდაბიურ სენტან არ უყვარს შეხვედრა, ცხვირის ცემინება ვერ შეაჩერებს მის ოხვრას, ვერც ანთება დაუნითლებს თვალებს.

ყველაზე უარესი მაინც ლებინებაა, ან ტკივილი ნაწლავთა სიღრმეთაგან; გმირულად მსუნთქავი სიყვარული, მშვიდდება ცხელ მოსასხამებში გახვეული, და კუჭის გამწმენდები სახიფათოა მისი ტახტისათვის, ზღვის სწეულება სიკვდილია: შუანის სიყვარული სრულყოფილი იყო, მაგრამ როგორ შეძლებდა შუანის ვნება შიგნეულის ღრიალისათვის გაეძლო, როცა მანამდე არასოდეს ყოფილა ზღვაზე.

წმინდასახელიანი გემი „სამება“ გზას მიიკვლევდა პორტ ლეგჰორნისაკენ, სადაც მონკადათა ესპანური ოჯახი შუანის მამის დაბადებამდე გაცილებით ადრე დაფუძნდა: ნათესავებად ერგებოდნენ და მათთან მიჰქონდა გაცნობის წერილი, სადაც მასთან განშორების მწუხარებას ამცნობდნენ მისი ესპანელი მეგობრები იტალიელ მეგობრებს.

მისი ამაღლა შედგებოდა სამი მსახურისა და მასწავლებლისაგან, ლიცენციატი პედრილო რომ ერქვა, ენა მრავალი იცოდა, მაგრამ ახლა იწვა სწეული და ენაჩავარდნილი, ბალიში თავჩარგული, ირწეოდა ჰამაკში და მინას ნატრობდა, ყოველი ტალღა თავისტივილი უმძაფრებდა; ხოლო ბორტის ნაჩვრეტებიდან შემოღწეული წყალი სანოლს უსველებდა და აფრთხობდა. და უმიზეზოდაც არა აფრთხობდა, რადგანაც ღამით ქარი გაძლიერდა და ქარიშხლად გადაიქცა; და თუმცა ზღვისა არაფერი გაეგებოდათ, ხმელეთელებს ფერი დაეკარგათ, მეზღვაურები კი სულ სხვაგვარნი არიან: და მზის ჩასვლისას აფრების დაკეცვას შეუდგნენ, რადგან ცას შეატყეს, უფრო დაუბერავს, და ვაითუ ორიოდე აფრაც მოგლიჯოსო.⁴

პირველ საათზე ქარმა უეცრად იცვალა პირი, და შიგ ზღვის ხახაში ისროლა გემი, რამაც მძლავრად შეარყია და საზარი ბზარი გაუჩინა, კიჩოს მიადგა და მთლიანად მოარღვია ისე, რომ თავდაღწევა ძნელი იყო ამ განსაცდელიდან, საჭე დაზიანდა და, როცა დგუშების ამუშავება მოინდომეს, ტრიუმში ოთხი ფუტი წყალი დახვდათ.

ეკიპაჟის ერთი ჯგუფი მაშინვე ტუმბოებთან დააყენეს, დანარჩენები კი გემის გამაგრებას შეუდგნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ; წყლის ჟონვა ვერ შეაჩერეს; ბოლოს თითქოს რალაც მოახლავოთთეს, მაგრამ ხსნა ჯვრაც შორს იყო: გაჟონილი წყალი საკმაოდ სამიში გახლდათ, თუმცა ყველაფერს იყენებდნენ ნაჩვრეტში დასაცობად — ნაჭრებს, პერანგებს, ქურთუკებს, მუსლინის შეკვრებს; მაგრამ ამოდ, და ჩაძირვა ელოდათ, თუმც თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ ტუმბოებზე უნდა ვთქვა: მიხარია, ვაცნობო ჩვენს ძმა მუშებს, ტუმბოთი ვისაც უშრომიათ, რომ ორმოცდაათი ტონა წყალი ამოიტუმბა ერთ საათში და ველარავის გამოადგნენ, გარდა მათი დამამზადებელი მისტერ მანისა, ლონდონის მკვიდრის.

დღის დადგომასთან ერთად თითქოს გამოიღარა, მოეჩვენათ, წყლის ჟონვაც შემცირდაო, და გემიც არ ჩაიძირებოდა, თუმცა სამი ფუტის სიმაღლეზე იდგა წყალი და ორი ხელი ამუშავებდა ტუმბოს. ქარი კვლავ უბერავდა და, მოსალამოვდა თუ არა, ქარიშხალი ამოვარდა და ერთი დაქროლვით — რითაც ყველგან შეაღწევს ხოლმე — დაჰკრა და გემი გვერდზე მიანვინა. და იწვა უძრავი, ყირავდებოდა, წყალი სცემდა, გემბანს რეცხავდა, და ისეთ სურათს ძერწავდა ადვილად ვერ დაივინებდა კაცი; ჩვენ გვახსოვს ბრძოლები, ცეცხლი და ნგრევა, ყველაფერი, რასაც უბედურება მოაქვს, იმედთა მსხვერვა, გულის ან თავის გატეხვა, კისრის ნამტვრევა: ჩაძირვაზე ასევე საუბრობენ მყვინთავეები. ან მოცურავენი, ვინც იღბლად გადარჩენილან.

დაუყოვნებლივ გადაჭრეს ანძები, ორივე — მთავარიცა და დახრილიც; ჯერ დახრილი დაეცა, მერე მთავარიც მიჰყვა, მაგრამ გემი კვლავ იწვა, ვითომდა ძელიაო, და ჩვენს გარჯას წყალში ჰყრიდა. ფოკანდა და ბუმბირიტი მოჭრეს და ცოტა შემსუბუქდა ხომალდი (ხომ მაინც ვჯახირობთ, ვიდრე ყველა იმედი ჩაგვეშრიტებოდეს), და როგორც იქნა, დიდი წვალებით, ძველი გემი გასწორდა.

იოლად ვიგუმანებთ, რომ ვიდრე ეს ხდებოდა, ზოგიერთები ლელავდნენ, მგზავრებს არ მოსწონდათ, სიცოცხლეს რომ უნდა გამომშვიდობებოდნენ და არც დიეტის დარღვევა ეპიტნავენოდათ, და თვით გამოცდილი ზღვაოსნებიც, არიქა დასასრული მოვიდაო, ამბობდნენ და, როგორც ასეთ დროს ხდება, გროგი მოითხოვეს და ზოგმა პირდაპირ კასრით მოიყუდა.

უდავოა — ისე არაფერი ამშვიდებს სულს, როგორც რომი და ჭეშმარიტი რელიგია: და ასეც მოხდა, ზოგმა ძარცვას მიჰყო ხელი, ზოგი სვამდა, ზოგიც ფსალმუნებს გალობდა, ქარი გაათკეცვებით ჰქროდა და ცივი, სასტიკი ტალღები ტყლაშუნობდა; შიშმა დაძლია სულმოკლეობა და იმ უიღბლო ხმელეთელთა ზღვის სნეულება: გაისმა სანყალობელი ხმები — მკრეხელობისაც, სასოებისაც, და ქოროდ შეუერთდა მოღრიალე ოკეანეს.

მეტი ზარალიც იყო მოსალოდნელი, მაგრამ ჟუანი, ვინც თავისი ასაკის კვალობაზე დიდი გონიერება გამოიჩინა, მივიდა სასამელების ოთახთან და იქ აისვეტა ორი დამბაჩით ხელში; და დააფრთხო ეკიპაჟი, თითქოს ცეცხლით სიკვდილი უფრო საშიში ყოფილიყო, ვიდრე წყალში დახრობა, და არ ეპუებოდა ვედრებასა და ცრემლებს, არ უშ-

ვებდა ეკიპაჟის წევრებს, ვისაც გადაეწყვიტათ, თუ ვილუპებით, ბარემ მთვრალეები დავიღუპოთო. „კიდევ მოგვეცი გროგი“, ყვიროდნენ ისინი, „სულ ერთი საათილა დაგვრჩა“. და მიუგებდათ ჟუანი: „არა! მართალია ყველას სიკვდილი მოგველის, მაგრამ მოდი ვაჟაკურად დავიხოცოთ და არა ველურებივით;“ — ასე ეკავა საშიში პოსტი და ვერავინ ბედავდა ტყვიაზე მიტანებას; თვით პედრილოც კი, ღირსეული დამრიგებელი, ცოტაოდენ რომს სურვილობდა, იმედგანყვეტილი. თავზარდაცემული გახლდათ კეთილი მოხუცი ჯენტლმენი, ხმამალა და სანყალობლად მოთქვამდა; ინანიებდა ცოდვებს და უკანასკნელ ალთქმას სდებდა: გამოგსწორდებო; სხვა ვერაფერი ნააქეზებდა (ოღონდ განსაცდელისათვის თავი დაეღწია), გაჰქცეოდა აკადემიურ საქმიანობას სალამანკას კლასიკურ მონასტრებში, და არ ასდევნებოდა ჟუანს — სანრო პანსასავით.



მხატვარი ნინო მამაცაშვილი

და უეცრად კვლავ გამორჩნდა იმედის შუქი; გათენდა და ქარიც ჩადგა: ანძები აღარ გააჩნდათ, წყლის ჟონვა გაძლიერდა; წყალმარჩხში იდგნენ, მაგრამ ნაპირი არ ჩანდა, გემი მიცურავდა, ოღონდაც ნებაზე კვლავ აამუშავეს ტუმბოები და, თუმც მანამდე თავგანწირულ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია, მზის შუქმა შეაგულიანა წყლის ამოქაჩველნი და რაც მეტს ქაჩავდნენ, ოდნავ უმჯობესდებოდა ცურვა.

ბოლო-ბოლო გემი დაიძრა და როგორც იქნა რალაც შედეგს მიაღწიეს, მაგრამ წყალი ჟონავდა, აფრები აღარ გააჩნდათ, და არც ტილოს ნაგლეჯი, რა უნდა ელონათ? მაგრამ გირჩევნია ბოლომდე გაძალიანდე, თუ ჩაძირვა გინერია, სჯობს გვიან იყოს: და თუმც მართალია, რომ კაცი ერთხელ კვდება, მაინცა და მაინც სასიამოვნო არ არის ლიონის ყურეში დაიღუპო.

ქარი და ტალღები არყევდა და იძულებით სხვა მხარეს მიაქანებდა; სადღა იყო საჭე, რათა გაეწნორებინათ, და დღისითაც არ დამშვიდდა, რომ სული მოეთქვათ ან გაემართათ საავარიო ანძა ანდა საჭე და ეთქვათ: ერთ საათს მაინც იცურებს გემიო; ის იღბლად მაინც მიცურავდა, თუმცა მთლად იხვივით ვერა.

ქარი თუმც უფრო ნელა უბერავდა, მაგრამ გემი ისე დამძიმდა, ამინდის იმედად დიდხანს ვერ დარჩებოდნენ; ძალიან გადაიქანცნენ და სულს ველარ ითქვამდნენ, წყალი სწყუროდათ, საჭმელიც ცოტა დარჩენოდათ, ამაოდ იყურებოდნენ ტელესკოპებში, არც გემი ჩანდა და არც ნაპირი,

და არც არაფერი — მიძიმედ მოქანავე ზღვისა და შეღამების გარდა.

კვლავ გაავადრდა, კვლავ იმძლავრა ქარიშხალმა და გემის კიჩოზეც და სხვაგანაც წყალმა იჩქეფა; და თუმცა ხალხმა იცოდა ეს, მშვიდად შეხედნენ და გაბედულად, ვიდრე ყველა ტუმბოს ღვედები და ჯაჭვები უძლებდა; და საბოლოოდ დაიშალა გემი და ტალღებს მიენდო, რომელთა ნდობაც ისევე შეიძლება, როგორც ადამიანისა სამოქალაქო ომის ჟამს.

ბოლოს დურგალიც გამოჩნდა, უხემ თვალზე ცრემლმომდგარი და ამცნო კაპიტანს: მეტს ველარაფერს შევძლებო. ხნიერი იყო და ბევრიც ემოგზაურა ქარიშხლიან ზღვებზე, და არასოდეს უტირია, ქალივით არ უღვრია ცრემლი, მაგრამ სანყალ კაცს ცოლ-შვილი ჰყავდა და ეს ორი რამ აკარგვინებდა თავგზას.

გემის ჩაძირვას წინ აღარაფერი ედგა, კიჩოს მხრიდან მაინც განსაკუთრებით სწრაფად; გაქრა ყველანაირი განსხვავება.

ზოგმა ლოცვა დაიწყო, სანთლებს ჰპირდებოდნენ თავთავის წმინდანებს, მაგრამ ვერსად იყიდნენ;

ზოგი მამველ რგოლს ეძებდა;

ზოგიც ნავებს ამზადებდა;

ერთი პედრილოს ევედრებოდა ცოდვების შენდობას, ვინც, თავგზადაკარგულმა, წარწყმედა უწინასწარმეტყველა.

ზოგნი ჰამაკებით შოლტავდნენ სხვებს;

ზოგნი საუკეთესო სამოსს იცვამდნენ, თითქოს ბაზრობაზე მიდიანო;

ზოგნიც იმ დღეს წყევლიდნენ, მზეს რომ შეხედეს, და კბილებს აღრჭიალებდნენ და ღრიალით იგლეჯდნენ თმას; დანარჩენები თავიანთ საქმეს აგრძელებდნენ და ნავებს ამზადებდნენ, რადგანაც კარგად უწყოდნენ, სჯობდა ნავით მინდობოდნენ მღელვარე ზღვას, ვიდრე ნამსხვრევებს ჩაჰყოლოდნენ მის ფსკერზე.

ყველაზე უარესი ის გახლდათ, რომ ამ ყოფაში, ამდენი დღე რომ გაატარეს დიდ შფოთში, ძნელი იყო საკვების ისეთი მარაგის შეგროვება, რაც განსაცდელს შეუშლავდა: კაცი სიკვდილის პირასაც არ ყაბულდება ცარიელ კუჭს; საჭმლის მარაგი ავდარმა დააზიანა და მხოლოდ ორი მცირე კასრი ბისკვიტი და ერთი შეკვრა კარაქი ჩაიდეს კატრში. გრძელ ნავში კი მოახერხეს ჩაედოთ რამდენიმე ფუნტი, სისველისაგან ნამხდარი პური; წყლიანი კასრი, ოცი გალონი თუ მეტიც, ექვსი მათარა ღვინო; ძროხის ხორციც მოიძიეს და ღორისაც, ოღონდ იმდენი, ერთ საუზმედაც რომ ვერ გასწვდებოდათ, და კიდევ რომი რვაგალონიანი კასრი.

სხვა ნავები ხომ ქარიშხლის ამოვარდნისთანავე დანვეს; გრძელ ნავსაც ყოფა დამძიმებოდა, ორი ნაჭერი ქსოვილი ჰქონდათ აფრისათვის და ერთი ნიჩაბი ანძისათვის; ეს ნიჩაბიც ერთმა ყმანვილმა გადმოაგდო გემიდან იღბლად; ორ ნავში მგზავრთა ნახევარიც ვერ დაეჭია.

მწუხრის ჟამი იდგა, უმზეო დღე დასრულდა, წყლის სიღრმეში ჩაესვენა; ღამე ჩადრივით ჩამოეფარა პირქუშ სახეს მძვინვარე თავდამსხმელისა; მათი უნუგეშო თვალეზი ბნელ ღამეში იცქირებოდნენ, სახე გაფითრებოდათ მართოდ შთენილთ ზღვის უფსკრულის ხელში: თორმეტი დღე გაუშინაურდათ შიში და სიკვდილიც მიუახლოვდათ.

გემზე დარჩენილი ლაშობდნენ ტივის შეკონინებას,

თუმცა დიდი იმედი არ ჰქონდათ მღელვარე ზღვის შემხედვარეთ; რალაც სასაცილო რამ შეკრეს, თუმცა სიცილი უადგილოა ასეთ დროს და მხოლოდ კარგად ნაყლაპი კაცი თუ შეძლებს თავზეხელაღებულსა და შემზარავ მხიარულებას, ისტერიულსა და ეპილექტიკურს, როცა მისი ხსნა მარტოდენ სასწაულს შეუძლია.

ცხრის ნახევარზე ფიცრები, ცხაურები, მორები და ყველაფერი, რაც შეიძლება გამოეყენებინათ, გემიდან გადაყარეს, რათა მოჭიდებოდნენ და ეტივტივათ, მაგრამ ამოდ ცოდვილობდნენ, რადგანაც უკუნი იდგა, მხოლოდ ორიოდ ვარსკვლავი ჩანდა ცაზე; ნავები გადატვირთული იყო, გემი გადაიხარა და კიჩოს მხრიდან იწყო ჩაძირვა.

მერე ზღვიდან ცამდე ამოიშრათა დაუნდობელი დამშვიდობების ნიშანი, აყვირდნენ ლაჩრები და მტკიცედ იდგნენ მამაცნი, ვილაცები გემიდან გადახტნენ შემზარავი ყვირილით, თითქოს სული უსწრებდათ საფლავში ჩასასვლელად; მერე ზღვამ დაამთქნარა გემის ირგვლივ ჯოჯოხეთით და ხომალდმაც შეინოვა მღელვარე ტალღა, როგორც მტერს ჩაეჭიდებთან ხოლმე და ლამობენ მოახრჩონ, ვიდრე თვითონაც სული ამოხდებოდათ.

და გაისმა ყოვლისგამაყრუებელი ხმაური, უფრო მძვინვარე, ვიდრე ოკეანის ხმაა, და თითქოს ქარიშხლის გამოძახილი და მერე ყველაფერი მიჩუმდა, გარდა ქარისა და დიდრონ ტალღათა სიბობოქრისა; და დროდადრო გაისმოდა მარტოსული ხმა, კონვულსური შხაპუნის თანხლებით, რომელიმე ღონიერი მოცურავის აგონიური ამოყვირება.

ნავები აკი მანამდე მოშორდნენ იქაურობას, მათში ეკიპაჟის წევრთა ერთი ნაწილი იჯდა; და თუმცა ისე უებრავედა ქარი, რომ მათი ახლანდელი იმედი წინანდელს ოდნავ თუ სჭარბობდა, მცირედი შანსი მაინც რჩებოდა, რომ ნაპირს მიადნებდნენ; და თუმცა ცოტანი გადარჩნენ, ნავებისთვის მაინც ბევრნი იყვნენ, როცა გადაითვალეს, კატერში ცხრანი აღმოჩნდნენ და ნავში — ოცდაათნი.

დანარჩენები დაილუპნენ, ასე ორასი სული განშორდა სხეულს; და უფრო სამწუხარო ისაა, რომ, ეჰ, როცა კათოლიკეებს შთანთქავს ხოლმე ოკეანე, რამდენიმე კვირა მოცდა მოუნვეთ, ვიდრე წირვა ააშორებდეთ მთელ ფუთ ჯოჯოხეთის მუგუზლებს, რადგანაც სანამ ხალხი არ გაიგებს, თუ რა მოხდა, ფულს არც გადაიხდიან მიცვალებულთათვის, ამბობენ სამი ფრანკია საჭირო ყოველ წირვაზეო.

ჟუანი გრძელ ნავში მოხვდა და მოახერხა პედრილოც იქვე მოეთავსებინა; ისე ჩანდა, თითქოს მოვალეობანი გაცვალეს, ახლა ჟუანს ჰქონდა დამრიგებლის სახე, რასაც გამბედაობა ანიჭებდა, იმ დროს, როცა პედრილოს წყვილი თვალი გლოვობდა პატრონის დარდისა გამო: ბატისტა (მოკლედ: ტიტა)⁵ დაიკარგა სასმელი წყლის მოსატანად ნასულთ.

თავისი მსახურის, პედროს გადარჩენაც სურდა, მაგრამ მის დაღუპვასაც საერთო მიზეზმა შეუნყო ხელი; ისე დათვრა, რომ ტალღებში ისკუბა, როცა კატერში აპირებდა ჩახტომას და ჰპოვა წყალ-ღვინიანი სამარე; ვერ შეძლეს მისი გადარჩენა, თუმცა ახლოს გაეხვა ტალღებში, ისე ღელავდა ზღვა და ნავიც ისე გადავსებულიყო ხალხით.

მამის, დონ ხოხესეული, პატარა ბებერი სპანიელი ჟუანს უყვარდა, რადგან ასეთი რამეები ნაზ მოგონებებს გვიღვიძებენ... ძალდი იდგა გემის კიდეზე და ყეფდა, რადგან იცოდა (აქვთ ძალღებს ინტელექტუალური ყნოსვა),

რომ გემი იძირებოდა; ჟუანმა დაიჭირა, ნავში გადაისროლა და თვითონაც მიჰყვა.

ფულიც ჩაიწურა სადაც შეეძლო, თავისთვისაც და პედრილოსთვისაც, ვინც ნებას აძლევდა, როგორც სურდა, ისეც მოქცეულიყო, რადგან არ იცოდა, რა ეთქვა ან რა მოემოქმედა, რადგან ყოველი აღმართული ტალღა შიშს განუახლებდა ხოლმე; მაგრამ ჟუანს სჯეროდა, რომ ხიფათს თავს დააღწევდნენ, და ფიქრობდა, ყველაფერს შეიძლება ეშველოსო. ასე გადაიყვანა გემიდან ნავში თავისი მასწავლებელი და სპანიელი.

მძიმე ღამე იყო და კვლავ მწვავედ უბერავდა ქარი, არავინ ცურავდა ზღვაზე, მაღალი ტალღები დაგორავდა და განძრევას ვერ ბედავდნენ; ზღვის თვითეული ჩქეფი ასვლებდათ და უბედურებას მოასწავებდა და წუთითაც არ ასვენებდათ და მათი იმედებიც ისევე ილტობოდა, როგორც მათივე სამოსი, და საბრალო პანია კატერი მალე ჩაიძირა.

ცხრა სულიც თან ჩაიყოლა; გრძელი ნავი ჯერაც წყლის ზედაპირზე ტორტმანებდა, ნიჩაბი ჰქონდათ ანძის შემცველელად, ორი ზენარი გადაებათ და ტივტივებდნენ ცურვის ნაცვლად; თუმცა თვითეული ტალღა საფრთხეს უქადდათ და ანიინდელი საშიშროება წინას აჭარბებდა, მაინც გლოვობდნენ დაღუპული კატერის მგზავრებს, და ორცხობილისა და კარაქის კასრებს.

მზე ამოვიდა ნითელი და გიზგიზა, უცდომელი ნიშანი ქარიშხლის გაგრძელებისა; გადაუარა ზღვას მანამდე, სანამ კვლავ აღელდებოდა; რა უნდა ელონათ — თითო ყლუპი რომი და ღვინო დალიეს, იმედგადაწურულებმა, შეჭამეს დასველებული პური; ტანზე ძონძებილა შერჩენოდათ. ოცდაათნი იყვნენ, ისე ჩატმასნილნი, განძრევა არ შეეძლოთ; თუმც ყველაფერი მოიმოქმედეს, რომ ასე თუ ისე მონყობილიყვნენ; ზოგი იჯდა, განუწული და გათოშილი, დანარჩენები იწვნენ და აცეცებდნენ თვალებს; ასე ციებისაგან აკანკალებულებივით ხალხს აევსოთ ნავი და საფარად არაფერი ეგულებოდათ — გარდა ზეცისა.

უეჭველია, რომ წყურვილი სიცოცხლისა აგრძელებს ჩვენს ყოფას, და ეს უწყიან ექიმებმა, რომ პაციენტები, თუკი მეგობრებმა და ცოლებმა არ შეჰყარეს ჭირი, უიმედო მდგომარეობასაც აღწევენ თავს, რადგან იმედი რჩებათ და ვერც დანის პრიალი და ვერც ატროპოსის⁶ მაკრატელი ვერ გადაუწურავთ ამ სასოებას; გამოჯანსაღების იმედის დაკარგვა ამოკლებს ცხოვრებას და შესაბრალის ხდის კაცს.

ამბობენ, წლიურ რენტაზე მცხოვრებნი სხვებზე დიდხანს ცოცხლობენო — ღმერთმა იცის, თუ რატომ, ალბათ იმიტომ, რომ სახსარის მომცემნი სწყევლონ — და მართლაც ისე ხდება, ზოგი სულ არ კვდება მათგან, ვინც კრედიტს გაცემენ, ურიათაგან ყველაზე უარესნი; ასეთია მათი წესი სესხის გაცემისა; ჩემს ახალგაზრდობაში უსესხეობით ჩემთვისაც ფული და გადახდა მეტისმეტად გამჭირვებია.⁷

ასეა ღია ნავში დარჩენილი ხალხი — სიცოცხლის სიყვარული აცოცხლებთ და იტანენ გაცილებით მეტს, ვიდრე წარმოიდგენდნენ ან გაიფიქრებდნენ, და დგანან კლდეებით, ქარიშხალი რომ ანგრევს და არღვევს; მძიმე ყოფა მეზღვაურის ბედი ყოფილა, ნოეს კიდობნიდან მოყოლებული დღემდე; იმასაც უცნაური ეკიპაჟი ჰყავდა და ტვირთიც, ისევე როგორც პირველ მეკობრეთა ხომალდს ძველი ბერძნებისა — არგოსი.

მაგრამ კაცი ხორცისმჭამელი არსებაა და ჭამა უნდა, დღეში ერთხელ მაინც; წყლის ქათამივით წრუპვით ვერ იარსებებს, ზვიგენივით და ვეფხვივით ნადავლი ნებავს; და თუმცა მისი ანატომიური აგებულება ბოსტნეულსაც ჰგუობს, ბუზუნით, მშრომელი ხალხი დაბეჯითებით მიიჩნევს, ძროხის, ხბოსა და ცხვრის ხორცი უკეთესია მოსანელებლადო. ეს სჭირდა ჩვენს ბედკრულ ეკიპაჟსაც, რაკი მესამე დღეს დამშვიდდა ზღვა და, იმის ნაცვლად, ძალა მოეკრიფათ და დალილები წყნარად წოლილიყვნენ და კუებივით ჩაედინათ ოკეანის სილურჯეში, გაღვიძებულნი აქოთ-ქოთდნენ და ხარბად ეძგერნენ მარაგს, იმის მაგივრად — თვალისჩინივით მოფრთხილებოდნენ. შედეგის გათვლა იოლი იყო — ყველაფერი შესანსლეს, გამოწრუპეს ღვინო, თუმცა ზოგი უშლიდა, და მერე, მეორე დღეს რალა უნდა ეჭამათ? იმედოვნებდნენ, ქარი ამოვარდება და ნაპირს მიგვაყენებსო, სულელები! იმედს რა სჯობს, მაგრამ მხოლოდ ერთი ნიჩაბი ებადათ, ისიც მაღალი, ბრძნულად უნდა მოქცეულიყვნენ და გაფრთხილებოდნენ სანოვაგეს.

მეოთხე დღე დადგა და ნიავიც კი არ იძროდა, ოკეანეს ეძინა ძუძუთა ბავშვივით; მეხუთე დღემაც მოაწია და ნავი იქვე ირწოდა, ცაც ღურჯი იყო და ზღვაც, კრიალა და მშვიდი, ერთი ნიჩბით რა უნდა ელონათ (ნეტა ორი ჰქონოდათ)? და შიმშილით გაველურდნენ: და ჟუანის სპანიელი, პატრონის ვედრების მიუხედავად, დაკლეს და მიირთვეს იმჟამად.

მექექსე დღეს ძალის ნარჩენები შექანქლეს და ჟუანმაც, თუმც უარს ამბობდა, რადგან მამამისის საყვარელი ცხოველი გახლდათ და კლული ძალლი, ისეთი სვაგი იგრძნო ყებებში, რომ ერთგვარი სინდისის ქენჯნით (თუმც თავიდან უარს ამბობდა) წყალობა მოილო და დაითრია ერთი წინა თათი, რაც პედრილოს გაუყო, ვინც მაშინვე შთანთქა და კიდევ ითხოვდა.

მეშვიდე დღეც დადგა და კვლავ ნიავიც არ იძროდა, კაშკაშა მზე წვავდა და თუთქავდა; ზღვაში გაჩხერილნი ჩონჩხებით იწვნენ და არავითარი იმედი არ მოჩანდა, თუ ქარი არ ამოქროლდებოდა; ველურებოვით უყურებდნენ ერთმანეთს — ყველაფერი შესანსლეს, წყალი, ღვინო, საჭმელი — და ამკარად კანიბალი იმზირებოდა მათი მგლის თვალებით, თუმც ჯერ არაფერს ამბობდნენ.

ბოლოს ერთმა უჩურჩულა თავის ამხანაგს, მან კიდევ თავისას და ასე შემოიარა ირგვით და გაჩაღდა ხრინწიანი ჩურჩული, ავისმომასწავებელი და ველური და საბედისწერო ხმები; და როცა ამ ამხანაგის ფიქრები ყველასათვის გახდა ცნობილი, თვითეულმა თავთავისთვის იგუმანა, მეც ასევე ვფიქრობ, მხოლოდ თავს არ ვუტყდებო, და ამოთქვეს აზრი ხორცსა და სისხლზე, და თუ ვინ უნდა მომკვდარიყო, რომ ამხანაგთა კერძი გამხდარიყო. მაგრამ ვიდრე აქამდე მოვიდოდნენ, იმ დღეს ტყავის ქუდები შეჭამეს და ყველაფერი, რაც ფხსაცმელებიდან გადარჩა; განწირულნი თვალებს აცეცებდნენ და ვერაფერს არჩევდნენ შესანიჩრად; მერე კენჭის საყრელად დაგლიჯეს და მოამზადეს, რაკი ქალაღი არ გააჩნდათ და შესაფერიც ვერაფერი იპოვეს, ჟუანისათვის ჯულიასაგან მიწერილი წერილი მოიხელთეს.

დაანაკუნეს, დანიშნეს, აურიეს და ფარული შიშით დაინყეს ამოლება; იმ წუთებში ველური შიმშილიც კი დაავინყდათ, პრომეთეს არწივივით რომ ითხოვდა საძიძგს, და

გატვრინდნენ; არცერთს არ სურდა და არ იზრახავდა ამ საქმეს, ადამიანის ბუნებამ მიიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე, რაც არავის ტოვებდა განზე, და წილი ერგო უჟანის საბრალო აღმზრდელს.

მან ისლა ითხოვა, სისხლი გამომიშვით და ისე მომკალითო; ქირურგს ინსტრუმენტები ჰქონდა და სისხლი გამოუშვა პედრილოს და მანაც ამოუშვა სული, ვერც კი მიხვდებოდი, რომ აღესრულა, მოკვდა, როგორც დაიბადა, კათოლიკურ სარწმუნოებაში, იმ მრავალთავანივით, ვინც შეითვისა ეს სარწმუნოება, ჯერ პატარა ჯვარცმას ემთხვია და შემდეგ მოიშიშვლა ყელი და მაჯა.

ქირურგს, რაკი სხვა ჰონორარს ვერ მოითხოვდა, პირველი არჩევანი ერგებოდა ნაჭრებისა იმ ტკივილისათვის, რაც გადაიტანა; მაგრამ რაკი ძალიან სწყუროდა, ვენებიდან მჩქეფარე სისხლი არჩია; ნაწილი დაჭრეს, ნაწილი ზღვაში გადაყარეს და ნაწლავები და ტვინი მიირთვა ორმა ზვიგენმა, ტალღებში რომ მიჰყვებოდნენ თან, დარჩენილი ნაწილი საბრალო პედრილოსი კი მეზღვაურებმა შესანსლეს.

ყველა მეზღვაურმა ჭამა, გარდა სამი-ოთხისა, ვისაც არც ისე უყვარდათ ცხოველური საკვები; მათ შორის იყო უჟანიც, ვინც სპანიელის ჭამაზე ამბობდა უარს და ახლაც ძნელად გაელვიებოდა მადა უფრო მეტად; წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა თუნდაც ასეთი უბედურების ჟამს, ესადილა თავისი მოძღვრისა და მასწავლებლის ხორციით.

და კარგადაც მოიქცა, რადგან შედეგი უსამინლესი გამოდგა; ვინც ყველაზე ხარბები აღმოჩნდნენ, ჭკუაზე შეცდნენ — ღმერთო! როგორ მკრეხელობდნენ! დუში მოადგათ და დაიკრუნჩხნენ, დაიბრიცნენ, მარილიან წყალს სვამდნენ, თითქოს მთის წყაროაო, ბრდღვინავდნენ, იღრინებოდნენ, იყფებოდნენ, ყმოდნენ, იწყევლებოდნენ, და აფთრებოდათ კიოდნენ და დაიხოცნენ გამაგებულნი.

ამ უბედურმა შემთხვევამ ძალზე შეამცირა ნაგში მყოფთა რაოდენობა. დარჩენილები, ღმერთმა იცის, ძალა-გამოცლილნი იყვნენ; ზოგს მესხიერება დაჰკარგოდა და ბედნიერნი გამოიყურებოდნენ მათთან შედარებით, ვისაც ესმოდა თავისი უბედური ყოფა; სხვები კვლავ მსხვერპლს ექებდნენ და მხოლოდ სიფრთხილე — უკვე დაღუპულთა ტანჯვის მნახველებს — უოკებდათ მადას.

ახლა უკვე მოსწავლეზე ფიქრობდნენ, მაგრამ უჟანს შეეძლო თავის დაცვა და არ სურდა სხვისი ბედი გაეზიარა; სხვა მიზეზებიც იყო: პირველი ის, რომ სიკვდილი არ სურდა, და მეორე და მთავარი როლი მის გადარჩენაში ითამაშა იმ საჩუქარმა, კადისში რომ მიართვეს ქალბატონთა მითითებით.

საბრალო პედრილოს რაღაც ნაწილი დარჩენილიყო, მაგრამ იზოგებდნენ, რადგანაც ზოგს ეშინოდა, ზოგი კი იოკებდა მადას და მხოლოდ მცირედ ეტანებოდნენ; ყველა — უჟანის გარდა; იგი თავს იკავებდა, ბამბუკის ნაჭერსა და ტყვიას ღეჭავდა: ორი ბრიყვი და ერთი სულელია შემორჩა და ბოლოს მათაც მიიტოვეს გვამის თქველვა.

და თუ პედრილოს ბედი თავზარდამცემი იყო, გაიხსენეთ, თუ რას გადმოგვცემს უგოლინო არქიმტერის თავის ჭამის გამო,⁸ იმ დროს, როცა თავაზიანად ამთავრებს თავის ამბავს; თუ მტრები საკვებია ჯოჯოხეთში, ზღვაზე ხომ უეჭველად სამართლიანია მიირთვა მეგობრები, როცა გემის დაღუპვის შემდეგ ცოტა საკვები გრჩება და არა ხარ დანტესავით საშინელი.

იმავე ღამით წვიმამ დაუშვა, პირი ისე დააღეს, როგორც მიწა იზრახება ზაფხულის ხვატისას, ვიდრე გაჭირვება არ უჩვენებთ, ადამიანებმა არ იციან წყლის ფასი; თურქეთსა ან ესპანეთში თუ ყოფილხართ, ან დამშეულ ეკიპაჟთან ერთად წოლილხართ ნავში, ან უდაბნოში ჩაგსმიათ აქლემის ზანზალაკის ხმა, იქ ყოფნას ინატრებდით, სადაც ჭეშმარიტებაა — ჭაში.⁹

კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ წყურვილს ვერ იკლავდნენ, ვიდრე არ იპოვნიდნენ დაგლეჯილ ქსოვილს და დაცხრილულ ჯამად გამოიყენებდნენ, და როცა მთლიანად გაიჟლინთა, გამონურეს და, თუკი მწყურვალი მიწისმთხრელისათვის ორიოდე ყლუპი მთელი სურა პორტერის ბადალი იქნებოდა, მათთვის ამაზე დიდი ნეტარება სასმელს ვერ არ მოეტანა.

მზისგან დამწვარი და დამსკდარი ტუჩებით ისრუტავდნენ ნეტარებით სისველეს, ღუმელივით გახურებული ყელით ყლაპავდნენ, ენები დასიებოდათ და გაშავებოდათ, როგორც მდიდრებს ჯოჯოხეთში, მათხოვრებივით რომ ივედრებიან ერთ წვეთ წყალს და თვითეული წვეთი ღვთაებრივ ნეტარებად ეჩვენებათ; თუკი ეს სინამდვილეა, მართლაც რა მოსახერხებელი ყოფილა ქრისტიანული კრედი.

ორი მამა იმყოფებოდა ამ აჩრდილთა ეკიპაჟში და ორი ვაჟი ახლდათ, მათგან ერთი უფრო ამტანი და მამაცი ჩანდა, მაგრამ უფრო ადრე ის დაიღუპა და, როცა თანამგზავრმა აცნობა მშობელს, მან უპასუხა, „ღვთის ნებაა, მე რა შემიძლია,“ და თვალი გააყოლა ზღვაში გადაგებულს ცრემლისა და ოხვრის გარეშე.

მეორე მამას უფრო სუსტი შვილი ჰყავდა, ნაზი და მშვიდი, მაგრამ ბიჭმა ბევრ რამეს გაუძლო; უდრტვინველი და მომთმენი ბუნებით უიღბლობას იტანდა, ცოტას ლაპარაკობდა და დროდადრო იღიმებოდა; წონას კარგავდა მაგრამ ხედავდა, როგორ სივდებოდა მამის გული საბედისწერო ფიქრით, განშორება მოგვიწევსო.

მამა-ბატონი თავდახრილი დასცქეროდა, თვალს არ აცილებდა, ტუჩებიდან დუჟს სწმენდა და, როცა ნანატრი წვიმა მოვიდა, ბავშვს თვალები თითქოს გამოუცოცხლდა, მოწყენა გაუქრა, გამოანათა და ამოძრავდა, ნაჭრიდან რამდენიმე წვეთი შეინოვა ბავშვის მომაკვდავმა პირმა, მაგრამ ამაოდ.

ბიჭს სული ამოხდა, მამას გვამილა ეჭირა ხელში და დიდხანს დასცქეროდა; და ბოლოს, როცა დარწმუნდა, მოკვდაო, გული დაუმძიმდა, იმედი ჩაეპრიტა და გულისცემა შეუწედა, მწუხარებით აევსო მზერა და, როცა უხეშმა ტალღამ თავის ნებაზე გააქანა ბავშვის სხეული, თვითონაც ჩაქრა, აცახცახდა და გაშეშდა, სიცოცხლის ნიშან-წყალს აღარ ამჟღავნებდა, მხოლოდ კიდურები უთრთოდა.

უეცრად ცაზე ცისარტყელა გადაისარკა, ღრუბლები გამოარღვია და გამოანათა, თალად დაადგა ბნელ ზღვას, მოცახცახე სილურჯეს დაეყრდნო; და ამ თალის ქვეშ ყველაფერი უფრო ნათლად გამოჩნდა, მისი ანარეკლი გაფართოვდა და ტალღებზე დაინა, როგორც ალამი თავისუფლებისა; მერე მოირკალა როგორც მშვილდი და დაღუპული გემის მგზავრთა ჩამქრალ თვალთაგან მიეფარა.

სახე იცვალა, ცხადია, ამ ზეციურმა ქამელიონმა, ორთქლისა და მზის ჰაეროვანმა შვილმა, ჯერ მენამულით გამოაშუქა, მერე ნითელში ჩაეფლო, ოქროსფერში მოინათლა და ნაცრისფერში გაეხვია. კამკამებდა როგორც ნახევარ-

თვარე თურქული კარავის თავზე და ყველა ფერი ერთში შეაერთა, ჩხუბში ჩამავებული თვალივით (ხანდახან რომ გვიხდება სკივრის ჩალაგება უნესრიგოდ, ისე).

გემდალუბულმა ნაოსნებმა ივუმანეს, კარგი ნიშანიო, და ხშირად ფიქრობენ ასე; ეს ჩვეულება ძველი ბერძნებისა და რომაელთაგან მომდინარეობს და დიდ შვებას გაგრძობინებს სასონარკვეთილებისას; და არავის დასჭირვებია გულის გამაგრება ისე, როგორც ამათ სჭირდებოდათ, და ეს ცინაბტყელა, ეს ზეციური კალიედოსკოპი, იმედის მომცემი გამოდგა.

და სწორედ ამ დროს მშვენიერმა ფეხაპკინამ თეთრმა ჩიტმა გადაუფრინა თავზე, ისეთი ბუმბული ჰქონდა, მტრედი არ უნდა ყოფილიყო (ალბათ გზა აბნეოდა), დაჯდომა დააპირა, თუმცა კაცები დაინახა და ხმა მოესმა ნავიდან და უკან გაფრინდა, მაგრამ გაახარა მოგზაურები, მზის ჩასვლამდე ეს კიდევ ერთი კარგი ნიშანი იყო.

მაგრამ ისიც სათქმელია, რომ კარგი ჰქნა ჩიტმა, ნავზე რომ არ ჩამოჯდა, რადგან ეს ჩვენი ეკიპაჟი და ნავი არ იყო ეკლესიასავით საიმედო, და თუნდ ნოეს კიდობნის მტრედი ყოფილიყო, წარმატებული დაზვერვიდან დაბრუნებული, რაც გადარჩენის დიდ შანსს უქადავდა, მაინც შეახრამუნებდნენ ზეთისხილის რტოიან-ყველაფრიანად.

მწუხრთან ერთად კვლავ დაუბერა, მაგრამ ისე სასტიკად აღარ, ვარსკვლავები ჩანდნენ და ნავმა გეზი აირჩია, თუმცა ნელა მიცურავდა და არ უწყოდნენ, საით და რისთვის; ზოგი ამბობდა: მინა დავინახეო, სხვები: არაო! ღრუბლების ხშირი ქულები აცთუნებდათ, ზოგი ამბობდა: მოქცევის ხმა მესმისო, ზოგს თოფის ხმა ეჩვენებოდა და ყველას ეშლებოდა.

დღლა გათენდა, მსუბუქი ქარი ჩადგა, ვისაც თვალყურის ქურა ევალეზა, სტვენასა და ფიცილს მოჰყვა: თუ ეს მინა არ იყოს, მზის სხივებში რომ გამოილანდა, მინა არ მენახოს არასოდესო; დანარჩენებმაც მოიფშვინტეს თვალეზი და ყურე დაინახეს, ან იფიქრეს, ვხედავთო, და ნაპირისკენ მიმართეს ნავი; და ეს მართლაც ნაპირი აღმოჩნდა და ნელ-ნელა სულ უფრო გარკვევით მოჩანდა, მალალი და გამოკვეთილი. ამის დანახვაზე ზოგს ცრემლები წასკდა, სხვები კი გამოთავყანებული იყურებოდნენ, ჯერაც ვერ გაეგოთ, გახარებოდათ თუ შემინებოდათ, თუმცა თითქოს სადარდებელი აღარ უნდა ჰქონოდათ, ცოტა ილოცეს (პირველად ნლეზის შემდგომ), წავის ფსკერზე სამი მძინარე თანამგზავრის გაღვიძებასაც შეეცადნენ, ბევრი ანჯღრის, მაგრამ ნახეს, რომ ცოცხლები აღარ იყვნენ.

ნინა დღეს წყლის ზედაპირზე ჩაძინებული კუ შეხვდათ და იღბლად დაიჭირეს, რამაც კიდევ ერთი დღე გააძლებინათ და ახლა ფიქრობდნენ, რომ ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე საკვები, რადგანაც იმედი გაუჩინათ; ფიქრობდნენ, რომ ასეთ უიმედო ყოფაში ეს იყო ხავსი მათი გადარჩენისა.

მინის ნაპირი მალალი და კლდოვანი ჩანდა, მის მიღმა უფრო მალალი მთების ხაზი მოჩანდა; დინებას მინდობილი მგზავრები დაბნეულნი ვარაუდობდნენ, არავინ იცოდა, თუ დედამინის რომელ ნაწილში გადავარდნილიყვნენ, ისე ახეთქეს აქეთ-იქით სხვადასხვა ქარებმა; ზოგი ფიქრობდა, ეტნას მთა მოჩანსო, სხვებს ირაკლიონის მთები ეგონათ, ან კანდია¹⁰ კვიპროსი, როდოსი ან სხვა კუნძული.

ამ დროს დინება და ზღვის ღელვა სულ უფრო სწრაფად მიაქანებდა სტუმართმოყვარე ნაპირისაკენ, როგორც ქა-

რონის ნავს, აჩრდილებით საცხეს; ეკიპაჟიდან ოთხილა გადარჩენილიყო ცოცხალი, სამი მიცვალებულიც იქვე ესვენა, ვის წყალში გადასაგდებადაც ძალა აღარ ეყოთ, თუმცა ორი ზვიგენი კვლავ მისდევდათ გვერდით წყლის ტყალაშენით და სახეში ასხამდათ წყალს.

შიმშილმა, განწირულობამ, სიცივემ, წყურვილმა და სიცხემ თავისი ჰქნეს რიგ-რიგობით და ისე გაახმეს, საკუთარი დედაც კი ველარ იცნობდა შვილს ამ ჩამომხმარი ეკიპაჟის ჩონჩხებს შორის; ღამით იყინებოდნენ, დღისით ინვებოდნენ, ასე ქრებოდნენ ერთიმეორის მიყოლებით, ვიდრე ასერიგად შეცოტავდებოდნენ, მაგრამ განსაკუთრებით ურთიერთგანწყვეტის, პედრილოს ხორცის მარილიანი წყლით გარეცხვისა გამო დაემართათ ესეგვარად.

ნაპირს მიახლოებულნი, ალაგ-ალაგ ხედავდნენ მის აგებულებას, გრძობდნენ სიმწვანის ცინცხალ სუნს, მობერილს ტყეთა კენწეროებიდან, ჰაერს რომ აცოცხლებდა. და მათი მზერა მიმართულიყო მზინავ ტალღათა და ცხელი ცის მიღმა, იმ მშვენიერებისაკენ, რაც იხსნიდა ამ უსაზღვრო, მარილიანი, საშინელი მარადიული უფსკრულისაგან.

ნაპირი უდაბური ჩანდა, ადამიანის ფეხდაუდგამი, შემორტყმული უზარმაზარი ტალღებით; ისინი შემლილებით ეხლებოდნენ მიწას და მგზავრებსაც თან მიაქანებდნენ; თუმცა წინ ედოთ ტალღების მკვეთი რიფები, და აქაფებული წყლის ზედაპირი; მაგრამ უკეთესი ადგილიც არ ჩანდა მისადგომად, ამიტომ პირდაპირ მიმართეს ნავი ნაპირისაკენ და დაარღვიეს მისი უმანკოება.

მაგრამ თავის მშობლიურ მდინარე გვადალკვივირში ჟუანს უყვარდა მკლავების გაშლა და ცურვაც იმ მოალერსე მდინარეში ისწავლა; და დიდადაც დაოსტატდა, უკეთესი მოცურავე ძნელად რომ ოდესმე გეხილათ, მას ალბათ შეეძლო გადაეცურა ჰელესპონტი, როგორც ერთხელ (საამაყოფ გვაქვს ეს გმირობა) ლეანდრმა, მისტერ ეკენჰედმა და მე გადავცურეთ.¹¹

და თუმცა დასუსტებული გახლდათ და ერთიანად ძალა-გამოცლილი, ამოდრავა თავისი ყმანვილური მკლავები და გაიბრძოლა და სწრაფ ტალღას გაჰყვა და გაიმარჯვა, თუმცა ბნელოდა, ციცაბო და მშრალი ნაპირი გასვეტილიყო მის წინ; ყველაზე დიდი საფრთხე ზვიგენისაგან მოელოდა, მისი მეზობელი ფეხით რომ დაითრია, იმ ორმა კიდევ, ცურვა არ იცოდა, ასე რომ, მარტო ჟუანამა გააღწია ნაპირზე, რომ არა ნიჩაბი, ნაპირს მაინც ვერ მიაღწევდა, ნიჩაბი, რომელიც ბედისწერამ ხელთ მოახვედრა, როცა მკლავებში ძალა ელეოდა და მძიმე ტალღა სძლეოდა, ნიჩაბი მიცურდა მასთან და იგიც ჩაეჭიდა; ტალღები სცემდა და ჟუანი ცურვით, წვალებით, ფორთხვით, ბოლოს და ბოლოს ნახევრად გონდაკარგული ზღვიდან ნაპირზე აბოლდა.

იქ, სუნთქვაშეკრული, ფრჩხილებით ჩაეჭიდა ქვიშას, რათა უკუქცეულ ტალღას უკან არ ჩაეთრია გაუმადლარ სამარეში; და ინვა გამხლართული, სადაც დაეცა კლდეში გაჩენილი ქვაბულის წინ, სიცოცხლის უნარი იმდენად შერჩენოდა, რომ ტკივილი ეგრძნო და მიმხვდარიყო, გადავრჩიო; თუმცა ამაოდ.

ნელა და ცახცახით წამოიმართა ფეხზე, მაგრამ კვლავ დაეცა დასისხლიანებულ მუხლებსა და მოკანკალე ხელებზე და შემდეგ მოჰხედა მათ, ვინც დიდხანს იყვნენ მისი ამხანაგები ზღვაში, თუმცა არავინ იზიარებდა მის ტანჯვას, გარდა ერთისა, იმ სამიდან შიმშილით რომ დაიღუპა ორი

დღით ადრე და ახლა უცნობ და უდაბურ ნაპირზე გამოერი-
ყა ზღვას — მიწისათვის მისაბარებლად.

იყურებოდა უკან და სწრაფად დაეხვია თავბრუ და გონი
დაკარგა და გონდაკარგვისას ქვიშა დაუტრიალდა ირგე-
ლივ და შეგრძნებანი გაუქრა, და ცალ გვერდზე დაეცა, ნი-
ჩაბზე (სამარქაფო ანძაზე) ჩაჭიდებული და მიწაზე ინვა
გამხდარი და გაფითრებული — როგორც დამჭკნარი შრო-
შანი, როგორც თიხისაგან გამოძერწილი ყველაზე მშვენიე-
რი ქმნილება.

რამდენ ხანს ინვა დასუსტებული და გონებამიხდლილი
ჟუანი, არ უწყის, ეს სოფელი დაკარგულიყო მისთვის,
დროს ვერ შეიგრძნობდა, აღარც დღე ახსოვდა და აღარც
ღამე, სისხლი შედედებოდა და გრძნობები გაქრობოდა; და
თუ როგორ გადაურჩა ამ ყოფას ვერ მიხვდა, სანამ აღუდ-
გებოდა პულსი, აუმოძრავდებოდა მკლავები, სიცოცხლე
დაუბრუნდებოდა.

მაგრამ სიკვდილი, თუმც დამარცხებული, იქვე ტრია-
ლებდა.

თვალეები გაახილა, ისევ დახუჭა, რადგან ბურანში იმ-
ყოფებოდა და გაურკვევლობაში; ფიქრობდა, ისევ ნავში
ვარ და მესიზმრებო; კვლავ უიმედობა იგრძნო, ინატრა:
ნეტა მოვკვდე და მოვიხვეწო, — მაგრამ მალე დაუბრუნ-
და შეგრძნებანი და თანდათან გაარჩია დაბინდული თვა-
ლებით ჩვიდმეტი წლის ქალიშვილის მშვენიერი სახე, მისი
სახისაკენ რომ დახრილიყო და პანია პირით თითქოს სულს
უბერავდა, თან ნაზი ყმანვილური ხელით უფშვევტდა სა-
ხეს, რათა სიცოცხლე შთაებერა. ბანდა გაციებულ ყვრიმა-
ლებს, ცდილობდა გამოეცოცხლებინა, პულსაცია აღედგი-
ნა, მანამდე, სანამ ესეგვარი კეთილშობილება მცირედ პა-
სუხს არ მიიღებდა.

მერე გულის საპოვნად რაღაც სითხე ჩაანვეთა და მო-
სასხამი მოახურა მოშიშვლებულ მკლავებზე; და მშვენიერ-
მა მკლავმა წამოუნია თავი და მკვდარივით გაფითრებული
შუბლი ქათქათა, კრიალა და თბილ ლოყაზე მიისვენა; შემ-
დედ გაუსწორა დანამული კულულები, დიდხანს ნასველები
ქარიშხალთა მიერ, და აკვირდებოდა გულისცემას, რომე-
ლიც ნელ-ნელა ძლიერდებოდა ჟუანის მკერდშიც და ქალ-
წულის მკერდშიც.

და ფრთხილად გადაიყვანეს გამოქვაბულში ნაზმა გო-
გონამ და მისმა თანმშლებმა. ახალგაზრდა იყო, თუმცა გო-
გონაზე უფროსი ჩანდა, მაგრამ უფრო ღონიერი და ნაკლებ
მომხიბვლელი.

მერე ცეცხლი დაანთეს და ალმა გაანათა კლდეები,
თავზე რომ ეხურათ, სადაც მზე ვერ აღწევდა და გარკვე-
ვით გამოაჩინა მალალი და მშვენიერი ქალიშვილი. წარბებს
ზემოთ ოქროს მონეტები შემორტყმოდა, რაც ბზინავდა
ნაბლისფერი თმის კულულებქვეშ; გრძელი კულუნი უკან
გადაეწია, დაეწინა და, თუმც ტანმალალი იყო, კოჭებამდე
სწვდებოდა; მის გარეგნობაში მოჩანდა რაღაც მბრძანე-
ლური, რადგან იგი გახლდათ ქალბატონი იმ არემარეზე.

მოგახსენეთ, ნაბლისფერი თმა ჰქონდა-მეთქი, მაგრამ
თვალეები — შავი, სიკვდილივით; წამწამები იმავე ფერის,
გრძელი და ძირს დამკვებული, რომლის აბრეშუმისებრ
ჩრდილში იმალებოდა უღრმესი მიმზიდველობა; და როცა
ამ ყორნისფერი ხავერდოვნებიდან მზერა გაკრთება, უსწ-
რაფეს ისარს ემსგავსება; გველივით გაიზლაზნება და მერე
უსწრაფესად გასხლტება შხამიანი კბილის ჩასასობად.

შუბლი თეთრი ჰქონდა და დაბალი, ლოყები მიმწუხრის
ვარდისფერი, ჩამავალი მზე რომ ტოვებს; ზედა ტუჩი,
ტკბილი ტუჩი, მოკლე, ოხვრას რომ ინვევს დანახვისთანა-
ვე; ნამდვილ მოდელს ჰგავდა მოქანდაკისა (ყალბისმქენე-
ლთა მიერ დამახინჯებული ბევრი მინახავს ნამდვილი, მნი-
ფე, მშვენიერი ქალი).

გეტყვი, თუ რატომ ვამბობ ამას, ეს არის ამბავი, ვე-
რავე რომ ვერ აღუდგება წინ, თუ არა მტკიცე მიზეზით;
ერთი მშვენიერი ირლანდიელი ქალბატონი იყო, რომლის
სილამაზესაც ვერაფრით გადმოსცემდა ქანდაკი, და მაინც
ხშირად იყო მოქანდაკეთა მოდელი, და თუკი იგი დროისა
და ბუნების ჭეშმარიტი მშვენება გახლდათ, მოქანდაკეები
ისე უმახინჯებდნენ სახეს, რომ მოკვდავი ვერაფრისდიდე-
ბით ვერ მიხვდებოდა, როგორ ახერხებდნენ ამას საჭრეთლით.

და ასეთი იყო იგიც, გამოქვაბულის ქალბატონი:

მისი კაბა ესპანურისაგან განსხვავდებოდა, უფრო მარ-
ტივი და ფერით არც ისეთი მუქი; რადგანაც, მოგეხსენე-
ბათ, ესპანელი ქალები კაშკაშა ფერებს არ იკარებენ, როცა
გარეთ გადაიან, მაგრამ როცა შემოიხვევენ (რაც იმედია,
არასოდეს დაიკარგება) ბასკუნას¹² ანდა მანტილას,¹³ უფ-
რო მისტიკურები და უზრუნველნი ჩანან. მაგრამ ეს ამ ქა-
ლიშვილზე არ ითქმის; მისი მშვენივრად ნაქსოვი კაბა ჭრე-
ლი იყო, კულულები ლალად ევლებოდა პირისახეზე, მათში
კრთოდა ოქრო და ძვირფასი თვლები; სარტყელი კაშკაშებ-
და, ძვირფასი ძაფით იყო ნაქსოვი მისი მანდილი, ხელზეც
მრავალი ძვირფასი ქვა მოუჩანდა; მაგრამ გასაოცარი ისაა,
რომ პანანინა, თოვლივით თეთრ ფეხზე ფლოსტები ეცვა,
მაგრამ უწინდოდ.

მეორე ქალის კაბაც იმავენაირი გახლდათ, მაგრამ უფ-
რო მდარე ქსოვილისაგან შეკერილი, არც ამდენი სამკაუ-
ლი ეკიდა, თმაში მხოლოდ ვერცხლი მოუჩანდა, ალბათ
მზითვეში მოყოლილი; მისი მანდილიც ფორმით ემსგავსე-
ბოდა, მაგრამ უფრო უხეში იყო; კეთილალნაგობა ჰქონდა,
მაგრამ ნაკლებ მოქნილი, თმა უფრო სქელი, მაგრამ არც
ისე გრძელი; თვალეები — შავი, მაგრამ უფრო წვრილი და
მოძრავი.

ეს ორი ქალი დასტრიალებდა თავს და ორივე ანებივ-
რებდა საკვებითა და სამოსით და იმ ნაზი მზრუნველობით,
რაც ქალებს სჩვევიათ (რამდენადაც მომეხსენება), და ათი
ათასობით ხერხს იგონებდნენ, თუ როგორ შეეზავებინათ
საუკეთესო ბულიონი, კერძი, რომელიც იშვიათადაა მოხ-
სენიებული პოეზიაში, მაგრამ საუკეთესოა კერძთა შორის
— ჰომეროსის დროიდან მოყოლებული, როს აქილევსმა
ბრძანა, მოემზადებინათ სტუმართათვის.

გეტყვი, ვინც იყო ეს ორი ქალი, რათა არავის ეგონოს
გადაცმული პრინცესები; ამასთან, მძულს იდუმალბანი
და იაფფასიანი ხრიკები, თქვენი თანამედროვე პოეტები
რომ განადიდებენ; მოკლედ, გოგონები მართლაც, რო-
გორც თქვენც დაინახავდით, ქალბატონი და მოახლე იყე-
ვენ; ქალბატონი ერთადერთი ქალიშვილი გახლდათ
წყლისპირას მცხოვრები ბერიკაცისა.

ახალგაზრდობაში მეთევზე გახლდათ და ახლაც თით-
ქოსდა იმავე ხელობას ერთგულობდა, მაგრამ ჭეშმარიტად
სხვა მოსაზრებანიც არსებობდა, რომ ზღვაზე არცთუ რეს-
პექტაბელურ საქმეს მისდევდა — ცოტა კონტრბანდას,
ცოტა მეკობრეობას... და ბოლოს მილიონი პიასტრიც მოა-
ქურა და დაეპატრონა. ჰო, მეთევზე გახლდათ, ოღონდ კა-

ცებს იჭერდა პეტრე მოციქულივით, დროდადრო თევზაობდა სავაჭრო გემებზე და იმდენს იგდებდა ხელთ, რამდენიც სურდა; ტვირთს ართმევდა და მოგებას მონათა ბაზრიდანაც იღებდა და ამ თურქული ხელობიდან მცირედი წილის ჩაჯივით უსათუოდ კაიძალ ქონებას დააგროვებდა.

ბერძენი გახლდათ და თავის კუნძულზე (ერთ იმ უდაბურ და პატარა ციკლადზე)¹⁴ აქმენებინა მშვენიერი სახლი, შორს იქიდან, სადაც სცოდავდა, და აქ სიამით ატარებდა დროს; ღმერთმა იცის, რა ფული მოეხვეჭა და რა სისხლი დაეღვარა; მოხუცი სევდიანი კაცი იყო, თუ გსურთ გაიგოთ; ერთი კი ვიცი — დიდი შენობა აეგო, წარმართულად მოეხატა, ამოეტვიფრა და მოეოქროვებინა.

ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, სახელად ჰაიდე,¹⁵ უმდიდრესი მემკვიდრე აღმოსავლეთის კუნძულებისა, ამასთან, ისეთი ლამაზი, მისი მზითვეი არაფრად მოჩანდა მის ლიმილთან შედარებით; ჯერ კიდევ არ შესრულებოდა ოცი წელი, და მშვენიერი ნერგივით გაზრდილიყო და დაქალეულიყო; რამდენიმე ხელისმთხოვნელიც გაენბილებინა, რათა უკეთესი ამოეჩინა. და ნაპირზე სეირნობისას, ფრიალო კლდის ძირში მზის ჩასვლისას იპოვნა გრძობადაკარგული, სასიკვდილოდ გადადებული დონ ჟუანი, შიმშილისაგან დაოსებული და დახრჩობას ძლივს გადარჩენილი. მისმა სიშიშვლემ ქალიშვილი დააბნია, მაგრამ სიბრალულმა სძლია და შეიფარა ეს მომაკვდავი უცხოელი, ასეთი სპეტაკკანიანი. მაგრამ მამის სახლში წაყვანა ამ ვაჟისათვის უსაფრთხო სულაც არ იყო, ეს იგივეა, კატისათვის თავი რომ მიგებარებინა, ან გონდაკარგული კაცი საფლავში ჩაგეგდო; რადგანაც იმ კეთილ ბერიკაცს ისეთი „ნოუს“¹⁶ ჰქონდა, განსხვავებით პატიოსანი და მამაცი არაბი ყაჩაღებისაგან, რომ სტუმართმოყვარულად მოუვლიდა უცხოელს, განკურნავდა და მაშინვე გაჰყიდდა, როგორც კი ფეხზე დააყენებდა.

ამიტომ თავის მოახლესთან ერთად (ქალწულნი მუდამ მოახლეებს ენდობიან) მოიფიქრა, უკეთესი იქნება თუ ჯერ გამოქვაბულში მოვასვენებთ; და როცა, ბოლოს და ბოლოს, ჟუანმა გაახილა შავი თვალები, ქალიშვილთა ქველმოქმედებამ იმატა სტუმრისადმი და მათი გულმონყალება ისე ამაღლდა, თითქოს ზეცის ჭიშკარი გაღებულიყოს (ნმ. პავლესი არ იყოს, ეფუენბი აუღერდა).

ცეცხლი დაანთეს, რაც შეიძლეს იმ ნაფოტებით, გარშემო რომ ეყარა, ფიცრისა და ნიჩბების ნამტვრევებით, ხელის ხლებისთანავე რომ იშლებოდა, იმდენ ხანს ეყარა ნაპირზე; ანძა, აფრის ნაგლეჯითურთ, და სხვა ამგვარები, მაგრამ იმდენი რამ მიმოხეულიყო, თორმეტი კაცის გასათბობად იკმარებდა. ბენველითა და ქსოვილებით გაუნწყვეს ლოგინი, ამისათვის საკუთარი საყელო არ დაზოგა ჰაიდემ და მოახლესთან ერთად ქვედატანებიც დაჭრა, რათა ჟუანს მოხერხებულად ეგრძნო თავი თუ გაიღვიძებდა. და დათქვეს, გამთენიისთანავე ვინახულოთ და, საჭმელად კვერცხები, ყავა, პური და თევზი მოვუტანოთო.

და ასე დატოვეს მარტო.

ჟუანს გაგუდულივით ანუ მკვდარივით ეძინა, რაკი ძილი ეღირსა (მადლობა ღმერთს) ბოლოს და ბოლოს; და აღარ აგონდებოდა გადატანილი გაჭირვება, დაწყველილი სიზმრები, რაც დაუჰპატიუებლად გვეწვევა ხოლმე და გაღვიძებულებს ცრემლით გვევსება თვალები.

ჭაბუკ ჟუანს უსიზმროდ ეძინა; მაგრამ ქალიშვილი,

ვინც ბალიში გაუსწორა და გამოქვაბულიდან გადიოდა, უკან მობრუნდა და კვლავ დახედა, რადგანაც ეგონა, დამიძახაო. ჟუანს ეძინა და მაინც ქალიშვილი ფიქრობდა, და თქვა კიდევ (გულისთქმამ იცის გაქცევა, ენაც გაგეცევა და კალამიც), ჩემი სახელი წარმოთქვაო. მაგრამ დაავინყვდა, რომ მაშინ ჟუანმა მისი სახელი არ იცოდა.

და ჩაფიქრებული წავიდა მამის სახლისაკენ, კმაყოფილი, რომ სიჩუმეს იცავდა ზოიც, ვინც თვით მასზე უკეთ ხვდებოდა მის გულისნადებს; ორიოდ ნლით უფროსი უფრო ბრძენიც იყო და ზოიც უწილადებდა სიბრძნეს, რაც ქალებს სწვევიანთ მოიპოვონ ბუნების ძველ კოლეჯში.

ინათლა, ჟუანს კვლავ ეძინა გამოქვაბულში და არაფერი უმღვრევდა მოსვენებას, გარდა გვერდით მოჩუხჩუხე წყაროსი და ამომავალი მზის სხივებისა, რაც არ ანუხებდა და ძილს აგრძელებდა. ძილი სჭირდებოდა, რადგანაც არავის გადაეტანა ასეთი გაჭირვება; მის განსაცდელს ვერ შეედრება მონათხრობი, გადმოცემული პაპაჩემის „ამბებში“.¹⁷

ჰაიდე კი პირიქით, სევდიანად კრთოდა და ბორძიკობდა; დაიძინა და ესიზმრა ათასი დაღუპული გემი, ნაპირზე ეყარა ტანადი გვამები, რომელთა შორისაც დაბარბაცებდა; ისე ადრე გააღვიძა მოახლე, რომ მან ბუზლუნი დაიწყო, დაუძახა მამის მონებს, სომებს, თურქსა და ბერძენს, ვინც იფიცებდნენ თავთავიანთ ენებზე, ვერ გაგვიგია, რამ გააჭირვეულაო.

ადგა და მოახლე და მსახურებიც ააყენა, ბუზლუნებდა მზის გამო: ცა მარტო მაშინაა მშვენიერი, როცა ამოდის ან ჩადისო.

და მართლაც მშვენიერი სანახავია, როცა ამონათებს ბრწყინვალე ფებუსი, როცა მთის წვერები ჯერ კიდევ სველია ნისლისაგან და ჩიტები იღვიძებენ და ღამეც გამოიცვლება, როგორც თალხი სამოსი, ქმრისა ან სხვა მხეცის გამო ნატარები. ცხადზე ცხადია, მზე ბრწყინვალე სანახავია, ხშირად მიყურებია მისი ამოსვლისათვის, ამ მიზნით ღამეც გამითენებია, რაც, ექიმთა თქმით, სიცოცხლეს განამტკიცებს; და ყველამ თქვენ, ვინც არც ჯანს ემდურით და არც ჯიბეს, დღე დაიწყეთ გათენებისთანავე, და როცა ოთხმოცი წლისა კუბოს მიადგებით, საფლავის ქვაზე ამოაკვეთინეთ: ოთხ საათზე დგებოდაო.

და ჰაიდე პირისპირ შეეგება დილას; მისი პირი უფრო ქორფა იყო, თუმც აგზნებულს სისხლი აწვებოდა მთელ სახეზე, რომლის დინებაც გულიდან ლოყამდე ვარდისფერს წარმოშობდა იმ ნაკადივით, ალპების სათავიდან რომ ეშვება და ტბაში ჩამავალი ტალღოვან წრეებს წარმოშობს, ან ნითელ ზღვაში ჩაედინება, თუმცა ზღვა სულაც არ არის ნითელი.

და კლდისკენ დაუყვა კუნძულს ქალწული და მალე მიადგა გამოქვაბულს, მზე უცინოდა პირველი სხივებით, და ნორჩი ავრორა ცვარ-ნამით უკოცნიდა ტუჩებს, როგორც დას; იმავეს იფიქრებდით, ეს წყელი რომ დაგენახათ, თუმც მოკვდავი იყვნენ, იმდენად ნორჩნი და მშვენიერნი, ყველაფერი ჰქონდათ, ჰაეროვნად აღექვევთ. და როცა ჰაიდემ გამოქვაბულში შეაბიჯა, მაშინვე მორცხვად, მაგრამ პირდაპირ შეხედა ჟუანს, რომელსაც ბავშვივით ტკბილად ეძინა; გაჩერდა თითქოს შემკრთალი (რადგან ძილი მორიდებას გვეკარნახობს) და ფეხის წვერებზე მიუახლოვდა და კარგად შეფუთა, რათა დაეცვა ნესტიანი ნიავისაგან, და უჩუმრად დაიხარა მისკენ, თითქოს მისი სუნთქვის ჩაყლაპ-

ვას ლამობსო. და ასე, თითქოს ანგელოზიაო, დაიხარა ქვე-
ლი მომაკვდავის თავზე; იქ იწვა გაუნძრევლად დალუპული
ხომალდიდან გადარჩენილი ბიჭი, ჰაერი არ იძროდა, მხო-
ლოდ ზოი ხარშავდა კვერცხებს, რადგან ახალგაზრდა
წყვილი უთუოდ საუზმეს მოითხოვდა თავის დროზე, ამი-
ტომაც ამოალაგა სურსათი კალათიდან.

მან იცოდა, რომ საუკეთესო გრძნობებსაც სჭირდება
გამოკვება, და რომ გემდალუპული ბიჭი მშვიდი იქნებოდა;
გარდა ამისა, რადგან სიყვარულს არ განიცდიდა, ერთი და-
ამთქნარა და იგრძნო ზღვის სუსხიანი ნიაფი; და მცირე სა-
უზმე მოამზადა; ვერ ვიტყვი, რომ ჩაი შესთავაზა, მაგრამ
კვერცხები ჰქონდა, ხილი, ყავა, პური, თევზი, თაფლი, სკი-
ოს¹⁸ ღვინო — და ყველაფერი სიყვარულისათვის, გარდა
ფულისა. და როცა კვერცხები მოხარშა და ყავაც აადულა,
ზოიმ დააპირა ჟუანის გაღვიძება; მაგრამ ჰაიდემ ხელის
სწრაფი მოძრაობით, სიტყვის უთქმელად შეაჩერა, თითი
მიიღო ტუჩზე, ზოი მიუხვდა და გაუფუჭდა პირველი საუზ-
მე, ახალი უნდა მოემზადებინა, რადგან ქალბატონს არ
სურდა ბიჭის გაღვიძება, ვისაც ისე ეძინა, თითქოს აღარა-
სოდეს გაიღვიძებო.

იქ იწვა იგი, ვის განაჭულსა და დაქანცულ ლოყაზე
ავადმყოფურად თამაშობდა დაისივით მენამული ფერი,
როგორც შორეულ თოვლიან მთებზე; შუბლზე ჯერაც
ეტყობოდა ტანჯვის კვალი, მკრთალად აჩნდა ლურჯი ძარ-
ღვები, შავ კულულებზე ისევე შერჩენოდა მარილიანი წყლის
წვეთები, გამოქვაბულის წესტს შერეული.

ჰაიდემ მწოლიარე ჟუანისაკენ დახრილიყო, ჟუანი იწვა,
ვითა ბავშვი დედის კალთაზე; მოსვენებული, როგორც ძენ-
ნა, როცა ქარი არა ქრის; მიძინებული, როგორც ოკეანე-
სიმყუდროვის ჟამს; მშვენიერი როგორც თავიგულის დამაგ-
ვირგვინებული ვარდი; შეუხერხებელი, როგორც გედის ბარ-
ტყი ბუდეში; მოკლედ, კოხტა ყმანვილი იყო, თუმცა გაჭირ-
ვებამ ზაფრანის ფერი დაადო.

ჟუანმა გამოიღვიძა და მიმოიხედა და კვლავ დაძინება
დააპირა, მაგრამ თვალში მოხვედრილმა მშვენიერმა სახემ
შეაჩერა და არ დაახუჭინა თვალები, თუმც დალლა და ტკივი-
ლი კვლავ ტკბილი ძილისკენ ეზიდებოდა; მაგრამ ქალის სა-
ხეს ვერასოდეს ივინებდა ჟუანი, ლოცვის დროსაც კი მკაცრ
მწინდანებსა და მონამებს თვალს არიდებდა და ქალწული
მარიამის კეთილი ხატებისაკენ შებრუნდებოდა ხოლმე.

და იდაყვზე წამოიწია და შეხედა ქალს, რომლის ფერმ-
კრთალ სახესაც ვარდისფერმა გადაუარა, როცა მოინდომა
ჟუანს დალაპარაკებოდა; ქალიშვილის თვალები მეტყველი
იყო, თუმც თავშეკავებით ლაპარაკობდა, და მაინც უთხრა,
კარგ თანამედროვე ბერძნულზე, იონიური აქცენტით, ხმა-
დაბლა და ნაზად: სუსტადა ხართ, ნურაფერს იტყვით, რამე
შეჭამეთო.

ვერცერთი სიტყვა ვერ გაიგო ჟუანმა, რადგან ბერძენი
არ გახლდათ; მაგრამ ხომ მოისმინა ხმა — ჩიტის ჟღერტუ-
ლივით მჟღერი, ნაზი, ტკბილი და დახვეწილი, რომლის
მსგავსი მუსიკა არასოდეს სმენია, ხმა თითქოს მისდაუნე-
ბურად ცრემლებში არეული, ყველაფრის დამმორჩილებე-
ლი ხმა, თითქოს ზეცის ტახტიდან მომდინარი. ჟუანი ისე
იყურებოდა, როგორც კაცი, რალაც შორეულ ხმას რომ გა-
უღვიძებია და ეჭვობს, გავიღვიძე თუ ჯერაც მიძინავსო, მა-
ნამდე, სანამ ჯადოს გაუფანტავდეს ვინმე გვერდით მყოფი,
ან რაიმე რეალობა, ან ლაქის მიერ ადრეული მიკაკუნება.

ჩემთვის, რაკი დილის ძილი მიყვარს, ეს აუტანელი
ხმა, რადგან ღამით ვარსკვლავებიც და ქალიც უკეთესად
მოჩანს.

და ჟუანსაც დაუფრთხეს ძილი თუ სიზმარი თუ რაც
იყო და გაუღვიძეს გამძაფრებული მადა, ზოის სამზადისის
სურნელმა აღუძრა გრძნობები, და მშობლიურმა შუქმა
ცეცხლისა, ზოის რომ აენტო და დაჩოქილი კერძს ამზა-
დებდა, სულმთლად გამოაფხიზლა და ჭამა მოანდომა, გან-
საკუთრებით ბიფშტექისა. მაგრამ საქონლის ხორცი იშვი-
ათია ამ საქონელნაკულ კუნძულებზე; თხის, ციკნის და
ცხვრის ხორცი კი, იცოცხლე, ბლომადაა; და როცა დღე-
სასწაული უთენდებათ, თავიანთ ბარბაროსულ შამფურებ-
ზე წამოაგებენ ხოლმე, მაგრამ ეს იშვითად ხდება, რადგან
ამ კლდეებზე მხოლოდ აქა-იქ არის ქოხები; სხვა კუნძულე-
ბი უფრო მშვენიერი და ნაყოფიერი და მათ შორის ეს კუნ-
ძული ყველაზე მდიდარია.

საქონელი ცოტაა-მეთქი, ვამბობ და უნებურად მახსენ-
დება ის ძველი ამბავი მინოტავრისა, რასაც ჩვენი თანამედ-
როვე ზნეობა სამართლიანად კვეცავს და გმობს ამბავს ვი-
თომდა დედოფლის საჩოთირო გემოვნებისა, ძროხის ნილა-
ბი რომ მოირგო, და ალეგორიად აცხადებს: პასიფაე¹⁹ სა-
ქონლის გამრავლებას აქეზებდაო, რადგან სურდა კრეტე-
ლებში ბრძოლის ჟინი გაეღვივებინაო.

რაკილა ყველამ ვიცით, რომ ინგლისელები საქონლის
ხორციით იკვებებიან, აღარაფერს ვამბობ ლუღზე, რადგან
ეს მხოლოდ სასმელია და მეც შორსა ვარ მისგან, ბიზნესით
არ ვარ შეკრული; ისიც ვიცით, რომ ომი უყვართ ყველაზე
მეტად; და ასე იყვნენ კრეტელებიც — საქონლის ხორცი და
ბრძოლა მისგან ისწავლეს.

მაგრამ გავაგრძელოთ.

მისუსტებულმა ჟუანმა თავი წამოსწია, იდაყვებზე და-
ეყრდნო და დაინახა სურათი, რომელიც ბოლო დროს აღარ
უნახავს, რადგან მისი ბოლოდროინდელი საკვები ძალზე
მწირი იყო, სამი თუ ოთხი კერძი დაინახა და ღმერთს მად-
ლობა შესწირა და სვავივით დააცხრა, რაც შესთავაზეს,
როგორც ბერი, ზვიგენი, ოლდერმენი თუ ქარიყლაპია.
ნთქავდა და საჭმელი ბლომად იყო; ჰაიდემ კი შესცქეროდა
დედასავით, ვინც ყველაფერს გაიღებს შვილის დასაპუ-
რებლად, და ილიმებოდა, როცა ხედავდა, თუ რა მადა ჰქო-
ნია იმას, მკვდარი ვინც ეგონა; ხოლო ზოიმ, რაკი ჰაიდემ
უფროსი იყო, გადმოცემით იცოდა, რომ ნაშიმშილემა ნე-
ლა უნდა ჭამოს, ცოტ-ცოტა, თუ არადა გასკდება. და თავს
ნება მისცა, თუ ქმედებით არა, სიტყვით განეცხადებინა,
რადგან სასწრაფოდ უნდა შეეჩერებინათ ჯენტლმენი, ვის-
თვისაც მისი ქალბატონი ამ სისხამზე ზღვის ნაპირას გამო-
სულყო. თუ ჯენტლმენს არ სურდა იქვე ამოხდომოდა სუ-
ლი; და უარი უთხრა საჭმელის დამატებაზე: რაც მიირთვი,
ისიც კი მოკლავდა ცხენსო.

შემდეგ, რაკი ჟუანი მიშველი იყო და ერთი დაგლეჯილი
შარვლის მეტი არაფერი ეცვა, საქმეს შეუდგნენ — დაწვეს
მისი ძონძები და ჩააცვეს თურქული თუ ბერძნული სამოსი,
რა მნიშვნელობა აქვს, გარდა ჩალმისა, ხამლისა, დამბაჩი-
სა და ხანჯლისა, ყველაფრით შემოსეს, ხალათი მოახურეს
და განიერი შარვალი ჩააცვეს.

და მერე მშვენიერი ჰაიდემ შეეცადა დალაპარაკებოდა,
მაგრამ ჟუანმა ვერცერთი სიტყვა ვერ გაიგო, თუმც ისე
უსმენდა, რომ გულწრფელი ბერძენი ყმანვილქალი დაუს-

რულებლად ილაპარაკებდა, და რადგან არ ანეყეტივებდა, აგრძელებდა მიმართვას თავისი პროტეჟესა თუ მეგობრისადმი, მანამდე, სანამ სუნთქვა შეეკვროდა და მიხვდებოდა, რომ ჟუანს არ ესმოდა ახალი ბერძნული.²⁰

მაშინ ჰაიდე ნიშნებზე, თავის დაკვრასა და ღიმილზე გადავიდა, თვალებით ელაპარაკებოდა, კითხულობდა (ეს ერთადერთი წიგნი ჰქონდა) ჟუანი მშვენიერი სახის ხაზეებით და მჭევრ პასუხებსაც აქედან იღებდა, სულის გამონათებიდან, როცა სწრაფ შეკითხვას გრძელი პასუხი მოსდევს.

და ყოველ გამოხედვაში მოჩანდა სიტყვების სამყარო, საიდანაც აზრი უნდა გამოეტანა.

და თითებისა და თვალების შემწეობით, და ჰაიდეს მიერ წარმოთქმულ სიტყვათა გამეორებით მიიღო პირველი გაკვეთილი ქალის ენაში; მაგრამ ალბათ უეჭველია, უფრო ნაკლები ისწავლა საუბრიდან და მეტი — გამოხედვიდან: რადგან ვინც დაჟინებით სწავლობს ცას, უფრო მეტად ცას უყურებს, ვიდრე წიგნს; ასევე ჟუანმაც ანაბანა ჰაიდეს თვალბეჭდში უფრო ამოიკითხა, ვიდრე დაჩხაპნილ ასოებში.

სასიამოვნოა განსწავლა უცხო ენაში ქალის ტუჩებისა და თვალთა მეოხებით, მაშინ, როცა ორივე, ქალიც და კაციც, ყმანვილები არიან, რაც მე თვითონ გადამხდენია; ისინი იცინიან, როცა მოწაფეს შეცდომა მოსდის, და როცა ეშლება, უფრო მეტს იცინიან, და დროდადრო ხელს უჭერენ ერთმანეთს, და კოცნიან კიდევ; ცოტა რამ ვისწავლე ამნარად:

რამდენიმე ესპანური, თურქული და ბერძნული სიტყვა, იტალიური სულ ვერაფერი — მასწავლებელი არ მყოლია; ინგლისურის ლაპარაკზე თავს ვერ დავდებ, ეს ენა უმეტესწილად მქადაგებელთაგან შევისწავლე, ბაროუსაგან,²¹ საუთისაგან,²² ტილოტსონისაგან,²³ ყოველკვირეულად ბლერისგანაც²⁴ ვსწავლობ; ისინი უმაღლესი რანგის მჭევრმეტყველებით გამოირჩევიან ღვთისმეტყველებასა და პროზაში; მათი პოეტები კი მძულს და არავის ვკითხულობ.

ქალბატონებზე ვერაფერს გეტყვით, ყარიბი ვარ ბრიტანეთის მოდის სამყაროდან, სადაც სხვა „ძაღლებით მისუნსულია,“ სხვებით მქონია ჩემი გატაცებანი, მაგრამ ამან სხვა მრავალივით ჩაიარა, და ყველა იქაური სულელი, ვინც გამიმართახებია — მტრები, მეგობრები, კაცები, ქალები — ისევე არაფრად მიღირს, როგორც სიზმრები, რომ დამსიზმრებია და გამქრალა.

ღონ ჟუანს დავუბრუნდეთ.

ახალ სიტყვებს ყურსაც უვადებდა და იმეორებდა კიდევ; მაგრამ რალაც გრძობები ევლინებოდა, მზესავით უნივერსალური, რაც მის გულში ისევე ველარ ჩაეტეოდა, როგორც მონაზვნის სხეულში; იგი უთუოდ შეყვარებული გახლდათ თავის კეთილისმყოფელზე და ისიც ასევე, როგორც ხშირად გავმხდარვართ მოწმენი.

და ყოველდღე გამთენიისას, ჟუანისათვის ცოტა ნაადრევად, რაკილა მოსვენება ძლიერ უყვარდა, ჰაიდე მოდიოდა გამოქვაბულში, რათა ეხილა თუ როგორ გრძობდა თავს ბუდეში მისი ჩიტი; და ნაზად ეფერებოდა ჟუანის ხუჭუჭა კულულებს, რათა არ გაღვიძებოდა მძინარე სტუმარს, ნაზად იცნოსავდა მისი ლოყებისა და ბაგის სურნელს, თითქოს სამხრეთული ვარდის კოკორს ყნოსავსო.

და დღითიდღე ემატებოდა და ემატებოდა ფერი ჟუანს, ყოველდღე უმჯობესდებოდა მისი ჯანმრთელობა; ეს კარ-

გი იყო, რადგან ადამიანის სხეულის სიჯანსაღე სასურველია და სიყვარულის ნამდვილი წყაროა, რაკილა ჯანმრთელობა და მოცალებობა ალაგზნებს ვნებებს, ნავთად ესხმის და თოფისნამლად ეყრება, და სასარგებლო გაკვეთილებს ითვისებს ცერერასა და ბახუსისაგან, რომელთა გარეშეც ვენერა დიდხანს ვერ შეძლებდა შემოტევას.

როს ვენერა ალავსებს გულს (როცა გულს სინამდვილეში არ უყვარს, კარგი ეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში კარგი არ არის), ცერერა ვერმიშელიან თეფშს მიაშველებს, რადგან გულს შემაგრება სჭირდება სისხლითა და ხორციით, ბახუსი ღვინოს ჩამოსახამს ან ჟელეს მიაწვდის: კვერცხიც, ხამანკაცაც სასიყვარულო საკვებია; ხოლო მომმარაგებელი ვინ არის ზემოდან, ღმერთმა უწყის, ეგებ ნებტუნი, პანი ანდა ზევსი.

გალვიძებულ ჟუანს ყველაფერი მზად ხვდებოდა, აბაზანა, საუზმე და მშვენიერი თვალები, რომელნიც მუდამ ათრთოლებენ ყმანვილკაცის გულს. ამ ქალიშვილს მართლაც მშვენიერი დიდრონი თვალები ჰქონდა, მაგრამ ამაზე უკვე ვისაუბრე, ხოლო გამეორება დამლელა და უგუნური.

ჰო, ზღვაში ნაბანავები ჟუანი უბრუნდებოდა ყავასა და ჰაიდეს.

ორივე ისე ნორჩი გახლდათ და ერთი ისეთი უმანკო, რომ განბანვას არაფერი მოჰყოლია; ჟუანი ჰაიდესათვის იყო საჩუქარი, რომელზეც იგი ორი წელია ღამღამობით ოცნებობდა, ბედნიერების მომგანი საყვარელი ქმნილება, ვისთვისაც თვითონაც ბედნიერება ემეტებოდა და ყველას შეეძლო გაეზიარებინა ეს ბედნიერება — ტყუპად დაბადებული.

ისეთი საამო გახლდათ ჟუანის ხილვა, ისეთი წყალობა მოელო მასზე ბუნებას, მოანდომებდა შეჰხებოდა, როცა მძინარეს დაჰყურებდა ან უთვალთვალებდა, თუ როგორ იღვიძებდა: მასთან ერთად მარადიული ცხოვრება მეტისმეტ ბედნიერებად ეჩვენებოდა; მაგრამ მასთან განშორებაზე ფიქრი შიშის შრჟოლას ჰგვრიდა.

ჟუანი მისი იყო, ოკეანის მიერ მოძღვნილი მდიდრული განძი, მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული.

და ასე იცვლებოდა მთვარე, და მშვენიერი ჰაიდე ყოველდღიურად სტუმრობდა თავის ყმანვილკაცს და ისე ფრთხილად იქცეოდა, რომ ჟუანი კვლავ შეუმჩნეველი რჩებოდა თავის კლდოვან ბინაში; ჰაიდეს მამის ნავი ზღვაში გასულიყო, სავაჭრო ხომალდთა სათვალთვალოდ, არა იმისათვის, რომ იო მოეტაცა, არამედ სამ რაგუზულ²⁵ ნავს ჩასაფრებოდა, ქიოსისაკენ რომ მიცურავდნენ.

ამან მოუტანა ჰაიდეს შვება; რადგანაც დედა არ ჰყავდა, მამა კი ზღვაში გასულიყო, ჰაიდე გათხოვილი ქალივით თავისუფალი გახლდათ, ან სხვა ქალივით, ვისაც ლალი მოქმედება სჩვევია, და ძმაც ვერ უქმნის დაბრკოლებას. ყველაზე თავისუფალი მათ შორის, ვისაც სარკმლიდან გამოუხედავს; ამ შედარებისას მე ქრისტიანულ ქვეყნებს ვგულისხმობ, სადაც ბოლოს და ბოლოს ცოლებს არ გამოშკეტავენ გარნიზონებში.

ასე და ამრიგად, ჰაიდემ გაახანგრძლივა თავისი სტუმრობა — საუბრები (რაკი საუბრობდნენ), და ჟუანმაც იმდენი ისწავლა, რომ გასეირნება შესთავაზა, რადგან პირველი დღიდანვე, გონს რომ მოვიდა, მოწყვეტილი ყვავილივით, რომ ჭკნება და სიხასხასეს ჰკარგავს, აინტერესებდა, რომელ ნაპირზე გამოირიყულიყო.

ამრიგად, სერინობდნენ ნაშუადღევს და უყურებდნენ მთვარის მოპირისპირედ როგორ ჩადიოდა მზე.

ეს იყო სანაპირო, ტალღები რომ ეხლებოდნენ გამუდმებით, მაღლიდან კლდეები გადმოჰყურებდნენ და ვრცელი ნაპირი გაშლილიყო, თავთხელი წყალი და კლდეები იცავდნენ, ალაგ-ალაგ ყურეები დატანებოდა, რომელთა მოვალეობაც ქარიშხლის დახვედრა გახლდათ; იშვიათად წყდებოდა ზვიად ტალღათა ღრიალი, ალბათ მხოლოდ გრძელ და უსიცოცხლო ზაფხულის დღეებში, როცა გაშლილი ოკეანე ტბასავით ბზინავდა.

და მცირე ტალღები ამოჩუხჩუხებდნენ ნაპირზე, სულ ოდნავ ხმამაღლა, ვიდრე თქვენი შამპანურის ქაფი, როცა ჭიქის ტურს გადასცდებდა შუშხუნა სითხე, ეს სულიერი წყარო! წვიმა გულისა! ცოტა რამ თუ სჯობს ძველ ღვინოს; ვინაა რა სურს, ის იქადაგოს, და რამდენიც სურს, იმდენი იქადაგოს, ამაოა, მოდით მოვუღვინოთ ღვინოსა და ქალებს, მხიარულებასა და სიცილ-ხარხარს, ქადაგება და სოდიანი წყალი მეორე დღისათვის გადავდოთ.

გონიერმა კაცმა უნდა დალიოს; ცხოვრებაში ყველაფერს თრობა სჯობს, ყველაფერი მასშია ჩანურული — დიდება, მტევნები, სიყვარული, ოქრო, კაცისა თუ ერების იმედები; ამ სითხის გარეშე, რაოდენ უტოტებო იქნებოდა ცხოვრების უცნაური ხე, ასეთი ნაყოფიერი რომ არის სმის ჟამს.

მაგრამ დავბრუნდეთ უკან, დათვერით უგონოდ და, ოდეს გამოიღვიძებთ თავის ტკივილით, აი მერე ნახეთ...

მოუხმეთ მსახურ ბიჭს, უბრძანეთ, ციმციმ მოიტანოს რაინის ღვინო და სოდიანი წყალი და გამოსცდით მსგავს ნეტარებას, დიად მეფე ქსერქსეს რომ გამოუცდია; რადგან ვერც დალოცვილი შარბათი, თოვლით დახვენილი, ვერც პირველი შხეფი უდაბნოს წყაროსი, ვერც ბურგუნდიული — ჩამავალი მზის ელვარებითურთ, ვერც ხანგრძლივი მოგზაურობა, დაღლა, სიყვარული, ხოცვა-ჟლეტა ვერ შეედრება რაინის ღვინოსა და სოდიან წყალს.

ნაპირი — მგონი ნაპირი იყო, წელან რომ აღენერდი — ჰო, ნაპირი იყო, ამ დროისათვის ისეთივე მშვიდი, როგორც ცა, ქვიშნარი გლუვი, ტალღები უშფოთველი, ირგვლივ სინყნარეს მხოლოდ ზღვის ჩიტების ხმაური და დელფინთა ტყლაშუნი არღვევდა და დიდი ტალღები მხოლოდ იქ ხმაურობდა, სადაც დაბალი კლდეები და მღვიმეები ჩარიგებულნი იყვნენ, რომელთა კიდევსაც დასამლელად ეხლებოდა.

დახეტილობდნენ, ჰაიდეს მამა-ბატონი ნასული გახლდათ, როგორც გითხარით, სათარეშოდ; არც დედა ჰყავდა, არც ძმა, არც ზედამხედველი; ზოი იყო, ვინც გულმოდგინედ უცდიდა ქალბატონს მანამდე, სანამ მზე დაასრულებდა თავის დღიურ გზას, თბილ წყალს მოუტანდა, გრძელ კულულებს დაუნწავდა და ჰკითხავდა, თუ რომელი კაბა შეერჩია.

გრილოდა, წითელი მრგვალი მზე ჩაესვენა ლაჟვარდოვან მთებს მიღმა, როცა გგონია, რომ მთელი ბუნება და დედამიწა შემორკალა; მდუმარება სუფევდა, ბინდბუნდი; შორი მთის მწვერვალები ცალი მხრიდან ირეკლავდნენ ნათელს; უძირო ზღვა მშვიდი იყო და ცივი, და მენამულ ცაზე კამკაშებდა კენტი ვარსკვლავი, ვითარცა თვალი. ასე მისეირნობდნენ, ხელჩაკიდებულნი, მზზინავ კენჭებსა და ნიჟარებს შორის, მოოქროვილებში, ბრტყელსა და გლუვ ქვიშაზე, და დასასვენებლად ჩამოსხდნენ ბუნებრივად გამოჭრილ ქვაბულში, ცარიელ დარბაზში, სახურავითა და სა-

კუჭნაობით; ხელები მოეხვიათ ერთიმეორისათვის მწუხრის ღრმა მენამულით შთაგონებულთ.

შეხედეს ზეცას, რომლის მოლივლივე ნათელიც ეფინებოდა ვარდისფერ ოკეანეს, ვრცელსა და კამკაშას; დაჰყურებდნენ ფეხქვეშ მბრწყინავ ზღვას, როს სავეს მთვარე ამოიწვერა და მრგვალად გამოჩნდა, ესმოდათ ტალღების ტყლაშუნი, ქარი არ იძროდა, და ხედავდნენ ერთმანეთის შავ თვალეში მოციმციმე სხივებს, და ამ აღქმაში მათი ტუჩები მიუახლოვდნენ ერთიმეორეს და ეამბორნენ;

ეს იყო გრძელი კოცნა; ახალგაზრდობამ, სიყვარულმა, სილამაზემ ერთ ფოკუსში მოიყარა თავი — ზემოდან დამვეებული სხივებივით; ასეთი კოცნა წინათ იცოდნენ, როცა გული, სული და გრძობა ერთდროულად მოძრაობდა, მათ მიჰყვებოდა სისხლის ჩუხჩუნი, პულისის გიზგიზი, თვითეული კოცნა გულისძვრა იყო, და კოცნის სიმძაფრე, ვფიქრობ, მის სიგრძეზე ჰკიდა.

სიგრძეში ხანგრძლივობას ვგულისხმობ; ზეცამ უწყის, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა მათი კოცნა; უეჭველია არც უფიქრიათ ამაზე, და თუ უფიქრიათ, ერთ წამსაც კი ვერ დაიმახსოვრებდნენ თავიანთ განცდებს; არაფერს ამბობდნენ, მოჯადოებულებივით იყვნენ, მათი სულები და ტუჩები ერთმანეთს იზიდავდა და ერთდებოდა, როგორც ფუტკრები ეხვევიან ყვავილებს გოლეულისთვის.

მარტონი იყვნენ, მაგრამ ოთახებში კი არ გამოკეტილიყვნენ; მდუმარე ოკეანე, ვარსკვლავებით განათებული ყურე, წარმავალი მწუხრის ნათელი, მდუმარე ქვიშები და სველი ქვაბულები გარშემო შემოხვეოდათ და აგულიანებდნენ ჩასახვევად, თითქოს ცის ქვეშ მათ გარდა არავინ იყო და მათი სიცოცხლეც არასოდეს გაქრებოდა.

არც თვალისა ემინოდათ და არც ყურისა იმ უკაცრიელ ნაპირზე; არც ღამე აფრთხობდათ, ერთად იყვნენ და ერთმანეთს აესებდნენ; თუმცა დამტვრეული ენით აგებინებდნენ ერთიმეორეს, მაინც გამოიგონეს ენა, რაც ვნებამ ასწავლათ და ერთი ამოოხვრით იპოვნეს საუკეთესო თარჯიმანი, ბუნების ორაკული, პირველი სიყვარული, რაც ევამ დაცემის შემდგომ უანდერძა თავის ქალიშვილებს.

ჰაიდე არ შეეყოყმანებულა, არც ფიცი მოუთხოვია და არც თვითონ მიუცია ფიცი; მას არასოდეს სმენოდა ცოლქმრულ ვალდებულებებზე; ან იმ საფრთხეებზე, შეყვარებულ ქალიშვილს რომ სდევს თან; იგი მიჰყვებოდა თავის წმინდა უცოდინრობას და ისე მიფრინდა თავის მეტრფესთან, როგორც ჩიტუნა, და რაკი არასოდეს სმენოდა ლალატზე, სიტყვაც არ დაუძრავს ერთგულებაზე.

ჰაიდეს უყვარდა და იგი უყვარდათ, იგი აღმერთებდა და მას ეთაყვანებოდნენ; და მათი მგზნებარე სულები ბუნებრივად შეერთდნენ.

სულებს რომ სიკვდილი შეძლებოდათ, იმ ვნებით დაილუპებოდნენ, მაგრამ მათი გრძობები ალორძინდებოდნენ, კვლავ გაიბრძობდნენ და კვლავ დაილუპებოდნენ, და ჰაიდეს გული გრძობდა, რომ ცალკე ველარასოდეს იფეთქებდა.

ეჰ, ისეთი ახალგაზრდები იყვნენ, ისეთი ლამაზები, ისე მარტონი, შეყვარებულნი, უმწონი, და დადგა საათი, როცა გული აღვსილია და აღარ გააჩნია თავს ზევით ძალა, გვკარნახობს საქმეთ, რასაც მარადისობაც ვერ გადაეღობება, ერთი წამის გამო ჯოჯოხეთის მარადიული ცეცხლით ზღავს — რაც მუდამ ელოდებათ ადამიანებს, ერთმანეთს სიამეს რომ მოჰგვრიან ანდა ტკივილს მიაყენებენ.

ეჰ! ჟუან და ჰაიდე! ისეთი საყვარლები იყვნენ და ისეთი შეყვარებულნი, რომ მანამდე, ჩვენი პირველი მშობლების გარდა, არავის ჰყვარებია, და ასეთი წყვილი მუდამ განწირულია დასაღუბავად; და ჰაიდეს, ვინც ისეთივე კეთილმორწმუნე გახლდათ, როგორც მშვენიერი, უთუოდ სმენოდა მდინარე სტიქსზე, ჯოჯოხეთსა და განსანმენდელზე — მაგრამ დაავიწყდა ამ ყოფაში ჩავარდნილს.

თვალეზში ჩასცქეროდნენ ერთმანეთს, და ხედავდნენ მთვარის შუქის ანარეკლს; და ჰაიდეს თეთრი მკლავი შემოეჭდო ჟუანის თავს; ჟუანის ხელი კი ჩაიკარგა ჰაიდეს კულულებში; ჰაიდე კალთაში უჯდა ჟუანს და მის ოხვრას სვამდა, ჟუანი კი მისას მანამდე, სანამ წვევტილად დაინწყებდნენ სუნთქვას; და ნახევრად გახდილნი ანტიკურ ქანდაკებას დაემსგავსნენ — სიყვარულისას, ბუნებრივ ბერძნულ ქანდაკებას.

და როცა იმ ღრმა და მგზნებარე წუთებმა ჩაიარა, ჟუანმა ჩაიძინა ჰაიდეს მკლავებში.

ჰაიდეს არ ეძინა, ნაზად მიიყრდნო ჭაბუკის თავი მკერდზე, და დროდადრო ცას მიაპყრობდა მზერას, ხან კი ფერმკრთალ ლოყას, მკერდს რომ უთობდა, მისი სიყვარულით აღვსილი გული ბალიშად რომ გაეხადა და მძიმედ იძროდა საჩუქრის მიმღები და გამცემი.

ძუძუთა ბავშვი სინათლის მხილველი, როცა ძუძუს ნოვას იწყებს, მოგზაური — მასპინძელს რომ მოჰკრავს თვალს, არაბი — უცხო სტუმარი რომ ეწვევა, მეზღვაური — ბრძოლით რომ მოიპოვებს ჯილდოს, ძუნწი — სკივრს რომ აივსებს, გრძობენ აღფრთოვანებას, მაგრამ არა ისეთ ჭეშმარიტ სიხარულს, როგორსაც იგი, ვინც თავის სიყვარულს დასცქერის მიძინებულს; რომელიც იქ წევს, მშვიდი და საყვარელი და ჩვენთან ერთად ცოცხლობს; ასეთი ნაზი, უძრავი, უმწეო და უმოქმედო; და გაუცნობიერებელ სიხარულს გვანიჭებს; რაც უგრძობია და განუცდია, ჩავლილია, და მოყურადეც ველარ ჩანვდება იმ ამბებს; იქ წევს არსება, ვინც გვიყვარს მისივე მომხიბვლელობითა და შეცდომებითურთ, ვით სიკვდილი მისი შემზარაობის გარეშე.

ქალი დასცქეროდა თავის სატრფოს, და ის საათი სიყვარულისა, ის ღამე და ოკეანესთან განმარტოება ავსებდა მის სულს ერთიანი ძალით; ტრიალ ქვიშებსა და ფრიალო კლდეთა შორის მან და მისმა ტალღებისაგან ნათრევმა სატრფომ მოიწყეს თავმსაფარი, სადაც ვერავინ შეუშლიდა ხელს მათ ვნებას, და ფირუზისფერ ცაზე მოჟიკჟიკე ვარსკვლავები ვერაფერს იხილავდნენ მის გაბრწყინებულ სახეზე უფრო ბედნიერს.

ვაგლახ, ცნობილია, რომ ქალის სიყვარული ძვირფასი, მაგრამ სამში ხელობაა; ამ დროს თითქოს კამათელს აგორებ და, თუ წააგე, ცხოვრებას უკან ვერ დააბრუნებ, დაცინვალა შეგრჩება წარსულში, და მათი შურისძიება ვეფხვის ნახტომსა ჰგავს, სწრაფს, სასიკვდილოს და გამანადგურებელს.

და რადგან თვითონ მეტ ტანჯვას განიცდიან, თვითვე გრძობენ მათ მიერ მოყვებულნი ზიანის სიმძიმეს.

მართლებიც არიან; რადგანაც კაცი კაცისადმი ხშირად და მუხთალი, მაგრამ ქალისადმი კი — ყოველთვის; ყველა კაცი ბოლოს ერთნაირად იქცევა, ლალატი მათი საქმეა. მალვას მიჩვეულთ უცარიელდებათ სიყვარულით სავსე გულები, როგორც კი მდიდარ მზითვეს შეიგულებენ, და რაღა რჩება მერე? უმადური ქმარი, მოღალატე სატრფო, სამოსი, ზრუნვა, ლოცვა და მოთავდება ყველაფერი.

ზოგი საყვარელს გაიჩენს, ზოგი სმას იწყებს ან ლოცვას, ზოგი სახლ-კარს დაუტრიალდება, ზოგი თავგზას კარგავს, ზოგი გარბის, თავს არიდებს ყველაფერს, კარგავს პატივსაცემ გარემოს; ცოტა რამეს შეუძლია შეცვალოს მათი საქმენი, გადაისროლოს უჩვევ გარემოში, მოსაწყენი სასახლიდან ბინძურ ფარდულში; ზოგი სულს ილუპავს და მერე წერს რომანს.

ჰაიდე ბუნების პატარძალი იყო და ამისთანები არ იცოდა; ჰაიდე ვნების შვილი იყო, იქ დაბადებული, სადაც მზე უხვად ჰყვებს სხივებს და ქურციკისთვალეზიანი ქალიშვილები მგზნებარედ კოცნაობენ; იგი სიყვარულისათვის შექმნილიყო, იმისათვის, რათა მისი გამხდარიყო, ვინც თვითონ ამოარჩია, სხვაგან რას იტყოდნენ ან იქმოდნენ, მისთვის არაფერს ნიშნავდა. არაფრისა ემინოდა, არც ეიმედებოდა თუ ედარდებოდა და არც უყვარდა, გარდა იმისა, რისთვისაც უძგერდა გული.

ეჰ, ის სწრაფი გულისცემა — როდენ ძვირად გვიჯდება!

და მაინც, თვითეული პულსაცია ისეთი ტკბილი ნაყოფის მომწვევია, სიბრძნემ ფხიზლადაც რომ უდარაჯოს სილაღეს მისი ალქიმის მოსაპარავად, და იმეოროს ჭეშმარიტებანი, და თვით სინდისსაც მძიმე შრომა მოუწევს, რათა გაგვაგებინონ თვითეული ძველი, კეთილი შეგონება, ისე-რიგად კეთილი, მიკვირს, კასლრემი რომ არ დაბეგრა.

აღსრულდა, უკაცრიელ სანაპიროზე შეერთდნენ მათი გულები; ვარსკვლავები იყვნენ მათი საქორწინო სანთლები, ნათელს ჰყვდნენ მათ სილამაზეს; მონმე ოკეანე იყო, ხოლო გამოქვაბული მათი სარეცელი; შერთულნი იყვნენ გრძობით, მღვდელი განმარტოება გახლდათ და დაქორწინდნენ, და იყვნენ ბედნიერნი, რადგანაც მათ ყმანვილურ თვალენს ერთმანეთი ანგელოზებად ეჩვენებოდა და დედამინა კი — სამოთხედ.

ოჰ, სიყვარული, ვისაც თვით დიდი კეისარიც კი ეთავყვანებოდა, ტიტუსი აღიარებდა, ანტონიუსი ემონებოდა, ჰორაციუსი, კატულუსი, მეცნიერნი, ოვიდიუსი სწავლობდნენ, საფოც, ცისფერწინდებიანი ბრძენი, ყველანი შენს სამარეში ჩახტომას ემურებიან და არ რჩებიან მიუდგომელნი (ლევკადიის კლდე ისევ დგას).

ოჰ, სიყვარული! თუმცა ცოდვის ღმერთი ხარ, სატანას მაინც ვერ გინოდებთ.

შენ აურ-დაურევე კეთილგონიერი წყვილის ცხოვრებას, გაამასხრებ უძლიერეს ადამიანებს: კეისარს, პომპეუსს, მუჰამედს, ბელიზარიუსს,²⁶ მათ, ვის ცხოვრებათა აღწერილსაც დამაშვრალა ისტორიის კალამი; მათი ცხოვრება უსაზღვროდ მრავალფეროვანი იყო, ასეთ ღირსეულ კაცებს ველარასოდეს ვიხილავთ; და მაინც, ამ ოთხიდან სამს ერთი იღბალი ერგო წილად; ისინი გმირები იყვნენ, დამწყრობელნი და რქიანები. შენ აიძულე ფილოსოფოსებს, ვთქვათ, ეპიკურესა²⁷ და არსიტოფუსს,²⁸ უზნეო გზები დაგვიჩინა საკმაოდ პრაქტიკული თეორიებით; თუნდაც სატანის ჩაგონებით გვარწმუნებდნენ, რა სასიამოვნო მაქსიმა (და არცთუ ახალი).

„ჭამე, სვი და გიყვარდეს, მეტი რა შეგვრჩება?“ ამბობდა ბრძენი მეფე სარდანაპალი.²⁹

მაგრამ ჟუანი! სულ დაივიწყა ჯულია? და ასე მალე დაივიწყა? უნდა ვთქვა, რომ ეს ჩემთვის ყველაზე რთული კითხვაა; მაგრამ უთუოდ მთვარე სჩადის ამას ჩვენს ნაცვლად და, როცა გული სწრაფად აძგერდება, მისი ბრალია; ასე რომ არ

იყოს, მაშ რა უშვავის მანქანებით გვიზიდავენ ახალი მომხიბვლელი ნაკვთები ამ საბრალო ქმნილებებს, კაცებს?

მძულს მერყეობა და ლალატი, მძაგს, მეზიზღება, თვალთ არ დამენახვება, არა მსურს სიცოცხლე, თუ ასეთი ვერცხლისწყალივით მოუსვენარი გული უნდა მედგას მკერდში; მუდმივი, ურყევი სიყვარული ჩემი მარადიული სტუმარია, და მაინც, წუხელ მასკარადზე ვიხილე უმშვენიერესი ქმნილება, ახალჩამოსული მილანიდან, ვინც ისეთი გრძობები გამიჩინა, თითქოს არამზადა ვიყო. მაგრამ მათ ფილოსოფია მოვიდა დასახმარებლად და მიურჩულა: „იფიქრე იმ წმინდა კავშირებზე!“ „ასეც მოვიქცევი, ძვირფასო ფილოსოფიავ!“ — ვუპასუხე, „მაგრამ მერე ვიხილე იმ მშვენიერი არსების კბილები, მერე თვალები, ღმერთო ჩემო! მერე ვკითხულობდი, თუ ვისი ცოლი იყო თუ ქალიშვილი, ან ეგებ არავისი... ისე, ცნობისმოყვარეობის გამო“. „შესდექ!“ — იყვირა ფილოსოფიამ ბერძნული გზნებით (თუმცა ის ქალი ნამდვილ ვენეციურ ნიღაბს ატარებდა). „შესდექ!“ და მეც შევდექ.

მაგრამ დაუბრუნდეთ იმას, რასაც კაცი მერყეობას უწოდებს და სხვა არაფერია, თუ არა აღფრთოვანება ბუნების უხვი წყალობით ყმანვილური მშვენიერებისადმი, როცა ამოარჩევს და მოკაზმავს კობტა ქმნილებას; და როგორც კეთილანაგი ქანდაკებისადმი გვაქვს მუდამ ერთგვარი თავყვანება, კიდევ უფრო გვიძლიერდება, როცა ვხვდებით „beau ideal“-ს.

ასეთია ნიჭიერების დახვეწილი ხელობა, წვდომა მშვენიერისა, პლატონურისა, უნივერსალურისა და გასაოცარი-სა, ვარსკვლავებიდან რომ ეშვება, განიწმინდება ცათა ფილტრში, ურომლისოდაც ცხოვრება უსაზღვროდ მოსაწყენი იქნებოდა; მოკლედ, ამ წვდომისათვისაა საჭირო ჩვენი თვალები, და ორიოდ გრძობაზე ზედ დამატებით, იმის მისანიშნებლად, რომ ადამიანს ხორცი შეესხა ცეცხლოვანი მტვრისაგან.

და მაინც, მტკივნეული განცდა და არასასურველი, და რომ შეგვძლებოდა აღქმა ევას მსგავსი მომხიბვლელი ქმნილების მომაკვდინებელი არსისა, რამდენ თავისტიკვილს ავირიდებდით, რამდენ კანკალს გადავჩრებოდით, ერთ მშვენიერ ქალს რომ დავჯერებოდით სამუდამოდ, ჩვენი გულისთვისაც სასარგებლო იქნებოდა და კუჭისათვისაც.

გული ცასავითაა, ზეცის ნაწილივით, და ცასავით დღე-ღამე იცვლება, ხან ღრუბლებია მასზე და ჭექა-ქუხილი, სიბნელეა გამეფებული და დაიქუხებს, გაიფხრინება და დაუშვებს წვიმას; ასევე თვალიც აწვიმებს და გულის სისხლს ცრემლებად აქცევს, რაც დროდადრო ინგლისურ ამინდს დაგვიყენებს ხოლმე.

კუჭი ნაღვლის ლაზარეთია, მაგრამ ძალზე იშვიათად კი ასრულებს დანიშნულებას; რადგან პირველი ვნება იქ ერთხანს რჩება, ხოლო დანარჩენები შიგ შეძვრებიან და გროვდებიან, როგორც ქვემძრომნი ნეხვის გროვანზე — რისხვა, შიში, სიძულვილი, ეჭვი, შურისძიება, სინდისის ქენჯნა — და ყველა ბედუკუღმართობა აქედან წარმოიშობა, როგორც მინისძვრა იბადება იმ ფარული ცეცხლიდან, „შუაგულურს“ რომ ვუნოდებთ.

ამასობაში, მეტი რომ აღარ გავაგრძელო ეს ანატომია, დავასრულე ორასზე მეტი კენტი სტროფი, როგორც ამას წინათ, და ამ რიცხვებს მივყვები თორმეტ სიმღერაში ან ოცდაოთხში; და გადავდებ კალამს და თავს დაუტყრავ მათ,

ვისაც შევატოვე დონ ჟუანსა და ჰაიდეს, რათა შევავედრო ყველას, ვინც კეთილს ინებებს და წაიკითხავს.

ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

1. გამჭვირვალე თეთრი ცხვირსახოცი
2. ძალზე მტკივნეული სტროფია. ბაირონი მიიჩნევდა, რომ იძულებით გადასახლებაში იმყოფებოდა და ინგლისის დატოვების შემდეგ არასოდეს განუზრახავს უკან დაბრუნება.
3. სკივრებისა და ჩემოდნების დამამზადებელი ხშირად იყენებდნენ ნიგნებიდან ამოხეულ ფურცლებს თავის ნახელავეში ჩასაფენად. იოლი წარმოსადგენია, რომ დახლებზე დარჩენილი ჰოეზია მზა მასალა იქნებოდა მათთვის.
4. გემის დალუპვის დეტალები აქაც და მომდევნო სტრიქონებშიც ბაირონმა ისესხა სერ ჯ. დ. დალიელის ნიგნიდან „გემთა ჩაძირვანი და საზღვაო ფათერაკები“, ედინბურგში რომ გამოიცა 1812 წელს.
5. აქ მოხსენიებულია ბაირონის ვენეციელი გონდოლიერი და მსახური სიცოცხლის ბოლომდე — ჯოვანი ბატისტა ფალციური.
6. ერთ-ერთი ბედისწერათაგანი, რომელიც განაგებდა დაბადებას, სიცოცხლესა და სიკვდილს. კლოთო ბედის ბორბალს უჯდა, ლაქებს სიცოცხლის ძაფს ართავდა, ატროპოსი კი გადაჭრიდა ხოლმე სიცოცხლის ძაფს.
7. ბაირონს ბევრი ფული ემართა ებრაელი ბანკირებისა, ოქსფორდში სწავლის ბოლო ხანს და ვერც გადაიხადა მრავალი წლის მანძილზე.
8. რას გადმოგვცემს უგოლინო — იგულისხმება „ჯოჯოხეთის“ 33 ნიგნი, 76-78 სტრიქონები: „ესა თქვა და თვალები დაუელამდა, კვლავ დასწვდა თავის ქალას კბილებით, რასაც ხრავდა როგორც ძალი ძვალს“. ნაგულისხმევია მანამდე ნახსენები უგოლინო.
9. „ჭეშმარიტება ძვეს ჭის ფსკერზე“ — ანდაზა; მასში დემოკრიტეს აზრია ჩანსეხილი.
10. კანდია=კრეტა
11. ჰელესპონტსა თუ დარდანელში არის ვინრო გასასვლელი რითაც შავი ზღვა უერთდება ხმელთაშუა ზღვას. აქ დაიხრო ლეანდრი, ვისაც სურდა მისულიყო თავის სატრფო ჰეროსთან. 1810 წელს ბაირონმა ლეიტენანტ ეკენჰედთან ერთად სესტოსიდან — ანუ ევროპის სანაპიროდან — გადაცურა აბიდოსამდე, — ანუ აზიის სანაპირომდე. ბაირონი უნივერსიტეტის დღეებშივე იყო კარგი მოცურავე და ამით ამაყობდა. 1812 წელს მან დაწერა ლექსი „სესტოსიდან აბიდოსამდე გადაცურვის შემდგომ“
12. ესპანური ქვედატანი ქალისა, იცვამენ შინაურ სამოსს ზემოთ.
13. ქალის მოსასხამი.
14. კუნძულთა ჯგუფი ეგეოსის ზღვაში საბერძნეთსა და თურქეთს შორის.
15. ეს სახელი ბაირონმა შესაძლოა ბერძნული ხალხური სიმღერებიდან გამოიყენა. პრატის მიხედვით, ის ნიშნავს ალერსიანს ან მოსაალერსებელს.
16. „ნოუს“, ბერძნულად უნდა იწერებოდეს „nu, omicron, upsilon, sigma“ და ლათინური შრიფტით იმიტომ წერია რომ იმ დროს სტამბაში ბერძნული შრიფტი არ გააჩნდათ. ნიშნავს — ჭკუას, გონებას.
17. კაპიტანმა ჯონ ბაირონმა, ვისაც „გადარეულ ჯეკს“ უწოდებდნენ, გამოაქვეყნა ნიგნი: „ამბავი კეთილშობილი ჯონ ბაირონისა (მსოფლიოს გარშემო ბოლოდროინდელი მოგზაურობის მეთაურისა)“, სადაც გადმოცემულია ის დიდი გაჭირვება, რაც მან და მისმა ამაღამ გამოიარეს პატაგონიის

ახალი თარგმანები

ნაპირებთან, მოყოლებული 1740 წლიდან 1746 წლამდე, ვიდრე ინგლისში დაბრუნდებოდნენ; დაწერილი მის მიერვე.

18. ბერძნული კუნძული ეგეოსის ზღვაში.

19. კრეტის მეფის მინოსის ცოლი. მინოსმა უარი თქვა თეთრი ხარი შეეწირა ღმერთებისათვის. რის გამოც ნებტუნმა შური იმით იძია, რომ პასიფაეს შეუყვარდა ხარი. ხელოვანმა დედალუსმა ისეთი მოწყობილობა ააგო, რომ პასიფემ შეძლო ვნების დაკმაყოფილება; შედეგად გაჩნდა მინოტავრი.

20. ახალბერძნული, რაზეც ლაპარაკობდნენ ბაირონის დროს.

21. ბაროუ, აიზეკ (1630-1677) — ტრინიტი კოლეჯის (კემბრიჯის უნივერსიტეტი) ხელმძღვანელი და სახელგანთქმული მქადაგებელი.

22. საუთი, რობერტ (1634-1677) — სახალხო ორატორი ოქსფორდში. ქადაგებდა მეფის კარზეც.

23. ტილოტსონი, ჯონ (1630-1694) — კენტერბერის არქიეპისკოპოსი. ეპისკოპოს ბარნეტის მიხედვით, “იგი არა მარტო საუკეთესო მქადაგებელი გახლდათ ყველა დროისა, არამედ ქადაგება თითქმის სრულყოფილებამდე მიიყვანა”

24. ბლერი, პიუ (1718-1800) — რიტორიკისა და ნატიფი ხელოვნების რევიუს პროფესორი ედინბურგის უნივერსიტეტში 1762 წლიდან 1783 წლამდე.

25. ხორვატული საპორტო ქალაქის, დუბროვნიკის, იტალიური სახელი.

26. პიროვნებანი, რომელთა ცოლებიც გზას აცდნენ, ან ჭორები დადიოდა მათზე.

— კეისრის მესამე ცოლი, პომპეა, პლუტარქეს მიხედვით, კლოდიუსთან არშიყობდა.

— პომპეუსის მესამე ცოლი, მუსია, კეისართან ლალატობდა.

— მუჰამედის ერთ-ერთ ცოლზე ეჭვები დადიოდა.

— ბელიზარიუსის ცოლის საქციელზე ანდაზები შეიქმნა.

27. ეპიკურე (ქრისტემდე 341-271) ელინური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი. ეპიკურული სკოლის დამაარსებელი. ბერძენი ეპიკურელი, ვინც წერდა ტკობის საგნის შესახებ.

28. სარდნაპალი (669-640) — ასურეთის მეფე. ბაირონს ტრაგედია აქვს დაწერილი მასზე.

ახალი ნიშნები

ლია კუხიანიძე

როცა ჩურჩულით აღარ ილაპარაკებენ

„ნახევრად სიმართლე და ნახევრად ტყუილი ერთი და იგივეა!.. ნახევარი სიმართლით სამშობლოს ვერ გამოადგები!.. ვერც მოყვასს!.. სიმართლისთვის (თუნდაც შეგრისხონ), გულისგულში (ჩუმად, ჩურჩულით) მაინც შეგიყვარებენ!“ — ეს სიტყვები შეიძლება, გიზო თავაძის ახალი ნიგნის „ლაპარაკი ჩურჩულით“ მარტო წინასიტყვაობად კი არა, მთელი მისი შემოქმედების კრედიოდ ჩავთვალოთ. მასში გადაჭარბებული არაფერია, რადგან ავტორმა თავისი ცხოვრების განვლილი წლებით დაადასტურა მისი ნამდვილობა.

მართლაც, ნახევრად სიმართლე მარტო ნახევრად ტყუილი კი არა, მასზე უარესია და ვაი, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბოლო ორი ათწლეული მაგალითია იმისა, რა მდგომარეობაში აგდებს ადამიანთა დიდი ნაწილის ცნობიერებას ბრჭყვიალებით შემოსილი სიცრუის წარმოჩენა სიმართლედ, უფრო უარესიც, როცა ადამიანებმა იციან, თვალისმომჭრელი და ტვინის ამრევი ვითომ სიმართლე — ტყუილია, მაგრამ ყველაფერს შეგუებულთ, ბრძოლის უნარწარმეულთ, რეაქცია აღარა აქვთ და თავიანთი უმოქმედობით მტრის ნისკვილზე ასხამენ წყალს.

„ლაპარაკი ჩურჩულით“ ჩვენზეა, ჩვენს ახლობლებზე, მეზობლებზე, მათზე, ვინც მოგვწონს და ვინც არ მოგვწონს, ვისაც ქვეყნის უბედობის გამო გული გახეთქვაზე აქვს, ან მხოლოდ თავის ჯამს ჩამაცქერალი მამულის უბედურებით საკუთარ ბედნიერებას გამალებით იქმნის.

ნიგნში შვიდი მოთხრობაა, პერსონაჟები პატარა ქალაქის მკვიდრნი არიან, რომელთათვისაც ცხოვრებას დიდი პრობლემები აუკიდა. პირველი იმიტომ, რომ იმ ეპოქის წარმომადგენლები არიან, ერთმა ჩინელმა ბრძენმა წყევლას რომ გაუთანაბრა: „დიდი ცვლილების დროს გეცხოვროთ“, და მეორე, იმ მცირერიცხოვანი ერის შვილები — ისტორიის მწარე გაკვეთილებიდან რომ ვერაფერი უსწავლიათ. დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქენი კი არიან, მაგრამ მათი ცხოვრებით დანახული ქვეყნის ბედით კარგად ჩანს, დამოუკიდებლობა სახელმწიფო სიმბოლიკასა და ატრიბუტიკას ვერ გასცდენია და წუთისოფლის მღვრიე ტალღებში უკომპასოდ და უკაპიტნოდ, ღმერთს მინდობილნი, ძნელი გასარჩევია თვითგადარჩენისთვის ბრძოლაში ალაბედზე მიიკვლევენ გზას თუ უკან ბრუნდებიან.

მწერალი ახერხებს ზოგჯერ ისტორიული ექსკურსით, ზოგჯერ იუმორით და თვითირონით „შეამსუბუქოს“ მწარე სინამდვილე და მოთხრობის გამრეებით, როგორც წვეთში ოკეანე, დაგვანახოს თანამედროვეობის რეალობა.

ედიშა ცინცაძე („ლაზარე, გამოველ გარე!“) მხატვარია, მოლბერტგადაკიდებულს აღმა-დაღმა რომ შემოუვლია თავისი ქვეყანა და თავისებურად განიცდის ცხოვრების იმ ცვლილებას, ხალხთა დიდი საპყრობილის, საბჭოთა კავშირის დანგრევამ რომ მოუტანა, რომლის საძირკველში, როგორც მოთხრობაშიც ჩანს, უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იყო ჩატნეული და რომლის ნგრევამაც ახალი სისხლის მდინარეები ადინა. უჭირს ედიშას, მაგრამ ჯერჯერობით მაინც თავის ქვეყანაშია და ის იერი არა აქვს, ამერიკაში ცხრა წელგატარებულ მის მეგობარ გარსევანს რომ დასდებია, მხატვარს, ცეკვის არ მცოდნეს, მაგრამ როგორც თვითონ ირონიით ამბობს, აქედან ცეკვის ან-სამბლს „ცერულით წაყოლილს“ და უკან კატორღელის დადლილობით დაბრუნებულს ჩამოჰყოლია.

მშობლიურ ქალაქის ერცახე დიასახლისის ერცახე დუქანში შეკრებილან მეგობრები და მათი საუბრიდან ჩანს, როგორ უვლიათ წუთისოფლის ოღრო-ჩოღრო ბი-

ლიკებზე, როგორ არ გაბოროტებულან და მზადაც არიან ხმამაღლა თქვან: იმაზე იქ, ლუკმა-პურის საშოვნელად იმ „ძალთაპირ ქვეყანაში“ მხატვრობა კი არა, თავი რომ დაგვიწყნია, იმაზე აქ, ახალი მედროვენი რომ გამოსულან სცენაზე და სამშობლოს დასაჩოქებლად მისი ღირებულებებისა და ტრადიციებისათვის მერამდენედ შეუტევიათ. ამის ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი მაგალითი კი ისაა, ადამიანების ტვინისშემაბრუნებელ ტელევიზიებს ცნობილი მამათმავლის, ახალგაზრდების ე.წ. აღმზრდელის ტელედასარება საკუთარ ავადობაზე პიროვნულ ღირსებად და ვაჟკაცობად რომ გამოუცხადებიათ. ცნობადი სახეები (იფ, რა ქართულია) და სხვებისთვის სანიმუშონი უნიჭონი და უზნეონი გამხდარან.



პირადი ინტერესებისათვის „ადამიანი ღამურები“ გამრავლებულან („რაცა ხარ, ის იყავი დალოცვილო, ქართველი თუ არ ხარ ქართველობას რას იჩემებ, აქაც არავინ მიგიღებს და სხვებსაც გაანაწყენებ“) და ქვეყნის უბედურებად ქცეულან და ა.შ. მაგრამ ვაი, რომ სუფრასთან ნათქვამი სიმართლე, სუფრას ვერ გასცილდება, აღშფოთების გამოხატვა ჭიქის შესმით დასრულდება, ამიტომ აღნიშნავს მწარე ირონიით მწერალი, ედიშას ოჯახიდან დროდადრო გაუჩინარებაზე იცოდნენ, სადაც იქნებოდა, „...მასავით გულდამწვარ რომელიმე მამულიშვილთან, რაც დილაზე ჭიქების წკრიალით გრძელდებოდა და ოჯახმაც სავარაუდოდ იცოდა, იმ ღამით სად წყდებოდა მამულის ბედი“.

ყველა ზრდასრულმა ადამიანმა იცის, წესით როგორც უნდა იცხოვროს და ათი მცნების დარღვევას ვერაფრით გაამართლებს, მაგრამ ესეც წუთისოფლის წყველა-კრულვიანი საკითხია და ადამიანები მოყვასის მიმართ დანაშაულის ტოლ ცოდვას მაინც ჩადიან, ყველას და ყველაფერს ადანაშაულებენ ამის გამო საკუთარი თავის გარდა და გვიან მოსული სინანული თუ აღარაფერს შეცვლის, რალა სინანულია. „რუთოს სინანული“ შეხსენება იმისა, თუ კაცი ხარ, არაკაცს სამაგიერო არაკაცურად არ უნდა გადაუხადო.

მოთხრობის „სამი დღე აგარაკზე“ მთავარ გმირს ახალგაზრდა არქეოლოგ ვაჩეს განვლილი ცხოვრებით აღმოჩენილ ჭეშმარიტებაში ერთ-ერთ ყველაზე ღირებულად ის მიუჩნევია, სამშობლოსადმი თანდაყოლილი სიყვარული რომ არ განელდეს, უნდა იღვანო. ბათუმში დასასვენებლად ჩასული, მართალია, დასვენებას ვერ მოახერხებს, მაგრამ ძველ თუ ახალ ნაცნობებთან შეხვედრებით კიდევ ერთხელ განჭვრეტს თავის ცხოვრებას და მკითხველი რწმუნდება, ახალი გრძნობების განმცდელისთვის აუცილებლად შეიცვლება რალაც.

ვაჩე ქალაქ ბურანეთიდანა და არც ეს სახელია შემთხვევითი, რადგან თითქოს მართლაც რალაც ძილის მომგვრელი ბურანი დასწოლია მთელ ქვეყანას, რომლის ლეთარგიულ ძილს ვერგამოსწილი საზოგადოების ერთი ნაწილის გულისტკივილი ასე უნდა გამოხატოს მთავარმა გმირმა: „ეჰ, ჩემო სოსუმო, ჩემო ვაგრა, ჩემო ბიჭვინთა,

ურუსთა სივერაგითა და ჩვენი ბედოვლათობით დაშორებულო, გავერანებულო, ვინ იცის, როდემდე დაკარგულო“...

საინტერესო პერსონაჟია ჯურხა შილდელი. მსოფლიოში ცნობილი რეჟისორი, ვაჩეს უფროსი მეგობარი, მედროვეებს რომ განაპირებია და მრავალი ჭეშმარიტების შემცნობელს ვერ გაუგია, ნიჭიერი კაცი ისე როგორ უნდა გადაგვარდეს, ძლიერთა ამა ქვეყნისა ლაქიად დაუდგეს და „სამშობლოს ბედი თავის პირად ბედნიერებაზე დაახურდაოს“. მისთვის მიუღებელია საზოგადოების ჩვენიანებად და არაჩვენიანებად დაყოფა და კარგად იცის, როგორია დიდი ხელოვნის ბედი არშემდგარ სახელმწიფოში. ამიტომ არად აგდებს მისთვის მიჩენილ მეთვალთვალეს.

მართალია, მოთხრობას არადამაჯერებელი, „ჰეპინენდისებური“ დასასრული აქვს, მაგრამ ვინ იცის, განა ცოტა რამ მომხდარა დაუჯერებელი?

ჩვენი დროის ტკივილს ყველაზე უკეთ მაინც მოთხრობა „ლაპარაკი ჩურჩულით“ გამოხატავს. მის გმირს ბერო ვაჩნაძეს, ცამეტი წელი ამერიკაში რომ გაუტარებია, კაცის მოვალეობა ერთგულად აღუსრულებია, ოჯახი ურჩენია და ხელისუფლების დაპირებების დამჯერე სამშობლოში დაბრუნებულა. იმედგაცრუებულს და ახალი ტკივილებით გულდასერილს, აღარც ახალგაზრდობის და აღარც მომავლის იმედის მქონეს, 1801 წელს აგებულ მამაპაპისეულ სახლში (ამერიკაში რომ არ წასულიყო სახურავსაც რომ ვერ გამოუცვლიდა). მეგობრები შეუკრებია ოკეანის გაღმა წასასვლელად შემზადებულს მეორე ემიგრაციის წინ, „რაც ქართველისათვის, მიწას და კერიას მიჯაჭვული ქართველისათვის, მეორედ მოსვლის ამოუცნობ და შორეულ ნისლეულს მიაგავდა“. დამსხდარან ბუხრის წინ, ილხენენ, ხუმრობენ, მღერიან, მაგრამ ყველა თავის სადარდებელს მისცემია. ყველას თავისი გასჭირვებია. ძალიან განიცდის წასვლას ბერო, განიცდიან მისი მეგობრებიც. „ვინ იცის როდის დაუბრუნდები შენს პატარა და საცოდავ სამშობლოს. შეჩვეული ვიყავით უშენობას, ახლა თავიდან უნდა გავიაროთ ის გზა, ჩვენ თუ ვძლებთ, შენ რატომ მიდიხარო?“ — ეკითხებიან. ბეროს ცოლი ერთ-ერთ მიზეზად იმას ასახელებს, განსაკუთრებით გულს ამდენი მათხოვრის დანახვა უკლავსო. გაიკვირვებენ სტუმრები. განა სხვა ქვეყანაში მათხოვრები არ არიან? მაგრამ ბეროს პასუხი — „ეჰ, ძმებო, სიკვდილი მიჯობს სამშობლოდან წასვლას, მაგრამ აქ ადამიანები ჩურჩულით ლაპარაკობენ“. — ტყვიასავით მოხვედება გულზე მკითხველს, რადგან ხვდება, ეს მარტო გაჭირვებას გაქცეული კაცის ნათქვამი კი არა, იმ ადამიანის ამონაკვეთია, რომელსაც აღარ შეუძლია ღირსებააყრილ სამშობლოსა და მის დამცირებულ, შეურაცხყოფილ და ბედს შეგუებულ თანამემამულეებს უყუროს.

...და როდისღა დაიწყება ქვეყნის ფეხზე წამოდგომა, ქართველების ქართველობა, ღირსების აღდგენა? პასუხი ერთია, როცა ჩურჩულით აღარ ილაპარაკებენ.

ასიოდე მეტრის დაშორებით

აშშ 35-ე პრეზიდენტს ჯონ ფიცჯერალდ კენედის, ალბათ, გაგონილიც არ ექნებოდა ზღაპრული საქართველოს სახელი (სტალინი, ცხადია, რუსი ეგონა, ვინაიდან რუსების საქმეს აკეთებდა და აბა სადაური იქნებოდაო?! ხოლო შევარდნაძე ჯერ არ იყო გასული საერთაშორისო ორბიტაზე, ჯერჯერობით მტკნელად გაემწესებინათ რაიკომის პირველ მდივანად).

კენედის არც ქალაქები აუშენებია საქართველოში, არც ქართველ მეფეთა ძეგლები დაუდგამს ვაშინგტონში, მაგრამ როდესაც ტრაგიკულად დაიღუპა, იმ მწუხარე ნოემბრის დღეებში, ლამის მთელი საქართველო, დიდიან-პატარაიანა, მის შესანდობარს სვამდა (იმ დღეებში რა ქონდა ჩვენი შესანდობარი?). თურმე ეს ყოფილა უკანასკნელი სიტყვები სულთმობრძვისა: ჯორჯიას მიმიხედეთო... და მთელი პროგრესული კაცობრიობა დღემდე თავს იმტკრებს იმაზე, ჯორჯიას შტატს გულისხმობდა თუ იმხანად კრემლის კლანჭებში მოქცეულ და დამონებული-დაბეჩავებულ საქართველოსაო.

ჯონ კენედი, როგორც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, განისვენებს ვაშინგტონში მდებარე არლინგტონის სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ ის ამერიკელები, რომლებიც დაიღუპნენ პირველ და მეორე მსოფლიო ომებში, აგრეთვე — კორეის, ვიეტნამის, ერაყის და ა.შ. ომებში, დემოკრატიისა და ხალხთა თავისუფლების მოსახვეჭად რომ გაჩაღებულა.

ჯექ დუნლაპიც იქ განისვენებს, არლინგტონის სასაფლაოზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელმა მსოფლიომ იცის ჯონ კენედის სახელი და საქმენი სასახლონი, ჯექ დუნლაპისა კი მარტოოდენ მის შთამომავლებს თუ ეცოდინებათ.

ვინ იყო ჯექ დუნლაპი?

ვინ იყო და აშშ არმიის სერჟანტი, კორეის ომის ვეტერანი, შემკული საბრძოლო ჭრილობითა და დაჯილდოებული ორდენ-მედლებით ფრონტზე გამოვლენილი სიმამაცისათვის. თავდაპირველად მსახურობდა აშშ ეროვნული უშიშროების სააგენტოს ვიცე-დირექტორის მძღოლად, შემდგომში დაანინაურეს შიკაგოს თანამდებობაზე. ჰყავდა ცოლი, ხუთი შვილი და, ამასთან ერთად, საყვარელი ქალიც!

ორიოდე სიტყვა ზემოხსენებულ დანესებულებაზე. აშშ ეროვნული უშიშროების სააგენტო (ენ-ეს-ვი) სუპერსახელმწიფოს წამყვანი სპეცსამსახური გახლავთ და მისი პრეროგატივაა რადიოელექტრონული დაზვერვა, კრიპტოგრაფიისა და ინფორმაციის დაცვის სფერო. მუდმივ თანამშრომელთა ოდენობა — 20 ათასი კაცი და კიდევ 100 ათასი ირჯება იმ ბაზებსა და სადგურებზე, მთელი დედამიწის ზურგზე რომ მიმოფანტულან დემოკრატიის დასაცავად. ვაშინგტონიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით აღმართულა ბეტონისა და ფილადის შთამბეჭდავი ნაგებობა, ზემოხსენებულ დანესებულება რომ ეკუთვნის. იგი, პენტაგონსა და სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად, ყველაზე გონადიოზული შენობაა ვაშინგტონის სანახებში. როგორც ამბობენ თვითმხილველი, მის მთავარ ტალანში სამი ფეხბურთის მოედანი დაეტეოდაო. ტურისტებს იქ არ უშვებენ (თუნდაც საქართველოდან ჩასულებს). შენობის მისადგომებს იცავენ საზღვაო ქვეითები (აშშ არმიის ელიტა), შეიარაღებულნი არა მარტო ავტომატებით, არამედ — ტყვიამფრქვევებითაც. ტერიტორია შენობის ირგვლივ გარშემორტყმულია სამკეცი მავთულხლართების ლობით, რომელშიც გადის ელექტროდენი.

„ენ-ეს-ვი“ კიდევ უფრო საიდუმლო დანესებულებად ითვლება, ვიდრე მისი მკვიდრი ბიძაშვილი, ფრიად სახელგანთქმული „სი-აი-ვი“ (ანუ — ცერეუმი).

აი, ამ ცხრაკლიტურში მოღვაწეობდა ჯექ დუნლაპი. მუყაითად მოღვაწეობდა და, შეთავსებით, საიდუმლო დოკუმენტთა ასლებს აწვდიდა საბჭოთა დაზვერვას — გარკვეული საზღაურის ფასად.

საზღაური კი, ჩანს, საკმაოდ გულუხვი გახლდათ. სულ მოკლე ხანში დუნლაპმა შეიძინა ჩქაროსნული კატერი, ძვირფასი ავტომანქანები (ერთი „იაგუარი“ და ორი „კადილაკი“); ხშირად ატარებდა დროს ფეხმძივებულ ოტლებსა და იახტ-კლუბებში ნიუ-ჯერსიდან ფლორიდამდე. ჯამაგირი კი ჰქონდა, არც მეტი და არც ნაკლები, კვირაში 100 (ასი!) დოლარი.

და აი, ესოდენ საცოდავი ჯამაგირის პატრონი ძალზე ხელგამოლი ცხოვრებას ეწეოდა თანამშრომელთა ცხვირნინ და არავინ არაფერში დაეჭვებულა. არავის

გაკვირვებია მისი მოულოდნელი გამდიდრება. არავინ შეფიქრიანებულა იმაზე, რომ ხელმოკლე შიკაგო სამსახურში მოზრდანდებოდა იაგუარით ან კადილაკით. არავის აოცებდა, რომ დუნლაპს ჯიბეში მუდმივად ედო ათიოდე ასდოლარიანი კუპონი და უშურველად ასესხებდა ხოლმე ლამის უცნობ ნაცნობებს. მერილენდის შტატის მთელ სანაპიროზე იცნობდნენ ტანმალა, მზიარულსა და კომუნიკაბელურ კაცს, ყველა სიკეთესთან ერთად, საუკეთესო მყვინთავიც რომ იყო.

აშშ წამყვანი სპეცსამსახურის უფროსობას თუ უმცროსობას ერთხელაც არ უანგარიშია ჩოთქზე, თვეში 400 დოლარით როგორ არჩენდა კაცი თავის ცოლს, ხუთ შვილსა და კიდევ საყვარელს! (ეს უკანასკნელიც იმავე სააგენტოში მსახურობდა).

პოლიტიკა არ აინტერესებდა და მისგან არავის სმენია მთავრობის კრიტიკა. განა კი „ბოროტებას იმპერია“ უყვარდა? სუპერმარკეტში რომ ემსახურა, ინფორმაციის ნაცვლად, ასეთივე წარმატებით მიჰყიდდა მოსკოვს საბჭოეთში უაღრესად პოპულარულ ამერიკულ ჯინსებს ან ნაღდ ამერიკულ მარლბოროს.

სააგენტოს თანამშრომელთა შორის ასეთი ჭორი ტრიალებდა: დუნლაპის მოკრძალებული სამხედრო ნოდება მხოლოდ ნილაბია ძალზე მნიშვნელოვანი და უკიდურესად საიდუმლო დავალების შესასრულებლად. თავად ჯექი მის თავს დატყობდა „ოქროს ნვიმაზე“ ნაინაირ ზღაპრებს თხზავდა: დიდ პლანტაციებს ვფლობ ლუიზიანის შტატში (წარმოშობით იქიდან იყო) ანდა — მემკვიდრეობით მერგო ხუთი ავტოგასამართი სადგური ალაბამის შტატში (მამამისი იქ უბრალო დარაჯად მუშაობდა ავტოგასამართ სადგურში).

უზრუნველი და მსუყე ცხოვრება, ალბათ დიდხანს გაუგრძელებოდა, მაგრამ ჯექ დუნლაპი გაყიდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისმა „ორეულმა“, სახელდობრ — საბჭოთა სამხედრო დაზვერვის („გერეუ“) პოლიკონიკა დმიტრი პოლიაკოვმა, რომელიც მთელი ოცი წლის განმავლობაში, შეთავსებით, ემსახურებოდა აშშ გამომძიებლის ფედერალურ ბიუროს („ფ-ბი-აი“).

ექვსი პროექტორებქვეშ მოქცეულმა დუნლაპმა თავის მოკვლა განიზრახა. პირველმა ცდამ არ გაუმართლა, მაგრამ მეორედაც სცადა და თავისი შეისრულა.

დუნლაპი, როგორც კორეის ომის ვეტერანი, სამხედრო პატივით დაკრძალეს არლინგტონის სასაფლაოზე (სააგენტოში ხომ მხოლოდ ექვი იყო აღძრული).

ერთი თვის შემდეგ ქვრივმა მიცვალებულის ნივთებში საიდუმლო დოკუმენტი აღმოაჩინა და, სადაც ჯერ არს, პატაკი წარადგინა. ატყდა არნახული განგაში. დეტექტივთა მთელი არმია შეუდგა საქმის გამოძიებას. დუნლაპის საათის სამაჯურზე ამოტივტივებული შვიდნიშნა რიცხვი რომ აღმოაჩინეს, ეგონათ, შევიცარიის რომელიმე ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის ნომერი არისო, მაგრამ თურმე ჯექის ერთი დაქალის ტელეფონის ნომერი ყოფილა და მეტი არაფერი.

რომელი დოკუმენტები გაყიდა დუნლაპმა? თავდაცვის მინისტრის რობერტ მაკნამარას მითითებით, პენტაგონმა ჩაატარა დუნლაპის საქმის დეტალური კვლევა, მაგრამ შედეგები არ გამოქვეყნებულა. ერთ-ერთმა ექსპერტმა ბრძანა: ჭირმა წაიღოს ათასგვარი ვარაუდები, სულერთია ჩვენ ვერასოდეს ვერ შევიტყობთ, რა და რა დოკუმენტები გაფრინდნენ მოსკოვში.

კაცი, რომელმაც კოლოსალური ზარალი და ზიანი მიაყენა საყვარელ სამშობლოს, ნებივრად განისვენებს არლინგტონის წმიდათანმიდა მიწაში — პრეზიდენტ კენედის სამარადან ასიოდე მეტრის დაშორებით!

რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში დუნლაპის ცხედარს მინიდან ამოთხრიდნენ, სატვირთო მანქანაზე შეაგდებდნენ და ხალხის გასართობად მთელ სატახტო ქალაქს ციმციმ მოატარებდნენ, მერე კი ყვავ-ყორნებს მიუგდებდნენ ამოსახარავად. მაგრამ ჭეშმარიტი დემოკრატიის ბურჯად შერაცხულ ამერიკაში ამას ვინ იკადრებდა?!

მილიონები —
მორალური ზარალისათვის

ვენელმა რასპუტინის ასულმა იქაურ სასამართლოში უჩივლა. მოითხოვდა მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებას — მშობელი და მარჩენალი მამის მკვლელობის გამო! მომჩივანს, ერთი შეხედვით, საქმე მოსაგებად ჰქონდა განწირული, რადგანაც იუსუპოვის დანაშაულს ეჭვმიუტანელი სამხილები და მტკიცება არ სჭირდებოდა. დამნაშავე თავად აღიარებდა თავის დანაშაულს თავისსავე წიგნში — შავით თეთრზე და, ღმერთო მაღალო, კაცისმკვლელობით თავს იწონებდა!

როგორც ცნობილია, სახელგანთქმული გრიშკა რასპუტინი მოკლულ იქნა პეტროგრადში (ამჟამად — სანკტ-პეტერბურგი) 1916 წლის 17 დეკემბერს (აუჰ, მას შემდეგ თითქმის ერთი საუკუნე გასულა და თითქოს გუშინ მოხდაო). თავადმა ფელიქს იუსუპოვმა, დიდმა მთავარმა დმიტრი პავლოვიჩმა (რუსეთის იმპერატორის ბიძაშვილმა) და სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატმა პურიშკევიჩმა მოაწყვეს ეს მკვლელობა იმის იმედით, რომ გადაარჩენდნენ სამეფო ტახტსა და სოციალურ წყობილებას, რასთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათი ბედ-ილბალი.

ამ გაბედული აქციის ინიციატორი, ორგანიზატორი და ფიზიკური აღმსრულებელი, ერთი სიტყვით — კომპოზიტორიც, დირიჟორიც და პირველი ვიოლინოც, გახლდათ ფელიქს იუსუპოვი. სწორედ მან შეიტყუა რასპუტინი თავის სასახლეში, გაუმასპინძლდა მონამული ნამცხვრითა და ღვინით, მაგრამ ვერაფერი დააკლო პირუტყვის ჯან-ღონით დაჯილდოებულ მუჟიკს და, სხვა გზა რომ აღარ დარჩენოდა, დამბაჩა დაახალა.

იმხანად იუსუპოვი იყო კერძო პეტროგრადის „ოქროს ახალგაზრდობის“, ლამაზი შესახედაობა ჰქონდა და უზარმაზარ ქონებას ფლობდა: არხანგელსკოე (მოსკოვთან), სასახლენი ორივე დედაქალაქში, მილიონებად შეფასებული სამხატვრო კოლექციები და მამულები მთელ რუსეთში. თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ნიკოლოზ II-ის დაი, თავისი ასული რომ მიათხოვა, ამით უზომოდ კმაყოფილი და ბედნიერი იყო.

ფელიქს იუსუპოვი გამოირჩეოდა უადრესად დახვეწილი და ნატიფი მანერებით. თავს აცხადებდა ფრიდრიხ ნიცშესა და ოსკარ უაილდის თაყვანისმცემლად ანუ ისეთ ადამიანად, რომელიც მთელ კაცობრიობაზე მაღლა დგას და არ არის ვალდებული, რომ დაემორჩილოს საყოველთაოდ აღიარებულ კანონებს. ამიტომაც პოპულარობას იხვეჭდა არა მარტო გვარდიის ოფიცერთა შორის, არამედ — დეკადენტური პოეზიის მოყვარულებშიც.

მაგრამ 1917 წლის ოქტომბერში ყველაფერი სიზმარივით გათავდა. ფელიქს იუსუპოვი, თავის უძვირფასეს მეუღლესთან ერთად, დასახლდა პარიზში. ემიგრაციის პირველ წლებში მატერიალურად არ გასჭირვებიათ, ვინაიდან ქონების რაღაც გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთ გზავდა. მაგრამ ფუფუნებით აღსავსე ცხოვრებამ მალე ამოაშრა ეს წყარო. იძულებული გახდნენ, რომ შრომით მოეპოვებინათ ლუკმაპური. მოდების ატეხიე გახსნეს პარიზში, ოღონდ გამოცდილება არ ეყოთ და მარცხი განიცადეს. მაშინ იუსუპოვმა კალამი მოიმარჯვა, წერას შეუდგა და 1927 წელს თავისი მემუარები („რასპუტინის აღსასრული“) წიგნად გამოსცა. ისევე გაუხლავფორთდა საქმე. ასევე საფრანგეთში გადახ-

ვენილი მისწონდათ, სადაც ავტორი არისტოკრატიული აზიზობით ჰყვებოდა, თუ როგორ გააფთრდა და ფეხით დაუწყო ქელვა რუსეთის იმპერატრიცის უპირველესი ფავორიტის ცხედარს. წიგნის ჰონორარი კი მალე შემოდნათ ხელში. მაგრამ ბედი ისევე სწყალობდა იუსუპოვებს.

დალოცვილი ჰოლივუდი ხელიდან რავა გაუშვებდა ასეთ სენსაციურ სიუჟეტს და აი, 1932 წელს კინოკომპანია „მეტრო-გოლდვინ-მეიერი“ იღებს მხატვრულ ფილმს „რასპუტინი და იმპერატრიცა“ (რეჟისორი — რიჩარდ ბოლესლავსკი).

ეს იყო მორიგი ჰოლივუდური ჩმახი „რუსული ცხოვრებიდან“ (ანუ КЛЮКВА, როგორც რუსები ეძახიან) და უხვად იყო შეკაზმული პორნოგრაფიით, რაზედაც რასპუტინის მოღვაწეობა საკმარის მასალას იძლეოდა (გაიხსენეთ თუნდაც მლელვარე ეპიზოდი მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან „კვაჭი კვაჭანტირაძე“ — რასპუტინი თავის უბადლო იარაღს რომ იმიშვლებს თეატრის ლოჟაში).

ამერიკულ ფილმში რასპუტინის მთავარ ხარჭად გამოყვანილი იყო მეუღლე ფელიქს იუსუპოვისა — ენინა ირინა („პრინცი-სა ნატასა“ სახელით). სინამდვილეში იგი ითვლებოდა უადრესად თავდაჭერილ ქალად, რომელიც აღმერთებდა თავის ქმარს. ახლა იუსუპოვებმა მიმართეს სასამართლოს. საქმე აღიძრა „ოჯახის დედის კეთილი სახელის შებღავის“ თიბაზე. 1934 წელს გაიმართა სასამართლო პროცესი. იუსუპოვთა „მორალური ზარალი“ მილიონებად შეფასდა, ვინაიდან სხენებული ფილმი მილიონებმა იხილეს. ჰოლივუდს, რასაკვირველია, უარი არ უთქვამს „მორალური ზარალის“ ანაზღაურებაზე.

ამის შემდეგ იუსუპოვებს აღარ გასჭირვებიათ და ტკბილად შეაბერდნენ ერთმანეთს.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
საერთაშორისო აღიარება!

წელს გამომცემლობამ „Cambridge Scholars Publishing“ გამოსცა წიგნი „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი. მე-20 საუკუნის გამოცდილება“ („Totalitarianism and Literary Discourse. 20th Century Experience“), რომელიც მომზადდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. რედაქტორია ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ირმა რატიანი.

წიგნს საფუძვლად დაედო 2009 წელს, ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარებული ამავე სახელწოდების საერთაშორისო კონფერენციის მასალები. კონფერენცია ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით და თავი მოუყარა დარგის აღიარებულ სპეციალისტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს იყო პირველი საერთაშორისო ფორუმი, რომელიც დაეთმო ტოტალიტარიზმის, უპირატესად საბჭოთა ტოტალიტარიზმის გავლენასა და შედეგებს ლიტერატურულ პროცესზე. კონფერენციის

დასრულების შემდეგ, 2010 წელს ქართულ ენაზე დაიბეჭდა მასალების კრებული, რომელმაც ფართო საერთაშორისო ყურადღება მიიზიდა. სწორედ ამ მასალების რჩეული 2012 წელს ინგლისურ ენაზე გამოსცა ცნობილი ინგლისურმა საგამომცემლო სახლმა.

ეს არის ფილოლოგიური პროფილის პირველი სამეცნიერო წიგნი, რომელიც მომზადდა საქართველოში, ქართულ კვლევით ცენტრში და რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. წიგნის გამოცემა ესოდენ პრესტიჟულ უცხოურ გამომცემლობაში არის უადრესად სერიოზული ნაბიჯი, გადადგმული ქართული მეცნიერების ინტერნაციონალიზაციისაკენ, რაც უსათუოდ შეუწყობს ხელს თანამედროვე ქართული ფილოლოგიური სკოლის მიღწევების ექსპორტს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.

მირანდა ტყეშელაშვილი